



შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტი

აკაკი წერეთელი

თხზულებათა სრული კრებული
ოც ტომად

გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“

თბილისი 2014

აკაკი წერეთელი

ტომი V

დრამატული პოემები

გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“

თბილისი 2014

აკაკი წერეთლის თხზულებათა აკადემიური გამოცემის
სარედაქციო კოლეგია

ირმა რატიანი მთავარი რედაქტორი
ზაზა აბზიანიძე
მაკა ელბაქიძე
ნანა ფრუიძე
როსტომ ჩხეიძე
ზურაბ ჭუმბურიძე
თამაზ ჯოლოგუა
ჯულიეტა გაბოძე პასუხისმგებელი მდივანი

ტომის რედაქტორი **ნანა ფრუიძე**

ტომი გამოსაცემად მოამზადეს, ვარიანტები, რედაქციები,
შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთეს
მაია არველაძემ და ნორა კოტინოვმა

ტომი გამოსაცემად მომზადდა რუსთაველის
ფონდის ხელშეწყობით

ISBN 978-9941-0-2789-5 (ყველა ტომის)
ISBN 978-9941-0-6232-2 (მეხუთე ტომის)

უაკ(UDC) 821.353.1+821.353.1-11
წ-395

© შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

დრამატული პოემები

ძველი ამხანაგები

კომედია ერთს მოქმედებად

მოქმედნი პირნი:

თ. კვახაძე – ბერიკაცი

ნიკო – მისი შვილი, კანდიდატი, რუსეთიდან მოსული

სოსო შერეკილიძე – გადამწერალი

ბარამ ორაბახაძე }
კოსტა ფანტაძე } აფიცრები

ივანე აკარიძე – კვარტალი

გიგო ცუციაშვილი

ელენე – გიგოს და

მაქსიმე – კვახაძის მსახური

გამოსვლა პირველი

ზალა კვახაძის სახლში. მამა ფეხმოფრთხილი მუთაქაზედ გამოწოლილი არის. ნიკო სკამზედ ზის დაფიქრებული. მაქსიმე მათ წინ დგას, ხანჯალზედ დაბჯენილი.

მამა

შვილო, რათ მოგწყენია აგრე? გამაგებინე!
დალაღული ხარ? ბძანე და ქვეშ დააგებინე...
მოგიხდება მოსვენება, ცოტა ხანსა დაიძინე! –
ჰე, ბიჭო! არ გესმის შენ? გაიგონე, მაქსიმე!

მაქსიმე

რას მიბძანებთ, ბატონო ჩემო, შენი ჭირიმე?

მამა

ტყვილათ იდექი აქა? ეს როგორ ვერ გაიგე?
ნიკოს ეძინება. წადი ეხლავ ქვეშ დაუგე! (მაქსიმე გადის)

ნიკო

ნუ სწუხართ, რა საჭიროა ქვეშსაგების დაგება?
მე არ მაქვს ჩვეულება, დღე არ დამეძინება.

მამა

მაშ რათ ხარ მოსხლეტილი! მოგეწყენა? მითხარი,
მალე გახალისდები, ნახე კარგათ ქალაქი.

ძველი ამხანაგები

შენობისათ რომ იყო, ისე ხომ აღარ არი?...
მეტად გამშვენიერდა, მეტად უცხო რამ არი!..

ნიკო

იმედია, ბატონო, უკეთაც შეიქმნება,
როდესაც ხალხში შევა თანდათან განათლება,
განათლება სივრცისა და სიმდიდრის მიზეზი,
მას შემოაქვს ხელოვნება, უცხო და უცხო წესი.

მამა (სიცილით)

განა მისი მიზეზია აგრე შენი მოწყენაც?

ნიკო

არა, დაღალული ვარ, არკი გითხარტ წელანაც.

მამა (ამოხვრით)

ჰეი, ჰეი, რაები ხართ ახლანდელი შვილები!
ჰაი ბეჩავ! მანგრე ვიყავთ ჩემს დროში ყმანვილები?
ჯაფას ვერას აიტანთ, დასათუთებულები!
(სიცილით) წიგნის მოწერით კი გვჯობხართ, მარამ მაშინც
ფულები...

ორი ფოჩტა გაგივლია, ხარ მაგრე მოკაკუული.
ჩემს დროს რომ მოსწრებოდი, ამოგხდებოდა სული!

ნიკო

სტავროპოლიდგან თვითქმის უშინლოდ მოვდიოდი,
ცოტა ცივი ქარიც იყო და უთუოთ გავცივდი.

მამა

იცი თავის ანბავი, შინელს მოვიხურავდი (ამოხვრით)
მე კი შენის ხნის პერანგა მწვანეზედა ვგორავდი,

ძველი ამხანაგები

ფეხშიშველი თოვლში ვხტოდი, მაგრამ რას ჰქვიან მციოდა?
კაცს ენახა, იტყოდა თუ, ფეხზედ კომლი ამდიოდა.

ნიკო

ეხლა სულ სხვა დრო არის, წავიდა ის დროება,
სხვა ხასიათი მოვიდა და სხვა საჭიროება.

მამა

განა არ ვიცი, შვილო?! ვინ არ ატყობს თვალდათვალა,
რომ სულ სხვა დრო შემოვიდა, ბუნებაც გამოიცვალა.

ისინივე ღა მაქსიმე

მაქსიმე

ბატონო, გახლავსთ თქვენთან სუდის მწერალი სოსო;
ნიკოს მოსვლა შეუტყვია და ეგების მნახოსო.

ნიკო

გადი მალე და სთხოვე დიდის კმაყოფილებით.

მაქსიმე (სკამებს ბერტყავს)

ბატონი ხართ, ეხლავ, ეხლავ, გაიხლებით. (გადის)

იბინივე ღა სოსო

(სოსო და ნიკო ერთმანერთს კოცნიან)

ნიკო

მოციქულებს მიგზავნით, ისე ვერ შემოდით?
აგრე გაგიდიდკაციდით? – დაბძანდით! რასა იქთ?

სოსო

გმადლობთ. გახლავარ ცოცხალი ღვთის და თქვენის იმედით, ვმსახურობ, ათ თუმანს ვიღებ, ჯერ მწერალი გახლავარ, მაგრამ ჩემ სტოლ-ნაჩალნიკს, როგორც ვატყობ, უყვარვარ.

ნიკო (შეჭმუხვით)

ისემც კარგი დაგემართოს, თუ არა გყავს გამწყრალი!
(თავისთვის)
ვინ ჰკითხავს, შენი ჭირიმე, არის თუ არა მწერალი?

სოსო

არა, კარგი კაცია: დღეს ბაზარში გამგზავნა და მისის პირით მადლობა ორჯერ-სამჯერ მიბძანა.

ნიკო

კარგი კაცი ყოფილა თუ ჯაფით არ განუხა (თავისთვის) ფაფახი, ქამარ, სერთუკი, ბრუკი, ფეხებზედ წულა... არც რუსია, არც ქართველი; ეს რანაირათ მორთულა?

სოსო

ეგ კი იცის. სამართალში ან მალე მობძანდება და თუ იქ არ დავუხვდი მეტად გამიჯავრდება. შენი მოსვლა რომ მითხრეს, დეჟურნს გამოვეპარე, ხვალაც გნახავ, გეთაყვანე და ეხლა ეს მაკმარე!..

ნიკო

დაიცა, რა მიგაჩქარებს, ცოტა ვიმუსაიფოთ.

სოსო

არა, შენი ჭირიმე, გამიშვით, არ დამლუპოთ. (მიდის)

ნიკო (თავისთვის)

ამ უბედურის შვილსა ეს რა ცოდვა სწვევია? ცოტა ჭკუა რაც ჰქონდა, ისიც გამოლევია!..

მამა

კარგი შვილი დადგება, შენ როგორ ატყობ სოსოს? ანბობენ კიდევ უყვარსო ძალიან თავის უფროსს.

ისინივე და მაქსიმე

მაქსიმე

ეს-ეს არის გიანხლათ, ჩემო ბატონო, კვარტალი. ნიკოსთან თუ სხვა საქმისთვის, ეს კი არ ვიცი მართალი.

მამა

მილაგ-მოალაგე, კარგათ გეჭიროს თვალი! მოდი, ახლოს დამინყვე, ტახტის პირზედ ფოსტალი!

ნიკო

წადი, სთხოვე, მობძანდეს, აბა რალა თქმა გინდა.
(მაქ. გადის)

მამა

შვილო, შენ ემუსაიფე! მე ავათა ვარ ცოტა. (გადის)

ნიკო და კპრტალი (ეხვევიან ერთმანეთს)

კვარტალი

ნიკოჯან! რასა იქ, პოჟოლუსტა, გეთაყვა?

ნიკო

გმადლობთ! თქვენ როგორ ხართ?

კვარტალი

ჩვენც მშვიდობით გახლავართ.
რუსეთით მარტო მოხვედით თუ სხვაც ვინმე მოგყვა?

ნიკო

სტავროპოლამდის თითქმის ორნი მოვედით ერთად. (სიცილით)
ულვაში გამოგიშვიათ, ძალიან გამოცვლილხართ.

კვარტალი

რაზუმეიცა, ნიკო! რისათვის გაგიკვირდა?
ჩვენი მოშორების შემდეგ ოთხი წელი გავიდა.

ნიკო

როგორ გავიფანტენით.

კვარტალი

ძალიან კარგათ ვქენით.
რა წავაგეთ იმითი, ერთმანერთს რომ მოვშორდით?
შენ კანდიდატი გახდი და ჩვენ აქ ვივარგეთ ღვთით.

ნიკო (გახარებით)

მაგისტანა ანბებით დიდათ მასიამოვნებთ.
რა სამსახურშიდ ბრძანდებით, ან ჯამაგირს რას იღებთ?

კვარტალი

მე, ჩემო ბატონო, სადღაა სამართალი!
აგერ სამი წელია, რაც ვარ და ვარ კვარტალი.

ჯამაგირი ცოტაა, მაგრამ გამოსარჩენი,
თუკი მარდათ გაისარჯე, გამოჩნდება ამდენი!
(თმას ინევს)

ვისაც ხელში ჩავიგდებთ, ის ხომ ჩვენი პურია,
ხან ქართველი, ხან სომეხი, თათარი, ხან, ურია.

ნიკო (შენუხდება. თავისთვის)

ვაი უბედურობას! ეს სულ უფრო ნამხდარა,
ნამუსისგან გამოსულა, უპირისწყალო გამხდარა!
(ხმამალა)

ჰო, მეტი რალა გინდათ? პრისტაობა ადრეა!
ჯერ ძალიან ყმანვილი ხარ, არ მოგცემენ მისათვის.
როგორც ვატყობ, სამსახურში ყველასთვის გაგისწრია,
ერთად ვინც ვიზღებოდით, ამხანაგებისათვის.

კვარტალი

არა, ბარამი მჯობია, მაგრამ ყველას გვეჯობს კოსტა:
მეცა და ბარამსაცა ორივეს გადაგვანტა! (ფენჯერში იყურება)
აი ისინიც აგერ, დახე! შენთან მოდიან. (სიცილით)
ჯოხი გვერდს მოიდგა... თუ როგორც იტყვიან.

ისინივე, ბარამ და კოსტა (მიესალმებიან ნიკოს კოცნით)

ნიკო

რასა იქთ, როგორ ბძანდებით?

(ორივე ერთხმად)

ორნივე გახლავართ მშვიდობით.

ნიკო

დაიღლებოდით კიდეც, მდივანზედ ჩამოსხედით.

კოსტა

არა, რა დაგვლავდა? დროშეებით გაიხელით! (სხდებიან)

ბარამ

რათ მაგრე მოსხლეტილხართ, ავათ ხომ არ გამხდარხართ?

ნიკო

არა, კარგათ ვარ, მაგრამ დალაღვა კი მატყვია.
სხვა, შენ რასა იქ? როგორ ხარ, ჩინი სად მიგიღია?
ძალიან გშვენის...

ბარამ (თავმოწონედ)

არ ვიცი, ვის არ უხდება მხრებზედ ეპოლეტები?
(მხრებს ანძრევს)
მეც ყოველწელ ჩხუბში ვარ, ტყვილათ არ ვეხეტები!

ნიკო

შენზედ ვლაპარაკობდი, შენის ქებით ამავსო,
(კოსტა კვართალს უჩვენებს)
მითხრა, ჯვრები, მენდლები კოსტას ოხრადა აქვსო...

კოსტა (შეფერებით)

ჰო, კარგათ მაქვს ხარისხი, ჯერ რაც შემეფერება;
უფროსებიც მწყალობენ, არავინ მემტერება.

ნიკო

მეტად მოხარული ვარ. კოსტა, მითხარი ერთი:
სად მსახურებ? ასე მალე როგორ გაბედნიერდი?

კოსტა (ჩაახველებს)

შენ რომ რუსეთში წადი, მე შევედი დრაგუნში,
მალე ჩხუბში დავესწარ, ტყვია მომარტყეს გულში,
მაგრამ მე ექიმები მაძლევედენ კარგს წამალსა
და რომ მოვრჩი, ეს ჯვარი მმიაკრეს ჩემსა ხმალსა. (უჩვენებს
ხმალს)

ყარსის იერიშის დროს ციხეს მარჯვეთ მიველი,
მაშინ ჩინს და გიორგის ერთად გამოვჰკარ ხელი.
შარშანაც ლეკის ჩხუბში, ჩვენი ვრევსკი რომ მოჰკლეს,
ანნა, ბანტით გამობმული, ზედ გულზედ მომახალეს!

ნიკო (ამოოხვრით)

გაბედნიერებულხარ! მუნდირიც გაქვს ლამაზი!

ბარამ (თავმოწონებით)

ჯერ რა არი! ანბობენ, ვითომც იყოს უქაზი:
დიდი ხანია უნდათ, ფორმა გამოიცვალონ
და შალვარზედ ორ პირად ოქროს კანტი ჩაგვივლონ.

კოსტა

ჰო! ჰო! ჰო! რა იქნება მაშინ ფეხზედაც დეზი!
(ფეხზედ იხედება)
პოლკიც აღარსად იქნება ჩვენს პოლკზედ უკეთესი...

ნიკო

დიდად ვისიამოვნე და ვარ გახარებული,
რომ ყველა მაგრე გნახეთ დაბედნიერებული.

კვარტალი

ჩვენ კი არა გვიჭირს რა, მაგრამ საწყალი გიგო!
სამსახურშიდ არ შევიდა, ოჯახსა ხელი მიჰყო,
რაც იცოდა, დაივიწყა რუსული ანაბანა,
ზის სახლში და მუშაობს, შეიქმნა სალახანა.

ქველი ამხანაგები

ბარამ (გაზმორებით)

ან კი დროა, ნავიდეო, ნულარ დავიგვიანეთ!
სამსახურში საქმე გვაქვს, ნიკოს კიდეც მოვავგნებთ.
(სუყველანი გავლენ)

გამოსვლა მეორე

კვახადის სახლში, ნიკოს ოთახში, დადის დაფიქრებული. ბოლოს ამო-
იხრებს და იტყვის:

ნიკო

ვაი, სანყალო მამულო! რა შეილები გეზდებათ,
სხვისას ვერას სწავლობენ, თავისიც ავინყდებათ!
გემნაზიას ათავებენ მეტისმეტის დაკვეხით,
თუ არ დროშკით, ორ ბიჯსაც არ გაივლიან ფეხით.
ზოგსა ყურში ურჭვია კალამი გამოჭრილი,
ზოგნი მამის დანარჩენს სამკვიდროს აპყოლიან
და დეზების გულისათვის დრაგუნებში მიდიან,
ზოგთა პოლიციაში თავი მოსწონთ კვარტლობით,
იბერებიან, ჰკრეფენ ფულებს უსამართლობით;
ამგვარად, თავის ძმებსა აღუჩნდებიან მტერად
და ამისთანა ყოფით თავს რაცხვენ ბედნიერად!..

ისინივე და მასნივე

მაქსიმე

ვილაც კაცი გიახლათ:
შეიძლება, რომ ნახოთ?

ნიკო

ნადი, მობძანდეს, უთხარი,
მალე გაუღე მას კარი!

ქველი ამხანაგები

ისინივე და ბიზო (ჰკოცნის ნიკოს)

ნიკო

საიდგან გაგვიჩნდი, გიგო? სულ ვერ მოვიფიქრებდი,
თუ სოფლიდგან ასე მალე მოხვიდოდი, მნახვიდი!..

გიგო (სიცილით)

დღეს შევიტყე შენი მოსვლა, გიჟივით გადმოვარდი.
ეხლაც ისე მიყვარხარ, როგორც უნინ მიყვარდი! (ჰკოცნის)

ნიკო (თავის კვრით)

დიდი მადლობელი ვარ, რომე არ დამივინყე.
ასე მალე სოფლიდგან ან რარეგათ მომნახე?
სხვა, რასა იქეთ? – დაბძანდი!

გიგო (ჯდება)

გმადლობ! მშვიდობით ვარ ღვთით! (ცოტა სიჩუმე)
ნეტავ, რისთვის იყავი ისე დაფიქრებული?
ასე მალე მოგენყინა! რათ ხარ შენუხებული?

ნიკო

ქველ ამხანაგს გიყურებ, შენთან მომენყინება?
მაგრამ ერთი უნდა გითხრა, ვიცი, არ გენყინება:
ქველი ამხანაგები გუშინ ყველანი ვნახე
ზოგი ჩინით, ზოგი ფულით დაბედნიერებული,
მაგრამ ეს კი მაკვირვებს, შენ ეგრე დაგინახე,
ერთი ჯვარიც არა გაქვს გულზედ მიკერებული.
იღბალი არ გქონია...

გიგო

ეგ შენ რისგან გგონია?
ჩინები და მენდლები რომ არაფრად ვეძიე? (გაკიცხვით)
კაცია და გუნება! ასე ყოფა ვირჩიე.

ნიკო

დაუფარავად გეტყვი, არ მიყვარს პირფერობა!
მაშ, რალაში მდგომარეობს ჩვენი ბედნიერობა!..

გიგო

რა ვქნა, გინდა დამძრახე! არა მსურს სამსახური!
კეთილ ცხოვრების მოყვარემ, ოჯახს მიუგდე ყური;
თავისუფლად სახლში ვზივარ, არავის არ ვანუხებ
და სტოლ-ნაჩალნიკ, კვარტლის ფას პურ-ღვინის ფასში
ავიღებ.

ეს ხასიათიც მაქვს, უნდა გითხრა მართალი,
არც ეპოლეტი მიკვირს, არც ჯვარი, არც მედალი.
კეთილად ვარ შემტკბარი დედასთან და დასთანა
და ბედნიერებად მიჩნს ცხოვრება ამისთანა.

ნიკო (სიცილით)

დედასთან და დასთანა შეტკობა თუმც კარგია,
მაგრამ ხშირათ შინ ყოფაც, ვხედავთ, რომ არ ვარგია.
(სიჩუმე)

რასა იქს თქვენი და? დიდი გაიზდებოდა.
გახსოვს პატარობისას სკამზედ რომა ხლტებოდა?
ეხლა ეგებ ვერც ვიცნო, მასც დავავინყდებოდი.

გიგო

დიახ, სულ არ ახსოვხართ, გუშინ ვეუბნებოდი.

ნიკო

ნეტავ, თქვენს სახლში ყოფაზედ თქვენი და რასა ჰფიქრობს?
მე მგონია, ისიც გირჩევს, რომ სამსახური გიჯობსთ?

გიგო

ის უფრო მტკიცედ არის ამა ჩემის აზრისა!
მისთვის ბევრი სასიძო კარგი, კარგი მაზრისა,

ეპოლეტების, ჯვრების და მენდლების მექონი,
არ შეირთო, და ინუნო, პირში გამოცხო ქონი.

ნიკო (სიხარულით თავისთვის)

მინდოდა გამომელადა, შემეტყო ამის ჰაზრები,
მაგრამ ეს აღარა ხუმრობს, ძალაზედ ვემასხარები?
(ხმამალა)

ღმერთო, შენს მადლს! სად ყოფილა, ჰა, ნამდვილი ქართველი!
მოდის, შენი ჭირიმე, გაკოცო, მომეც ხელი!
(კოცნიან ერთმანერთს)

გამოსვლა მისაგი

კეთილშობილთ შეყრილობა, განათლებული ოთახი. ზალაში უკვრენ
მუზიკას. ელენე გაათავებს ლეკურს და დაჯდება, სხვები იწყებენ ტანცაობას.
ნიკო მიჩერებია ელენეს გამომტერებით. გიგო გვერდზედ უზის.

ნიკო

გიგო, მოდი, რა გითხრა, გეთაყვანე, მითხარი,
ის ქალი ვინ არის, მდივანზედ ჩამომჯდარი?

გიგო

აბა, რომელი, ნიკო? იქ სხვაც ბევრი ქალია.

ნიკო

სხვა ქალებიცა სხედან, ეგ თუმცა მართალია,
მაგრამ ის, ცალკე რომ ზის, ეჰე, ჭრელკაბიანი,
ძალიან ლამაზიც არი, შავთვალწარბებიანი.

გიგო (სიცილით)

თუ გინდა, გაგაცნობ! მას კიდევ იამება.

ნიკო

ძალიან დაგიმადლებ, მეტად კარგი იქნება.

გიგო (მიიყვანს სიცილით ნიკოს)

საყვარელო მეგობარო! გთხოვთ, იცნობდეთ ჩემს დასა! (დას)
და შენც, ჩემო დაო, სცნობდე ჩემს მეგობარსა!
(ელენე და ნიკო თავს უკვრენ ერთმანერთს და სხდებიან)

ელენე

ერთს დროს ერთმანერთს ვსცნობდით, მაგრამ გარბის დროება.
ეხლა ხელახლად დაგვჭირდა ერთმანერთის გაცნობა. (ძმას)
სასიამოვნო არის და დიდათაც მიხარის
ნახვა, ყოველს შემთხვევაში ჩემის ძმის მეგობარის, (ნიკოს)
ბევრჯერ ხოლმე მიანბო თქვენი ქება ჩემმა ძმამ,
და დიდათ გამახარა ამჟამად თქვენმა ნახვამ.

ნიკო (თავის კვრით)

დიახ, გემნაზიაშიდ ჩვენ ერთად ვიზდებოდით,
მუდამ ერთად ვიყავით, აროდეს ვშორდებოდით.

ელენე

საწყალს დიდათაც ჰსურდა თქვენთან ნამოსულიყო,
მაგრამ ველარ მოახერხა და ოჯახს ხელი მიჰყო;
ეხლა შინა კაცია, სახლ-კარობას განაგებს. (ამოხვრით)
ესეც კარგი საქმეა, ამითი რას ნააგებს?

ნიკო

დიახ, კარგი საქმეა! მაგასა იქმს ყოველი,
მუშაობის მოყვარე, კარგი მამულის შვილი.
(მიიწევს სკამს ელენესკენ და ბოლოს უცებ შეკრთება)
უკაცრავად, კნიაჟნა! გთხოვთ, მომიტევეთ! შემეცდა,

რუსეთშიდ ვარ დაჩვეული და აქ სულ დამავინწყდა
ჩვენებური ჩვეულება...
რომე აქ არ შეიძლება თამა... თამა... თამაშობა...

ელენე (სიცილით)

ნეტა, რა დაგემართათ! რათ მიცემიხართ შიშსა?
ანუ რა მოგივიდათ, რისთვის იხდით ბოდიშსა?
კეთილშობილთან ჯდომა, არა, რა საწყენია?
მაგრამ ბიჭბუჭებისა შეხედვაც კი მრცხვენია!

ნიკო (თავს უკრავს. ცოტა ხნის სიჩუმე)

რომელ სასწავლებელში, სად გაიზარდეთ თქვენა?
რუსული უკეთ იცით, თუ ფრანციცული ენა?

ელენე (ამოხვრით)

არსად არ მისწავლია, ოჯახში ვარ გართული!
რუსულიც არ მიკითხავს, ვიცი მხოლოდ ქართული!

ნიკო (სიცილით)

მამ თქვენ მათ არ ეკუთვნით, სხვა ენებს რომ იწყებენ,
ველარც იმათ სწავლობენ, ქართულსაც ივინყებენ?
(ცოტახანს სიჩუმე)

ერთი გიგოსიც მიბძანეთ! ოჯახობა კარგია,
მაგრამ კაცი ოჯახში უცოლოდ არ ვარგია;
აქამდისც უნდ შეერთო, რისთვის დაიგვიანა?
ეგებ ქალი ვერ იშოვა ლამაზი, მზითვიანა?

ელენე

კი მისცემდენ, მაგრამ ის სილამაზეს არ დასდევს,
არც ცოლით უნდა გამდიდრდეს, სულაც არ ითხოვს მზითევს;
მას სურს, სულს მოუპოვოს ერთგული მეგობარი
და მგონია, ამაშიდ ის არ იყოს შემცდარი! –
ბედნიერი ის არ არის, ვისაც აქვს ბევრი ფული,
მაგრამ ვინც სულით, გულით არის განსვენებული.

ნიკო

მეც თანახმა გახლავარ, მართალი ბძანებაა!

ელენე (დგება)

ან შინ წასვლის დროც არი, სუყველა ემზადება!
ხედავთ! მუსაიფში დრო როგორ მალე თავდება?
მშვიდობით...

ნიკო (თავისთვის)

ვფიცავ, ჯერ არ მინახავს უფრო ჭკვიანი ქალი!
რა მშვენიერათა სჯის? რაც რომ სთქვა – სულ მართალი!..

გამოსვლა მიუთხა (სამისთვის შემდეგ)

(კვახადის სახლში ნიკოს ოთახში. მამა და შვილი მუსაიფობენ).

მამა

შვილო, რისთვის არ გინდა, მითხარ, მდივანბეგობა?

ნიკო

ბატონო, შინ ყოფა სჯობს, მე ეს პურიც მეყოფა.
განა, კარგი იქნება, მექრთამობა დავინყო,
საწყალთ გლეხკაცთ ტყავი ვაძრო, ვატირო და ვანუხო?..

მამა

გამორჩენას ნუ იწყენ, გაისარჯე კეთილად,
საზოგადო საქმესა თავი შესწირე სრულად!..

ნიკო

მაგას მართალსა ბძანებ, დიას კარგი მსმენია!
მაგრამ ოჯახობაცა საზოგადო საქმეა.

პურს ჩვენი ყმანვილები სამსახურში ეძებენ,
და ძვირფასს განძსა, მამულსა, უბრალოდ აოხრებენ.
სამსახურში ვინ მოგვცემს ჩვენ, აბა, მაგოდენს ფულს,
რასაც, დამუშავებულს, ავალეზინებ მამულს!

მამა

მაგაზედ გეთანხმები, ეგ ნუ გინდა – მართალი,
მაგრამ ერთი საქმისთვის ვარ მე შენზედ გამწყრალი:
დიდის კმაყოფილებით ქალს გაძლევდა სუდია
და შენ კი დაინუნე, ნინო განა ცუდია?

ნიკო

ვინ ანბობს, თუ ცუდია? მაგრამ, შე დალოცვილო,
მეორეს ხომ ვერ შევირთავ! ერთი მინდა საცოლო.
მე სხვა ქალი არ მინდა, უნდ ელენე შევირთო.
რაც გენებოს, მიყავით! ნება კი უნდა დამრთო!

მამა (სიცილით)

ეჰ, მართალი მეგონა, ვერ ხარ კარგი ხუმარი!
ვინ უსწავლელი ელენე, ვინ შენისთანა ქმარი?

ნიკო (ბეჯითად)

არა, თქვენს მზესა ვფიცავ! ეს არ იყოს ხუმრობა!
სულით და გულით მინდა, ბატონო, მისი ქრმობა!

მამა (გაოცებით)

შვილო, შენი ნებაა, არ დაგატან ძალასა!
მაგრამ როგორ შეირთავ, მითხარ, გაუზდელს ქალსა?

ნიკო

რას ეძახით, მითხარით, კარგათ განათლებულსა?
პოყოლუსტა რომ იციან, ვერ ანბობენ ქართულსა,

ძველი ამხანაგები

თავმოხდელი, მკერდშიშველი ბალებში რომ დახტიან,
ქართველს აღარა გვანან, მოდაო, იძახიან?
ვინც სწავლულად მათ რაცხვენ, ისინი მათ შეირთონ!
და მე მაგნაირ სასძლოს, სჯობია, მომაშორონ.
მე ელენე შევირთო, მსურს შინ გაზდილი ქალი!
სამი თვეა, რაც მისკენ მიჭირავს მარჯვეთ თვალი.

მამა

ან, შვილო, ვერას გეტყვი. ასრულდეს შენი ნება!
შენ კი ბედნიერათ იყავ და მე რა მენალვლება?

გამოსვლა მისუთი

კაზარმის წინ დადიან სხვა აფიცრები, მათ რიცხვში კოსტა და ბარამია.
ერთი კაცი წიგნს მიუტანს, კოსტა წაიკითხავს და დაიყვირებს.

კოსტა

ვაი, უბედურობას! მოდი, ბარამ, რა გითხრა:
ნიკო გაგიჟებულა, აკი ღმერთი გაუწყრა!

ბარამ (მივარდება)

ვაი, სანყალი ნიკო! იმგვარად ირჯებოდა,
რომ მე ადრე ვფიქრობდი, სწორეთ გაგიჟებოდა.
მსხვილ-მსხვილ ჩინოვნიკებსა რომ არ ეპუებოდა,
რასაკვირველია, მას სულ სიგიჟით შვრებოდა!..

კოსტა

ერთბაშად რომ უპირებდენ სუდში სეკრეტრობასა!
მიტომ არ აჯობინა თურმე ოჯახობასა?

ბარამ (ამოხვრით)

ჰე, რუსეთშიდ წასული კარგ ბევრნი ნახულა,
მაგრამ ჩვენებურის ჭკუით აღარავინ მოსულა!

ძველი ამხანაგები

ერთი წავიდეთ ვნახოთ, კოსტა, თუ შენც გცალია,
როგორ არის ავათა, მსუბუქათ, თუ ძალიან?

კოსტა

ავად კი არ გამხდარა, ისეა შერევილი:
ლხინში მიუწვევივართ, ამაღამ აქვს ქორწილი.

ბარამ (განკვირებით)

როგორა თუ ქორწილი?! ვისი ქალი შეურთავს?

კოსტა

გიგოს და მოსწონებია, აღარც კი დაუნიშნავს,
პირდაპირ წაუყვანია.

ბარამ (განკვირებით)

ესეც სიგიჟით უქნია! –
ჩვენმა პოლკის კამანდირმა აძლია კარგი ქალი,
დახე, ის არ შეირთო! აი, აი, დაუდგეს თვალი!

კოსტა

მერე მის მეტიც არ ჰყავს არც ქალი და არც ვაჟი.
თურმე აკი სიგიჟით არ დაუჯდა ჭკუაში! (იცინის. განკიცხვით)
განათლებულნი ვართო, მოივლიან პარიჟსა,
და ამგვარ შემთხვევაში კი ჰკარგვენ ანგარიშსა.

ბარამ

ნეტავ რისგან მოუვიდა, ან ასე როგორ შესცდა,
მოეწონა კიდევაც შინ გაზდილი გიგოს და?..
ცოტა მაინც ესმოდეს, ნეტავ, სანყალს რუსული (ბეჯითად)
არა, რალა თქმა უნდა, ჭკუა აქვს დაკარგული!..

ძველი ამხანაგები

კოსტა (დაცინებით)

გახარებული წიგნია, მოდითო, იწერება.
მე არ მცალიან, შენ წადი, თუ არ დაგეზარება!

ბარამ (დაჭმუნვით)

არც მე მინდა, დავესწრო ამნაირსა ქორწილსა,
მუზიკაც არ ეყოლება, დუდუკი მოგვრის ძილსა.

დასასრული.

თ. აკ. წერეთელი

1859-სა წელსა,
დეკემბრის 14-სა დღესა

პიუჯეების აჩქეანი

(ვოდევილი ერთ სცენად)

მომქმედნი პირნი:

ვირი, აქლემი, კატა, მურა-ქოფაკი, მწევარი, მოზვერი, კამბეჩი, ვეფხი, მგლები და სხვადასხვა მხეცები.

მოქმედება ქაჯათში

(სცენა წარმოადგენს მოედანს, სადაც სხვადასხვა პირუტყვები შეყრილან წინამძღოლის ამოსარჩევად. ორპირად არიან გაყოფილი და თავ-თავის კანდიდატები წამოუყენებიათ. მარცხენა მხრის მეთაური კატაა, კანდიდატი ტურა. მარჯვენა მხარე მეტია; მათი მეთაური აქლემია; კანდიდატი ვირი. ვირი ქვიქვირჩამოგდებული ელრიჭება ხან ერთსა და ხან მეორესა. ზოგს ქერსა ჰპირდება, ზოგს თივას და ზოგს ახალ საძოვარს; პირუტყვები თავს უკვრენ და მადლობას მოახსენებენ, აქლემი აფიცებს მათ ვირის ერთგულებაზედ. მარჯვენა მხრისაკენ უეცრად ვირი დაიყროყინებს, აქლემი მოსძახებს, ღორი წვრილად ჭყვიის, სხვა პირუტყვები ბანს მიაყოლებენ, შეიქმნება ერთი ვაების ხმა. მარცხენა მხრიდან გამოვა კატა, წყნარად შეხტება მაგიდაზედ; კუდაბზეკილს ტანზედ აცვია ფრაკი, წვერ-ულვაში გასცვივნია. მიმართავს მარჯვენა მხარეს ამ სიტყვებით:)

კატა

მიაგ! მიაუ! მიაუ! რა გაჩხუბებთ, მხეცებო?
ზნეობით მახინჯებო, ყრუებო და ბეცებო!..
(მარჯვნივ)

აქ მე კაცს ვერ ვიპოვი, ფარნითაც რომ ვეძებო...
ერთ კაცადაც არ ღირან, ყველაც რომ მივანებო!

გირჩევთ: თქვენც დამიჯერეთ, მოდით, დამიგდეთ ყური!
დღეს ჩვენ აქ მოგვიწოდებს საერო სამსახური;
დავსტოვოთ შინაური აყალმაყალი, შური
და ერთად რამ ვარჩიოთ, მით საქმე ვჰქნათ ჩვენც ძმური!

დრო არის ამდენს შფოთსა ან დავუდვათ საზღვარი:
ამოვირჩიოთ ჩვენგან ერთი ჩვენ წინამძღვარი;
შეძლება თუ ექნება, ნურც ჰქონდეს დიდი გვარი,
გულით კი იყოს წმინდა და ჭკუითაც მდიდარი!

კარგად უნდა ესმოდეს ახლანდელი დროება,
რომ გამოიკვლიოს მან ხალხის საჭიროება,
მის სიკეთეს შესწიროს მან თვისი მყუდროება,
და მსხვერპლად კი არ ჰქონდეს ქვეყნის შევიწროება!..

პირუტყვების არჩევანი

საზოგადო საქმეა, არ ვარგა მტერ-მოყვრობა,
ნათესაობით, ქრთამით ერთმანეთის მიმხრობა,
თორემ, ვიცო, პასუხს გვთხოვს ჩვენი შთამომავლობა,
და არ დავრჩეთ პირშავად, არ შეგვწამონ ოხრობა!

არ სთქვან: „ჩვენი მამები იყვნენ მოღალატეები,
ფიცი ბევრჯერ გასტეხეს, არ იწამეს ხატები!“
შევადაროთ ერთმანეთს ჩვენი კანდიდატები
და მჯობნე ავირჩიოთ, ამას გირჩევთ კატები!...

მოგირეკიათ ერთად ამოდენა ნახირი,
ყველა შემტკიცებულხართ, შეგიკრავთ ერთი პირი
და გსურთ, ამოირჩიოთ თქვენ წინამძღვრად ეგ ვირი,
ყურებგრძელი, კუდმოკლე, თავმსხვილი და შავპირი.

ჟინიანი, ზარმაცი, კანსქელი, შუბლმაგარი,
არაფრის აქვს გარჩევა, ერთად უჩნს მთა და ბარი,
მასთანაც მოღალატე ყოფილა მაგის გვარი...
და ყველა მამულსა მტრობს მაგისი მეგობარი!

ეხლა ეს კანდიდატიც ნახეთ ჩვენი თქვენ, ტურა:
ყველამ ვიცით, ჩვენს მამულს დღემდის ვით ემსახურა,
მის კეთილდღეობისთვის ბევრი ოფლი დასწურა
და სინიდის-ჭკუითაც არავინ დაიმდურა!

მამულს თავი შესწირა, არარა დაიშურა;
თუმცა წყალობის თვალთ ზოგმა კი ვერ შეჰყურა,
მაგრამ მან ხმა არ გასცა, ქუდიც მით დაიხურა!
ახლა გკითხავთ, ვინა სჯობს: ეგ ვირი, თუ ეს ტურა?

მარცხენა მხარე

რა თქმა უნდა, არ გვინდა ვირი ყურებპანტურა!
კმარა, რაც მოგვატყუა, ყინულზედ გაგვაცურა,
დრო არის „ჩოქში“ ვუთხრათ, ავირჩიოთ ეს ტურა...
გაუმარჯოს ან ტურას! ურა, ურა და ურა!

(მარცხენა მხარე ურას იძახის და ყალყზე დგება. მარჯვენა მხარე

პირუტყვების არჩევანი

გაჯავრებულია. ვირი ყროყინებს, აქლემი ბლავის, ძაღლები ჰყეფენ და
ლორები ჭყვიან. ვაების ხმაა. ბოლოს დაჩუმდებიან. ქოვაკი გამოვა შუაზედ

ქოვაკი

ამუ! ამუ! ამ კატას ვუკბენ, მოვაგლეჯ ასოს,
რომ მეორედ ამგვარად აქ აღარ იბასოს,
ცოტა ხათრიც რომ ექნეს და უკედ დაგვაფასოს
და ტურას არ ესარჩლოს, მის მეგობარს და სასოს.
ვერა ჰხედავთ, რას ჰბედავს უნამუსო კატუნი?!
სპარსეთიდგან მოვიდა, მოიტანა თან მუნი!..
გვითხრას ერთი, რა ნახა ვირში მან დასაწუნი?!
მოდით, კარში გავაგდოთ, ვუძახოთ: „ანასუნი!“
(თანდათან ჯავრობს)

რას ჰბედავს? ვერა მხედავს – ვბრძანდები დიდი მურა,
კუდგრძელი, ბანჯგვლიანი, შავპირი და შავყურა?!
(მიუბრუნდება ნახირს)
ვინც დღეს კატა დაზოგოს, ლეჩაქი დაეხურა!..

მარცხენა მხარე

აგრე იყოს, თუ დავსთმოთ! ურა, ურა და ურა!

(შეუტევენ კატას ერთად, კატა შემინებული გადახტება მაგიდიდან,
მარცხენა მხარე მოემზადება საშველად; წინ წამოდგება მწვეარი ამაყად და
აქოჩვრით)

მწვეარი

ჰეი! ჰეი! ვერ მიცნობთ? მე გახლავართ მწვეარი!
ჩვენს მხარეში ადრევე განთქმულა ჩემი გვარი!
ყოველის დიდოჯახის ღიაა ჩემთვის კარი...
მამულის სიკეთისთვის მიწურავს ოფლის ღვარი!

ერთად ვინ გაასწორა, მითხარით, მთა და ბარი?
მოგიქრთამესთ, მყრალეხო, გაჩუქესთ „სამოვარი?“
ტურის ვირთან შემდარე არს ვირის მეგობარი!
ამას საქვეყნოდ ვიტყვი, გინდ სწერეთ საჩივარი!..

პირუტყვების არჩევანი

ღმერთმა მტერს გააგონოს ამგვარი ხათაბალა:
საქმე მუშტით კეთდება, სადღაა ჭკუის ძალა,
კარგი აზრის გამოთქმა ან ვინლა დაგვაცალა?
მაგრამ კაცის გალახვა არ გახლავთ ალა-ალა!..

როგორ ჰყუფენ, ხომ ჰხედავთ, გურული მეძებრები?
მძლავრი პირუტყვებისა ბრძანდებიან მტერები;
თქვენც ბევრჯელ უნახიხართ, მოვლილი აქვსთ სერები
და, თუ გეცენ, შენც, მურავ, ცუდად ამტვერები!..

მურა (მხრებზედ იხედება)

სანამ მხრებზე მიწყვია მე ეს დიდი ჩინია,
შენისთანა მწვერების არაფრად მეშინია!
ბევრჯელ გამიგონია მუქარა... მიცინია!..
მობრძანდი, თუ გულს გერჩის, გაგგლიჯო ვით ფინია!
(მიიწვეს ღრენით)

მწვეარი (ამაყად)

ნუ ჰყუფ, გიჟო ქოფაკო, ტყვილად თავს ნუ იწონებ,
შენი დრო წასულია, ძველს დროს ტყვილა იგონებ!
შენი ძალღური ყეფით ჭკუას ვერ დაიმონებ!
ნუპაკო, იქ მოგარტყმენ, სადაც თვითონ არ ჰგონებ!..

მურა (გაბრაზებული)

ჯერ შენ ისევ ლეკვი ხარ, ნუპაკს როგორ მეძახდე!
მაინც არ დავსთმობ ამას, საციმბირო რომ გავხდე!
იმედი მაქვს, იმდენად არ დავსუსტდე, არ ნავხდე,
რომ შენ ვერ მოგერიო და ვაის არ იძახდე!..

(მეუტევენ ერთმანეთს, მაგრამ კამბეჩი წამოდგება და დაამშვიდებს)

კამბეჩი (მრისხანედ)

ლომისგან მოცემული ხარისხი მაქვს მაღალი,
აქ მისთვის დამადგინა, მოვსპო აყალმაყალი!

პირუტყვების არჩევანი

აქ ჩხუბი არ იქნება, – არს გითხრათ ჩემი ვალი,
იქით სადმე მიბრძანდით, იქ დაიმტვრიეთ ძვალი!

(მარჯვენა მხრიდან გამოვა აქლემი და მიუბრუნდება კატას მრისხანედ)

აქლემი

ნეტავი რა გაჭყვივლებს, უწვერ-ულვაშო ციცა?
აქლემი ვარ, ვერ მიცნობ, ვირის ვარ მკვიდრი ბიძა,
ჩვენი გვარიშვილობა ძველადვე დაიმტკიცა,
ვირის ერთგულობაზეც ნახირმაც შემომფიცა!
(ნახირს მიუბრუნდება)

ნეტავი კატას რად სწყინს, ამ ვირმა რომ იყვიროს?
ჩვენს ბომონში მოსვლა ჰსურს, თავის რჯულზედა სწიროს;
მაგრამ ვურჩევ, დაჩუმდეს, არავინ დაიჭიროს,
კბილები არ აცეცქონ და კატამ არ იტიროს!

მოზვერი

არვისგან გავხედნილვარ, ვარ მე კურო-მოზვერი,
შენი ნათესავი ვარ, არ ვარ კი ჭკუის მტერი,
ტყვილად ჩხუბი არ მიყვარს და, თუ კი დაგეძგერი,
ყირამალას გადახვალ, ვფიცავ, ნაგივა ფერი.

შენს ძმისწულს ესარჩლები, წამომდგარხარ, ვით ყადი,
უსწორმასწორ ნაქნარო, ვერ ხარ კარგი ტანადი!
საზარელი ბლავილით აქ შენ ძალს ნუ იქადი,
გირჩევ, ცოდვას ნუ მადებ, ადექი, კარში გადი!

აქლემი

ბევრი ვნახე, მოზვერო, შენებურ მეტიჩარა!
წელამდიც ვერ მომწვდები, რას მიქვიან მუქარა!
თერგის წყალი გიყლაპავს, მიტომ სჯი მაგრე ჩქარა?
შენისთანა მოზვრუკებს მოუხდებათ ავშარა!..

მოზვერი

ავშარა თქვენთვის არის ხომ გამოგონებული!..
სპარსელების ნახედნო, გაქვს ყიზილბაშის სული,

პირუტყვების არჩევანი

შენ და ეგ შენი ვირიც გესლში ხართ გალაფული,
ვგონებ, სულიც გაგვარდეს, თუ გეცი გულმოსული!

(შეუტევს აქლემს. აქლემი შეშინდება და კარში აპირებს გავარდნას, მაგრამ ამ დროს შემოვა ვეფხვი და პირუტყვები დაჩუმდებიან)

ვეფხვი

აი, მეც გაიხელით, რადგანაც დამიბარეთ! (ბრძანების ხმით)
ვინც „ჩინებულნი“ არ ხართ, გირჩევთ გახვიდეთ გარეთ!
დროა საქმის შედგომის, აბა, კენჭი უყარეთ
მაგ თქვენ კანდიდატებსა, ერთმანეთს შეადარეთ!

(რომ გაათავებენ კენჭის ყრას, ნახავენ, რომ ვირი გათეთრებულა და ტურა გაშავებულა)

კატა (შენუხებული)

მიაუ! მიაუ! მიაუ! ხომ ავასრულეთ ვალი!
მაგრამ რა გაენყობა, გვერევა მუშტის ძალი!..
აქ ჭკუას ვინლა ეძებს? სად არის სამართალი?
მაგრამ ვირის ამრჩევლებს კი დაუდგებათ თვალი!..

(მელები ტაშისკვრით გადიან მარჯვენა მხარისაკენ)

მელები

მოგატყუეთ, ხი! ხი! ხი! გიბნიეთ გზა და კვალი!
ბატონს ვირს გაუმარჯოს! არალალი! თარალი!

(კატები და მარცხენამხრელები კუდამოძუებულები მიიპარებიან. მარჯვენები გამარჯვებულები ულოცვენ ვირს გამარჯვებას)

ვირი

მიხარის გამარჯვება! ნახდა კატის ქადილი!
ეს მეტად ძნელი საქმე ჩვენ შეგვექნა ადვილი!
გმადლობთ, რომ ამისრულეთ ჩემი გულისწადილი,
ნამობრძანდით, გაგაძღობთ, მზად მაქვს თქვენთვის სადილი!..

(პირუტყვები თავს უკრავენ და გამოჰყვებიან ვირს დიდის ყვირილითა და ვარხალალოთი).

[1861]

თამაზი ცბიერი

ისტორიული ხუთმოქმედებიანი
დრამატიული პოემა

მოქმედი პირნი:

გიორგი გურიელი – იმერეთის მეფე
 თამარ დედოფალი – მისი მეუღლე
 ქუთათელი – მსაჯულთუხუცესი
 ნაკაშიძე – სახლთუხუცესი
 გოჩა – მგოსანი
 შიკრიკი
 მასხარა
 ცირა – მოახლე
 ნიკო – გურული
 1 } მობურთალნი
 2 }
 მობურთალები და კარის კაცები

**მოქმედა პირველი
სცენა პირველი**

საბურთაო მოედანი. წინ დიდი ჭადრის ხე ქვის ტახტით. იქვე მახლობლად, რიონის პირად, ოქროს ჩარდახის ცალი გვერდი მოჩანს. ხმაურობაა.

ხმა სცენის გარედამ

გავარდა ბურთი!.. მარჯვეთ, ბიჭებო!..
 აღარ გაუშვათ მეორედ იქით!
 პო, პო, პო, პო, პო! ცხენოსანს ერგო!
 ვისაც მუხლს გერჩისტ, გამოუდექით!
 შენი ჭირიმე, შენი, გურულო!
 ვეფხვია!.. დასწვდა... ცხენზე შეუხტა!
 ოჰ, გამოაგდო... ბრანი ცხენოსანს!
 ეყოს სირცხვილად! ხერხი წაუხდა!..
 გავარდეს ბურთი, ნუ გააჩერებთ!
 არ ვარგა ჯგლითი! რისთვის დამალეთ?
 სუყველა ერთად ნუ მოაწყდებით!..
 ნიკო მიუშვით! მაგას აცალეთ!

გამოსვლა პირველი

(ორი მობურთალი, დაქანცულ-დაკარნახებულები)

პირველი მობურთალი

უჰ, დედაჩემო! თავს რისთვის ვიკლავთ?
რომ აღარ არის ძალი და ღონე!..

მეორე მობურთალი

რა გაეწყობა, მეფე-დედოფალს
ნაძლევი აქვსთო, ხომ გაიგონე?

პირველი მობურთალი

მეფე მხარს იჭერს გურულებისას!

მეორე მობურთალი

დედოფალი კი ჩვენსკენ არიო...
მიტომ გახურდა ეს ბურთაობა,
თითქოს ირყევა მთა და ბარიო.

პირველი მობურთალი

უნდა ვთქვათ, რომ ჩვენ მეტნი არ ვიყოთ,
დაგვამარცხებდენ დღეს გურულები:
ხელ-ფეხსაც ერჩისთ, თვალ-ყურიც უჭრისთ
და ისე ხლტიან, როგორც რომ შვლები.

გამოსვლა მეორე

ისინივე და მასხარა

მასხარა

ეჰე! ბიჭებო, აქ რას უზიხართ?

პირველი

დაღალული ვართ! მოსვენება გვსურს!

მასხარა

კურდღელს რო ძალლი ჩამოურჩება,
ალარვინ აჭმევს მაშინ იმ ძალლს პურს!..
ბურთვის ძალლებო! თქვენი კურდღელიც
ის ბურთი არის, იქ მიაშურეთ!..
თუ მოედანი გურულებს დარჩათ,

რა მოგივიდესთ, აბა უყურეთ:
ვერ გადურჩებით მაშინ დედოფალს
ველარც ცოცხალი და ველარც მკვდარი!

მეორე

ჩვენ გურულები ვერ გვაჯობებენ,
ადიდოს ღმერთმა ისევ თამარი!
(ადგებიან და მიდიან)

ხმა

ნავიდა ბურთი! გამშა გურული!
ნუ გაუშვებთ, ნუ! დაუხვდით ვინმე!

პირველი (დაუხვდება წინ)

დააგდე ბურთი! ველარ წამიხვალ!
დამრჩი, გურულო, აქ გახლავარ მე!..

(გურული ფეხს გამოჰკრავს, დასცემს, თავზედ გადაახტება და გააქვს ბურთი. სხვები უკან მისდევენ)

მასხარა

(თვალს გააყოლებს მოთამაშეებს, მერე მობრუნდება და დაცინვით)

მიმინოსა წყერი უყვარს,
შევარდენსა ნადირობა!
ბურთაობა დედოფალსა
და მეფეს კი სხვა გმირობა.
დედოფალიც ბურთი არის:
ყველას ხელში უვარდება;
ხან გააქვსთ და ხან გამოაქვსთ,
მაგრამ არვის უჩერდება.
ერთი მხოლოდ გოჩა არის,
როგორც ვატყობ, მისი ლელო;

მისთვის დასცლის ტრფობის ფიალს,
მისთვის უნდა სადღეგრძელო;
მაგრამ თურმე სხვა ყოფილა
ხასიათი მგოსნებისა:
ყურმოჭრილი ყმა ყოფილან
უნამყოფო ოცნებისა.

გამოსვლა მისამე

ისვე და სახლთუხუცესი

სახლთუხუცესი

ოჰ, შენ აქა ხარ?

მასხარა

არა, ბატონო!
აქ არ გახლავართ! მიგულებდეთ შორს!..

სახლთუხუცესი

ვიცი, რომ სული ჯოჯოხეთშია,
მაგრამ აქ ვხედავ შენს მასხარა მძორს.

მასხარა

ჯოჯოხეთისკენ ის იყურება,
ვისაც რომ უჭრის ეშმაკზე თვალი
და შეუძლიან, რომ გაარჩიოს:
„ეშმაკისაა თუ ჯორის კვალი?“

სახლთუხუცესი

ისე ახსენებ მაგ ეშმაკის კვალს,
თითქოს გინდოდეს, რომ შეუდგე მას!

მასხარა

დიალ, ამ ქვეყნის ქუდი რო მხურავს,
მეც უნდა ავყვე საზოგადო ხმას;
თორემ, თქვენც იცით, მგოსნის არ იყოს,
ვინც ქვეყანაში გამოერჩევა,
აითვალნუნებს უმრავლესობა
და კურთხევის ნილ ეძლევა წყევა.

სახლთუხუცესი (ამოოხვრით)

ეჰ, ჩემო ძმაო! გვიანლა არის
ჩვენთვის მაგ ჭკუის გამოკიდება!
მოხუცი აქ რომ ჩანგურს ისწავლის,
ის საიქიოს გამოადგება.
ჩვენ ჩვენი პური მოგვიჭამია!
როგორც გვინირავს, ისევე ვწიროთ:
პირზე ღიმილი ნუ მოგვმორდება,
მაგრამ იმავ დროს გულში ვიტიროთ,
რომ მოვიოხოთ გულის ტკივილი,
ქვეყნის დაცემით გამონვეული,
და თან ვიგლოვოთ მეფე გიორგი
სულ სხვა ქცევის და საქმის ჩვეული.
(სიჩუმეა)

ნეტავი შენ, რომ, როგორც მასხარას,
რაც რომ გულში გაქვს, გათქმევიინებენ!

მასხარა

და ნაცვლად ყველა მედიდგულება:
ხან დამცინიან, ხან მაგინებენ!..
მწარე ლუკმაა ხუმარას ლუკმა!
სანალველ-ცრემლო ჩვენი ხელობა
ყველას ჰგონია და ეგონება
ჭკუის სიმცირე და სულელობა.

სახლთუხუცესი

კი, მაგრამ როცა თქვენი ხუმრობა
იქ გასჭრის, სადაც სხვა ვერას ჰბედავს,
თავმოყვარება რას გეუბნებათ
და თქვენი ჭკუა მაშინ რას ხედავს?

მასხარა

ოჰ, ვერ დავფიცავ! ეგ ნამი არის
გვირგვინი ჩვენის თავმოყვარების,
დამავინყარი გადასულ ტანჯვის,
ქვა ოთხკუთხედი ტკბილ ნეტარების.

სახლთუხუცესი

მაშ, ნეტავი თქვენ! და ჩვენ რაღა ვქნათ
სასახლის კარზე, დარბაისლებმა?
ერთიმეორის ნახედვით უნდა
ისე ვიზმუვლოთ, ვით მგლებში მგლებმა.
გრძნობა და ზრახვა უსიტყვოდ გულში
უნდა ჩავიკლათ და ჩავიმარხოთ,
უმანკოებას ცილი შევსწამოთ
და საქები რამ ურცხვად დავსძრახოთ!
ეს მხდალი კრძალვა და მორიდება
სასახლეების ყველგან წესია
და სათვალთმაქცო ეს ცრუ კანონი
დროთ მტარვალობას დაუთესია!
მე გამიზრდია მეფე გიორგი,
მე ვიყავ მისი ერთგული ლალა,
მაგრამ, პირდაპირ რომ ვამხილო რამ,
არ მაქვს უფლება!.. არა მაქვს ძალა!
მაშინ, როდესაც იქ ქართლ-კახეთი
ბურთივით გააქვს სასტიკ შაჰ-აბაზს,
ბატონი მეფე, ცოლის ამყოლი,
თვალ-გულს აყოლებს აქ ბურთაობას.
და იმერეთი, ეს ქაჯთა მხარე,

როს გარყვნილების მორევში სცურავს,
მეფე გიორგი კი ლხინს ეძლევა
და თავი მოსწონს!.. ზედ ქუდი ხურავს!
რა დაემართა, ნეტავ ვიცოდე?
რამ შეუცვალა მამაცი გული?

მასხარა

მე ამას ვფიქრობ, რომ ჯადო მისცეს...
დედოფლისაგან არს მოხიბლული!
მაგრამ გოჩა კი ასე ამტკიცებს:
სულ ტყუილია ჯადო-ქარიო!
ცოლს შეუძლია, თუ ლამაზია,
ისეც მოხიბლოს სუსტი ქმარიო!

სახლთუხუცესი

მაგას მეც ვფიქრობ და, სანამ თამარს
დარიჯანის დღეს არ დავაყენებთ,
არ დაბრუნდება წაღმა ბორბალი,
ვერც გავიხარებთ, ვერც მოვისვენებთ.

მასხარა

სუ! ვილაც მოდის!

შიკრიკი (სახლთუხუცესს)

მეფე გიბრძანებსთ!

სახლთუხუცესი

განა გათავდა თამაში ბურვთის?

შიკრიკი

დიალ, ბატონო, და გამარჯვებაც
იმერლებს დარჩა, როგორც ყოველთვის.

სახლთუხუცესი

ასზე ათასი რომ მიიყვანოთ,
გაიმარჯვებენ, რალა თქმა უნდა!
თუ გურულებიც თქვენდენი იყოს,
დაგეყრებოდათ თავს ქვა და გუნდა!.. (მასხარას)
შენ აქ დარჩები?

მასხარა

მაშ სად წავიდე?
ბარემ დაღამდეს და მერე წავალ.

სახლთუხუცესი

გოჩა თუ ნახო, ასე უთხარი,
რომ შემოვიდეს ჩემთან ჩუმად ხვალ. (გადის)

მასხარა

მიკვირს, რომ მეფემ ეს ნაკაშიძეც
ცოლის ბრძანებით არ მოიშორა!..
ნუთუ თამარმა, შორს გამჭვრეტელმა,
ჯერ ორგულობა ვერ შეატყო რა?
მაგრამ ჯერ ან კი რა საჩქაროა,
ხომ შეიტყობენ, როცა იქნება...
მაგრამ, თუ დაგვრჩა ჩვენ გამარჯვება,
და, რასაც ვფიქრობთ, ღმერთმა ინება...
ჰმ, მარა, არა! გული თუ გატყდა,
შესაძლებელიც აღარა სჯერა!..
ეჰ, ცდა ხომ ბედის მონახვერეა?
ერთიც ვსცადოთ ჩვენ ბედისა წერა! (გადის)

გამოსვლა მეოთხე

მგოსანი

(გამოდის ფიქრით მოცული და რალაცას კითხულობს)

„მე ვარდი ვარ, ვარდი, გულსხივოსანი,
მსურს ბუღბული მოჭიკჭიკე, მგოსანი,
გრძნობით, ჭკუით, სულით პატიოსანი,
მეტს რას ეტყვის იმას მანდილოსანი?
მე ია ვარ, ია ნაზად დახრილი,
მენატრება იადონი ხმატკბილი,
ყოვლად სრული, ბუნებით შემკობილი!
მეტს რას ჰკადრებს ხორციელად შობილი?
ზამბახი ვარ, სანალკოტო, სუნნელი!
ის – მეზაღე უცხო ცეცხლის ამგზნელი;
მე – სნეული, ის – მკურნალი დამსხნელი!
მეტს რას იგრძნობს მოტრფიალე მზე, ბნელი?
ტრფობის წიგნში ვინც ჩამწერა... მისია,
ვინც სევდების გულში ჯარი მისია,
მისი ვარდი, თაიგული, მის ია
არ ერგება სხვას... მისი და მისია!“
კიდევ ლექსები! რას ამტყობა?
მიკვირს, ჩემთვისაც რომ მოუცლია...
მაგრამ, ეტყობა, ტრფობის ფიალა
ჯერ კიდევ სრულად არ დაუცლია.
ქალი ვერ იტანს კაცისგან უარს,
მით უფრო, როცა თავმომწონია;
თავმოყვარებით გატაცებულსა
უბრალო ჟინი ტრფობა ჰგონია!
ხუთჯერ გათხოვილს ქმრის სიცოცხლეში
საყვარლად სხვებიც ვინ არ ჰყოლია?
წმინდა მოძღვარიც მის უწმინდურ გვამს
საჯოჯოხეთოდ გადაჰყოლია.
ხანიც ვერ უკლავს ბინიერ სურვილს:
რაც დრო გამოდის, უფრო მხურვალეს!
მაგდალინელურ სიამოვნებას

დღეს მთელი ქვეყნის ბედს ანაცვალე! (დაფიქრდება)
ეჰ! დარიჯანის გაზრდილ-განვრთნილი
უნდა მის კვალსვე გამოუყენოთ,
რომ დაცემული ჩვენი ქვეყანა
ეგებ მით მაინც წამოვაყენოთ.
მაგრამ სიფრთხილე გვმართებს სხვაგვარი.
სახლთუხუცესის არ მაქვს იმედი:
იქ შეთქმულობა ნაყოფს ვერ მისცემს,
სადაც არიან ორ-სამზე მეტი.
არა! დღეს სწორედ უნდა გადაწყდეს
ჩვენი იმედი და ბედისწერა! (გაიხედავს)
ჩემი ნათლულიც აგერა მოდის,
მიმახარობლებს კარგ რასმეს, მჯერა.

გამოსვლა მხსუთა

იხვე და ცირა

მგოსანი

ჩემო ნათლულო და შვილობილო,
სანდოვ გულისა, ჭკვიანო ცირა!
ჩვენი უმანკო ბატონიშვილის
ვერ გაიგე რა? არა იცი რა?

ცირა (თვალცრემლიანი)

ოჰ, როგორ არა: ჩემი დობილი
და დედიჩემის ძუძუთ გაზდილი,
უდაბნოშია გამომწყვდეული,
ვით ცის და ქვეყნის შემცოდე შვილი.
იქ იტანჯება და გულისპასუხს
ვერ მიზიარებს მე მეგობარი
მაშინ, როდესაც დედამისსა ჰქმრობს
რჯულის გამტეხი იმისი ქმარი.
რისთვის გასწირეს? რად გაიმეტეს?
ვისთან რა ჰქონდა დანაშაული?

ოჰ, გამწირველო შენი სისხლ-ხორცის
თამარო! იყავ ღვთისგან წყეული!..

მგოსანი

ჩემო ნათლულო! უნაყოფოა
შენი ტირილი და ეგ გოდება!..
იმას რას არგებს, აქ რო ვიგლოვოთ?
დღეს თუ ხვალ, ვიცი, ის იქ მოკვდება.

ცირა (შეჰკვივლებს)

როგორ, მოკვდება?! მაგას რას ამბობ?
გაგიხმეს ენა, ღვთისგან წყეულო!..

მგოსანი

მოკვლენ და მოკვლაც ისე ჩაივლის,
როგორც სიზმარი რამ უჩვეულო.
ეჰ, ჩემო შვილო! ჯერ შენ რა იცი
ამ ჩვენი ქვეყნის გამოცანები!
უსამართლობას რამდენი შერჩა,
ვინ მოსთვლის, მსხვერპლი მაგისტანები!

ცირა

შეიტყვე რამე?

მგოსანი

არა!.. ეს ვიცი,
რომ დედოფალი ვერ გაიხარებს,
სანამ არ მოჰკლავს და გენათელიც,
ვით მეგობარი, ხელს დააფარებს.

ცირა

ნუთუ გამოსხნა არ შეიძლება?
არა არის რა საშუალობა?

უნდა დამინდეს ასე უდროვოდ
ჩემი თალიკოს ყმანვილქალობა?
არა, მგოსანო, არა, არ მჯერა!..
მაშინ ქვეყანაც რა იქნებოდა?
და თვით სამოთხე ნათელმიხდილი
ჯოჯოხეთივით აეგზნებოდა!..
ექნება რამე მაგას სახსარი,
უნდა მოვსძებნოთ!.. უნდა ვიპოვოთ!
ზეცას შევსტიროთ, ქვესკნელს ჩავჰკვნესოთ,
ვუთხრათ ქვეყანას და ღმერთსა ვსთხოვოთ!..

მგოსანი

ერთადერთილა საშუალობა
ჩვენ დაგვრჩენია... მაგრამ ჯერ მითხარ:
იმას რომ შენი თავი შესწირო,
არ დაინანებ? ამაზე მზათ ხარ?

ცირა

მაგას რას ამბობ? თვითონ არ იცი
განა, რა არის მეგრელი ქალი?
რალა გააქრობს, თუ რომ მის გულში
ერთხელვე გაჩნდა ნამდვილი ალი.
გულს შენახოცი, სულზე ტკბილია
ის დედიჩემის ძუძუთ გაზრდილი;
იმისთვის ტანჯვა – სიხარულია!..
მკვდრეთით აღდგომა – მისთვის სიკვდილი!

მგოსანი

რა საჭიროა შენი სიკვდილი?
კმარა, თუ მოვკლავთ თამარ დედოფალს!
მით გამოვიხსნით მაშინ თალიკოს
და თანც მოვისხამთ მთელის ქვეყნის მადლს.

ცირა

ქვეყნის მადლს?!

მგოსანი

ღიად! შენა გგონია,
რომ მან გასწირა მარტო თამარი?
თუ არ იმისგან, მაშ ვისგან არის
ჩვენი ქვეყანა დღეს ცოცხალ-მკვდარი?
დიდი ხანია, ლეჩაქის ნაცვლად,
ეშმაკის ქსელი მას თავზედ ხურავს
და იმერეთი, მისგან გარყვნილი,
დღეს ბოროტების მორევში სცურავს!
მეფე, მთავრები და ერისთავები
მან შეახეთქა ერთმანეთს ყველა,
რჯულს გადუყენა სამღვდელოება
და არსად არის იმისგან შველა.

ცირა

ეგ განა მარტო ქალის ბრალია?
რად აბედვინებს მაგოდენს ქმარი?

მგოსანი

რად აბედვინებს? ჰმ, რომ იცოდე,
რა კაცი იყო ადრე მთავარი!
შენ ნუ გგონია, რომ მას თალიკო
არ ჰყვარებოდეს, მისთვის გაეშვას,
ან სიყვარულით შეერთოს თამარ!
მისი გონება მისდევდა სულ სხვას!
მაგრამ ნაუხდა მისი განძრახვა
და ისე არის დღეს მოხიბლული,
რომ აერია წრფელი ძრახვები
და გადუბრუნდა უეცრად გული.
და თუ თამარი აღარ ეყოლა,
ის ისევ ძველ გზას დაუბრუნდება!
გამობრუნდება თალიკოს ბედი
და ჩვენც აღდგომა გაგვითენდება.

ცირა

ნეტავ თუ მართლა?

მგოსანი

განა ეჭვი გაქვს?
მისი დალუპვა ჩვენ გამოგვიხსნის.

ცირა (თავისთვის)

თალიკოს ვნახავ ისევ ბედნიერს,
ამისრულდება ნატვრა დიდი ხნის. (მგოსანს)
მაშ, გზა მიჩვენე და მიმასწავლე! (დაფიქრდება)
ეჰ, ვიცი!.. ვიცი! ახლა მეც მივხვდი:
მივეპარები ამაღამ მძინარს
და ჩემი ხელით მას სულს ამოვხვდი... (აღტაცებით)
ლმერთმა მაგონა! აბა, ნათლიავ!
უნდა მიშოვნო ერთი ხანჯალი!

მგოსანი

დანყნარდი, შვილო! სუსტსა ქმნილებას
შენ სავაჟკაცო ვინ მოგცა ძალი?

ცირა

მაშ სანამლავი?

მგოსანი

შენ რომ არა ხარ
არც მერიქიფე, არც მზარეული?
რაში ჩაუყრი? არა, სხვაგვარად
უნდა ეს საქმე მოხერხებული.
იცი, რას გეტყვი: – შენ ხომ გინახავს
ბურთში განთქმული ნიკო გურული?

ვინ დასთვლის, მისთვის რამდენ ლამაზ ქალს
ასძგერებია უზომოდ გული?!
მაგრამ ის, თურმე, მხოლოდ ერთს ეტრფის,
ის ერთი არის მისი სურვილი,
და მისგან სულდგმულს მისათვის უნდა
მისი სიცოცხლე, მისი სიკვდილი.
შენ რად სწითლდები? ვიცი, ის ერთი
შენა ხარ! – ჩემთან რისა გრცხვენია?
ლამაზისაგან ლამაზისადმი
ნამდვილი გრძნობა კარგი ძღვენია!
თუ მართალია, რომ სიყვარული
შენი ედება და გულს უმსჭვალავს.
შენ შეგიძლია იმას მიანდო
საიდუმლო რამ, და ის დამალავს.
შენი სურვილის ამსრულებელი,
ის მიიყვანე შენ მაგიერად
და თამარს გულში ჩაურჭობს მახვილს
უფრო გაბედვით, უფრო ძლიერად!

ცირა (შემკრთალი)

კი, მაგრამ ის ხომ დაილუპება
და მე ვიქნები მასთან უპირო!
არა, ისევ მე... მე დავილუპო!
მე უნდა ჩემი თავი გავსწირო!

მგოსანი

შენ ვერ შეიძლებ, საქმეს ნაახდენ!
ის მოახერხებს... იმას აცალე.
ჩუმად მოჰკალით და, თუ გაიგონ,
მაშინ შენს თავზე გადაიბრალებ.

ცირა

მაგას კი ვიზამ.

მგოსანი

სუ, არ აჩქარდე!
სიფრთხილე გმართებს მოაზრებული,
უცები არის და გონმიხდილი
კაცი, უზომოდ აღელვებული.
ჯერ დაიმშვიდე გული და მერე
ისე გაენდე იმ შენს სასურველს!

ცირა

ნუღარას ეჭვობ! თალიკოს ცრემლი
და მისი მაღლი მომიმართავს ხელს. (გარბის)

მგოსანი (მარტო)

ნუთუ მას, ვინც ეს ჩვენი ქვეყანა
საოცრად გარყვნა და დაამცირა,
პასუხს მიაგებს სამაგიეროდ
ერთი უბრალო მოახლე, ცირა?!
ღმერთო ძლიერო, კურთხეულ იყოს
შენი ძალა და შენი განგება!
შენა ხარ ჩვენი გულთამხილავი,
შენ გშვენის ქვეყნის ქებათა ქება!

ფარდა

მოქმედება მეორე

(მდიდრულად მორთული დედოფლის საკუჭნაო)

გამოსვლა პირველი

სამააშლებით აჭურვილი დედოფალი და ცირა

თამარი

ცირა!

ცირა

ბატონო?

თამარი

ნახე?

ცირა

მივეცი!

თამარი

რო წაიკითხა, არა გითხრა რა?

ცირა

მე რას მეტყოდა, მხოლოდ უბეში
ჩაიდვა, ჩუმად გულთან მიიკრა.

თამარი

ვინ იყვნენ მასთან?

ცირა

მარტო დამიხვდა;
რაღაცა ლექსებს იზეპირებდა
და ალტაცებულ სახეს შევნიშნე,
რომ უჩვეულო რამ აკვირებდა..

თამარი

რა ლექსი იყო, ყური ვერ მოჰკარ?

ცირა

მხოლოდ ორ სიტყვას „ვარდსა და იას.“

თამარი (სიამოვნებით)

კარგი! რო მოვა, შემატყობინე
და ნუ დასტოვებ განის კარს ღიას.
(ცირა მიდის)

თამარი

(დიდხანს დადის აღელვებული, სარკეს იღებს ხელში, თავის სახეს ეკეკლუცება. მერე სიამოვნების ღიმილით და თავმოწონებით ამბობს)

როგორც რომ მთვარე თხუთმეტი დღისა,
ველარ შემძენი სინათლის კიდეც,
მისცურავს ცაზე სხივმომფინარე
ამპარტავნებით კიდითი კიდე,
ისე შევინებაც ჩემი სრულქმნილი
ერთსა ადგილზე შეჩერებულა,
მაგრამ ჯერ კიდეც მისი დიდება
და სხივოსნობა არ დაკლებულა!
ხანიც ვერ შესცვლის... არ გამრუდდება
ჩემის შევინების ხაზი, ეს მჯერა,
და სიკვდილამდე ხარკად მექნება

თვით ცის და ქვეყნის გულისა ძგერა!..
ტრფობის სურვილით გარშემობურვილს,
თაყვანისცემით მმონებს მთავარი!..
მსოფლიო კრების დაკანონებულს
აღთქმას ჩემთვის სტეხს თვით მღვდელმთავარი!
მხიბლავი ჩემი ორკეცი ძალა
ხილულთ აბრმავებს, ბრმას უხელს თვალებს,
წაღმას უკულმა, უკულმას წაღმად
თითისტარივით შეატრიალებს.
შორს გამჭვრეტელსა ბრძენსა გენათელს
ჩემზედ ძრახვებმა აუბეს თვალი...
დააგმობიეს წმინდა წარსული
და დაავიწყეს ტკბილმომავალი.
მჭევრმეტყველებით სახელგანთქმულსა
ლევან დადიანს, ტკბილმოუბარსა,
ენა ებმოდა, რომ შემომჭვრეტდა
ვით საოცნებო რამ ზენა არსსა.
თვით ბაგრატ მეფე, ის უსინათლო,
ისე ხედავდა ჩემსა შევინებას,
ვით თვალხილული ძილში ჰხედავდეს
დილის რიჟრაჟსა და გათენებას.
ეს გურიელიც, მოუსვენარი,
სახელგანთქმული, ვეფხვი, ლომგული,
დღეს მოკამათედ ჩემის სურვილის,
ლენაქის ყურზე მყავს გამობმული...
მაგრამ მგოსანი, ის უგვარტომო,
ის უხარისხო ვილაცას შვილი,
ვით უკვდავების წყარო, მიზიდავს
და ვერ მომიკლავს მწყურვალს წყურვილი!
ის ერთი მხოლოდ... მხოლოდ ის ერთი
ჩემსა სურვილებს უკუ უდგება...
სულ სხვა ჰანგზე ჟღერს იმისი ჩანგი,
სხვა არის მისი ქებათა ქება!
ცოცხალ თამარის, იმის წინ მდგარის,
თანაგრძნობითა არ იმსჭვალება
და იმ თამარსა, გამქრალსა, მკვდარსა,

წარმოდგენილსა ეტრფიალება!
ჰმ!.. არა მჯერა! ეგებ ცბიერობს:
ყველას თვალს უხვევს... თავს ისულელებს
და იმ თამარში მხოლოდ ამ თამარს
აღმაფრენითა იხორციელებს?
ნეტავ თუ მართლა?! მაგრამ რას ვამბობ?
განა ვერ ვხედავ მის გულგრილობას?
გადუცდენელად გულის სამზღვრისა,
გონება უჭრის მხოლოდ ზდილობას.
და ყურს არ უგდებს ის არც ჩემს თრთოლვას,
არც ამ თვალების ელვარებასა
და არც მისგანვე ცეცხლშეკიდებულ
ბროლის გულ-მკერდის მღელვარებასა!
ნაცვლად პასუხის, იმის სახეზე
მე შემინიშნავს რაღარც ღიმილი,
თვითქოს ჯოჯოხეთს ესწავლებიოს
გულის ისარი, სულის სახმილი!..
ოჰ, თუ შემეძლოს მაშინ მე მისი
ქვეყნად გაქრობა, გაცამტვერება,
არც სულს და არც გულს, არც აქ და არც იქ
ალარად უნდა სხვა ნეტარება!
მაგრამ ზოგჯერაც იმავ სახეზე
სხვაც ეხატება რაღარც ღიმილი,
და გულს მიბრუნებს შეურაცხყოფილს,
ვით სამკურნალო, ციური, ტკბილი.
დავკარგე ძალა!.. დღეს მონალა ვარ
ორ ღიმილ შუა გამომწყვდეული:
ორად იყოფა მთელი არსება,
ორად მეპობა სული და გული!..
მიყვარსა და მძულს, მძულსა და მიყვარს,
მსურს დავიმონო!.. მსურს დავემონო!
სული გადმომცეს, სული გადავსცე...
რომ შევიწიონო და შევეწიონო!

გამოსვლა მეორე

იზინივე და ცირა

ცირა

გოჩა გაიხლათ!

თამარი

შეატყობინე,
რომ მას ნება აქვს ჩემთან შემოსვლის. (ცირა გადის)
ვნახოთ, ამ თამარს თუ იმ თამარში
ჩემ გვერდით მყოფიც გულგრილად გასცვლის.
ჩუ! გულმა იგრძნო... ახლოა... მოდის.
მისი ფეხის ხმა ყურს ტკბილად ესმის!
გაქვავდი, გულო! არ წაგცდეს, ენავ,
ნაწარმოები სუსტი გულისთქმის!
(დაავლებს წიგნს ხელს და ვითომ გატაცებით ჰკითხულობს)

გამოსვლა მესამე

(მგოსანი შემოდის წყნარად და შორეახლოს დგება მოწინებით. თამარი დიდხანს ყურადღებას არ აქცევს)

მგოსანი და თამარი

თამარი

აქა ყოფილხარ?.. თუ ვერ შეგნიშნე,
მიზეზი შენ ხარ! მე ნუ დამდებ ბრალს:
ამ უკანასკნელს შენს ლექსთა კონას
ვეღარ ვაშორებ ვერც გულს და ვერც თვალს.
დიდი ხანია, რუსთველის შემდეგ,
ალარ გვინახავს მსგავსი ლექსები:
მკითხველსაც ისე ააფრთოვანებს,

როგორც წერის დროს თვით შენ ეგზნები...
სიტყვა აზრს თანხმობს, აზრი ლექსთწყობას,
ყველა კი ერთად სულსა და გულსა,
და წამკითხველი დამწერს უჯერებს,
ვით წინამორბედს და მოციქულსა!

მგოსანი

გმადლობთ, ბატონო!.. ღირსი არა ვარ!
მე არ შემეფერის ეგზომი ქება,
და მაგას ჩემზედ გათქმევიანებთ თქვენ
ჭკუის და გრძობის მხოლოდ უხვება!
თუ არ ვიცოდე, რომ დაცინებას
ჩემებრ დაბალზედ თქვენ არ იკადრებთ,
სხვას ვიფიქრებდი, რადგანაც თვით ლომს
შეუხამებლად კატას ადარებთ:
მგოსანსა შობილს დიდებულ დროში
და სანეტაროდ მალლით გამსჭვალულს,
როგორ ადარებთ საბრალო მღერალს,
საერთო კვნესით მარად გულმოკლულს?
სამხიარულო, სალხინო ხმებით
სამოთხით იყო რუსთველის ქნარი,
და ჩემი მხოლოდ სამარის კარზედ
ჟღერს... ის ჟღერაა მოთქმა და ზარი...
და, თუ ხანდახან, ათასში ერთხელ,
სამხიარულოც წამცდება რამე,
ეს ჭირისუფლის ღიმილი არის,
მხოლოდ წამითი... მოკლე სიამე!

თამარი

კი, მაგრამ აქ ხომ ტკბილი ოცნება
შენც იქ მიგაფრენს: გადაგაქვს ქნარი
და რუსთველივით შენც ტრფობის საგნად
გამოგისახავს დიდი თამარი?
სხვადასხვა დროის დიდი მგოსნები
ეკამათებით ერთსავე ორი,

თუმც სარბიელი შენი და მისი
სხვადასხვა არის – ვერ თანასწორი!
მის შთამგონებელს, ზეალმტაცებელს
თვალთ უჭვრეტდა რუსთველი თამარს,
და შენ კი მხოლოდ ოცნების ძალით
ახორციელებ მას, გამქრალს და მკვდარს.

მგოსანი

მაგას რად ბრძანებთ, აბა, ბატონო?
განა თამარნი ქვეყნად კვდებიან?
საუკუნიდან საუკუნოში
ისე, ვით მთვარე, გაახლდებიან.
მხოლოდ სიკვდილის შემდეგ იწყება
მათი სიცოცხლე დაუვიწყარი
და სათაყვანოდ სამარადისოდ
საერო გულის ეღებათ კარი.
მეცა ყოველ წამს თამარი სათნო
თვალნი მხატვის გაბრწყინებული,
იმის გამო მაქვს სულისკვეთება
და მისთვის მიძგერს სინმინდით გული.
ის არის ჩემი წმინდა წმინდათა,
ჩემი სულისდგმა, ჩემი გულისთქმა,
ჩემი არსების გამასპეტაკი...
წმინდა მირონი და აიაზმა.

თამარი (წყენით)

ნეტავ მგოსნები რა ქმნილება ხართ!
რისგან ხართ მაგრე ახირებული?
თვალსა არიდებთ ამოსულ მთვარეს
და ჩასულ მზისთვის გიღელავსთ გული!
უკუ უდგებით დღევანდელ ნათელს,
ოცნებით ანთებთ გამქრალსა ლამპარს,
წამდვილსა სტოვებთ უყურადღებოდ
და გულს აყოლებთ გადასულ ზღაპარს.
საკვირველია! ბრმას, უგზო-უკლოს,

გარდაქცეულსა სმენად, ქვეყნის ხმის
მგოსანიც ჰმონებს და მის ცრუ ჰანგზე
აყოლებს აზრს და მალალ გულისთქმას.

მგოსანი

აგრე რომ გახდეს, ჩემო ხემნიფე,
ქვეყნის წინსროლა შეჩერდებოდა,
და უგნურება დღევანდელი დღის
ხვალის კანონად დაიდებოდა!
მაგრამ ღალადი და ამბოხება
გაურჩეველად ქვეყნად არ რჩება:
მართალი მხოლოდ ფეხსა იკიდებს
და სიზმარივით ტყუვილი ქრება...
ვითარცა პეტრე, ღვთის უარმყოფი,
ერთმა მამლის ხმამ გამოაფხიზლა,
ისე აფხიზლებს ხალხსაც მცირე რამ
და ის მცირეა მგოსნობის ძალა.
და ნუ იფიქრებთ, რომე მგოსანმა
სხვისი აყოლით ჩანგი აუღეროს
და მისი გული ძალდატანებით
შეათამაშოს და ააძგეროს!

თამარი (ნაღვლიანის ღიმილით)

მაგას მეც ვხედავ და ეგ სიტყვები
გულსა ხვდებიან მწარე მახვილად!..
ეჰ, თავმოყვარე ადამიშვილო!
სხვისი საძნელო რად გიჩნს ადვილად?
(ხანგრძლივი სიჩუმისა და მღელვარების შემდეგ, თავისთვის)
მეტს ველარ ვიტან!.. ეს ყურს არ უგდებს
კრძალვით წარმოთქმულ სიტყვებს გადაკრულს!
ვეტყვი პირდაპირ!.. ხვალის იმედით
თავმოტყუება რას არგებს ბედკრულს! (მგოსანს)
მკურნალო! გრძნობით გონებამიხდილს,
ბუნებააძრულს, მხედავ, ვარ ავად
და სჯობს, ერთმანეთს გული გავუხსნათ;

ვუთხრათ, რასაც ვგრძნობთ დაუფარავად.
კმარა ამდენი მალულობია...
გეყოფა თავის მოკატუნება!..
გონება შენი კერპად რომ ურჩობს,
მალალი გრძნობა რას გეუბნება?

მგოსანი (გაკვირვებით)

მე, დედოფალო...

თამარი

სსუ! იქ არ არის
არც დედოფალი და არც მსახური,
სადაც სხვა ძალა გახემნიფდება,
უფრო ძლიერი, ვიდრე მეფური.
პასუხს მოითხოვს შენდამი ჩემის
ბუნების თრთოლვა და მღელვარება
და შენგან მხოლოდ ეძლევა ოდენ
მწარე ღიმილი და მღუმარება.

მგოსანი

ბატონო...

თამარი

ბანზე ნუ აგდებ სიტყვებს:
შემამკობელო ქვეყნის და ცისა,
ნუთუ არ იცი, თუ რაა გული
ტრფობით გამსჭვალულ დედაკაცისა?

მგოსანი (დაფიქრდება, თავისთვის)

მართალი მითხრა: კმარა ამდენი
ჩემგანაც თავის მოკატუნება,
ვეტყვი პირდაპირ, დაუფარავად,

რასაც კი გული მე მეუბნება.

არ შემარჩენენ, ვიცი, სიმართლეს:

ძნელია ქალის შურისძიება,

მაგრამ ოდესმე მოსალოდნელი

რაც არის, სჯობს, თუ დღეს გათავდება!

(თამარს გამბედავად)

ვსწუხვარ, რომ ჩემგან თქვენ ვერ მოისმენთ

მისთანა პასუხს, როგორსაც ელით,

მაგრამ, რასაც ვგრძნობ, სჯობს, აღვიარო

ან თქვენ წინაშე გულის სინრფელით:

გნებავსთ შეიტყოთ ჩემგან, რა არის

შეყვარებულის დიაცის გული?

სასუფეველი და ჯოჯოხეთი,

გრძნობის კავშირით შეერთებული;

საუფნე რამე ავის და კარგის

უმეტნაკლებოდ, ამოკრებული;

თვით უკვდავების წყარო-ნექტარი,

ნაღველ-სამსალით გამწარებული;

მხიბლავი ძალა, ანდამატური,

თავში საამო, ბოლოში მწარე;

წამ-ერთ – აკვანი სიხარულისა,

ხანგრძლივ – კუბო და ცივი სამარე.

თამარი (გაოცებით)

თუ მართლა ამბობთ მაგას, მგოსნებო,

სხვაგვარად რად ჟღერს, მაშ, თქვენი ქნარი?

სჩანს, სიცრუეა თქვენი სალამუნი

და თქვენ ყოფილხართ კაცთ მატყუარი!

თქვენ არ უგალობთ ქვეყნად სიყვარულს,

ვით სასუფეველის ძალას რამ ზენას,

და მიწის შვილთა, თქვენგანვე ცდენილთ,

უცნაურ ძალით უხიბლავთ სმენას?!

მგოსანი

ჩვენ რო ვუგალობთ, ის სხვა გრძნობაა:

რუსთველებრივი, ტარიელური!

ის ნუ გგონიათ თქვენ გულის ფხანვა

საყოველთაო... ყოველდღიური.

მხოლოდ რჩეული ცისა და ქვეყნის

აღმაფრენითა იმას მისწვდება,

და დანარჩენი უმეტესობა

იმ ძალს ვერ იგრძნობს, ისე მიწდება.

თამარი (გატაცებით)

მაშ თუ მაგრეა, იმა ციურ ნიჭს

რო დაეძებდეს აქ მიწიერი,

რალად ამტყუნებს გაუკითხავად

უსამართლო და უგნური ერი?

რო სიყვარულსაც დაუფხმით გული,

სხვა რალა გვრჩება აქ ნეტარება?

კაცი მაშინ გრძნობს მხოლოდ სიცოცხლეს,

როცა ისრულებს, რაც ენატრება.

მგოსანი

ჰმ... დედოფალო! მესმის მაგ სიტყვის

ჭახრაკული რამ მშვენიერება,

მაგრამ პასუხი რო მოგახსენოთ,

იქნება მეტი კადნიერება

და ველარ ვბედავ...

თამარი

სთქვი! ნუ დაჰფარავ,

გინდ იყოს ჩემი გმობა... ყვედრება!

აქ დედოფალი დღეს აღარ არის

და მხოლოდ ქალი გესაუბრება...

მგოსანი

თქვენი ნებაა!.. ვინ ჰგმობს სიყვარულს,

მოპოებულსა აღმაფრენითა?..

ჰკიცხავენ მხოლოდ ცუდად მოხვეჭილს:
ქვეყნის ცრემლით და სისხლთა დენითა.
(გაჩუმდება და თავს ჩაღუნავს)

თამარი (ნაღვლიანის ღიმილით)

ჰმ... მიკვირს: კაცი, შორს გამჭვრეტელი,
ახლომახლოზე რისთვის იხვევს თვალს?
ამ იმერეთის ამბოხებაზე
ნუთუ, მგოსანო, შენც მე მადებ ბრალს?
როცა ზღვა ჰღელავს, ნავ-ჭურჭლებიცა
მათ უნებურად ექანებიან...
ხალხიც ისეა: როდესაც ღელავს,
კერძო პირებიც აეგზნებიან.
იმავე თავიდან იმერთა მხარე
ბუდე ყოფილა არეულობის,
სარბიელი რამ გაუტანლობის,
მოლაღატობის და ორგულობის.
არავისა სწამს აქ სისხლ-ხორცობა,
ღვთისაც არა აქვთ გულმართლად შიში!..
გონება – მეტად, გრძობანაკლებ ერს
ახელმძღვანელებს სულ ანგარიში!..
მე იმერელი ქალი არა ვარ,
რომე უარყო ჩემი ბუნება,
და ცხოვრებაში ისე ვიქცევი,
როგორც ეს გული მე მეუბნება.
შენ რომ წელან სთქვი, მეც იმ სიყვარულს
ვეძებ და ვეძებ თავდადებულად...
მხოლოდ ისა მრწამს ჩემის არსების
სახელმძღვანელო უმაღლეს რჯულად;
და თუ აქამდე ვერ მიპოვია,
დამნაშაობათ რისთვის მეთვლება?..
პეპელა სანამ ყვავილს ნახავდეს,
მყრალ ბალახებსაც თავსა ევლება!
არც ერისთავი, არც გენათელი,
არც გურიელი, არც დადიანი,
არც ბაგრატი, მეფე იმერეთისა,

ის უსინათლო და შავდლიანი,
და არც სხვა ვინმე ჯერ მამაკაცი
არ შემხვედრია, რომ მსურს, მისთანა!..
და თავის თავზედ მდარე მამაკაცს
ქალი საყვარლად ინამებს განა?!
მაგრამ მის შემდეგ, რაკი, მგოსანო,
მე შენ შეგნიშნე და გაგიცანი,
გრძობა-გონებამ, ორივემ მითხრა,
რომ შენ ხარ ჩემი ტრფობის საგანი.
ან შენ ხელთაა, არა თუ ჩემი,
მთელი სამეფოს ბედისა წერა!..
მას შეუძლია ერიც განკურნოს,
ვინც რომ თამარის გული აძგერა.
თუმც არ იქნები ნაკურთხი მეფე,
მაგრამ ძალა კი მისი გექნება,
რადგანც კანონი იქნება ჩემთვის
შენი სურვილი და შენი ნება.
მეტს აღარ ვიტყვი!.. ან შენგან ველი
სიტყვებს გულწრფელსა, პასუხს უტყუარს
და ნუ დაჰფარავ შენს გულისპასუხს...
ვითა სინმინდეს, გაფიცებ შენს ქნარს!..

მგოსანი

ღირსი არა ვარ მე მაგ დიდების!..
ვერც შევიფერებ მაგვარ წყალობას!..
სხვა რამეს ეძებს ეს ჩემი ქნარი,
სხვა ბანი უნდა ჩემსა გალობას.
გამოუხატავს შენში ბუნებას
შემოქმედების ძალა ძლიერი,
თვალ-ტანადობა, გრძობა-გონება,
ნიჭი ბევრგვარი, გულსახმიერი,
 ააელფეროს მისი ლაჟვარდი
 და შენს სავალ გზას, მნათობთა მნათო,
 შენ სადიდებლად მოჰფინოს ვარდი!..
 შენც ამობრწყინდი და უთვალავი
 ისარ-სხივები მალლით დაგვტყორცე!..
 მით სამკურნალოდ, შეშინებულ გულს
 ტკბილი ნუგეში თან შეახორცე!..
 მაშინ ყოველი შენი მმოსავი
 ფერხულს დააბამს, დასძახებს „თინას“³
 და შენც, მაარსო ყოველთა არსთა,
 ზეშემოფრქვევით გეტყვის „მზეშინას“.
 ნუ მოიფარებ პირბადეს რისხვით,
 რომ ერმა არ სთქვას: არ გვიხილაო,
 და აღარ მოსთქვას საკინძჩანყვეტით:
 „ო, დილა, დილა, ო, შავდილაო!“
 (დაემხობა და ლოცულობს)

გამოსვლა II-რე

ისივე და თირთა (გამოდის მეორე ოთახიდან შემკრთალი)

თირთა

ხომ არ მომკვდარა საბრალო შიშით,
 ასე თავდაღმა რომ დამხობილა?
 ვაი, მას, ვინც ამ უგნური ქვეყნის
 ბუნდში გაზდილა, ბნელში შობილა!..
 ძიძა!

ძიძა (ადგება)

რას ბრძანებ, ბატონის დაო?

თირთა

რას განართხულხარ? რა ამბავია?

ძიძა

ლოცვად ვიდექი, ჩამოვატყავე,⁴
 სადაც კი ჩვენი სალოცავია!
 ამდენი ხნის ვარ და ჯერ არ მახსოვს
 ღამე ამგვარად გარისხებული!..
 მიკვირს, რომ შიშმა არ გადამრია
 და კიდევ შემრჩა ან პირში სული!

თირთა (იციინის)

ცხოვრების ჩარხი, რიგზე მბრუნავი,
 ცოტა ხნით ოდნათ გამრუდებული,
 ისევე ჩადგა სწორ კალაპოტში,
 რომ დაიმშვიდოს ქვეყანამ გული...
 და რაღას შიშობ? მორჩა, გათავდა!..
 ხომ ხედავ, დაცხრა ცა და ქვეყანა?
 ბედის ვარსკვლავი თუ არ მომწყდარა,
 დაუშავდება კაცს რამე განა?

ძიძა

თაფლი მაგ შენს პირს, გასახარელო!
 ყველა შენ უკეთ მოგეხსენება! (ცოტა ხნის უკან)
 შიშის ბუდეა ღამის ნყვდიადი
 და შორსაც არის ჯერ გათენება!

თირთა

რაღა შორს არის? მამალი ყივის,
 ღამე მაგდენიც არა დარჩა რა,
 დროა, ნახვიდე ქალიშვილებთან,
 გამოაღვიძე ორივე ჩქარა!..
 მორთე, მოკაზმე ჩვეულებრივად
 და გამოაწყვე, როგორც იცოდე,

თიხის ჭურჭლები გამოურეცხე,
 ისარ-კაპარჭიკ თან მიაწოდე.
 (ძიძა გადის, თირთა, დაფიქრების შემდეგ)
 დღეს გაზაფხულის ბუნიაობა
 დადგა და ღამე დღეს უსწორდება;
 არც ნათელს, არც ბნელს არ სურს დაკლება,
 საზღვარს არც ერთი აღარ შორდება!
 ამ დროს მინისძვრა და ზღვათა ღელვა
 ჩვეულებრივი არის მოვლენა!
 მაგრამ ნუხელი კი მეტი იყო
 და გაგვწირავდა მრისხანე ზენა,
 რომ უჩვეულო და უცნაურ ძალს
 არ მოეხიბლა ცა და ქვეყანა:
 გაისმა რაღაც უცხო საკრავის
 საამო მღერა, ვით ტკბილი „ნანა“.
 მან გაიტაცა მთელი სამყარო,
 შეწყდა მდინარე, შეჩერდა ქარი
 და ყურს უგდებდენ სულგანაბული...
 აღარ იძვროდა არც მთა, არც ბარი!.. (დაფიქრდება)
 მიკვირს, ვფიქრობ და ვერ გამიგია:
 რა უნდა იყოს, რა საგრძნეულო,
 ჯერ არავისგან არგაგონილი
 ჩვენ ქვეყანაში, ხმა უჩვეულო?
 თუ რომ მთიები არ ჩამოსულან
 მალლით ამ ქვეყნის დასამშვიდებლად,
 მაშინ ორთეოზ⁵ გამოგვჩენია
 აქ ჩვენც კოლხეთის გასაადიდებლად!.. (დადის და ფიქრობს)

გაფოსკლა III-მე

თირთა, მედია და კუპულა

(გამოდინან, ხელში თიხის პატარა ჭურჭლები უჭირავთ და მხარზე ისარ-კაპარჭი აქვთ გადაცმული. უკან ძიძა მოსდევთ)

თირთა

გამონყობილან?

ძიძა

მღვიძარი დამხვდენ.

თირთა

არ გძინებიათ?! მაშ უნდა გკითხოთ:
 ნაშუალამევს ტკბილია ძილი,
 თქვენ კი ფხიზლათ ხართ და რამ დაგიფრთხოთ?

მედია

რამ და სიზმარმა, ჩემო მამიდა!

თირთა

სიზმარმა?!

მედია

ღიას, ჩვენება ვნახე.

თირთა

რაც გაგახსენდეს, ნურას დაფიცავ,
 მიამბე, შვილო, და დამისახე!
 ზოგი სიზმარი ამქვეყნიური
 ხარბი ოცნების მონადენია,
 ზოგიც ციური განცხადებაა
 და მნათობისგან მონაფენია!
 გარჩევა უნდა მათ ერთმანეთში
 და მერე ახსნა... ეს არც ძნელია:
 გონების შუქი იქ უფრო გასჭრის
 და გაანათებს, სადაც ბნელია.

მედია

მართლა რომ რაღაც ჩვენება იყო,
 ცხადის ნამზგავსი, გასაოცარი:

მინა იძვროდა და მასთან ერთად
 მთლად ირყეოდა სულ მთა და ბარი!
 უნდა ქვეყანა მტვრად ქცეულიყო!
 სიკვდილს ველოდი გულგახეთქილი,
 მაგრამ უეცრად რაღაც საკრავის
 გაისმა ჟღერა წყნარი და ტკბილი...
 გავედი გარეთ, ძუძუდაც გამყვა;
 მალლა ჰაერში გაისმოდა ხმა
 და მინაზედ კი იქვე, მახლობლად,
 იდგა უცნობი, საარაკო ყმა!..
 მისმა დანახვამ მე თვალი მომჭრა
 და დამებეჭდა გულის ფიცარზე!
 თავბრუ დამეხვა... რომ ნავბარბაცდი,
 იქვე სიჩქარით მივეყრდენ კარზე...
 შემომჩერდა, დიდხანს მიყურა,
 არ მაშორებდა აღარც ის მე თვალს!
 პირველად ვგრძნობდი უჩვეულოსა,
 მაგრამ შემბორკველ... უმაღლესსა ძალს;
 აღარ მქონია მე საკუთარი
 აღარც სურვილი და აღარც ნება!
 სიკვდილ-სიცოცხლე, არარაობა
 ჩემთვის სუყველა იყო ოცნება!..
 ბოლოს წავიდა ის უკან-უკან,
 ხელით მანიშნა, რომ წავყოლოდი,
 მაგრამ მე ვიდექ ისე უძრავად,
 თითქოს ზედ თავზე მწოლოდეს ლოდი...
 სად, ან ვინ ვიყავ, – აღარ ვიცოდი!
 აღარც ცა იყო ჩემთვის, არც მინა!
 ამ დროს კალთაში ჩამავლო ხელი
 ძუძუდამ და მეც გამომეღვიძა...
 მაგრამ მღვიძარსაც ისევ მესმოდა
 ხმა მომხიბლავი, მიძგერდა გული!..
 ძუძუდაც თავზე მადგა მღვიძარი,
 უძრავად, უხმოდ, გამტერებული!

თირთა

ეგ ხომ კეთილად ასახდენია!..
 მე მაგგვარ სიზმრებს უბრალოდ ვსახავ,

გაჩნდება ვინმე აქ საჭიდაოდ
 შენი გულისთვის და იმას ნახავ.

მედია (შეშინებული)

არა, მამიდა!. მე ეგ არ მინდა...
 რომ იჭიდაოს, არც შეიძლება!
 იმისთანაებს არ შეეხება
 ჩვენი პირობა და ჩვეულება:
 ის მინის შვილი არ არის, ვფიცავ,
 თვით მნათობია ცით ჩამოსული!
 ღმერთი ძლიერი და შვენიერი,
 მხოლოდ დროებით სხეულშესხმული!..

თირთა

უი, გეთაყვა, დამიდგეს თვალი,
 რა უცნაურად აღელვებულხარ!..
 ფხიზლად ფრთხილი და წინდახედული,
 ძილში რა მალე მოტყუებულხარ!
 ამდენხანს როგორ ვერ გამოერკვი,
 უბრალო სიზმრით გატაცებული?

მედია

ყურში მინივა ის საამო ხმა...
 ვერ მოვიბრუნე, არ იქნა, გული!

თირთა (ძუძუდას)

შენც გაიგონე?

ძუძუდა

კი, ქალბატონო,
 მეც ყურს ვუგდებდი გაოცებული.

თირთა

შენ, ძიძავ?

ძიძა

არა, რას გავიგებდი
დამფრთხალი, შიშით გატაცებული!

თირთა

სჩანს, რომ ესენიც მოტყუებულან
მეტის სურვილით... ჭარბი გულისთქმით:
გაზაფხულია, სისხლი თამაშობს
და უჩურჩულებს ყურებში სხვის ხმით...
(ქალიშვილებს)

ნუ აჰყოლიხართ მაგ ფუჭ ოცნებას,
უსაქმურობის უკულმართ ნაშობს!..
ჩვეულებრივად რომ მოემზადოთ,
საქმეს შეუდგეთ, ახლა ისა სჯობს.
სანამ ფუტკრები მძინარ ყვავილებს
გააღვიძებდენ ბზუილით მწარით
და ამოსწოვდენ გულიდან სიტკბოს,
თქვენ უმალ მოდით და დაასწარით,
რომ უხმარ ბამბით ამოუნმინდოთ
სუნნელოვანი, ცვრიანი გული!..
ის ამირანის ცრემლები არის,
მარგალიტებად ზედათხეული...
რომ გაიჟინთოს ბამბა სრულიად,
ჩასწურეთ ხოლმე მაგა ჭურჭლებში.
მაგამი ჩავლეს მეც სამკურნალო
წამლებს, გასაჯდომს რბილსა და ძვლებში.
(ჩამოიღებს ჯამს)

ახლა მოდით და ჯამში ჩაუნეთ
თქვენი ისრები!.. შეასვით შხამი,
რომ გაკანრულმა მაგითი მტერმა
ველარ იცოცხლოს ვერც ერთი წამი.
თუ დაინახოთ ცაში არწივი,
მაშინ შვილდ-ისარს მოავლეთ ხელი,

სტყორცეთ ხელმარჯვეთ, გაუპეთ გული
და ამოჰგლიჯეთ მწარე ნალველი!
სწორეთ მესამე მამლის ყვილზე,
რომ ირიჟრაჟოს, იქ უნდა იყოთ,
მოსაკრეფად კი ყვავილ-ბალახებს
მზის ამოსვლამდი ხელი არ მიჰყოთ!
ახლა კი ნადით და გამარჯობა
თქვენ გამოსთხოვეთ სისხლის მოყვარეს,
იმ ძლიერსა და თავმდაბალ ღმერთსა,
რომელიც ლაჟვარდ ცის არემარეს
მწყისის და აძოვებს მოელვარე „ვერძს“,
ჩვენი კოლხეთის საკუთარ მფარველს.⁶
სთხოვეთ ორივემ და შეევედრეთ,
ის არ აგაღებს სხივით მოსილ ხელს... (მიდიან)
(ძიძას) ძიძავ, შენც ნაჰყევ!.. (ძიძა მიდის)
(თირთა დაფიქრდება) ჩემს გარდა სხვებსაც
გაუგონიათ, მოუკრავთ ყური!
არც ჩანგურს ჰგავდა და არც სალამურს
ის ხმა, უცნობი და უცნაური!..
მე ეს მაკვირებს, ვინ უნდა იყოს
ასე ხმატკბილად ჩანგის დამკვრელი,
რომ გაიტაცა ცა და ქვეყანა
და დაამშვიდა წყვდიადი – ბნელი!
ლამეც რომ ასე გადაირია,
ნეტავ ვიცოდე, რას მოასწავებს?! (დაფიქრდება)
გავიდე ერთი, ზეცას შევხედო
და დავეკითხო ციმციმ ვარსკვლავებს...
გადავიკითხო ცის კაბადონზე,
ხვალინდელი დღე თუ რას გვიპირებს?
მზე გაგვიცინებს, თუ მოგვიღუშებს?
ნუგეშს გვცემს ლხენით თუ აგვატირებს?
(გააღებს კარებს და შეჩერდება. ხმაურობაა)
ჩუ! ხალხის ხმაა... ადრე ამდგარა...
და ან, ეგება, არც სძინებია!
ბუნიაობის გადაჭარბებულ
სასწორის რყევის შეშინებია!
და რომ დამშვიდდეს, გაიქროს შიში,
სალოცავისკენ მიეშურება.
ოჰ, ნეტავი მას, ვინც თავმინდობით

ყოვლის შემძლებელს ემსახურება!..
 აღარას შიშობს დამფრთხალი ბავშვი
 დედის კალთაში თუ ჩადვა თავი!
 ხალხიც ბავშვია და დედის კალთა
 – მისი საყდარი და სალოცავი.
 ხელი-ხელ ძმურად გადახვეული,
 ფერხულჩაბმული მიიმღეროან!..
 მხოლოდ გულია მათი მრჩეველი...
 რაც არ უნახავთ, ყურს უჯეროან,
 ორპირად მღერენ.
 (მოისმის სიმღერა სათვალავით)
 „თინა-თინაო!
 მზის გულში რომ გაქვს წმინდა ბინაო,
 გამოიღვიძე და გადმოგვხედე,
 ბნელმა უკუნმა შეგვაშინაო!
 „თინა-თინაო! ნათელმფინავო!“
 მზემ ქვეყნის თვალად გაგაჩინაო!
 გაჰფანტე ბნელი, ზარის ამშვები!
 შეგვხუთა... ცრემლი მოგვადინაო!..
 მზისა და მთვარის წამონაშობო,
 შეუხებელო, თინა-თინაო,
 მადლი შენ სახეს და დიდება მას,
 ვინც ჩვენ ნუგეშად გაგაჩინაო!“ (მიწყნარდება ხმა)
 აი, სიმღერა სამკურნალო რამ,
 დამცხრობი მათი სატკივარ-წყლულის!..
 მაგრამ მე სადღა ვპოვო წამალი
 ურწმუნო ფიქრის და უნდო გულის?
 სად და რა იყო ჩვენი წარსული?
 ან რა იქნება ან მომავალი? (დაფიქრდება)
 ეჰ, ჯერ ხომ ანმყოც ვერ შეგვიგნია,
 არეული გვაქვს აქ გზა და კვალი.
 თუ რომ მსოფლიო ხვანჯის გამოხსნა
 არ არის ჩვენგან შესაძლებელი,
 მაშ, ნეტავი მას, ვისაც სასინჯად
 არ შეუხია ჯერ მისთვის ხელი...

ფარდა

მოქმედა გიორგი

სცენა

(კოლხეთის ქალები. შორით კავკასიის მთები მოსჩანან. იალბუზსა და მყინვარს ღრუბელი გადაჰყრია და ლაპლაპობენ)

გამოსვლა I-ლი

იაზონ (აღტაცებით შეჰყურებს არემარეს)

დღეს ჩემმა თანამოგზაურებმა
 ფაზისის⁷ პირად ძილს მისცეს თავი,
 რომ მოიხადონ დაღალულობა
 და მერე ნახონ ეს სანახავი. (ხელს აშვერს არემარეს)
 მე კი ახლავე წამომიტყუა
 უცხო ბუნების მშვენიერებამ!
 ამაფრთოვანა, ზემიტაცა...
 სრულად გამმჭვალა მით ნეტარებამ!..
 მშვენიერია ჩვენი ელლადა,
 მაგრამ ეს მცირე ბარბაროსთ მხარე
 ისე სჯობია მას შედარებით,
 როგორც ვარსკვლავებს – გავსილი მთვარე!..
 შევჩერებივარ ატეხილ ქალებს,
 ბორცვს, ყვავილებით შეფერადებულს,
 გორებს, ქოჩორა ტყით დაბურვილებს,
 და მთებს, ზეცამდე თავამაღლებულს!..
 საკვირველია!.. აქ ეს სიმდიდრე!
 ბუნების ლხინი, მაყრულ-ქორწილი!
 იქ კი ღრუბელი, თოვლი და ყინვა,
 არარაობა და მკვდრული ძილი!
 ამდენ სხვადასხვა სანახაობას
 ველარ უმართავს ხორციელი თვალს...
 სჩანს, ამ ქვეყნისთვის რომ მოუცლია
 შემოქმედების დიად ძალთაძალს! (დაფიქრდება)
 გუშინ რომ რალაც დიდი ფრინველი
 გზაში მოგვდედა, „არგო“⁸ დაჩრდილა,

აქ უნდა იყოს იმისი ბუდეც,
 უეჭველია, რომ აქ გაზდილა! (მალლა იხედება)
 ეს კი ორბია!.. თვალს არ მაშორებს,
 ხან ძირს ჩამოდის, ხან მალლა ადის,
 თავზე დაჯდომას ხომ არ მიპირებს?
 სამეფო გვირგვინს ხომ არ მიქადის?!⁹
 (ორბი წამოვა მალლიდან ტრიალით და იაზონის ფეხთან დაეცემა,
 მკერდში ორი ისარი ურჭვია ერთად. იაზონ გაკვირვებული დასჩერებია)
 ამას რას ვხედავ?! სწორედ ღმერთებმა
 მალლით დაისრეს, ურჩად რომ ჰფრენდა;
 თვარა აქედან ვინმე სულდგმული
 იქამდე ისარს ვით მიანვდენდა?!

გამოსვლა მეორე

(იაზონ. მედია და ძუძუდა გამოიჭრებიან ტყიდან. იაზონს რომ დაინახავს, მედია შეჩერდება. იაზონიც შეკრთება და ორივე ერთმანეთს შეჩერებიან გაქვავებულბივით. ძუძუდა მივა, ორბს აიღებს, გამობრუნდება, ხელს მოავლებს მედიას, გაიტაცებს და შევლენ ტყეში).

იაზონ (გონს მოდის)

მალალო ზევსო, ნუთუ დიანა¹⁰
 აქ სანადიროდ გადმოფრენილა?!
 ელლინად მიცნო და გაუკვირდა,
 უცხო მხარეში მეც რომ მიხილა?
 ის კი აქაურს ჰგავდა მიწის შვილს,
 გამოსაზრდელად ღვთისგან აყვანილს...
 და მონადირედ მისგანვე განვრთნილს!..
 ვის უნდა ვკითხო? ვისგან გავიგო,
 რაც ასე უცბად ჩამეჭრა გულში?
 ნავალ, იქნება იქ ვნახო ვინმე,
 კვამლი რომ მოსჩანს გამოქვაბულში.
 (მიდის მარცხნივ და შედის გამოქვაბულში)

გამოსვლა III-მე

(მედია და ძუძუდა გამოდიან ტყიდან)

მედია (აშფოთებით)

არა!.. ის იყო!.. ის იყო, სწორეთ!..
 ჩემი ჩვენება, ჩემი სიზმარი!
 მინდა, რომ ერთხელ კიდევე შევხედო!..
 საით წასულა, ვნახოთ, სად არი?
 (ხელიხელ ჩაკიდებული გაირბენენ იქითკენ, სადაც იაზონი იდგა და
 შევლენ ტყეში)

გამოსვლა IV-ზე

(იაზონ გამოდის გამოქვაბულიდან და თან გამოჰყავს დაჭერილი მჭედელი)

იაზონ

მითხარ, ვინა ხარ?

მჭედელი

ვინ ვარ და ქლიბი.¹¹

შავ მთას ხომ ხედავ? იმის გადაღმა
 დიდ ხეობაში ვცხოვრობთ დიდ თემად
 და განთქმულია ყველგან ჩვენი ხმა.

იაზონ

რითი?

მჭედელი

მჭედლობით!.. ჩვენ ერთი მთა გვაქვს,
 „ჭედისი“ არის მისი სახელი,

რკინის გული აქვს, რკინის ძარღვები,
გარს ახვევია მთელი სოფელი.
ის არის ჩვენი ყველას მრჩენელი,
ხვრელები შეგვყავს, ვაცლით რკინის გულს,
გამოგვაქვს და მით სხვადასხვანაირს
ვაკეთებთ ხოლმე ფოლად-რკინეულს.

იაზონ

ეს რა მხარეა?

მჭედელი

კოლხეთის მხარე,
დიდ იბერიის მცირე ნაწილი;
სიმდიდრით ყოვლად მოუღალავი,
შვენიერებით გარშემოსილი!..

იაზონ

ვინ ჰფლობს?

მჭედელი

იათა მამასახლისი,
მისი სიმდიდრით ქვეყნად განთქმული,
ვისაც სიუხვით და ვაშკაცობით
მოგებულნი აქვს კოლხეთის გული!

იაზონ

ესეც მითხარი: აქ ხომ ღმერთები
არ ჩამოდიან, რომ ინადირონ?

მჭედელი (გაოცებით)

განა ცოტა აქვთ მაღლა ადგილი,
რომ დაბლა თავი არ დაიმცირონ?!

იაზონ

იმიტომ გკითხავ, რომ მონადირე
ქალ-ღმერთს მოვჰკარი მე დღეს აქ თვალი!..

მჭედელი (იცინის)

ის მედიაა, მამასახლისის
მზეთუნახავი და პირმზე ქალი.
აქ დადის ხოლმე, ამ ტყე-ჭალებში,
ჰკრეფს და აგროვებს ყვავილ-ბალახებს,
რომლებიც წამლათ კი გამოდგება¹²
და რომელიც არ, – ხელსაც არ ახებს!..

იაზონ (განცვიფრებით)

მედია?! ვისაც შვენიერებად
მთელი ქვეყანა დღეს აღიარებს...
რომელიც საქმროდ, თუ არ უძლეველს,
სიახლოვესაც არვის იკარებს?

მჭედელი

ჰო! ჰო! სწორეთ ის! და შენც გეტყობა,
რომ საჭიდაოთ გამონყობილხარ!..
ახლა შენც სხვების ბედი მოგელის,
თუ სხვა ვარსკვლავზე არა შობილხარ!.. (დაფიქრდება)
მაგრამ სხვა ბედის კი უნდა იყო... (ამოიხვნეშაეს)
ტყვეობის მიტომ აღარ მრცხვენია...
თვარა სხვა ბევრი შენისთანები
უროთი დაბლა დამიწვენია...
და შენ კი იმ დროს შემომეპარე,
რომ არ შემეძლო ამოღება ხმის,
მოსაგერებლათ ხელის ხმარება
და მით გატეხა მჭედლების აღთქმის.
დღეს არის სწორეთ ამირანის დღე
და ვამაგრებდი იმის ჯაჭვ-პალოს.

იაზონ

ვინ ამირანი?... რის პალო-ჯაჭვი?!
ნუ გრებს... ნუ ხლართავ სიტყვებს უბრალოს!..

მჭედელი

გეტყობა მეტად შორეული ხარ,
რომ ამირანზე არა იცი რა.
ვაშკაცი იყო ის უძლეველი,
ღმერთებთან თავი არ დაიმცირა!..
წინასწარმჭვრეტი და შორსმხედველი,
ჯინჭვლებს სამართალს დაბლა უჭრიდა
და მაღლა ღმერთებს, ყოვლის შემძლებლებს,
შეუპოვრობით თავს არ უხრიდა.
გარისხდენ ურჩზე, შური იძიეს
და ცხადათ მტრობა რომ ვერ გაბედეს,
მხოლოდ ღალატით დაიმორჩილეს
და მიაჭედეს ამირან მთა-კლდეს...
მათი ბრძანების ასასრულებლათ
ვერვინ შეახო ვაგლახათ ხელი,
რომ მიეჭედა!.. სანამ არ გაჩნდა
ერთი გრძნეული კოჭლი მჭედელი...
იმ დღიდან კლდეზე მიჯაჭვულია,
ველარას შველის მისი გონება...
მაგრამ ურჩი და შეუპოვარი
ღმერთებს კი მაინც არ ემონება!
მიჩენილი ჰყავს შავი ყორანი,
ის არ ასვენებს... უფრთხოვს მწარე ძილს,
ბრწყალეობით უპობს გულ-მკერდს დატანჯულს...
ნისკარტით სწინკნის ყოველდღე გულ-ღვიძლს!
მაგრად შებმული და მიჯაჭვული
მოსაგერებლად ვერ ხმარობს ხელებს,
მაგრამ თან ახლავს პატარა ფინა,
ის ულოკავს წყლულს და მით უმთელებს...
როდესაც ტკივილს ველარ აიტანს,

მაშინ ინძრევა, რომ აინყვიტოს
და, კოჭლ მჭედელზე გარისხებულმა,
რაც მჭედლები ვართ – სულ ამოგვწყვიტოს!..
მაგრამ დღეის-დღეს ჩვენ ყველა ერთად
სამჯერ ზედიზედ, უზმოთ და უბრათ,
კვერს ვურტყამთ გრდემლზე, რომ შერყეული
პალო ჩაერჭოს ისევე მაგრათ...

იაზონ

საკვირველია! ახლა მითხარი
მედიაზედაც რამე ამბავი!..

მჭედელი

არა ვიცი რა ბევრი და ტყუილს
მაინც ვერ ვიტყვი, გინდ მომჭრა თავი!
ეს ვიცი მხოლოდ, რომ მამიდა ჰყავს
მაგას გამზრდელი დიდი გრძნეული:
ცა და ქვეყანა ხელის გულზე აქვს
გამოცნობილი, გამოკვლეული!
სიკვდილ-სიცოცხლის მბრძანებელია...
ავი და კარგი არ გაეცდება...
რომ გაუსწორდეს მაგას სხვა ვინმე,
ტყვილად ნუ ჰფიქრობს და ნუ ეცდება.
ამბობენ: ვითომც, ერთხელ, ბოროტ სულს
მტრობით ეცდინოს კეთილი სული...
და თირთაია ბატონიშვილი
იყოს იმათი ღვიძლი ასული.
იმან იშვილა პირმზე მედია...
მისი გაზდილი და განვრთვნილია;
გრძნეულობითაც სახელგანთქმული,
თუმც ხნოვანებით ჯერ ყმანვილია.
თან შეზდილი ჰყავს მას ძიძის შვილი
დაზე უტკბესი, უსაყვარლესი!..
ერთად ეძებენ ორივე წამლებს,

ჯამ-ჭურჭლებშიაც ერთად ჩამლესი.
ამაზე მეტი თუ გსურს შეიტყო,
აგერ ხომ ხედავ ხეს, ქვეშ დედაბერს?
ის მოიკიდე შენ დედობილათ,
მაშინ გაიგებ მისგან ყოლიფერს.
მიდი, უკბინე მძინარს ძუძუზე
და მიაძახე: „კმარა ძილი-თქო...
ნუ გასტებ ქვეყნის ძველ ჩვეულებას,
შენ დედა იყავ და მე შვილი-თქო!“

იაზონ

ვინ დედაბერი! ვინ იაზონი!..
და უსუსურად ძუძუზე კბენა?!
მაგრამ სურვილი ძლიერი არის,
ვით ჰერკულესის მძიმე მარჯვენა!
(მჭედელს ხელს უშვებს. მიდის ძიძასთან და ძუძუზე ჰკბენს)

ძიძა (წამოვარდება დამფრთხალი)

ვინა ხარ? და ან რა სულიერი?

იაზონ

უცხო ქვეყნიდან გადმოხვენილი!..

ძიძა

რა გინდა ჩემგან?

იაზონ

 ის მინდა მხოლოდ:
შენ დედა იყო და მე კი შვილი...
ნუ მეტყვი უარს, დედა-შვილობას!..

ძიძა

რისთვის გარჯილხარ, რა გაქვს სურვილი?

იაზონ

რომ ვიჭიდაო და მოვიპოვო
ან მედეია და ან სიკვდილი!..

ძიძა

ტყვილა გამცდარხარ... ვერას გახდები!..
მომსვლელი სხვებიც ბევრი მინახავს,
მაგრამ წამსვლელი კი აღარავინ...
აქვე სტოვებენ ჩვენს სარებზე თავს...
ამ მაღალ სერზე რომ გადიხედო,
ძირს გამოჩნდება ქალაქი „ია“,
სადაც თანასწორ ზაფხულ და ზამთარ
გადაშლილია ვარდი და ია,
იქ დაინახავ ერთ დიდ სასახლეს,
ოქროს გალავნით გარსშემოზურულს,
და მის უთვალავ მესერ-სარებზე
კაცის ხმელ თავებს მაგრათ ჩამოცმულს.
ისინი ყველა მედიას სურვილს
გადაჰყოლიან... უსინჯავთ ბედი!..
შენც, შვილო, მათი დღე დაგადგება,
შენც მოგატყუებს გიჟი იმედი..

იაზონ

არ მეშინია, ნუ შესწუხდები!..
შენ მხოლოდ მარტო ის კი მასწავლე,
თუ როგორი გაქვთ წესი და რიგი,
რომ მოციქული მივგზავნო მალე.

ძიძა

მაგისი, შვილო, არა ვიცი რა...
ვერც დაგპირდები, იცოდე, შველას,
იასირ ნახე, ბატონი შვილი,

და ის გიამბობს, რაც გინდა, ყველას.
 აქვე იქნება მახლობლად სადმე,
 უყვარს ჭალებში ბურთის გაგდება...
 ჯერ თუ არ არის კიდევ მოსული,
 უეჭველია, მალე გაჩნდება.
 მიდი, როგორმე დაუძმობილდი:
 თავს შემოეველე, აკოცე მხარზე,
 და ის გაგინევს შენ მეგობრობას,
 თვითონ მიგიყვანს სასახლის კარზე. (ტყვიდან ხმა მოისმის)

ერთი მხრიდან ხმა

უუუ! სად ხარ, ძიძავ?

მეორე მხრით ხმა

უუუ! სად ხარ, დედავ?

ძიძა

ჩუ! მეძახიან. (მალლა აიხედავს) ამოსულა მზე... (იაზონს)
 შენ, შვილო, ბევრს კი ნუ აგვიანებ,
 ახლავე წადი საბურთალოზე! (შედის ტყეში)

იაზონ (მარტო)

რაები მესმის! საკვირველებით
 სავსე ყოფილა აქაურობა!..
 გმადლობ, პელეოს,¹³ რომ შენ მიჩრჩიე
 ხანგრძლივი... შორი მოგზაურობა...
 (დიდხანს დაფიქრებულია. მერე თავისთვის)
 თვარა ეს არის ის მედეია,
 ოთხივე კუთხით ქვეყნად განთქმული,
 ვის გულისთვისაც ამდენმა გმირმა
 აქ უპატრონოდ დალია სული,
 ისე, რომ მკვდართა საოხებელი

აღარ რგებიათ, რიგი და წესი:
 არც ცრემლით მოთქმა, არც სისხლი მსხვერპლად,
 ღმერთებისათვის ტკბილზედ უტკბესი?!
 გვამი დაეხრწნათ, როგორც პირუტყვებს,
 უპატიურად და დაუნველად!
 თავი ბურთივით გასაგორებლად...
 მაღალ სარების წვერის სარქველად!
 მათი სულები უკუნ-ბნელეთში
 მსხვერპლს მოელიან, შფოთვენ, ნვალობენ
 და, ნათლის შუქის ვერ შემბედეველი,
 ღამ-ღამით ქვეყნად დატანტალობენ...
 ხან ერთს აფრთხობენ და ხან მეორეს,
 ვისაც კი შიში შეუვა გულში,
 და, მამლის ყვილს რომ ყურს მოჰკრავენ,
 მიისწრაფიან ისევ უფსკრულში...
 ვაი, თუ მათი დამადგეს მეც დღე,
 ვერ მოისვენოს ჩემმაც აჩრდილმა!
 ნუთუ მიმტყუნა და ამატროვა
 ბედმა, მიკბინა მწარე სიკვდილმა? (დაფიქრდება)
 არა!.. არ შევინს გმირს აჩქარება...
 ვერ გავიმეტებ ვერც ხორცს და ვერც სულს!..
 მივყვები რჩევას იმ დედაბრისას
 და გამოვნახავ სადმე უფლისწულს,
 რომ ჩვეულების მიხედულობით
 დავუძმობილდე, დავემეგობრო
 და შესასწავლად ამ უცხო მხარის
 გამოვიყენო უფრო მეტი დრო!..
 შევიტყო ხალხის რიგი და წესი,
 ავწონო მათი ზნე-ჩვეულება,
 ღმერთებს მივმართო და ჩემ სურვილებს
 შევუკავშირო მათი უფლება...

ფარდა

მოქმედება მისაგე

სცენა

(შუაგულ ტყეში ნალკოტი. ერთ მხარეს, აღმოსავლეთისაკენ, გექადას საყუდარი და კაბდელების სადგურები. შუაში დიდი მუხა, „ჭყონდიდად“ წოდებული. წინ თლილი ქვის სამსხვერპლოა, სადაც ასვენია „შარავანდედი“, ოქროს გულად გამოქანდაკებული: ერთ გვერდზე დიდი თვალი აზის და მეორეზე ყური. ირგვლივ ოქროს სხივები აყრია. აქვე მახლობლად სვეტზე კაცია მიკრული, წითელ სუდარაში გამობხვეული)

გამოსვლა I-ლი

(შემოდის იაზონ დაფიქრებული. ათვალეირებს)

იაზონ

საიდან და სად ჩამოვარდნილვარ?!
აღარც ძილი მაქვს... არც მოსვენება!
აქ, ვხედავ, ყველა ცხადი ყოფილა,
რაც იქ მეგონა სიზმარ-ჩვენება!..
ღმერთების ნალკოტს მიმსგავსებია
საკვირველებით სავსე ქვეყანა,
და გრძნეულ ხალხის ყოფა-ცხოვრება
ხვანჯ-ნასკვი არის და გამოცანა...
თვით მედია, მთელი ხმელეთის
საოცნებო რამ, ტკბილი ზღაპარი,
ვით გადამეტი საკვირველების
სანათელ-სხივო არის ლამპარი!
თვალის მომჭრელი, ხელშეუხები
მახე, გმირების მიმტყუებელი,
სარკე სიცოცხლის და ნეტარების,
მაგრამ სიკვდილის მაჩვენებელი!..
მისკენ მივყავარ მეც ბედს... და ვხედავ,
რომ ფეხს წაამტვრევს ჩემი გმირობა,

თუ ხერხს მეც ხერხი არ შევუფარდე
და არ დავცარე მათი პირობა... (დაფიქრდება)
რათ დავარღვიე გმირობის წესი:
ვეშვილობილე ვილაც დედაბერს
და სუსტი ბავშვი ძმად მოვიკიდე,
თუ ვერ შევიტყობ მათგან ყოლიფერს?!
მართალი არის, ბევრი რამ მითხრა,
მაგრამ ეს ყველა მაინც არ კმარა!
ვნახოთ, რას გვეტყვის დღეს სხვასაც კიდევ!
აქ დამინიშნა... აქ დამიბარა...
აი, ფეხის ხმა!.. მგონია, მოდის...
არა, სულ სხვაა! დავიმალები! (ეფარება ხეს)

გამოსვლა მეორე

(მთავარ-კაბდელი გამოდის. უკან აჩრდილივით ვილაც მოსდევს შორი-
ახლოს. ცას შეჰყურებს)

კაბდელი¹⁴

ამდენი ჭვრეტით, მაღლა ყურებით,
გამომიშტერდა მხოლოდ თვალები,
და მაინც ბევრი ვერ გავიგე რა,
სულ არეულან დღეს ცის ბურჯები:
„სასწორი“ მეტად დაბლა დახრილა,
„ვერძს“ დაბნევა სავალი გზები...
„ლომი“ შემკრთალა, „კირჩხიბი“ არ სჩანს
და „მოსისხლესაც“ მისი ისარი
პირდაპირ დაბლა დაუშვერია,
რომ დედამინას თავს დასცეს ზარი!..
ეს ყველა კარგს რომ არ მოასწავებს,
ძნელი არ არის ამის შეტყობა,
მაგრამ ვინ არის ხელის შემშლელი?
რაც იყოს, იყოს! რა გაენყობა!
ჩვენ მაინც კიდევ სოფლიურ ძრახვებს

უარს ვერა ვყოფთ! ვერ ავალებთ ხელს!..
 როგორც გვიზორავს, ისევე ვზორავთ
 და ვინუგეშებთ მით ნუთისოფელს. (აიხედავს მალლა)
 გათენებამდი არა დარჩა რა! (მეორეს)
 კაცუნო! დროა... უნდა შეხვიდე!
 უგნური ქვეყნის ავი და კარგი
 ახსენი ყველა და გადასწყვიტე! (იციინის)
 ხომ გახსოვს მტკიცედ, რაც დაგარიგე? (მერე თავს უქნევს)
 ნურაფერს იტყვი გარკვევ-გადაჭრით!..
 როცა პირდაპირ გკითხავენ რასმე,
 შენ გადუხვიე მაშინ სულ სხვა მხრით,
 რომ ბოდვას ჰგავდეს შენი პასუხი
 და შიგ არ იყოს არც „ჰო“, არც „არა“...
 მერე მე ვიცი იმათი ახსნა...
 ხომ გესმის?.. აბა, შეძვერი ჩქარა!..
 (გამოაღებს სამსხვერპლოს უკანა საიდუმლო კარს და შეაძვრენს)
 (მიიხედავს) ეს ვინლა კენესის? ჰო... ტყვე სამსხვერპლო!

ტყვე

მიშველეთ! წყალი! გამიშრა პირი!
 (კაბდელი ყურადღებას არ აქცევს, წასვლას აპირებს, იაზონ დაიჭერს)

იაზონ

შეჩერდი!

კაბდელი

ვინ ხარ? (შეშინდება)

იაზონ

არ წადგა ბიჯი!..
 ხმაც ჩაინწყვიტე, ტყვილა ნუ ყვირი...

კაბდელი

ვინ ხარ?

იაზონ

ელლინი!

კაბდელი

უცხოს რა გინდა
 ასე უდროვოდ ამ წმინდა ადგილს?

იაზონ

ის მინდა, რომ ან ბოლო მოვულო
 თქვენს ცბიერებას... საქვეყნო ტყუილს!..

კაბდელი

როგორ თუ ტყუილს?!

იაზონ

ეგ ვინ დამალე?

კაბდელი

ღმერთების სიტყვას ვინც იმეორებს!..
 ქადაგ-მკითხავი.

იაზონ

თქვენი რჩევით რომ
 ხალხს მოატყუებს და მოალორებს?..

ყველგან ერთი ხართ, წვერებწყეულო!..
სუყოველ მხარეს და ყოველ ერში:
ცბიერი, ქვეყნის თვალის ამხვევი,
მოხერხებული ყოველიფერში!..
მაგრამ ახლა კი გიმტყუნათ ბედმა...
ჩაგიგდე ხელში!.. ველარვის ავნებ!..
მაგ თქვენს... და ვითომ უმაღლეს ძალას
დღესვე საქვეყნოდ გამოვამჟღავნებ!..

კაბდელი

შენ რას დაეძებ ჩვენს ყოფა-ქცევას,
გადაღმელო და გადამთიელო?!
ის არ სჯობს შენთვის, რომ შენს ქვეყანას
გამოესარჩლო და მიეშველო?

იაზონ

აქაც მე ჩემი ანგარიში მაქვს...
სხვა რამეს ვეძებ და გამოველი!
შენც სსსუ! და მეც სსსუ! სჯობს, რომ ერთმანეთს
საშველათ მივცეთ ორივემ ხელი.
მე ვარ მემკვიდრე თესალიისა,
იაზონია ჩემი სახელი;
მედისათვის გადმოვხვეწილვარ
და დახმარებას შენგან მოველი.

კაბდელი (სიტყვას აწყვეტინებს)

ის გინდა, რომ მაგ შენ ქვენა სურვილს
ზეცით ღმერთებმაც დართონ თანხმობა? (დაფიქრდება)
ჰმ!.. ძნელი არის! როგორ იქნება
ერთად სულის და ხორცის დაგმობა?!

იაზონ

ეგ შენვე იცი!.. ნაცვლად მოგელის
საუნჯე, შენი თავისვე წონა!

კაბდელი (დიდხანს ფიქრობს)

რა გაენყობა! ბრძანე, რაცა გსურს!
შენ უფალი ხარ, მე შენი მონა!..

იაზონ

წადი „არგოზე“, აქ დაპირებულს
სრულად მიიღებ... მეც მოვალ მაღე.
ეს ტყვეც აუშვი, თან წაიყვანე,
გაპარვა ღმერთებს გადააბრალებ!..

ტყვე (აუშვებენ. იაზონს)

ჩემო დამხსნელო!..

იაზონ

დროს ნულა ჰკარგავ!
ამას წაჰყევი, თან იახელი, (წასჩურჩულებს)
გზიდან რომ არსად გადაუხვიოს.
მარჯვედ კალთაში ჩაჰკიდე ხელი! (კაბდელს)
შენც სსსუ და მეც სსსუ, ხომ კარგად გახსოვს?
სიტყვის გატეხა ახლა ძნელია!..

კაბდელი

მეტი რა გზაა?.. სწორედ ღმერთებს სურს!
წავიდე ჩქარა, სანამ ბნელია! (მიდიან, იმალება)

იაზონ (მარტო)

ჩემმა ძმობილმაც დაიგვიანა...
ჩუ! კიდევ რალაც ხმაურობაა!
არ მინდა მნახონ... (შეჩერდება. ფიქრობს)
ვითომ მე ვარ ტყვე...
(გამოეხვევა წითელ სუდარაში და მიეყუდება სვეტს)
რომ ვინმემ მნახოს, რა ხუმრობაა?!

ბამოსვლა III-მე

(შემოდინან მედია და ძუძუდა)

ძუძუდა

ადრე მოვედით... არავინა სჩანს,
საყუდრის კარი დაკეტილია...
კაბდელეებს სძინავთ...

მედია

კიდევ ინათლა
მტრედისფრად ცამ და რა დროს ძილია?

ძუძუდა

არა გვიშავს რა... სჯობს, შევისვენოთ...
ცოტა არ იყოს, დაღალული ვართ!..
გულამომჯდარის და დაქანცულის
ლოცვა-ვედრება არც ღმერთებს უყვართ.
(დაჯდებიან ქვის საჯდომზე)
ნეტავ რას ბძანებს დღეს ბატონის და,
ჩვენს ნამუშევარს რომ ველარ ნახავს?

მედია

იჰ, ვილასა აქვს იმისი გული?
ახლა მაგისტვის არ მოვიკლავ თავს...

ძუძუდა

კიდევ ეგ არის, რომ ჩვენ თვალყური
სხვა მხრით გვიჭირავს... სულ სხვას დავეძებთ
და სადღა ვნახავთ ამირანის ცრემლს
და ან ყვავილებს როგორღა მოვკრებთ?

მედია

რა ვქნა, დობილო, დღეს წყაროშიც კი
არ დამინახავს ეს ჩემი სახე!
სამაგიეროდ ის მეჩვენება!
ის წარმომიდგა... ის დავინახე!
ყოველთვის... ყველგან თვალწინ მიდგია...
ლოცვის დროს ღმერთსაც წინ დაეფარა...
ვერ გამოგია, რა მემართება,
ეს უცნაური რა შემეყარა!..

ძუძუდა

სიყვარულია, სხვა არაფერი!
იმან გაგმჭვალა და დაგიმონა.

მედია

ნუთუ ეს არის? წარმოიდგინე,
რომ სიყვარული სულ სხვა მეგონა!..
მაშ, იასირი შენც ისე გიყვარს?

ძუძუდა

არა!.. სულ სხვაა ის სიყვარული:
ჩვენ ერთმანეთი გვიყვარს და-ძმურად
და შენ სხვა გრძნობით ხარ გამჭვალული...

მედია

მერე რა გიკვირს? ცოტა მინახავს
უცხოქვეყნელი, ჩემთვის მოსული,
რომ მე სუყველას ვეკრძალებოდი,
არ მიმდიოდა არც ერთზე გული?!
ეს, ვიცი, მხოლოდ მოჩვენებაა
და მაინც ასე დამრია ხელი!

ლამის გადავყვე თან ფუჭ ოცნებას...
იმას დავეძებ... იმას მოველი!

ძუძუდა

მართალი არის, რომ იმ დღეს ვნახეთ
ისე უძრავად გაქვავებული,
მაგრამ მე მაინც კაცად მეჩვენა
და ახლაც ვარ დარწმუნებული.
არ შეიძლება, ამ მოკლე ხანში
რომ არ გამოჩნდეს ხელახლა სადმე!..
და, თუ ჩვენება იყო, გულიდან
შენც გადაიგდე... როგორმე დასთმე! (გაიხედავს ტყისაკენ)
ხედავ იასირს? ამ დილაადრე
რამ გააღვიძა, ვინ ააყენა?

გამოსვლა IV-ხე

(ისინივე და იასირ)

იასირ

ო, გამარჯობა! აქ რა გინდოდათ?
თქვენა ხართ მართლა, თუ მომეჩვენა?!

მედია

რა გაგიკვირდა? ლოცვა გვინდოდა,
მაგრამ ჯერ ცოტა ადრე დაგვირჩა...

ძუძუდა

შენ დღეს როგორღაც მხიარულათ ხარ,
ცმუტავ და დახტი, როგორც რომ სკვინჩა!..

იასირ

მედია, იცი რა უნდა გითხრა?

მედია და ძუძუდა

რაო?

იასირ

კარგი რამ, რომ გაგაოცო! (ყურს უგდებენ)
ერთი ვილაცა... მაგრამ არ ვიტყვი,
სამახარობლოთ უნდა მაკოცო!..

მედია

რა დროს ეგ არის?

იასირ

არ მაკოცებ და,
დედა მომიკვდეს, თუ რამე გითხრა!..

მედია (ჰკოცნის)

ჰა, გიჟო, გიჟო! არც ახლა იტყვი?
რა შეგიტყვია, გვიამბე ჩქარა!

იასირ

მოსულა ვილაც უცხოქვეყნელი...
მაგრამ რას ვამბობ? კინალამ წამცდა...
შენ რომ მოგიყვე, მარტო ხომ არ ხარ?
და გაიგონებს ყველას ძუძუდა!..

მედია

განა მაგასთან კი არ ითქმება?

იასირ

არა, სანამდის არ მაკოცნიებს!..
მერგება კიდევ... რომ გაიგონებს,
გაუკვირდება და ბევრს იცინებს,

ძუძუდა

მე საყიდელი არაფერი მაქვს!

იასირ

არ გაქვს და კარგი! რა მენალვლება?
მე ჩემთვის, აჰა, და თქვენ თქვენთვისვე!.. (ძუძუდას)
ვნახოთ, ვინ გეტყვის?! (ვითომ მიდის)

მედია (ძუძუდას)

რა გენალვლება,
ერთი გაკოცოს, ჩემო დაია!

ძუძუდა

ეჰ, შენთვის, თვარა არ ვაკოცინებ,
გინდ დამაყაროს ვარდი და ია...
(იასირ მივარდება და ჰკოცნის)
(ძუძუდას ვითომ უნდა მოიშოროს)
გეყოფა! კმარა ჩვენი პირობა
ამდენი, გიჟო, რომ არ ყოფილა?

იასირ (იცინის)

რა გაენყობა! სულმა წამძლია,
როცა ეს ერთი მეტად მეტკბილა...

ჰეე, ახლა გეტყვით: ერთი მთავარი
კარისკაცებით ჩვენში მოსულა,
იმისი მსგავსი შვენიერება
არც გაგონილა და არც ნახულა!..
მე გავიცანი, – გადამეხვია,
თავს შემომეველო, დამეძმობილა...
როგორც შევიტყვე მაგის ამბავი,
თურმე, ვინ არის და ვინ ყოფილა?
მთელ საბერძნეთში არ დარჩენილა
მაგისი ტოლი და შესაფერი!
და მაგის ხათრით სულსაც ვერ ბერვენ
ვერცა მოყვარე და ველარც მტერი!..
ნავით მოსულა, ფასის წყალში დგას,
იქ წამიყვანა და, რომ შევედით,
ზეზე წამოდგენ მისი მხლებლები...
მე კი მაშინვე მომისვა გვერდით;
მერე უბრძანა ყველას დაჯდომა,
უამბო ჩვენი დამძობილება.
თავი დამიკრეს და მომილოცეს,
შევატყვე ყველას კმაყოფილება...
ყველა მათგანი თავ-თავის თავად
ყოფილან, თურმე, შესანიშნავი:
ნავში სცხოვრობენ სუყველა ერთად,
და არც მინახავს მისთანა ნავი!..
ერთი მათგანი მოსაკრავა,
ისე ხმატკბილათ აჟღერებს ჩანგურს,
რომ მოხიბლული ცა და ქვეყანა
სულგანაბული უგდებს ხოლმე ყურს!..

მედია

ჩვენც რომ გვესმოდა, ის იქნებოდა!..

ძუძუდა

რალა თქმა უნდა!

იასირ

ნუ მართმევთ სიტყვას,
მეც გავიგონე მისი სიმღერა...
კლდეს გააპობდა... გახეთქავდა ქვას!..
რომ გამიკვირდა, სიცილით მითხრეს:
ჯერ არ გინახავს, ეს რა არიო?
საკვირველებით გატენილია
ჩვენი სამშობლოს მთა და ბარიო...
მაშ, ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ არ წავიდე
და ჩემი თვალით არ ვნახო ყველა!..
როცა მედიას წაიყვანებენ,
მეც თან წავყვები... თუ რომ მეშველა!..

ძუძუდა

მედიასო?!

მედია

მე?!

იასირ

ჰო, არ იცოდი,
რომ შენთვის არის აქ წამოსული?
ჭიდაობა სურს და მზათაც არის,
რომ მოგვიგზავნოს ხვალ მოციქული!..

მედია (შეშინებული)

არა, არ მინდა, რომ იჭიდაოს!
ალარ ვთხოვდები... არ მინდა ქმარი!
კმარა, რაც განყდა ჩემი გულისთვის...
ეგ მოინვიონ, როგორც სტუმარი!..

იასირ

რომ ნახო, მაგას ალარ იტყოდი...
გათხოვებაზე არ აიღებ ხელს!..

მარტო ერთ კოცნას მისას გემრიელს
მთლად შესწირავდი ორივე სოფელს!..
რომ იჭიდაოს, რა გენაღვლება?
გამარჯვება ხომ იმას ღარჩება?

ძუძუდა

ვინ მოგახსენა? ჩვენს მოჭიდავეს
ვინ გაუძლებს და ვინ გაღურჩება?

იასირ

ჩემი ძმობილი სულ სხვა კაცია!..
ის სხვებისთანა კი ნუ გგონია!..
ბევრი უნახავს ჭირიც და ლხინიც,
უძლეველობით თავმომწონია.

მედია

აქ რომ დამარცხდეს?

იასირ

არ შეიძლება!
როგორც ძმობილის, მინდოდა შველა
და საიდუმლო ამ ჩვენი მხარის
შევატყობინე მე იმას ყველა:
იცის, რომ მისი მოპირდაპირე
ქალია, მხოლოდ კაცად აცვია,
და, თუ ძუძუში მოავლეს ხელი,
ძირს დაეცემა, როგორც რომ ტყვია.

მედია (შეშინებული)

ეგ რა გიქნია?! ხომ დაგიღუპავს!..

ძუძუდა (შეშინებული)

და შენ მასთანვე კარგი არ გელის!..

იასირ

ჩვენ არვის ვეტყვი! ნურც თქვენ გაგვამხელთ
და მაშინ ყველას ღმერთი გვიშველის!
ის გაიმარჯვებს... ცოლად შეგირთავს,
ნაგიყვანს და მეც თან წამოგყვები!..
ძუძუდა, შენც ხომ ჩვენთან იქნები?
მედიას იქაც არ მოშორდები?

ძუძუდა (ღიმილით)

მე იქ რა მინდა? რათ წამოვიდე?
ვინ მთხოვს და ან ვინ მეპატიჟება?

იასირ (შემკრთალი)

რაო?! რას ამბობს, გესმის, მედია?.. (ძუძუდას)
იქ უშენობა როგორ იქნება? (თითქოს ტირის)

ძუძუდა

კარგი, კარგი! მეც თან წამოგყვებით,
როგორც იქნება... ძალით ან ნებით!..

იასირ

მართლა?.. ერთმანეთს არ დავშორდებით?
რა მიხარია! ერთად ვიქნებით!..
(მოავლებს ხელს ჯერ ერთს და მერე მეორეს, ჰკოცნის ხტუნვით)
ახლა კი წადით! უნდა მოვიდეს!..

მედია

ვინ?

იასირ

ის, აქა მყავს დაპირებული.

მედია

ვინ ის? არ იტყვი?

იასირ

ვინ და იაზონ,
ძმად და მეგობრად შეფიცებული!..
მიკვირს, აქამდეც რომ არ მოსულა!
თუ გადუხვია და გზა დაებნა?!
მეტი გზა არ მაქვს... უნდა წავიდე,
უდაბურ ტყეში დავუნყო ძებნა. (მიდის)

გამოსვლა V-თი

მედია და ძუძუდა (გაოცებულები დგანან)

ძუძუდა

რას გამოშტერდი? ხომ გაიგონე?
მისი სიცხადე არც ახლა გჯერა?

მედია

მესმის! და გონსაც ველარ მოვსულვარ...
გულმა არევით დამინყო ძგერა!
სული მეგუბვის... არ ვიცი, რა ვქნა?!

ძუძუდა

„შარავანდედთან“ მიდი, ილოცე,
უყვართ ძლიერებს მორჩილ-მონება!

მედია

(მიდის და მუხლებს მოიყრის „შარავანდედის“ წინ)
გულთამხილავო, მიშუამდგომლე
ღმერთებთან, ვნება გულის რომ ვძლიო!..

მედია

(უცხად წამოვარდება) ძუძუდა, გესმის ხმა განგებისა:
გადაარჩინე სიკვდილს მსხვერპლიო?..

ძუძუდა

აღბათ ღმერთებს სურთ, რომ საბრალო ტყვე
ახსნა, გაუშვა, თავს შემოივლო!

მედია

ავხსნა... გაუშვა... როგორ გავბედო
წინააღმდეგი ქვეყნის და რჯულის!..

ძუძუდა

მიდი, გაბედე... მონა არა ვართ
ღმერთების ნების და სასწაულის?
(მედია მიდის, უნდა ახსნას. იაზონ გადაიშლის სუდარს და გამოვა,
მედია შეკრთება).

მედია

უცხო სტუმარი! (უკან-უკან იწევს)

იაზონ

(ხელეზგაშლილი ბიჯს წადგამს წინ) მედია?!

ძუძუდა

აი, ოცნება და საიდუმლო!..

ფარდა ეშვება ნელ-ნელა

მედია

მოქმედება მეოთხე

სცენა

(ბუკსა სცემენ და საყვირის ხმა ისმის, ხალხი გროვდება საჭიდაოზე,
სასახლის წინ. ოქროს ტახტზე ჯდებიან მამასახლისი იათა და დიასახლისი
გეჟადა. მესამე ადგილი ცარიელია, იქვე მახლობლად მეორე მხრით თირთა
და მედია, ორივე სქესის კარისკაცები; ღირსეულები ჯდებიან და სხვები ფეხზე
დგანან)

გამოსვლა 1-ლი

(მესაკრავეები შემოუღძვებიან იაზონის მოციქულებს)

ერთი მათგანი

(წინ წადგება და თავყვანსა სცემს მამასახლისს)
მემკვიდრე ვინმე თესალიისა,
ძე აზონისა, იაზონ გმირი,
ვისაც სახელის მოსახვეჭელად
შემოუვლია ხმელეთის პირი,
დღეს აქ მოსული, მოკითხვას გიძღვნისთ,
უცხო კოლხიდის დიდო მთავარო,
და ისე სწყურის თქვენი დიდების
ხილვა, ვით მწყურვალს ირემსა წყარო!

იათა

კურთხეულ იყოს მისი სტუმრობა!
მოგეგებებით ჩვენც სიხარულით,
როგორც შეგშენის და მას შეფერის:
„კაბდულ“-გალობით, ზევსურ-მაცრულით...
შევახმატკბილებთ სხვადასხვა საკრავს:
წინწილ-სალამურს და საყვირ-ბობლანს,
რომ ჩვენ სასახლის ლიტანიობას
გულიც ქვეყნისა აძლევდეს ტკბილ ბანს!

მაგრამ ჯერ უნდა შეგვატყობინოთ
წინდანი მისი სურვილ-განძრახვა,
რომ ერთმანეთის არ გვეუცხოვოს
პირველი შეყრა, ნახვა-მოკითხვა!..

მოციქული

როგორც მზის შუქი ცა და ქვეყანას
მიეფინება და ანათებს ბნელს,
ისე მოუცავს მთელი სამყარო
თქვენი ასულის ბრწყინვალე სახელს!..
თვით აფროდიტა, ღმერთი შვენების,
შურით აღძრული ღვრის მწარე ცრემლებს
და ბედს უცარავს, უკარგავს ძლევას
გმირებს, მედიას თაყვანისმცემლებს!..
მაგრამ მაინც კი უკვდავის რისხვას
გმირები აღარ ერიდებიან,
მოისწრაფიან ყოველი კუთხით
ბედის საცდელათ და აქ კვდებიან!..
ერთი მათგანი არის იაზონ,
ბედის საცდელათ კარზე მომდგარი
და ითხოვს თქვენგან, ჩვეულებრივად,
სტუმართმოყვრობის გაულოთ კარი!
(თაყვანსა სცემს)

იათა

კეთილი! მაგრამ შეტყობილი აქვს
საყოველთაო მკაცრი პირობა?

მოციქული

შეტყობილი აქვს და არად აგდებს
ჯერ უძლეველი მისი გმირობა!

იათა

შემიყვანეთ! შევიდეს წრეში
ორივე მხრიდან გამზავებელი
და მოსამართლედ ჩვენვე ვიქმნებით,
რომ მათ უჯეროდ ვერ ახლონ ხელი!

(საკრავის ხმაა. ხალხი სულგანაბულია. ერთი მხრით იაზონ შემოდის,
მეორეთი მოქრი. გამზავებული შემოჰყვება. თაყვანსა სცემენ იათას)

ხმა ხალხში

კარგი ყოფილა!.. შვენიერია!

გექადა (იათას)

ცოდვას, სწორეთ, მაგის გალახვა!..

იათა (ჩურჩულით)

ახლა პირობა აღარ გატყდება
სასწორ-ლარია ვაშკაცის სიტყვა! (იაზონს)
შორით მოსულო, ბედის საცდელათ
და საჭიდაოდ მომზადებულო,
ნერგო სამთავროვ, ელლადის გმირო,
სახელმოხვეჭით ამაღლებულო!
შეხედე იმას, ვისთვისაც თავს დებ! (მიუთითებს მედიაზე)
თვალით ნახული შეუნონე თქმულს!
ნუ აარიდებ თვალს ნურც ამ სარებს
და ზედ ხმელ თავებს მწკრივად ჩამოცმულს!..
და, თუ მაშინაც არ დაგიშლია
და გული გირჩევს მაინც გმირობას,
შენი ნებაა!.. ჩვენ უბრალო ვართ!
ველარც ჩვენ შევშლით წესს და პირობას!..

იაზონ

მესმის, მთავარო!.. ხმა ერთ ქვეყნიდან
 სხვა ქვეყანაში გადატანილი,
 მრავალკეცდება და ფერადდება,
 გადახვანჯული, გზაში გაზდილი.
 მაგრამ კანონი, ეს საზოგადო,
 დღეს აქ ოდნათაც არ გამოდგება,
 რა არის მისთვის ქება უბრალო,
 ვისაც შეშენის ქებათა-ქება!
 ჩვენდამი ოდნად მოუწევიათ
 მხოლოდ მის სხივებს, ძლიერო მეფე,
 და მნათობი კი აქ დარჩენილა
 თვის ელვარებით, სხივმოიფე!.. (თაყვანი მედიას)
 გაფრთხილებისთვის, ჩემო ხელმწიფე,
 უგულითადეს გიძღვნით მადლობას!
 ეს ასე შვენის კოლხიდელების
 სტუმართმოყვრობას და მასპინძლობას!
 მე კი, ჩემი მხრით, სხვას ვერას გეტყვით:
 გამომივლია ხმელეთი და ზღვა,
 ბევრჯელ ჩავარდნილს მწარე საფრთხეში,
 არ ამცდენია შავბედის რისხვა!..
 მაგრამ ამ ჩემ გულს, გათამამებულს,
 ჯერ არ უგრძვნია შიში და სიმხდლე!
 და განა, სურვილ-გადიდებული,
 დღეს უნდა შევკრთე ყოველ ჭირთა მძლე?!

მოქრი

ბევრი მყოლია მოპირდაპირე...
 ჰკითხე ამ თავებს, თუ დამკლებია? (ხელს აშვერს სარებს)
 მაგრამ არც ერთი, უნდა გამოვტყდე,
 შენსავით ჯერ არ შემბრალებია!..
 შენს ღმერთს მიმადლე, გულს ნუ აჰყვები,
 გებრალებოდეს შენი მზეობა!
 თვითონ ღმერთებსაც არ შეუძლიათ,

რომ მოგანოდონ რამ შემწეობა:
 ელვის სისწრაფე და მეხის ძალა,
 თვით შემოქმედის ნება-განგებით
 მონიჭებული მაქვს ყველა ერთად!..
 ამას არ ვამბობ მე თავის ქებით...
 მხოლოდ გაფრთხილებ!

იაზონ

მაგრამ მე მაინც
 არაფერი მაქვს მეტი სათქმელი...
 სიტყვა გადავდვით!.. საქმეს შევუდგეთ!
 აჰა, ბურთი და ჰა, სარბიელი!..
 (დაუკრავენ საჭიდაოს და გმირები ერთმანეთს შეებმიან)

ხმა ხალხში

ჩვენი წააქცევს!.. ვინ მოგახსენა?
 ვერ ხედავ მაგის გულ-მკერდს და მხარ-ბეჭს?
 ის კი მაგაზე რაღა ნაკლეა?
 რომ გაიმეტოს, ქორივით გაგლეჯს!
 რომელი გაგლეჯს, ის ღმერთმა იცის,
 ჯერ კიდევ ძნელი შესატყობია...
 დღეს რომ თამამად ველარ ბძანდება,
 ჩვენს მოჭიდავეს კი დატყობია!..
 ხედავ, ერთმანეთს ერიდებიან?
 განზე დგებიან, უტრიალებენ.
 საყურებელი მაშინ იქნება,
 ერთმანეთს ხელს რომ წამოავლებენ!
 პო! პო! პო! პო! პო! შენი ჭირიმე!
 რა ვაშკაცურად მოავლო ხელი!
 რა გამოვიდა? ისიც მზათ დახვდა,
 არც ის დარჩება ხელცარიელი...
 ამდენ ჯახება-ტრიალ-ტრიალში,
 ვკონებ, სპილოსაც დაესხას რეტი!
 იმათ კი ბუზიც არ აფრენიათ,

უძრავად დგანან ისე, ვით სვეტი!
 წამოიკიდა! ვერ გადიტანა!
 ვერ ატყობ ბერძენს, რომ ეძალება?
 ჩვენი ატყუებს, ეთამაშება...
 იცის, რომ მალე დაილალება...
 ცუდათ ჩაავლეს ერთმანეთს ხელი
 და საძრაობას აღარ აძლევენ!..
 თითქოს ერთმანეთს შეაქვავდენო,
 ჯერ ერთმანეთის ძალას იკვლევენ...
 ეს ჭიდაობა აღარ გამოდის!
 სჯობს, გააშველონ, – უეჭველია!
 ჯერ შეასვენონ, მერე დასჭიდონ...
 ორივეს ძალა გამოეღია!..
 (აშველებენ და მერე ისევ ჭიდაობენ)

იათა (თავისთვის)

რა ემართება ჩვენს მოჭიდავეს?!
 როგორ ვერ სძლია, მიკვირს, ამდენ ხანს! (ხმამაღლა)
 რა ამბავია?! ვერ ხედავთ ხალხის
 ამ უზღელობას და ამდენ ყაყანს?!
 (იაზონი დააჩოქებს ცალ მუხლზე მოქრის)
 ფეხი აუსხლტა... და... გააშველონ! (აშველებენ)

მედია (თირთას)

ახლა რაღა დროს გაშველებაა,
 როცა ნახევრათ ნაქცეული ჰყავს?..

თირთა

ის უკეთ ხედავს!.. მისი ნებაა!.. (ანიშნებს იათაზე)
 შენ, როგორც გატყობ, აღარა ხუმრობ!
 უფრო ბერძნისკენ მიგინევს გული
 და ჩვენ შერცხვენას აღარათ აგდებ:
 გინდა, ის დარჩეს გამარჯვებული?

მედია

უსამართლობა არ ვარგა, თვარა
 ჩემთვის ერთია, ვინც უნდა იყოს...

თირთა (ღიმილით)

მაშ, გაამხნევე ტკბილი ღიმილით,
 მესამეთ ბრძოლა, როცა დაიწყოს!
 (ჭიდაობენ მესამეთ. მოქრი დასცემს ორივე მუხლზე იაზონს).

ხმა ქალებში

ვაი, სანყალი!.. გადააბრუნებს...
 რომ გააშველონ ახლა, მაღლია...
 (მოქრი გადააბრუნებს უპირებს, მაგრამ იაზონ ძუძუზე მოავლებს ხელს
 და დასცემს. ხმაურობაა)

ხმა კაცებში

ოჰო-ჰო-ჰო-ჰო! ხედავთ, რა უყო?!
 ეჭვი არ არის, წმინდათ დასძლია!
 (კაცებს წყენა ეტყობათ და ქალებს სიხარული)

იაზონ

მოკაკვე თითი...

მოქრი

გემორჩილები!..
 მეტი რა გზა მაქვს!.. დაცემული ვარ,
 მაგრამ, თუ ღმერთებს არა უთქვამს რა,
 სწორეთ, ღალატით გაცემული ვარ!
 რა გაენყობა! მინის შვილი ვართ!
 ერთი დრო ქვეყნათ ვის შერჩენია?
 ამდენი გმირის სისხლს, აქ დათხეულს,
 თუ მაზღვევინებ, ნება შენია!..

იაზონ (აუშვებს)

არა, არ მოგკლავ!.. გეყოფა! წადი!..
შემომივლიხარ თავზე სამადლოთ!
და, ვინც ღმერთებმა დღეს მომანიჭეს,
იცოცხლე იმის ჭირის სანაცვლოთ!...

იათა

მძლეველო, შენით ამაღლებული
სახელს იხვეჭავს შენთან ელლადა!
ეს ოქროს ტახტი, შეუხებელი,
ვითა ღირსეულს, შენ მოგელოდა!
გილოცავთ ყველა მაგ გამარჯვებას
და მოგიწოდებთ ტახტზე ჩვენს გვერდით!..
ქება-დიდება ყოვლის შემძლებელს,
მხოლოდ ლოდინში რომ არ ჩავბერდით!..
და მოგვევლინა სასიქადულო
დღეს უძლეველი სასიძოდ გმირი,
რომ შევასრულოთ ღმერთების ნება
და არ გავტეხოთ არც ჩვენი პირი!
(იაზონ ტახტზე ადის. ხალხი ვაშა-ვაშას იძახის)

გეჟადა

შვილო მედია, გასათხოვარ ქალს
შენის მოკრძალვა და მორიდება,
მაგრამ ცოლ-ქმრობის პირობა რადგანც
მთოვარის¹⁵ ნებით ცაში რიგდება,
ყოვლის უარის უთქმელად უნდა
დაემორჩილო „უქრობს და უშრეტს“,
იმ მიუწვდომელ სიმაღლიდან ვინც
ქვეყნიურ ავ-კარგს სიმართლით უჭვრეტს.
ბძანე, მოგართვან ოქროს გვირგვინი,
თვალშემკულობით სწორუპოვარი

და, ნიშნათ თქვენი მტკიცე ცოლ-ქმრობის,
თავზე დაადგი, ვით სანინდარი.

(ქალიშვილებს მოაქვთ ოქროს ხონჩით გვირგვინი. მედია წინ მოუძღვის.
იაზონ დაიჩოქებს, მედია თავზე დაადგამს გვირგვინს და გაბრუნდება)

გეჟადა

გილოცავთ, შვილო, ბედნიერებას!
შენს სურვილს ჩვენიც ტკბილათ დაერთო...
თქვენი სიცოცხლე, ჭირი და ლხინი,
ამიერიდან იყოს საერთო!

იათა

ისმინოს მზემან და ნუ მოგაკლოსთ
მისი სხივები და ელვარება!
მედიას სატრფო და საყვარელი,
ნაშობ შვილივით ჩვენც გვეყვარება.
(იაზონს) მედიასია ჩემ სამთავროში,
რასაც საკადრისს კი ვეგულები:
თვალ-მარგალიტი, ოქრო ქსოვილი
და ოქროჭედილ სამკაულები!..

იაზონ

ჩემო ხელმწიფე! ვინც ბუნებისგან
ქვეყნის საოცრად არის შემკული,
რა საჭიროა მისთვის ზედმეტი
მორთვა-მოკაზმვა და სამკაული?
თვით აფროდიტას სარტყელ-ქამარი,
რომლითაც ის თავს იმშვენს, იმეებს,
მედიას სრულქმნილ თვალტანადობას
ოდნათაც ველარ გააძლიერებს!
სულ სხვა რამე მაქვს შემოსავედრი,
როგორც ელლადის თქვენთან მოციქულს,
და ველი თქვენი დიდსულობისგან,

არ გამისტუმრებთ მე განზილებულს!
„ოქროსმატყლოვან“ ვერძს ვითხოვ თქვენგან,
უნდა ელლადას ის დაუბრუნოთ
და ორი ქვეყნის ძმური კავშირი
შეჰკრათ საერთოდ და საუკუნოთ!
მათ საკუთრებას რომ მათვე მისცემთ,
ამით მოიგებთ თქვენ ელლადის გულს!
მეც ცოტა სახელს... და მედია კი,
როგორც მიზეზი, – ქვეყნის სიყვარულს...

იათა

სიამოვნებით! მაგრამ რა ვქნათ, რომ
არ შეიძლება შეუძლებელი!
ზოგჯერ, ნამდვილის ველარ შემტყობი,
ჭორის ბუდეა ეს ცრუ სოფელი...
ჩვენ ქვეყნის ამბავს თქვენდამი მხოლოდ
ჭორად და ზღაპრად მოუწევია
და თქვენც მაშინვე დარწმუნებულხართ,
ისე, ვით ყოველ ერსა სჩვევია!
აქ რა უნდოდა საბერძნეთის ვერძს
და მასაც კიდევ ოქროსმატყლოვანს?¹⁶
ამგვარ ზღაპრებით კოლხეთელები
ბავშვებს ვაძინებთ ჯერ მცირეწლოვანს!
ტყავებით ვიჭერთ ჩვენ ოქროს სილას,
მდინარეების ჩამონატარებს,
ერთად ვაგროვებთ შესაკრებელში
და გარეშეებს ვუკეტავთ კარებს.
იქვე დაუდგამთ ჩვენ მამა-პაპებს
ვერძი ოქროსი, ხატჩამოსხმული,
ზეციურ ვერძის წარმომადგენლად
და მისვე სახედ გარშეკაზმული.
მნათობ ციურ ვერძს, კოლხეთის მფარველს,
ამით თაყვანს სცემს ჩვენი ქვეყანა!
და აჰა, თქვენი ტკბილად მხიბლავი,
უცხო ზღაპარი და გამოცანა!

იაზონ (დიდიხნის სიჩუმის შემდეგ)

თუ ხელქმნილია... ეგ უკეთესი!..
იმისი მსგავსი ჩამოასხით სხვა,
რომ აიცილოთ თავიდან ქვეყნის
სამდურავი და ღმერთების რისხვა!
და ეგ დიდი ხნის სადაო ნივთი
თან გაატანეთ თქვენ ქალს საჩუქრად
და გულნატკენი ზღაპრით ელლადა
მით გაიხადეთ ისევ მეგობრად!

იათა

კი, მაგრამ, შვილო, ვინ გამოიტანს?
არ ეკიდება ვაგლახად ხელი!..
ყოველ წამს და წუთს თვალყურს ადევნებს,
თავზე ადგია საშიში მცველი:
რქებმოჭედილი ბასრი ფოლადით
გარს უტრიალებს მას ორი კურო...
იმათი შებმა და მათთან ბრძოლა
ნურვის ჰგონია საქმე სახუმრო!
მეორე მცველად გველეშაპია,
პირიდან კომლის ამომსუნთქელი.
უნდა, ამ სოფელს გამოეთხოვოს
ზედ მიმბედავი, მისი შემბმელი!..

იაზონ

მე შევებმები, თუ თქვენც ინებებთ,
საშიშ მცველების არ მეშინია!..
განგებას ვინც კი არ გაუწირავს,
მისთვის ზღვა ჭაა, ლომი – ფინია.

გექადა (წყენით)

რას ამბობ, შვილო?! მათი მორევა
ხორცშესხმულს მალლით არ უწერია!

იაზონ

მხთალი, უნდობი მონყალე ბედის,
ნაცარქექია... თავის მტერია!
რათ მოვიმდურო მე ჩემი ბედი,
უხვად მომღები ჩემზე წყალობის,
და გავუნბილო მეცადინობა
ჩემთვის ღმერთებთან შუამდგომლობის?!

გექადა

დღევანდელ ძლევით გათამამებულს,
შენი გგონია ცა და ქვეყანა!
მაგრამ ვერ შეშლი იმ წესსა და რიგს,
რაც უძლეველმა ერთხელვე ბრძანა...
ყოვლის შემძლებელ მნათობთ-მნათობმა...

იათა (უკმაყოფილოდ აწყვეტინებს სიტყვას)

დედაკაცს მისცა სუსტი ბუნება,
რომელიც მარად ყურში ჩურჩულით
„არაო“ და „ნუ“ მას ეუბნება.
ურწმუნოა და ბუნების მგმობი,
გმირულ სურვილის ხელის შემშლელი!..
(იაზონს) შენი ნებაა, შეები, შვილო,
და მოგიმართონ ღმერთებმა ხელი!
რომ დაგიშალო, შენც არ დაიშლი!
ვხედავ, რომ რჩევით ვერას გავანყობ!

მედია (უცბათ წამოიძახებს)

აჰ, არა! არა! ნუ წახვალ!.. მოგკვლენ!..

იათა (მრისხანედ)

მედია!.. შენ აქ მეტი ხარ, გატყობ!..
(მედია მიდის თავჩალუნული, ქალთა დასი გაჰყვება)

(იაზონს ღიმილით) ეგეც ქალია! საეჭვოთა აქვს
შენი გმირობა და გამარჯვება,
მაგრამ რომ გნახავს ძლევამომოსილს,
გაუდიდდება ლხენა და შვება.
ყურს ნუ ათხოვებ და ნუ აჰყვები
საქალაჩუნო, სათუთ ქალის გულს!
წადი ახლავე, ნუ იგვიანებ
და ხვალ მოგელი მძლე-გამარჯვებულს!

(იაზონი ეთხოვება და მიდის. ხალხი დაიშლება. საკრავის ხმა და
ხმაურობაა. დარჩებიან მარტო იათა, გექადა და თირთა, რადგანაც
კარისკაცებს იათა ანიშნებს წასვლას)

გექადა

რათ გაიმეტე?! რისთვის ჩააგდე
მაგგვარ საფრთხეში ის ცოდვის შვილი?

იათა

მე რა ბრალი მაქვს? თვითონ ისურვა
და ავასრულე მისი სურვილი!

გექადა

კი, მაგრამ განა დაგავინყდა, რომ
ალარ ექნება მას იქ საშველი?

იათა

კარზე მომდგარი უბედურება
რომ ავიცდინო, მეც მაგას ველი!..

გექადა

რას ამბობ მაგას?! რა ხუმრობაა?!

იათა

მე იმას ვამბობ, რაც სათქმელია!
 ნუთუ შენთვისაც, ჩემო გექადა,
 შორსმჭვრეტელობა ისე ძნელია,
 რომ ველარ ხედავ ჩვეულებრივად,
 ბერძნის მოყვრობით თუ რა მოგველის?!
 ვისგან ნახულა ქვეყნად ნაშობი
 კრავი ფოცხვერის და მტრედი გველის?
 განთქმული არის ქვეყნად ბერძნების
 გაუტანლობა, უმადურობა...
 სხვა ქვეყნის ერის არად ჩაგდება
 და თავის ტომით მედიდურობა!
 სადაც ვერ ნახვენ მათ ქვეყნისებურ
 რიგს ცხოვრებისას, წესწყობილებას,
 ის ერი ერად არ მიაჩნიათ,
 ვერც გრძნობენ მათთან კმაყოფილებას!
 იმათი ქალი პირად მონებას
 ქმრისას ჯერეთაც ვერ აცდენია:
 კარდაკეტილში ზის, ართავს და ქსოვს...
 უმნიშვნელოა, ქვეყნის რცხვენია!
 კოლხეთის ქალი ქვეყნის შვილია,
 ქვეყნის ავ-კარგში მონაწილობით,
 რჯულითაც სხვაა, ჩვეულებითაც,
 შეუფერები ბერძნის ზრდილობით!
 წარმოიდგინე, რა დღე მოელის
 იქ ჩვენ მედიას, ცოცხალ-ცქრიალას?
 ეგ ვერ აიტანს ბერძნის ქალობას,
 ვერ დაიჩაგრავს სულ-ხორცის ძალას...
 აღარ ექნება წამს მოსვენება,
 იმ უცხოეთში ათვალწუნებულს,
 და, თავისიანს რომ ველარ ნახავს,
 ვილას მიანდობს სანუგეშოდ გულს?

თირთა

ეგ მართალია! მაგრამ მედია
 სიყვარულით რომ გამსჭვალულია,

ყველას აიტანს, შეისისხლხორცებს!
 სიყვარულს ბევრი რამ შეუძლია!

იათა

ჰმ... სიყვარული! ის წამიერი
 გრძნობა-გონების ცრუ გატაცება?
 ისე დაჭკნება, როგორც ყვავილი,
 თუ აღარ ებმის იქ, სადაც ება!

გექადა

ეგ ადრე უნდა გეფიქრებია,
 გვიანლა არის შეშლა პირობის!
 მით უმეტეს, რომ მოსისხლე ღმერთი
 თავდებ-მონამე იყო გმირობის.

იათა

ღმერთები ხედევენ გულში დაფარულს
 და გაარჩევენ ავ-კარგის მიზეზს!..
 მშობელ-ნაშობის ხორციელ კავშირს
 თვით არ უდებენ სამართალს და წესს?
 ვინ მომცა ნება, გავწირო შვილი,
 როცა წინათვე ვხედავ განსაცდელს?
 დეე, ღმერთებმა, რაც უნდათ, ის ქმნან!..
 მე ვერ დავაკლებ ხერხს და საცადელს.

გექადა

ქვეყანა?

იათა

დეე, ისიც მოსტყუვდეს...
 განა ძნელია ახვევა თვალის?
 ბრბო რას გაარჩევს, მყობადით მგრძნობი,

ყრუ გადასრულის, ბრმა მომავალის?
 ჯერ საქორწინოდ ვინყოთ მზადება,
 უმეტარ ქვეყნის დასანახავად,
 და, რომ მოგვივა ცუდი ამბავი,
 ჩვენც შევიცხადოთ ავი რამ ავად!
 გამოვიგლოვოთ! მერე კი ისევ
 ვიფიქროთ ქალის გათხოვებაზე,
 და მივათხოვოთ სიამით მცხეთის
 მამასახლისის შვილს, ჩვენ ნებაზე.
 გარნმუნებ, მხოლოთ გვარტომობაა
 თავმდეები ქვეყნად ბედნიერების,
 ჭირის და ლხინის მარად საერთოდ,
 შეთანახმების... შეთანსნორების.
 (თირთას) დაო, ერთგულო ჩვენი სახლობის,
 კეთილნადვანო, ნაამაგარო...
 ახლაც შეგშვენის, რომ ეს სურვილი
 გონების სხივით შენ გაამყარო:
 მედია შენ გყავს შვილათ გაზდილი,
 გემორჩილება და შენი სჯერა,
 დღესაც ურჩიე და შეაგონე...
 შენ ხელში არის მის ბედისწერა.
 (გექადას) და ჩვენ კი, ჩემო თანამეცხედრევ,
 ნავიდეთ ერთად! ღმერთებს მივმართოთ!
 ჩვენ ჩვეულებრივს ლოცვა-ვედრებას
 ზედ სინანულის ცრემლები დავრთოთ,
 რომ მოგვიტეონ უნებლიეთი
 ჩვენი შეცდომა, დანაშაული!
 შევსწიროთ მსხვერპლი სადიდებელი
 და დავიმშვიდოთ შემკრთალი გული! (მიდიან)

ფარდა

მოქმედი მხეხუთი

სცენა

(ძვირფასად მორთული სასახლე ოქროს სვეტებითა და ოქროს სელტახტებით. ოთხი კუთხით შადრევანები სცემენ)

ბამოსკლა I-ლი

(მედია შემოიჭრება ჯოხით ხელში და უკან ძიძა მოსდევს)

ძიძა

მოიცა, შვილო... აბა, რათ გინდა?
 შენ ისეც დახტი, როგორც კალია,
 და მე კი ფეხიც ვერ გადამიდგამს.

მედია

მერე და, ეგ რა ჩემი ბრალია?
 ჩემო ძიძუნა, განა არ იცი,
 რომ მოხუცებას ეგრე სჩვევია?
 ხორცშესხმულს სტუმრად არ აცილდება
 ავი სიბერე და შენც გწვევია.

ძიძა

და მერე მიტომ მართმევ მაგ ჯოხს, რომ
 ხელი შეუნყო ამ ჩემ სიბერეს?

მედია

განა სხვა ჯოხი არ იშოვება?
 გამოგიჭრიან ტყეში მეორეს...

ძიძა

კი, მაგრამ ეგ ხომ საკუთრად ჩემთვის
 შელოცვილია?! ნაჩუქარია!

მედია

სხვის ხელში მაინც ხომ ვერას გასჭრის
და, აბა, შენთვის რა სახმარია?

მედია

ვინ შეულოცა?

ძიძა

მამიდაშენმა,
გველ-უნასების მოსაგერებლათ...
თუ ეგ ხელში მაქვს, არ მეშინია,
დავდივარ ყველგან დაურიდებლათ.
ძალიანაც სჭრის: მაგის გასმულ ხაზს
შხამიანი რამ ვერ გადასცდება;
თუ მოასწარი, გარშემოხაზე,
მოიგვერგვება, რგოლში დარჩება.

მედია

კარგი ყოფილა! მაგისთანა რამ,
რომ გავთხოვდები, მეც დამჭირდება.

ძიძა

რათ გინდა, შვილო, მაშინ, როდესაც
სადედოფლო ტახტს ბედი გპირდება!

მედია

ვინ იცის?! ბედი ცვალებადია:
დღეს რომ ერთია, ხვალ კიდევ სულ სხვა!..

ძიძა

ღმერთები იყონ შენი მფარველი
და აგაცილონ ნყევა და რისხვა!..

მედია

მოიტა, შვილო, ნუ მაგვიანებ!..
უნდა მივხედო იქაურობას...

მედია

აჰა, ნაილე! არ გემეტება...

ძიძა

იჰ, ვენაცვალე მაგ შენ ხუმრობას!.. (მიდის)

ბამოსვლა II-რე

მედია და თირთა (შემოდის)

თირთა

რა ამბავია და რას საუბრობთ
მაგრე ხმამაღლა და აღტაცებით?
ან, სადაც არის, მამასახლისიც
გამობძანდება კარისკაცებით!..

მედია

ჯერ ხომ ადრეა და რას დავუშლით?

თირთა

მაინც, რა გქონდათ სალაპარაკო?

მედია (იცინის)

ძველი ამბავი, მაგრამ ძიძისთვის
გასაოცარი და საარაკო...
ჯოხი მიჩვენა გამოხარული,
რომელიც მისთვის გიჩუქებია!..

ასე ჰგონია, თუ ის ხელობა
ჩემთვის ჯერ არც კი გისწავლება!

თირთა

აბა, რა, შვილო?

მედია

გველის შელოცვა...
გამოსადეგი ჩემთვის, საჭირო,
რომ გათხოვილმა უცხო მხარეში
ხალხი გავკურო და გავაკვირო...

თირთა

„გათხოვილმაო“? აღარ უარობ,
დაგიჯდა ჩემი აზრი და რჩევა?
გისმინოს ზეცამ და ნუ მოგაკლდეს
ყოვლისშემძლებლის ლოცვა-კურთხევა...

მედია

თქვენ უკეთ იცით, ჩემთვის რაცა სჯობს!..
მე მხოლოდ მმართვეს დაგემორჩილოთ,
რომ ჩემ ბედს და თქვენს გამოცდილებას
მივენდო გულით საშვილიშვილოთ.

თირთა (აღტაცებით)

მაგას ველოდი შენგან, მედია!
გონიერი ხარ!.. შორს გამჭვრეტელი!
დღეიდან შენით თავს მოიწონებს
შენი მამიდა, შენი გამზდელი...
ჭკუის ურჩობა, გულის მონება,
საყოველთაოთ დედათ წესია,
მაგრამ მედიას ჭკუა-გონება

ყოველ გრძნობაზე უმტკიცესია:
არ გადაჰყვება ნამიერ გრძნობას,
პირველ საამოს, მერე სატანჯველს...
არც შეუფარდებს ცხადს, საოცნებოს
და საეჭველზე არ სცვლის უეჭველს...
ნადი, მიმართე საყდარ-სალოცავს,
მადლი შესწირე ყოვლის შემძლებელს,
რომ გაგიმტკიცა ჭკუა-გონება
და აგაშორა მხვედრსა მავნებელს.
მეც ნავალ, მშობლებს ვუმახარობლებ
მაგ შენ თანხმობას... შენს აღსარებას...
და შევუერთებ ჩემ სიხარულსაც
იმათ მშობლიურ დიდ ნეტარებას.
(თავისთვის) ოჰ, რა კარგი ხარ, ახალგაზდობავ!
გუშინ ტიროდა, დღეს მხიარულობს!
მხოლოდ ჭაბუკის, გამოუცდელის
სიცოცხლე მძლავრობს, და გული გულობს!.. (მიდის)

მედია (გააყოლებს თვალს)

არა, მამიდა! ყოველთვის ვერ სჭრის
ჩვეულებრივად ჭკუა-გონება:
როცა სურვილი გახელმწიფდება,
გონებაც გრძნობას დაემონება...
რომ დამიჯერე, თუ არ სურვილმა,
რამ შეგაცდინა და მოგატყუა?
სად არის შენი გამჭრიახობა
ქვეყნად გათქმული... და შენი ჭკუა?
ვინც მიყვარს, უნდა მას ვულალატო?
უარვეყო გრძნობა... გავტეხო ფიცი...
და ვილაც მცხეთის მამასახლისის
შვილი შევიერთო, რომ არც კი ვიცი?!
მამინ, როდესაც ახლა შევიტყვე
ცხოვრების სიტკბო... სიცოცხლის ფასი!..
და სიყვარულმა, მოუყირჭებელ
სამოთხის წყარომ, ამივსო თასი?!
არა, დიდია ჩემთვის ეს მსხვერპლი,

შეუძლებელი და უსაშველო!..
 გული, მეურჩე სიყვარულისა,
 ისე დასჭკნება, ვით ჩრდილი მდელი!
 (მივა სარკმელთან და გაჰყურებს დაფიქრებული)
 მშვიდობით, ჩემო ტკბილო ქვეყანა!..
 მშვიდობით, ჩემო სამშობლო მხარე!
 მშვიდობით, ჩემო სალოცავებო:
 მზევ, ვარსკვლავებო და ნაზო მთვარე!
 მშვიდობით, ჩემო კარგო დედ-მამავ!..
 ჩემო მამიდა და ჩემო ძიძა!..
 მშვიდობით. თვალთ რასაც კი ვსჭვრეტდი:
 ცაო, ფირუზო და ზურმუხტ მინა!..
 შევკონე ცრემლით სხვადასხვა გრძნობა
 და ჩავიმარხე ყველა ამ გულში,
 რომ გულთან ერთად გადამეტანა
 ერთ სხვა გრძნობაში და სიყვარულში.
 წარსულის, აწმყოს და მომავალი
 გრძნობის ის არის შესაკრებელი:
 იაზონია მისი სახელი,
 სიკვდილ-სიცოცხლეს ვისგანაც ველი...
 „შარავანდედის“ წინ მალღის ფიცით
 გავიერთძალეთ სული და გული,
 რომ სიკვდილამდე ერთს მეორესთან
 აღარა გვქონდეს რამ დაფარული!
 ჩვენს ფიცსა და მტკიცს, საშვილიშვილოს,
 დაშრიალებდა „ჭყონდიდი“ – მუხა!..
 ზეცამაც თვისი დაგვრთო თანხმობა:
 ცამ გაიღვა და დაიქუხა!..

გამოსვლა III-მე

მედია და იასირ (შემოიჭრება)

იასირ

მედია, მზათ ხარ?

მედია

აი, მოვდივარ!

იასირ

მაშ, მალე!.. მალე! ნუ აგვიანებ!..
 ეტლი მზათ არის და შენს თეთრ ჯორებს¹⁷
 მე თვითონ გავრეკ და გავაქანებ!

გამოსვლა IV-სე

ისინივე (და წინ შემოეფეთებათ სახლთხუცესი)

სახლთხ.

სად მიბძანდებით?

იასირ

სად და საყდარში!
 ვერ ხედავ, კიდეც გვიგვიანდება?! (მოდიან)

სახლთხ.

ჩქარა დაბრუნდით, თვარა, ხომ იცით,
 მალე ბატონიც გამობძანდება. (მიიხედ-მოიხედავს)
 კარისკაცები ჯერ არ მოსულან,
 და ბატონი კი არ აგვიანებს!..
 სჩანს, უჩვეულო რაღაც აშფოთებს!
 ვნახოთ, რას გვეტყვის და რას გვიბრძანებს!
 სუუ!.. მობძანდება!..

გამოსვლა V-თა

ისკე, იათა, გეჟადა და თირთა

(გამობძანდებიან მსლებლებით. კარისკაცები შემოვლენ სხვადასხვა მხრიდან. იათა, გეჟადა და თირთა ტახტზე დაჯდებიან. ორივე კუთხით კი ღირსეულნი. სხვები ზეზე დგანან)

იათა

ააა! სახლთხუცესო!

ახალს რას გვეტყვი?

სახლთხუცესი

კარგათ მყოფობას!

ღმერთებმა ძლევა ნუ დაუღიონ
თქვენს ბატონობას და თქვენს მეფობას!..

იათა

არა იცი რა?

სახლთხ.

ჯერ არა, მაგრამ

ამბის შემტყობი გაგზავნილია...
ან, სადაც არის, უნდა გიახლოსთ
და მოგახსენოსთ, რაც ნამდვილია!

იათა

უეჭველია, გუშინდელსავით
ძლევა მოსილი დაგვიბრუნდება!
თქვენ, დიდებულნი! წინ მიეგებეთ!
შეასხით ღირსი ქება-დიდება,
რომ საკრავების სხვადასხვა ხმები,

ერთ სალხინო ხმათ შეზავებული,
ცამდი უწევდეს და ტკბილად სძგერდეს
მისი გამგონე ამ ქვეყნის გული...
შედგენ სერებზე მეგანგაშენი,
საკიდისკიდო დასცენ საყვირი
და მთელ სამთავროს შეატყობინონ,
რომ მოგვევლინა სასიძოდ გმირი!..
გმირი, რომელიც უძლეველ ძალთა
დაიმორჩილებს და ითაყვანებს!

სახლთხ.

(რომელიც ერთ კარისკაცს ეჩურჩულებოდა)
აგერ, მთხრობელი კიდევ გხლებიათ!

იათა

შემოიყვანეთ! რას აგვიანებს?

გამოსვლა VI-სა

ისინივე და მთხრობელი

იათა

შენ ხარ მთხრობელი? აბა, რას გვეტყვი,
რომ მოგისაჯოთ სამახარობლო?
ჩვენი სასიძოს გმირულ განძრახვას
კეთილი მოჰყვა, თუ ცუდი ბოლო?
რამ დაგამუნჯა?! ენა ჩაგვარდა?

მთხრობელი

უბძანეთ, მომჭრან ცოდვილი ენა!..

გეჟადა

როგორ?! გვიმტყუნა განა დღეს ბედმა
და გაგვირისხდა ბრწყინვალე ზენა?!

იათა

დამარცხდა?

მთხრობელი

არა, ჩემო ხელმწიფე!

იათა (შემკრთალი)

მაშ გაიმარჯვა?! რა სათქმელია!

მთხრობელი (წყენით)

რაც, დამსწრეს, ჩემის თვალთ მინახავს,
ბატონო, რალა საეჭველია?
მამაცს, შეჭურვილს საგმირთაგმიროდ,
გვერდში მისდევდა ვილაც დამკვრელი,
მის ჩანგის ჟღერამ და ტკბილმა ჰანგმა
მოხიბლა, შეჰკრა მთლად მთა და ველი!
შავი მოზერების მოსახიბლავათ
მან თეთრი ძროხა წინ წაიძლოლა,
და მათაც, ვნებით დაქანცულეზმა,
ველარ შეიძლეს რქენა და რჩოლა!
მხეცებს დაუცხრო მან გულისწყრომა,
მოინადირა და მოცახიბლა,
და იაზონმაც სწორეთ ამ წამით
ისაშუალა და ისარგებლა... (სიჩუმე)

იათა

და გველეშაპი?

მთხრობელი

ბურთი ესროლა,
ლურსის გუდათი გამოტენილი,
და რომ ებღღვირა ძილის წამალი,
მას მოერიდა სამი დღის ძილი.

იათა (შეშფოთებული, მრისხანედ)

აქ ლალატია! წყეულიც იყოს
ჩემი ორგული!.. გამცემი ქვეყნის! (მოვა გონებაზე)
და გამარჯვებულს მეტი რა ეთქმის?
ასრულდეს მისი აზრი დიდი ხნის!..
სჩანს, რომ ღმერთებიც მისკენ ყოფილან
და ნდომებიათ მისთვის მედია...
ყოველი საქმის ბოლო გვირგვინი
ამქვეყნად მხოლოდ ვარსკვლავ ბედია!..
სად არის გმირი?

მთხრობელი

ის გაემგზავრა,
მხოლოდ სამშობლოს მადიდებელი...
წაიღო კრავი და მასთან ერთად
მთელი საუნჯე შესაკრებელი...
(საზოგადო აშფოთებაა, ყველანი ზეზე წამოცვივდებიან)

იათა (სასონარკვეთილებით)

ვაი, სირცხვილო!.. მთელი კოლხეთი
გახდა ბერძნების აწ სასაცილო!
ამ სასჯელს განა ის არ მერჩია,
რომ ვყოფილიყავ სულაც უშვილო?!
(თირთას) დაო! შენს გარდა იცოდა ვინმემ
ჩვენი სასახლის ის... საიდუმლო?

თირთა

მხოლოდ მედიამ და სხვამ არავინ,
ვით მცნება, მარტო საუფლისწულო!

იათა

მედიამ?! წადით, ეხლავ მომგვარეთ!..
რატომ არ არის აქ იასირი?

მთხრობელი

იმ ბერძენს გაჰყვა! იმასთან თურმე
საძმო-სამოყვროთ შეუკრავს პირი...

იათა

მდევარი!

მთხრობელი

კიდეც გამოვუყენეთ,
მაგრამ დაბრუნდენ ხელცარიელი!..

იათა

ჩქარა!.. მომგვარეთ! შემოიყვანეთ!
რა ამბავია, გავიგო!.. ველი!.. (შემოჰყავთ მდევარი)
გეტყობათ, მტერი გაგინყვეტიათ,
რომ ტყვეს ვერ ვხედავ ჩემთან მოყვანილს!
ჰმ?! რას გაჩუმდით? კრიჭა შეგეკრათ?..
რატომ არ გახსნით მაგ ჩასამტვრევ კბილს?!

მდევარი

ჩემო ხელმწიფე, როგორც გავიგეთ,
დაუყოვნებლივ მივდიეთ კვალში,

მაგრამ გაგვასწრეს, აუშვეს ნავი
და შეაცურეს შუაგულ წყალში.
ჩვენ სანამ კიდეს მივადგებოდით,
დაეშვენ წყალ-წყალ, იხვივით ცურვით!..
ჩვენ დავრჩით ხმელზე ხელცარიელი,
ტირილით, მოთქმით, ვაით და ურვით...

გამოსვლა VII-და

ისინივე (და ქალიშვილები შემოდიან)

ქალიშვ.

ვძებნეთ მედია და ველარ ვნახეთ!
იქ სალოცავში აღარ დაგვიხვდა...
მასთან ძუძუდაც აღარსადა სჩანს!
ძიძაც ბევრს ჰფიქრობს და ვერას მიხვდა!..

მდევარი

მედია ნავში იჯდა მტირალი,
თმა გაეშალა... უნუხდა გული!..
ძუძუდაც თავზე დასტრაილებდა
და აბრუნებდა, გამწარებული.

იათა

განა მედიაც მოუტაცნიათ?!

გექადა

რაში არა ჰგავს?.. ვინ იფიქრებდა?!
ნებაყოფლობით რომ გაჰყოლოდა,
რათ იჯავრებდა და იტირებდა?

მღევარი

იასირს ჰგლოვდენ!..

ყველა

როგორ თუ ჰგლოვდენ?! (გაკვირვებით)

მღევარი

აღელვებულ ზღვის დასამშვიდებლათ
თავისიანი რომ ვერ გასწირეს,
იასირ დასდევს ბერძნებმა მსხვერპლათ:
ჩაეგდოთ წყალში... ჩვენც შიგ შევცურეთ,
რომ სულთამბრძოლი გამოგვეყვანა,
მაგრამ, დავხედეთ და მკვდარი იყო,
ყელში გაერჭოთ მსხვერპლისთვის დანა!
თან წამოვიღეთ... (შემოაქვთ საკაცეზე დადებული)

გეჟადა

ვაიმე, შვილო,
თუ მამიშენის წყევლამ გინია!
აღარც დედაშენს უნდა სიცოცხლე,
ისიც შენთანვე დასამინია!
(უნდა გადავარდეს, მაგრამ ქალები იჭერენ. ეხვევიან გარს და
აბრუნებენ გულშენუხებულს)

იათა (ზარდაცემული)

მიმტყუნა ბედმა და მომდგენ მკაცრად
ცისა და ქვეყნის ძალთა ძალები!
ეს დასდგომი და დასაშრეტი,
ამას რას ხედვენ ჩემი თვალები?!
მნათობთა მნათო! ყურს რათ იყრუებ,

როდესაც გესმის ლოცვა-კურთხევა,
და ელვაზედაც უსწრაფესი ხარ,
თუ გაიგონე კრულვა და წყევა?!
რათ შეისმინე უგნური სიტყვა,
ცოდვილი პირის გამონათქვამი?
და წინ დამიდევ ცეცხლმოსადებათ
უსუსურ ბავშვის საბრალო გვამი?
რალა ვარ ახლა და რალა მქვიან:
ცაში გარისხულს, ქვეყნად უპიროს,
უძღურ-უღონოს და უსისხლხორცოს,
სასომიხდილსა და უშვილძიროს?!
სიკვდილი მხოლოდ ჩემდა ნუგეშად!
(უნდა მახვილი ჩაიცეს. შეაჩერებენ)
მაგრამ რას ვამბობ? რა საჩქაროა!..
ჯერ შური... შური!.. შურისძიების
დამაცხრობელი სისხლის წყაროა!..
სიკვდილი ბერძნებს!.. მუსრი საბერძნეთს!
ხომ გესმის მზეო, ყოვლად ძლიერო?!
უნდა გავმხნევედე... ვიცოცხლო, გავძლო,
რომ გადავუხადო სამაგიერო!..
ვინ სთქვა, ნეტავი, ჩემი სიბერე,
ჩემი სისუსტე და უძღურება?
არა! – ვგრძნობ, ძალა მიორკეცდება
და ვყმანვილდები!.. სიბერე ქრება!..
ვინ არის მეფე ზღვათა და ხმელთა,
იათა მთავარს რომ შეედაროს...
გადააჭარბოს შურისძიებით
და უკიდო ზღვათ სისხლი დაღვაროს!
მალლით მთიებსაც კი ეხარბება
ამქვეყნიური ჩემი დიდება!..
და მე ვასწავლი, თუ როგორ უნდა
სისხლის ალება!.. შურისძიება...
ვაი, საბერძნეთს, ამიერიდან...
დედებს ამის დღეს რომ დავაყენებ! (ათითებს გეჟადას)
მამებს ჩემსავით გულს დავუთუთქავ

და მკვდრებს საფლავში არ მოვასვენებ!..
ხა, ხა, ხა, ხა, ხა!.. თქვენ, კოლხელებო!
გესმის? – მზათა ხართ? ხელი მშვილდ-ისარს!..
ქვეყნის განყვევით და აობრებით
შეუპოვარი ზეცას დავცემ ზარს!..
შვილებო, თქვენ ხომ არ გენყინებათ?
დამეთანხმებით თქვენც, იმედია...
ხომ გესმის კარგად, შვილო იასირ?!
ხომ გაიგონე, ჩემო მედია?!
ხა, ხა, ხა, ხა, ხა!..

თირთა

ციურნო დასნო!..

უბედურებამ ხელი დარია!..
ვაი, მას, ვინც რომ არ ურევია
აღარც ცოცხლებში და არც მკვდარია!..

იათა (არეულად თირთას)

ხომ გრძნეული ხარ შენ, თირთაია,
ყოველის მოქმედი და შემძლებელი?
მიცვალებულის სულის ჩამდგმელი...
ცოცხლის გამთირავ-გამქვავებელი?
გამოიჩინე ამ შავი დღისთვის
საჭირბოროტო ძალა, გრძნეული,
რომ მტერს ხმელეთი ზღვათ გადაექცეს
და ზღვა დაუხვდეს გაქვავებული...
შიგ მოჰყვეს მტერი და მოლაღატე...
(ვედრებით) გადარჩეს მხოლოდ ჩემი ასული!..
ჩემი მედია! და იასირსაც
ხელმეორეთვე ჩაუდგი სული...
ხა, ხა, ხა, ხა, ხა!..

თირთა

ვაი, ამ სიცილს!..

იათა

მალე!.. რას უცდი!.. არ გინდა განა?
მაშ, ჩემს ლაღატში შენც გარეულხარ!
მახვილი გულში და ყელში დანა!..
(მიაშურებს მახვილით)

თირთა

იქით!.. შეჩერდი, შე უბედურო!..
მახვილი გინდა ჩემზე იხმარო?..
(მისჩერებია თვალეში და ლელავს. იათა მახვილს გადააგდებს და
ძირს ეცემა)

აი, შემთხვევა მოულოდნელი,
საუბედურო და სამწუხარო!.. (თავისთვის)
სწავლა და ცოდნა, რაც კი ამქვეყნად
ჭკუა-გონების განაწონია,
ბრბოს სათვალთმაქცო და საგრძნეულო
მიუნდომელი რამე ჰგონია!..
მე შემძლია, ვსთქვათ, ჩემდა თავად,
ეს მომაკვდავი გამოვაბრუნო (ათითებს გექადას)
და კარგის მოვლით და ხელშეწყობით (ათითებს იათას)
გადარეულიც ერთ დროს განვკურნო...
მაგრამ ვინ მომცა იმდენი ძალა,
რომ მე შევშალო წესი ბუნების:
აქ გავაცოცხლო მკვდარი იასირ
და იქ დიდება დავსცე ბერძნების?!
(მიუბრუნდება კარისკაცებს)

თქვენ, კოლხელებო!.. წაიღეთ მკვდარი!..
გადაუხადეთ რიგი და წესი.
ოქრო და ვერცხლით შეჭედეთ მუხა,
მრავალმეტოვანი და უდიდესი,
ზედ ჩამოჰკიდეთ უსულო გვამი,¹⁸
რომ ყოველის მხრით სცემდეს ნათელი!..
და გლოვის ნიშნად, ჩვეულებრივად,
ტანთ შეიმოსეთ მხოლოდ წითელი!..
წინ წაუძლოლეთ კაბდელთა დასი

მედია

ზორვით, კაბდურით, საყვირ-განგაშით,
რომ მით მალლა ცა დაკმაყოფილდეს
და დედამინა აქ ძრნოდეს შიშით!
ჩამოიწყვიტეთ ყველამ საკინძი!..
„ჰოი, შავდილაჲ“ დასძახეთ ზარად
და მეც მოვიგლეჯ ჩემ თავსაზურავს
ნიშნად გლოვისა მარად და მარად!..

(მოიგლეჯს საზურავს, გარედან გალობის ხმა მოისმის. შემოაქვსთ
„შარავანდედი“ და უკან ზორვითა და ანთებულ კვარებით კაბდელები
მოსდევენ. ხალხი ნელ-ნელა თავდაღმა ემხობა)

ფარდა ნელ-ნელა ეშვება

[1893,1895-1897]

ვანცოვი

პოემა დიალოგებად

I თავი

ვახტანგ ორბელიანი და მისი ძმა ალექსანდრე

ალექსანდრე

წაველ წმინდა სიონში
რომ ლოცვა მომესმინა,
მაგრამ მწარე ოცნებამ
სულ სხვა გზით გამაფრინა:

მომაგონდა ძველი დრო,
დღეს თითქმის სანატრელი,
რომელზედაც შეცდომით
ჩვენი ავიღეთ ხელი;

ის დრო, როცა ჩვენივე
ჩვენ ვიყავით უფროსი
და სამღვდელოებასაც
ყავდა კათალიკოსი,

გაისმოდა ყოველგან
წირვა-ლოცვა ქართული;
კანანახით გალობა,
ქართულ კილო ჩართული.

დღეს სადღაა ანც ერთი?
სუყველა გადაგვარდა;
შეგვძულდა ჩვენი თავი
და სხვაც არ შეგვიყვარდა.

დატრიალდა უკულმა
ჩვენი ცხოვრების ჩარხი...
ქვეყნის შეუფერებლად,
სხვა კუთხით გაჰყავთ არხი!..

დღეს ნინოობა არის,
მოციქულთა სწორისა,
სიონში ვერვინ ვნახე,
გარდა ერთი-ორისა!

რატომ? მიტომ, რომ დღესაც
აღარ სწირვენ ქართულად
და ჩვენი ლიტანია
მოსპობილია სრულად.

ეკზარხოსი სწირავდა
ფორმად სლავენურადა;
მლოცველებს არ ესმოდათ,
ქონდათ სანანურადა.

ასე დღესხვალიობით
ხალხი დაკარგავს რჯულსა...
დამლუპველი შარაგზით,
მიადგება უფსკრულსა.

მე, ქართველი, ურწმუნო
ვერ წარმომიდგენია!..
აი, რამ მომიკიდა
ცეცხლი და გეენია! (ტირის)

ვახტანგ

იჰ, შენ და შენს ოცნებას!..
ლამის გადაგიყოლოს.
მაგრე ხომ შენს სიცოცხლეს
შენვე მოუღებ ბოლოს?!

ალექსანდრე

და რად მინდა სიცოცხლე,
მწვავე, გამწარებული,
თუ მუდამ ნაღველ-შხამით
მევესებოდეს მე გული?

ჯერ იყო და თათრებმა
არ მოგვცეს მოსვენება,
იტაცებდა იმათ გულს
ჩვენი ქვეყნის შენება.

ერთი მხრიდან სპარსეთი,
მეორიდან თურქები,
და, მათი ნანაქეზი,
კავკასიონის მთები.

რჯულის და ეროვნების
მოკავშირე ქართველი,
მარტო თვითონვე იყო
თავისს თავის დამცველი.

ვიგერებდით ურიცხ მტერს,
სანამ გვქონდა ძალ-ღონე,
ვითხოვდით შემწეობას;
არვინ იყო გამგონე...

ვახტანგ (ჩამოართმევს სიტყვას)

და მაშინ გამოგვიჩნდა
ჩვენ მომხრედ ჩრდილოეთი,
ჩვენი თანამორჯულე,
ჩვენსავით სწამდა ღმერთი!

მოგვხიბლა ტკბილი სიტყვით,
დაგვარწმუნა მან ფიცით,
ჩამოგვართვა პირობა
და მერე?.. აღარ ვიცით!

ესეები სუყველა,
მეც კი მაქვს შეგნებული,
მაგრამ ჯერ კიდევ მაინც
არ გამტეხია გული!

რაც რომ დღეს გვემართება,
დროებითია ყველა.
აქაური მთავრობა
მოქმედობს, როგორც მელა;

ჩაუგდია სახრავად
უპატრონო ქვეყანა!..
მგელი, რომ ცხვარს დაიჭერს,
მას შეიბრალებს განა?

იქ მთავრობას გვაბეზღებს,
ატყუებს თვით რუსეთსა
და აქ კი ჩვენ სისხლსა გვწოვს...
ალარ სტოებს არც წვეთსა.

მაგრამ მითქვამს და ვამბობ,
რომ ეს წამავალია!
რა გაეწყობა, უნდა
მოვითმინოთ, ვაღია.

ალექსანდრე

კი, მაგრამ ალარ უნდა
მოთმინებას საზღვარი?
მაგისტანა ნუგეში
სიცრუეა... ზღაპარი.

თუ რომ ვერ მოვესწრებით,
რალათ გვინდა იმედი?
გადაგვინწყდა, ეს არის,
საშვილიშვილოდ ბედი.

დღემდი თუ ხორციელად
მტრისგან ვიყავთ ტანჯული,
დღეს უფრო არ მოგვიკლეს
ფარისეველობით სული?!

სული როცა მოკვდება,
მაშინ ხორციც მკვდარია!..
და, აი, ქართველობას
დღეს ხელი რამ დაჰრია!..

ვახტანგ

ეგ სუყველა მანგრეა,
აზრით მეც გეთანხმები,
მაგრამ რა ვქნა, რომ სულ სხვას
ჩამძახიან ჰანგები:

არსებობს შემოქმედი
ღმერთი... სიყრმიდანვე მრწამს!..
მის ხელშია, ის გაჰსწონს
საუკუნესა და წამს.

უმისოდ ყოლიფერი
ამ ქვეყანად ტყუილია!
ვისაც ის სწამს, იმისთვის
სიკვდილიც კი ტკბილია.

ეს პატარა სამეფო,
თვით ღვთისმშობლის ნილხვედრი,
როგორ ამოვარდება?
ტყვილად ბედს რადა ჰყვედრი?

ამ ძველისძველ სამეფოს
ბევრი ჭირი უნახავს,
მაგრამ თვითარსებობა
მაინც კი შეუნახავს.

ამ მშვენიერ ქვეყანას
ყველა ეჭიდებოდა,
ქართველი, მომგერებლად
ყველას წინ უხვებოდა.

დღეს ის დიდი ქვეყნები
მოსპობილია ყველა
და ჩვენ კი, როგორც ძველად,
მივჩანჩალობთ ნელ-ნელა.

ის დიდი ბაბილონი
და დიდი ასურეთი,
ჩვენ რომ გვეჩხუბებოდენ,
სად არიან ანც ერთი?

როდესაც გაძლიერდენ
ქვეყნად მაჰმადიანნი,
მათ მთელ საქრისტიანოს
მიაყენეს ზიანი:

დაამხვეს ვიზანტია
და სლავიანთ ქვეყანა,
მაგრამ ყურანმა ძალა
აქ ვერ შემოიტანა.

მეცხრე საუკუნიდან
ჩვენ გვებრძოდენ უსუსტრად
და მაინც კი გადავრჩით,
თუმც გადავრჩით ცოცხალ-მკვდრად.

ერთ ხელში ხმალი გვექონდა
და მეორეში – ჯვარი,
რომ ხალხს არ გაქრობოდა
ქრისტეს წმინდა ლამპარი.

და თუ არ სასწაულით,
მაშ, ისე როგორ მოხდა,
რომ ამდენ განსაცდელში
ჩვენ სული არ ამოგვხდა?

მაგრამ ღმერთი გვფარავდა,
დღესაც ის დაგვიფარავს

და გაუძლებთ განსაცდელს
ისე, რომ ვერ დაგვზარავს.

უღმრთოდ არ გადასწყდება
ჩვენი სამშობლოს ბედი!..
აი, რას მეუბნება
და მიქადის იმედი.

ალექსანდრე (ალტაცებული გადაეხვევა)

მაგ შენი პირით, ძმაო,
ლაპარაკობს თვით ზეცა!
შენი სიტყვა მალამოდ
გულის წყლულზე დამეცა!

ან ჩემთვისაც აიხსნა
მტანჯავი გამოცანა;
მგოსანო, შენმა სიტყვამ
მეც კი ამაფრთოვანა.

დიახ, ღმერთი... მხოლოდ ის!..
იმას უნდა მივინდოთ,
ვიტვირთოთ ჯვარი მძიმე...
არ დავრჩეთ უიმედოთ.

მაგრამ ხალხი ბრბო არის,
ძნელი გამოსარკვევი
და გულს მალე გაიტეხს
სხვა ცხოვრებას ნაჩვევი.

თუ რომ არ გამოუჩნდა
მას წინასწარმეტყველი
და არ შეუშვირა მან
განთიადისკენ ხელი.

და ეს შენ ხარ, მგოსანო,
ციური მოციქული,

რომ გულგატეხილ ქართველს
გამოუბრუნო გული.

ვახტანგ

არა, ძმაო, მე არ ვარ!
ხალხის წინამორბედი
ის არის, ვინც დასწერა
მისათვის „ქართლის ბედი“.

ალექსანდრე (შეფუცხუნებით)

ტატო ბარათაშვილი?!
აბა რა სათქმელია?!
მისი მოციქულობა
ყოვლად საეჭველია!

მისგან სადღეისდღეო
ჯერ რა გაგვიგონია?
კოჭლი რომ არის, თავი
ბაირონი ჰგონია!

ნაწერებში ეტყობა,
რომ არის გონიერი,
მაგრამ საქმით რა არის?
სრულიად არაფერი!

ცრუპენტელა, მეჭორე,
უსაქმოდ მანანნალა!
რასში გამოიჩინა,
მიჩვენე, ჭკუის ძალა?

უთავბოლოდ დასცინის,
რასაც კი მოჰკრავს ყურსა
და დიდ რამედ აფასებს
უბრალო სამსახურსა!

მდივან-ბეგად ჩამდგარი
სუნით დაეძებს ჩინებს;
დაცუნცულობს, ოხუნჯობს
და მოცლილებს აცინებს.

არა, მამულიშვილი
მაგრე არ მოიქცევა...
ბიძამისს გრიგოლს სწუნობს,
მაგრამ ვერ მიენევა!..

ვახტანგ (ნალვლიანად)

ალექსანდრე, ვინ შენ და
ვინ ეგ უსამართლობა?!
ტატოზე განა ითქმის
მაგდენი საძაგლობა?

ვიცი, რათაც არ მოგწონს...
გგონია გესლიანი...
მიტომ, რომ მას არ უყვარს
გვარად ორბელიანი.

გრიგოლს თუმც ალიარებს
ის დიდებულ პოეტად,
მაგრამ დასცინის და რაცხს,
ქართველების ხორცმეტად.

ასე ამბობს: გრიგოლი
კარგი ქართველიაო,
მაგრამ ურუსოდ ყოფნა
კი არ შეუძლიაო.

იმათგან გამოელის
გვარის გადიდებასო
და ამაში საქვეყნოს
ხედავს ის დიდებასო.

თვითონ კი ხალხის შვილი
არის, სულით ობოლი;
დადის ყველგან, დაჰბორგავს,
რომ გამონახოს ტოლი.

მაგრამ ვერსად უნახავს
ჯერ მისი იდეალი
და არ იცის რალა ქნას?
ებნევა გზა და კვალი.

ვაცადოთ!.. ყმანვილია!..
რომ დადარბაისლდება,
როგორც უნდა მოიქცეს,
თავისთავად მიხვდება.

თავს დაუდებს სამშობლო
ქვეყნის ბედნიერებას
და იმ თავდადებაში
თვით იგრძნობს ნეტარებას...

ცუდი მხარე თუ რამ აქვს,
ეს ბუნების წესია:
სადაც ვარდი ამოდის,
იქ ეკალიც სთესია.

მაგრამ ვარდის მომკრეფი,
ეკალს მოერიდება.
ტატოც ჩვენი ვარდია,
ჩვენი ქვეყნის დიდება.

სულით, გულით მაღალი
ქართლის შვილი, ქართველი
და მომავალში მისგან
ბევრ კეთილს გამოველი!

ალექსანდრე

ღმერთმა ქნას, მაგრამ ჯერ კი
არაფერი შვილია!..

ოცნებობ და ოცნება
მატყუარი... ტკბილია.

სულ ოცნება... ოცნებას
როგორ უნდა გადავწყვეთ?
ჩვენი გრძნობა-გონება
გავუხადოთ იმედს ტყვედ!..

ცეცხლი რომ ეკიდება
სახლს, უნდა მიშველება
და არ განზე გადგომა,
შორით მჭერმეტყველება!

ჩვენც ცეცხლი გვიკიდია,
თანდათან ძლიერდება
და თუ რამ შეუძლია,
ის რალას უჩერდება,

რომ ჩამჯდარა განჯაში...
ახლოს არ გვეკარება
და აღარც აგონდება
სამშობლოს ნეტარება?

განა მაგვარი იყვნენ
წინასწარმეტყველები?
თუ ახლებს ვეღარ ვხედავთ,
მოვიგონოთ ძველები!

დახე იერემიას,
რაა მისი გოდება,
თუ არ სამშობლოს გლოვა...
მწვავე ცეცხლის მოდება?!

ებრაელებში იყო,
იმათ არ შორდებოდა
და წინასწარ სათქმელებს
ცრემლით ეუბნებოდა.

ტატო კი ხალხს მოშორდა,
არაფერს ეუბნება.
მიკვირს, როგორ ასვენებს
თუ აქვს დიდი ბუნება?

არა!.. ჩვენი ნუგეში
ყოვლისშემძლე ღმერთია,
იმას უნდა მივენდოთ,
მხოლოდ ერთადერთია!
(პირჯვარს იწერს)

II თავი

(ბარათაშვილი შემოიჭრება მოულოდნელად სიცილით. ორბელიანები
შეკრებიან და წამოდგებიან)

ბარათაშვილი

დილა მშვიდობის!..

ორივე

ტატო?!
საიდან მოგვევლინე?
როდის მოხველ? რასა იქმ?
გვითხარ!.. გაგვაგებინე!..

ბარათაშვილი

განჯიდან ჩამოვედი
ერთი-ორის კვირითა,
ბევრის ჭაპანწყვეტითა,
დიდი გასაჭირითა.

გზები წამხდარი იყო,
არავინ ჰყავს პატრონი!

სწორეთ მართალი უთქვამთ,
რომ „მეფობენო დრონი“.

გერი ვერ გაიხარებს
დედინაცვლის ხელშია!..
თვალს გვიხვევენ კოცნითა!..
ხელს გვიჭერენ ყელშია!

ეროვნული ღირსება
ყველა შელახულია
და ტანჯვა-მოთმინებაც
ჩვენი პირუტყვულია.

ჩვენვე ვეპოტინებით
სიზმრებსა და ზღაპრებსა,
რასაც დედინაცვალი
ახურავს ჭრელ საბნებსა.

ძველი წეს-წყობილება
ელვასავით იცვლის ფერს;
რაც ვიყავით აღარ ვართ
და რაც ვართ დღეს – ის თქვენ მტერს!..

ალექსანდრე (აღტაცებით აწყვეტინებს სიტყვას)

ღმერთო!.. რა მეყურება?!
ნუთუ, შენა ხარ, ტატო?!
მაშ, შენი მოქმედება
როგორ უნდა გავმარტო?

აყოლიხარ ქალებსა,
მათში ჭორიკანაობ
და ცხოვრების ტალღებში
უკუღმართად ჰბანაობ!

ბარათაშვილი (წარბმეკვრით)

დიახ, მე იქ ვიციანი,
სადაც არ მიხარია!..

არ იცი, რომ სიცილი
ზოგჯერ ცრემლზე მწარია?

შენ სტირი, მე ვიცინი,
საგანი კი ერთია
და ვინ სცდება ჩვენ ორში,
გამკითხავი ღმერთია!

დღევანდელი ქართველი
ალარა მოჩანს ქართველად;
იმიტომაც მოგშორდით
და გავიჭერი ველად.

თათრებში ვიმალები,
შევეფარე განჯასა
და აღარაფრად ვაგდე
მოძმეების... განსჯასა!

იქ ვიგონებ სამშობლოს,
ჭირს იმითი ვიქარვებ
და ჩემ გულისპასუხებს
ვარსკვლავებს ვუზიარებ.

ვახტანგ (სევდიანის ღიმლით)

მაგრამ მაინც ვერ გასძელ,
ვერ მოიქარვე ჭირი!..
ჩამოსულხარ ტფილისში
და აგერ ჩვენთან სტირი.

ბართაშვილი

ხან ასეა, ხან ისე –
ტრიალებს ეს ქვეყანა...
მე კი ორმა შემთხვევამ
თქვენთან ჩამომიყვანა.

პირველი ის, რომ მითხრეს:
რალაც დაგინერია,
„იმედი“ ჰქვიან, თურმე,
გულის ამაძგერია.

მეორე – დიმიტრი მწერს:
ნუ აგვალე ხელსაო!
რად არ ნახავ ჩვენ ახალ
მთავარმართებელსაო?

გრაფი ვარანცოვია
ყოველგვარად სრულიო,
ვეცადოთ, რომ მოვიგოთ
ჩვენც იმისი გულიო!

ამ ცოტა ხანში ყველა
ერთად შევიყრებითო
და მოვილაპარაკებთ
შენის თანდასწრებითო!

აი, რას იწერება
დიმიტრი ყიფიანი,
გამოცდილი ქართველი,
შორსმჭვრეტელი, ჭკვიანი.

და ახლა კი მშვიდობით!
მინდა, რომ სხვებიც ვნახო
და დიმიტრის წერილზე
გრიგოლიც გავაძრახო.
(ეთხოვება და მიდის. სიჩუმე)

ვახტანგ

ახლა ხომ თვალთ ნახე,
ტატო როგორ ჰღელავდა?
ყოველი მისი სიტყვა
ცის სინმინდით ჰელავდა.

ის თურმე სულ სხვას ჰფიქრობს,
ჩვენ კი იმაზე სხვასა...
მდინარე დიდიც იყოს
ვერ ჩასწვდეს გულში ზღვასა!..

ალექსანდრე

რალა მეთქმის?! შენ სიტყვებს
ამტკიცებს მისი ქცევა
და ან თქვენ, ორივეზე
იყოს მაღლით კურთხევა!..

ჩემ გულგატეხილობის
ჭეშმარიტად მრცხვენია!
დღეს აქ ის გავიგონე,
რაც დღემდი არ მსმენია.

მაგრამ რადგანც დღეს არის
ნინოს დღესასწაული,
მისმა ეტლმა და ძალმა
გამიმთელა მე გული.

მრწამსა და აღვიარებ:
ქართლი ალორძინდება
და ღვთისმშობლის წილხვედრი
არვის დაენინდება.
(მიდის პირჯვრის წერით)

ვახტანგ (გააყოლებს თვალს)

აი ძველი ქართველი:
წმინდა, პატიოსანი.
მე რა ვარ შედარებით?
-საცოდავი მგოსანი!..

III თავი

(დიმიტრი ყიფიანი და ბარათაშვილი საუბრობენ)

დიმიტრი

სხვა ყველა იქით იყოს!..
იცი, რად დაგიბარე?
ჭირშიაც და ლხინშიაც
საჭიროა მოყვარე.

რომ შენს გულში ნადები
მასაც გაუზიარო!..
თუ სწუხარ – მოაწყინო,
თუ ჰხარობ – გაახარო!

შენც კი მატყობ, მგონია,
რომ ვარ გახარებული.
დღემდი ჩვეულს ტანჯვისა,
სხვაგვარად მიგრძნობს გული.

გავიცანი ახალი
მე მთავარმართებელი,
მისგან ჩვენი ქვეყნისთვის
ბევრ კეთილს გამოველი.

სხვანაირი რამ არის...
სწორეთ რომ ზეკაცია
და თანასწორად უყვარს
სუყოველი ნაცია!

ეს ის ვარანცოვია,
ოდესას რომ მმართავდა;
ვის ხელშიაც ზღვის პირი
გახრეკილი აჰყვავდა.

ჩვენში ადრეც ყოფილა
და უყვარს საქართველო,
მაშინ ყვაავილოვანი...
დღეს კი დამჭკნარი მდელი!

დიმიტრი ციციანოვს,
ახლდა სულ პირტიტველა,
ჩვენი ქვეყნის ავ-კარგი
შესწავლილი აქვს ყველა.

ბარათაშვილი

ეგ ის ვარანცოვია?
გრაფ ვარანცოვი?... განა?..
ელჩად რომ იმერეთში
მეფესთან გაიგზავნა?

დიმიტრი

დიახ! და მისი რჩევაც,
რომ დაეჯერებინათ,
სოლომონი ტრაპიზონს
არ აიჩენდა ბინათ!

მაგრამ გადასულ საქმეს
ნულა გამოვუდგებით!..
ის ვიფიქროთ, ახალ დროს
როგორ მივეგებებით?

დღეს ის დრო რომ ყოფილა,
აღარ არის... აღარა.
და გრაფიც დაგვიბრუნდა
მოხუცი და ჭაღარა.

მჯერა, რომ საქართველოს,
ასე დასწავლებულს,
ნელა-ნელა განკურნავს
და მოუბრუნებს ის გულს.

და ჩვენც გვმართებს ქართველებს
საერთო ერთგულება,
ამის წინააღმდეგაც
არავინ მეგულება.

ვნახე: გრიგოლ, პლატონი,
გლუხარიჩი, ლევანი
და სხვანი. გავამჟღავნეთ
ჩვენ ჩვენი გულისთქმანი.

სუყველას მოენონა
ჩემი წინადადება.
არავის მონდომია
მისთვის შრომა-მზადება.

ბარათაშვილი

მაგ აზრს მეც ვეთანხმები.
ვსინჯოთ ეს ერთიც კიდე!
უკეთესს რას იფიქრებს,
შავი დღის გადამკიდე?

ვნახოთ და სასიკეთოს,
თუ კი რამეს დავატყობთ,
თავს დავსდებთ, თორემ ძალით
ველარაფერს გავანწყობთ.

თუ მართლა შეიყვარა
საბრალო ქართველობა
და თანც გამოიჩინა
ჩვეულებრივ ქველობა.

მეტიც არა უნდა რა...
მოიგებს ქართველის გულს
და აქ საშვილიშვილოთ
ჩაჰნერგავს წრფელ სიყვარულს.

ღმერთმა ჰქმნას, რომ გამართლდეს
ეგ შენი განძრახული

რომ შეგვიყვაროს და, მით
მოიგოს ჩვენიც გული.

ახლა სხვაზე გადავიდეთ!
რას შვრებიან „ჩვენები?“
მზათ არიან ყოველთვის
ნაიგძელონ ენები

და საქმეს კი ერიდონ?
იქვეშქვეშონ მონურად
და რასაც ყური მოჰკრან,
იძახონ კაჭკაჭურად?

ბიძაჩემი გრიგოლი
ხომ კარგ გუნებაზეა?
კიდევ ფიქრობს, რომ რუსეთს
დაუმონოს აზია?

პლატონი რაღასა იქმს,
ჩვენი ფილოსოფოსი,
რომ არავინ გონია
თავისს თავზე უფროსი?

აღარ ამბობს: „ქართველებს
გვწყალობს მალლით ღმერთიო:
ბაბილონიც გამოვხარით
და თვით ასურეთიო?“

ვსჭამდით: რომს და საბერძნეთს,
სპარსეთს, არაბეთსაო...
აროდეს უმტყუნია
ჩვენთვის სვე და ბედსაო?

ახლა რუსის ხელში ვართ,
რუსეთს ჩავებარეთო
და სახრავიც ბევრი გვაქვს
ყველგან შინ და გარეთო?“

დიმიტრი

ამბობს!.. იმას არ ფიქრობს,
რომ დრო მაშინ სხვა იყო,
ძველი წეს-წყობილება
იმ ძველმა დრომ წაიღო.

აღარ გამეორდება
ის, რაც ძველათ ყოფილა
და ჩვენც ველარ აღვადგენთ
იმას, რაც დამხობილა!..

ბარათაშვილი

პლატონს არ დაეძრახვის
მაგნაირი მსჯელობა,
ფილოსოფია არის
მარტო მისი ხელობა.

სიძველის მიმდევრობით
ვისაც თავი ექება,
ანმყოსა და მომავლის
აბა, რა გაეგება?!

პლატონი იქით იყოს!..
გლუხარიჩზე მითხარი,
ისევ ისე ზარმაცობს?
როგორ არის? სად არი?

დიმიტრი

სოფელშია! ოძისში
ჩაჯდა, მოიკალათა.
ერთხელ ჩამოვიტყუე,
როგორც იქნა, ძალათა.

კომედია შეუთხზავს,
„გაყრა“ დაურქმევია
და გრაფ ვარანცოვისთვის
მას ძღვნად მიურთმევია.

დამიბარა მე გრაფმა
მის გადასათარგმნელად
და მეც, როგორც შევიძელ,
გადავუთარგმნე ხელად.

გრაფმა ბევრი იცინა, –
სულ ცრემლები დაღვარა,
მოეწონა ავტორი,
მოლიერს შეადარა.

და, მართლაც, კარგი არის,
მეც დიდათ მომეწონა!..
თუ დღეს ვინმე მისთანას
დასწერდა, არ მეგონა.

კარგად გამოუხატავს
ჩვენი ზნე-ჩვეულება:
ჭირი, ლხინი, ქორწილი,
გლოვა და წვეულება.

გრაფს უნდა სასახლეში
რომ წარმოადგენიოს
და მისი შინაარსი
ყველგან მოაფენიოს.

დიდი თანამგრძობია
გრაფინაც, მისი ცოლი!
და მოდი, შენც აიღე
ჩვენთან ერთი რამ როლი!..

ბარათაშვილი

არა, ჩემო ბატონო,
არ ვარგვარ აქტიორად,
ხალხში ისეც მორცხვი ვარ...
შევრცხვები ერთი-ორად!

დავინყე მარტოობა...
სრულად განცალკევება!
და რად გინდა, ხელახლა
რომ ბადეში გავება?

ვგრძნობ, რომ არ შემიძლია
მაგვარ რამეს კეთება!..
მე სულ სხვა გზას ვადგივარ,
სხვა მაქვს გულისკვეთება!

წავალ ისევე განჯას,
შევეუდგები სამსახურს
და, თუ იქიდან რამეს
სასიამოს მოვჰკრავ ყურს,

მაშინ მეც ერთად თქვენთან
თანგრძნობით გავიხარებ
და იმ სიტყბოს ვარსკვლავებს
ცაში გავუზიარებ.
(ეთხოვება და მიდის)

დიმიტრი

ყმანვილია!.. ცხოვრების
ბევრი არ გაეგება,
და ოცნებით ვარსკვლავებს
შეტრფის... ეჭიკჭიკება.

IV ტაპი

ვარანცოვი მარტო, დაფიქრებული დადის

ვარანცოვი

მე რომ მინახავს, ის აღარ არის!..
რამ გამოცვალა ასე ქართველი?
სადღაა მისი ამაყი სახე,
შეუპოვრობის გამომხატველი?

ძალდატანებით შეშინებულსა,
თითქოს, დასმია რაღაც ბეჭედი;
გმირი ქცეულა ნაცარქექიად
და მოუხრია მონურად ქედი.

ვფიქრობ და ვერა გამიგია რა,
რას შეუცვლია მათი ბუნება?
უნდა შევიტყო, სხვებს გამოვკითხო...
ერთს მათგანს მაინც ეცოდინება.
(დიმიტრი ყიფიანი შემოდის და გაჩერებული დგას კუთხეში.
ვარანცოვი დაინახავს და მიუბრუნდება):

მე დაგიბარე... ისე კი არა,
როგორც უმცროსი მისმა უფროსმა.
მსურს, რომ გულგახსნით, ვით მეგობრებმა,
გავიზიაროთ ჩვენი გულისთქმა!
(დიმიტრი თავს უკრავს, ვარანცოვი სკამზე მიუთითებს და
დასხდებიან)

ვარანცოვი

ერთ რასმე გკითხავ, ნუ დამიფარავ,
და გამომიტყედი, ვით მამას შვილი!
ერთ დროს განთქმული ქართველთა ერი
რად არის ასე დღეს გამოცვლილი?

სთქვი! რად გაჩუმდი? ენა ჩაგვარდა?
ნეტავ, რას ნიშნავს ეგ მდუმარება?
თუ არას მეტყვი და დამიფარავ,
როგორ შევიტყო გარემოება?

დიმიტრი (წამოდგება)

როგორც ღმერთს, ისე თავის უფროსსაც
ვერ ეტყვის ტყუილს ვერა ქართველი,
და რომ ტყუილი მოგახსენოთ რამ
ამას, ბატონო, ნურც ჩემგან ელი!

და თუ მართალი გითხარი ყველა,
ვაი, თუ ის თქმა ჩემგან გენყინოს!..
ჭკუა-გონება თუმც დამეთანხმოს,
მაგრამ გულმა კი ვერ მოითმინოს

და გამირისხდეთ!..

ვარანცოვი (აჯენს)

მე გეუბნები,
როგორც მონაფეს მისას მოძღვარი,
და შენ რაც იცი და როგორც იცი,
დაუფარავად ყველა მითხარი!

დიმიტრი

მაშ თუ მაგრეა, ვერ დაგიფარავ!..
სუყოლიფერი თქვენი ბრალია:
მოტყუებულმა რუსების ხელში
დღეს საქართველომ სული დალია!..

ვარანცოვი (შეკრთება)

მოტყუებულმა?! მაგას რას ამბობ,
განა ჩვენ თქვენთან მიტომ მოვსულვართ,

რომ ჭირნახული, უმანკო სული
მოგიკლათ განძრახ და ამოგართვათ?!

დიმიტრი

ასე კია და!.. რალად დავფიცო?
თქვენთან ტყუილი გმოზაა ღვთისა!
და ბნელ საქმეებს რა ნათელს მოჰფენს
გადაფიცვა და თქმა ტყუილისა?

ვარანცოვი

მაშ, მომიყვი, თუ არა სცდები!..
მაგით გაუნევე შენ ხალხს სამსახურს
და ნათქვამს, რომ არ გამომეპაროს,
გულმოდგინებით მეც დაუგდებ ყურს.

დიმიტრი (დაფიქრების შემდეგ)

ეს მშვენიერი ედემქვეყანა
საჭირბოროტოდ გაჩენილია,
თვალის და გულის სწორად წარმტაცი,
მომხიბლავი და თანაც ტკბილია.

იმ თავიდანვე, როგორც თაფლი ბუზს,
ისე იწვევდა სხვადასხვა ერებს
და სისხლით რწყავდა ატეხილ ჭალებს,
ნაპრალ-კლდეებსა და მთისა წვერებს.

ხან ერთს ეჭირა და ხან მეორეს,
ვერ ჩერდებოდა ვერც ერთის ხელში.
მომსვლელი მოსულს არა ზოგავდა,
დანას ურჭობდა საკლავად ყელში!

ბოლოს მოვიდა ქართველთა ერი,
ჩამოესახლა დიდხნობით მკვიდრად,
მაგრამ სხვებსაც რომ თვალი ეჭირათ,
გადაიკიდეს სხვა ერები მტრად.

ჯერ ბაბილონი და ასურეთი,
მერმე ბერძნები და დიდი რომი,
ამათ ყველასთან, ამ პატარა ქართლს,
შეუსხლეტელი ჰქონია ომი.

როცა გამოჩნდენ მაჰმადიანნი
და გაძლიერდენ ქვეყნად გმირულად,
შემოესიენ საქართველოსაც
და სისხლს აქცევდენ კოკისპირულად.

დაამხვეს იმათ თვით ვიზანტია,
სლავიანების დიდი ქვეყნები
და ევროპიაც ძლივს იბრუნებდა
სულს, მათგან ნანყენ-ნაზიანები.

ეს ურდოძალი სტიქიონური
ქრისტიანობას ემუქრებოდა,
და, მართლაც, ძლევამოსილთა ხელში
სარწმუნოება თითქმის ჰქრებოდა.

როგორც სამეფოს, საქრისტიანოს,
ქართლსაც მოადგა ის მოსისხარ მტრად,
მაგრამ ქართველი შეუპოვარი
თავდადებული დაუხვდა მედგრად

ხმლითა და ჯვარით მოსაგერებლად
და აიატანა ცეცხლი და ალი,
რომ ჩააბაროს გოლიათ რუსეთს
ქრისტიანობის მან მომავალი.

ვარანცოვი

და არც მოსტყუვდით, ეგ იყო მხოლოდ
ერთადერთი გზა მომავალისა!..
მაგაზედ არის დამყარებული
ბედნიერებაც „თქვენი ხვალისა“.

დიმიტრი

აგრე ვფიქრობდით ჩვენც, მაგრამ ახლა
სად არის ჩვენთვის ბედნიერება?
არა თუ ხორცი, თქვენმა განძრახვამ
სულიც მოგვიკლა და ხალხი ჰქრება!

ვითა წესია დაღალულისა,
ჩვენ შესვენება გვეჭირვებოდა
და ჩაგიდევით თავი კალთაში,
დაღლილობით რომ სული გვხდებოდა,

ვამბობდით: ძმურად გამოგვაშუშებს,
რომ აღგვადგინოს უფრო ძლიერად,
და მასთან ერთად ჩვენც შევებრძოლოთ
საქრისტიანოს მტერს ღონიერად.

„ძალა აღმართს ხნავს!“ ნათქვამი არის,
არ აგვისრულდა ის, რაც გვეგონა!..
აგვხადეთ მძინარს ყოველიფერი
და შევიქნით მორჩილი მონა.

ვარანცოვი

სცდები! რუსეთმა თქვენ დასაპყრობად
როდის იხმარა მახვილით ძალა?
თქვენ თხოვილობდით, ხომ მფარველობას?
და თქვენი თხოვნა მან შეიწყალა!

დიმიტრი

კიდეც ეგ არის!.. გავაღეთ კარი,
შემოვიყვანეთ, ვინც შეგვიწყალა,
მაგრამ, როგორც კი მოიკალათა,
გამოიჩინა ჩვენზედვე ძალა!

ვილაც კაპიტან-ისპრავნიკები
დანიშნა უფროს პიონერებად,
და იმათ ქვეყნის ტანჯვა მიაჩნდათ
საპირადო რამ ბედნიერებად.

ერთი მათგანი მიადგა სოფელს
უმწეოს, უძღურ-უიარაღოს
და ძლიერება ვითომ რუსეთის,
რომ აგრძნობინოს და დაანახოს,

ძალის მოხარშა უწმინდურ შარდში,
შეაკაზმინა განავალითა,
დიდს და პატარას, ქალსაც და კაცსაც
აყურებინა ყველას თვალითა.

და მერე უთხრა გაოცებულებს:
„აბა, მიდით და ახლა სჭამეთო!“
საღდათებს უთხრა: „ვინც არა სჭამოს,
გაამათრახეთ და აწამეთო!“

ვარანცოვი (იჭმუნება)

გადარეული ვილაც ყოფილა!..

დიმიტრი

არა, ეს ჰქონდა მას ნაბძანები,
იმ დროში ბევრი რამე ხდებოდა
გასაოცარი ამისთანები.

ვარანცოვი

აჰ! აჰ! ნუ გჯერა! ტყუილი უთქვამთ!
მაგას არ იზამს მირონცხებულნი
და არც იქნება მთავრობისაგან,
მაგგვარი რამე მოწონებული.

დიმიტრი

ბევრი ამგვარი და ეს ამბავიც
არხივში არის მოხსენებული.
საქმის ქალაქში რომ ჩაინეროს,
არ შეიძლება, ვგონებ, ტყუილი?

ვარანცოვი (დაფიქრდება)

მიკვირს! მიზეზი რამ იქნებოდა
მანგრე მოქცევის და სასტიკობის?

დიმიტრი

სხვა არაფერი! ძალმომრეობა
უფლის მონაზე და ბატონყმობის!

ვარანცოვი

არა! მე, როგორც მთავრმართებელს,
მალალ მთავრობის წარმომადგენელს,
შემიძლია ვსთქვა... ნიშნად სიმართლის.
გულზე დავიდებ წმინდის გრძნობით ხელს;

მაგგვარი რამე მალალ მთავრობას
არა ჰქონია მაშინ სახეში,
რომ ადგილობრივ – მისს მოხელეებს
მტრულად გაეზივით მძიმე მახეში.

უნდოდა მხოლოდ თქვენი გამოსნა,
ჩავარდნილების დიდ განსაცდელში,
და სურდა, ტკბილად ამოგესუნთქათ
სასიყვარულოდ მის მტკიცე ხელში...

დიმიტრი

რომ შეგვრჩენოდა ჩვენ დედაენა
და ეროვნული ჩვენი ელფერი?

გულით კი რუსი ვყოფილიყავით?
ჩვენც ეგ გვინდოდა... სხვა არაფერი!..

მაგრამ მთავრობამ ადგილობრივმა
სულ სხვა გასაჯა და მოისაზრა!..
არ დაუფარავს, რაც გულში ჰქონდა,
გამოაქვეყნა... გამოაბაზრა!

უარყავთ თქვენი თვითარსებობა,
თქვენი წესი და წყობილებაო!
აი, ეს არის ჩვენი გეგმების
საყოველთაო განახლებაო!..

ვერ შევინწყნარეთ ჩვენ ეს განძრახვა
და დავიმარხეთ გულში სურვილი.
ღმერთზედა დაგვრჩა მხოლოდ იმედი,
ან გამარჯობა და ან სიკვდილი!..

ვარანცოვი

და რას ეძახით თქვენ გამარჯვებას?

დიმიტრი

რომ ეროვნული შეგვრჩეს ელფერი
და რუსი ვიყოთ პოლიტიკურად,
აი, რა გვინდა. სხვა არაფერი!

ვარანცოვი

და ეს სურვილი, რომ აგისრულდესთ,
ქართველი რუსზე მოიბრუნებს გულს?

დიმიტრი

მოიბრუნებს და შიგ ჩაისახავს
ერთგულეებასთან მტკიცე სიყვარულს!

ვარანცოვი

აბა, მეც გეტყვი, როგორც მამა შეილს.
გაგიზიარებ ყველა ჩემ ძრახვებს,
თუ ქართველებიც მომეშველებით
და შენც გადასცემ ამ ჩემ სურვილს სხვებს:

მინდა, ქართველი დარჩეს ქართველად
ისე, როგორიც ყოფილა ძველად,
მისი წარსული მომავლისათვის
ვიხმარო მხოლოდ მე საფუძველად.

არც რჯულს შევებო, არც ეროვნებას,
არც მისს სინმინდეს, მის დედაენას,
რომ არ უშლიდეს მომავლისათვის
სწორსა მსვლელობას და აღმაფრენას!

მივანვდენ მხოლოდ იმ საზრდოს სულის
რაც მომავალ დროს შეეფერება,
რომ არ ჩამორჩეს სხვა ხალხებს ზდაში!..
თვისს არსებაში გრძნოს ნეტარება.

მხოლოდ მსურს მარტო გულის მოგება,
არ ჩამოვართმევ რუსთან უფლებას
და შემოვიტან დროს შესაფერად
მაღალ სწავლასა და განათლებას.

ყოველ მხარეში, ყოველ ქალაქში
გავმართავ შკოლებს და გიმნაზიას,
რომ განათლება მისწვდეს აქედან
დღეს ჩამორჩენილ და ბნელ აზიას!

ქართველ ქალებსაც რომ დაემსგავსონ,
დროს შესაფერად, წინანდელ დედებს,
წინოს სახელზე, ჩემი მეუღლე,
თავისის ხარჯით სკოლებს აუგებს.

ჯერ ეს ვიკმაროთ და მერმე კიდევ
მომავლისათვის სხვებიც ვიფიქროთ!
მაგრამ ჯერ უნდა მთიული ხალხი
აჯანყებული ჩამოვიშოროთ.

აი, ეს არის ჩემი განძრახვა,
გადაწყვეტილი რამ... უეჭველი;
და შენც ამაზე, აბა, რას მეტყვი,
ვით ღვიძლი შვილი, როგორც ქართველი?

დიმიტრი (აღტაცებით)

კურთხეულ იყოს თქვენი განძრახვა
და მობრძანება მთავარ მართებლად!
თქვენთვის თავს დასდებს მთლად საქართველო
და გაუხდებით სადიდებელად!
(წამოდგებიან, ყიფიანი თაყვანსა სცემს და გადის. ვარანცოვი
მარტო დადის დაფიქრებული)

ვარანცოვი (თავისთვის)

იოსელიანს ბევრი რამ უთქვამს,
ისტორიული და არ მეჯერა.
ამან კი მისის გაბედულ სიტყვით
გული მატკინა და ამიძგერა.

ხალხი, რომელსაც წარმოუშობავს
დიდი სულმნათი შოთა რუსთველი,
მისი არსება რად უნდა იყოს
ასე ორჭოფი და საეჭველი?

არა, ეს ხალხი სულ სხვა ხალხია,
ბევრის მნახველი, ბევრის გამგონე!..
თავგამეტებულს, ქრისტეს რჯულისთვის
შეუღევია ძალი და ღონე.

და ანცა გულით გარუსებული,
მაგრამ ქართველი გარეგნობითა,
ის დაამშვენებს რუსეთის გვირგვინს
მაღალ გონებით და ტკბილ გრძნობითა.

გაქრობა ქვეყნად ამგვარი ერის
არს შემოქმედის შეურაცხყოფა!..
რაც სატანჯველი დღემდის უნახავს,
გამოსაბრძმედად ისიც ეყოფა.

ვით მართლმორწმუნე და ქრისტიანი,
მე შევუდგები ჩემსა განძრახვას
და ხალხის გრძნობაც ჩემს აზრს და სურვილს
შეუერთდება ვით მდინარე ზღვას.

ათი წლის შემდეგ

ვარანცოვი, შჩერბინინი და კურიერი (ვარანცოვს პაკეთი უჭირავს და
გახარებული ელაპარაკება თავის თავს)

ვარანცოვი

გურიის ჯარით ნიკო ერისთავს
გაუმარჯვნია სერასქირზედა,
რადგან სალდათებს ქართველი ჯარიც
მიშველებია გასაჭირზედა.

ახალციხეში ანდრონიკოვი
და ნიგოთში იმარჯვებს ნიკო,
სულ მცირე ჯარით და ორგანვე კი
საქმე გადაწყდა რამ საარაკო.
(მიუბრუნდა შჩერბინინს)
ახლა რას იტყვი ჩემ ქართველებზე?

შჩერბინინი

გამართლდა თქვენი შორსმჭვრეტელობა
და მასთან ერთად ქართველებისაც,
ერთგულობაში უეჭველობა...

კურიერი

თვით რუსებსაც კი გადააჭარბეს
ამ თათრის ომში ერთგულებითა:
ხელჩართულ ომში ქალებიც იყვენ
ხელში კეტებით და ნამგლებითა.

ვარანცოვი (შჩერბინინს)

ახლა ხომ გესმის, რომ ქართველები
რუსებთან ბრძოდენ თანასწორადა
და სადაც ჩვენი სისხლი იღვროდა,
მათიც იღვროდა ერთიორადა?

კურიერი

როცა დამარცხდა... გატყდა თათარი,
ჩვენ მაინც შვება არ მიგვიცია
და გაქცეულებს ჩაუდგა კვალში,
ფეხ-ფეხ მოსდევდა მათ მილიცია!

ვარანცოვი

შენც მახარობლად დაუნიშვნავხართ,
როგორც ვაჟკაცი ჩვენი ერთგული,
და, დეე, ჯვარმა წმინდა გიორგის
შენ დაგიშვენოს ამიერ გული!
(კურიერი მაძლს უხდის და მივა. ჩამოვარდება სიჩუმე)

შჩერბინინი

მე ქართველობას ვადევნებ თვალ-ყურს
სამოქალაქო მხოლოდ ნაწილში.
რუსების მეტი არა ახსოვთ რა
აღარც მღვიძარეს და აღარც ძილში.

და იმათ საქებ-სადიდებელად,
თითქოს საერთოდ შეეკრასთ პირი!..

არ შეუძლიათ, რომ აიტანონ,
თუ გაიგონეს რუსებზე ძვირი!

და თქვენ კი, როგორც ცით მოვლენილსა,
ისე შეგყურებთ ქართველი ერი,
დღეს რუსის ხელში საშვილიშვილოდ
მოსვენებული და ბედნიერი.

ვარანცოვი

საშვილიშვილოდ?! ეგ ჯერ ვინ იცის?
მე ხომ ყოველთვის აღარ ვიქნები?
და შეიძლება, რომ მოადგილემ
მოშალოს ჩემი გეგმა... საგნები.

ამ საკვირველ ხალხს ისე შეხედოს,
როგორც დაპყრობილ ვისმეს ველურსა,
და მაშინ იმათ ერთგულ სამსახურს
ვინლა მიაპყრობს თვალსა და ყურსა?

მაგრამ იმედი მაქვს მომავლისა,
როდესაც ყველა გამოიცვლება
და ცეცხლისა და მახვილის ადგილს
დაიჭერს სწავლა და განათლება.

ნახევარი საუკუნის შემდეგ სიზმარი

მგოსანი (სძინავს და აბოდებს)

უცხო სტუმარო! მითხარი: ვინ ხარ,
რომ შემოსულხარ კარდაკეტილში?
თუმც ჯერ არც ერთხელ არ მინახავხარ,
თვალწინ მიდგებიარ ცხადად და ძილში!

ეგ შენი სახე, სხივმომფინარე,
ხიდის წინა სდგას გაბრწყინებული

და გადაჰყურებს მტკვარს, ქუდმოხდილი,
მონყენილი და დაფიქრებული.

შენ ხომ არა ხარ ცისკრის სხივებზე
ჩამონაყოლი, ცით ჩამოსული,
მარად სახსოვარ, დაუფინყარი
დიდ ვარანცოვის უკვდავი სული?

თავს მიქნევ? ის ხარ? მაშ ნება მომეც,
დავემხო მის წინ და ვსცე თაყვანი
იმას, რომელსაც შეთვისებია
ჩემი გულისთქმა, ჩემი ძრახვანი.

მაგრამ ვაი, რომ მისი განძრახვა
აღარ ასრულდა... გადასხვაფერდა
და აღარა სძგერს ქართველის გული,
ისე, როგორაც მის ხელში სძგერდა!

რა მიზეზია? – ის, რომ მის შემდეგ
აქ ყოლიფერი გამოიცვალა,
და პატივანდილ ქართველობასაც
ძალმომრეობის დაანვა ძალა.

მას უგონებენ სხვადასხვა მიზეზს,
ჩასცივებიან უმიზეზოდ მტრად,
რომ გააძეონ საქართველოდან
და იმათ ნაცვლად თვით ჩადგენ მკვიდრად.

ან გაარუსონ!.. და მერე რაგვარ?
მხოლოდ ენით და არა გულითა,
სასტიკ ბრძანებით... ძალმომრეობით
და არა სიტკბო, სიყვარულითა.

სასწავლებელში ყველგან საერთოდ
მოსპობილია ენა ქართული.
გვიგმობენ ანმყოს და მას სცდილობენ,
რომ შეგვაძულონ ჩვენი წარსული.

დღევანდელ გეგმით ჩვენი შვილები
ვერას სწავლობენ, ტყვილად სცდებიან.
და ორთა შუა გამომწყვდეული,
ვერც აქ და ვერც იქ ველარ სწვდებიან!

ხალხმა დაკარგა სარწმუნოება,
დღეს იმას აღარ მოეპოება:
აღარც სინმინდე, აღარც სიმშვიდე
და არც სიმართლე და სასოება!

ვისი ბრალია? სამღვდელოების!..
რუსის ხელშია და იმიტომ ჰსურს,
რომ გაარუსოს... თორემ ზნეობას
ის არ ადევნებს თვალს და არცა ყურს!

არ გჯერა? ამბობ, შეცდომააო?
ჩვენ სამწუხაროდ, მაგას ჩვენც ვხედავთ,
მაგრამ, რომ არას გვათქმევენებენ
ჩვენც სიმართლის თქმას ველარა ვბედავთ!

ასე, ამგვარად, ღონემიხდილი
ვართ ქართველები, დღეს ცოცხალ-მკვდარი
და სანუგეშო რომ რამე გვითხრას
მომავლისათვის, არავინ არი!

შენა ხარ, განა, ცით მოვლენილი,
წინამორბედი და მოციქული,
რომ ნანამები და გატეხილი
გამომთელი ისევე გული?

სთქვი და ყურს გიგდებ, ნათელმოსილო!..
ეგ სამი სიტყვა, აბა, რა არი,
რომ ქართველობა გამოაბრუნოს
დღეს დატანჯული და ცოცხალ-მკვდარი?

დიდო მოხუცო! მე წინდანინვე
ვეთაყვანები მაგ შენ ციურ ხმებს,

რომ სიტყვა-სიტყვით მეცა გადავსცე,
შენგან სულჩადგმულ ჩემსა მოძმეებს!
(ვითომ ყურს უგდებს აჩრდილის სიტყვას და იმეორებს)

1) სიტყვა

„სანამ ქართველი დაუდევრობით
თვით არ შეიცვლის თავისს ბუნებას,
გარეშე მტერი, ურიცხვიც იყოს,
ვერ მიაყენებს იმას დიდ ვნებას!“

მგოსანი

უკვე დაჰკარგა!.. ის აღარ არის,
რაც რომ ყოფილა უწინდელ დროში!
დაჰკარგა მისი ძველი მახვილი
და ვერც შეიშნო სანაცვლოდ გროში!

2) სიტყვა

„სანამ ქართველი კუდაბზიკობით
სარწმუნოებას არ ააღებს ხელს,
გულგაუტეხელად და შეუპოვრად
მაინც აიტანს ყოველ განსაცდელს!“

მგოსანი

აღარც ეგა აქვს!.. აალო ხელი!
სარწმუნოება დაკარგა მისი,
და დავლუპულვართ, თუ მაგაზეა
დამყარებული მისი მერმისი!..

3) სიტყვა

„სანამ ქართველი მხნეობს სიმართლით
და არ დაჰკარგავს თავისს მიწა-წყალს,
ის მოიმზადებს საშვილიშვილოდ
სანუგეშებლად კეთილ მომავალს!“

მგოსანი

დააკარგვინეს ძალით, თუ ნებით
ალარა რჩება მათ მინა-წყალი,
სხვეებს ასახლებენ იმათ მაგიერ
და მათ დარჩებათ მაშ მომავალი?!

ვარანცოვი (ვითომ აჩრდილი)

ეგ ჯერ ადრია! გულს ნუ გავიტეხთ...
მოგვევლინება ჩემი მოგვარე
და ხელახლავე გამოგაბრუნებს
რუსის მოყვარედ, რუსის მოყვარე!

მგოსანი (გამოიღვიძებს და აქეთ-იქით იხედება)

ეს! რა მეზმანა?! ცხადივით ვნახე,
რომ ვარანცოვი გამომეცხადა
და დღევანდელი შავი პირბადე,
ვით მოციქულმა მაღლით ამხადა.

თან „სამი სიტყვა“ გადმომცა მცნებად
და ამიღელვა მძინარეს გული!..
ნუთუ, ამ ქვეყნად უნდა დამყარდეს
„ძმობა“, „ერთობა“ და „სიყვარული“?!

[1909]

ნაწყვეტები პოემებიდან

ჭიქსეთუძე

მეორე თავი

მამის საყვედური რუსეთზე

რას მოვესწარი, როგორ ეცემა
ძველი ზრდილობა საქართველოში!
ვილას აქვს ჩვენი პატივისცემა,
მოხუცის ფასი შეიქმნა გროში!

რაებს სჩადიხარ, დროო ახალო!
ველარ გავიგე შენი გზა-კვალი.
მადლობას გწირავ, ღმერთო მაღალო,
რომ არ შემასვი მეც თერგის წყალი!..

რაებს სჩადიან ჩვენი შვილები?
რასაც ჩვენ ვწუნობთ, ის უჩნთ საქებად;
ჩვენ დაგვცინიან დალოცვილები
და თვითონ ბევრი არ გაეგებათ.

მარხვას და ლოცვას არ ახსენებენ,
ძველი წესები აღარ ეძიეს,
ლამე არ სძინავთ, სულ თამაშობენ
და დღე კი ლამედ გადააქციეს.

რა ცეცხლშიდა ვართ! თუ არ გავზარდეთ,
ვილა დაგვინერს მაშინ არზასა?
და თუ გავზარდეთ, სულ დავიღუპეთ,
ვხედავთ, გვიბნევენ კვალსა და გზასა.

ვჭფიქრობდი: ვნახავ სწავლულსა შვილსა,
არა ვზოგავდი იმის ზრდაში ფასს!
და რა უქნია ამ დალოცვილსა?
დღისით და ღამით ყვირის: „ვისტ!“ ან „ფას!“

თუ არა, დადის ამ ოთახებში,
ვითომ დაჯდეს თუ? აჰ, ვერ ისვენებს;
ქარი უდგია სწორედ ფეხებში,
დადის: „პრაკ“, „პრუკ“, „პრაკ!“ აღარ მაძინებს.

ან მოიშლიდეს ნეტავ როგორმე...
ამგვარი სწავლა რა საქადია?
როცა აბრეშუმს ქსელავდა ხოლმე,
სულ ტრიალებდა ჩემი გადია.

მისთვის რუსეთში როგორ წავიდე,
რომ სულ ვქსოვო და ვილო ვალები?
რისთვის გავგზავნე? ჭირს გადვეკიდე,
რად არ დამიდგა მაშინ თვალები!

ან რალა დროსი, რა გაენყობა!
აი, ისიცა მოდის, აქნევს თავს,
რალაც საქმე აქვს სწორედ, ეტყობა!
ვნახოთ, რას გვეტყვის ის ახალს ამბავს.

რუსეთუმე

მამა ბატონო! მამა ბატონო!
რა აზრები მაქვს, რა მოვიგონე!
გეტყვი, თუ ახლავ არ მომიწონო,
ყური დამიგდე და გამიგონე!

მამა

რა დაგემართა, ნეტავ რა არი?
ერთი ვერსიდგან მაგრე მოჰყვირი!
მოდო ახლოს და მაშინ მითხარი,
არსად მივდივარ, არავის ვტირი...
სინამ იტყოდე, შენ სული გხდება,
რა გაქლოშინებს, ჯერ შეისვენე,
აზრი ხომ არსად გაგიფრინდება!

რუსეთუმე

ბატონო, კარგი რამ მოვიგონე:
დიდი ხანია, რაც ეს ნიგვზის ხე,
ეზოში რომ დგას, სახეში მქონდა,
დღეს განგებ წაველ და განგებ ვნახე
და ასე უცებ ეს მომაგონდა:
იცი, ბატონო, რა მოგახსენოთ:
რადგანც ის ხე დგას მხოლოდ ეზოს შნოდ,
გადავჭრათ ძირში, მერე დავხერხოთ
და სულ ფიცრები დავათლევიროთ;
ფიცარი თუმნად კი ღირს, ღმერთმანი,
ხეს გამოუვა ასი ფიცარი,
ეს შეიქნება ასი თუმანი;
ოჯახობაცა, აბა, ეს არი!

მამა

როგორ იფიქრე იმისი მოჭრა?
შენ მართლა ამბობ, თუ მეხუმრები?

რუსეთუმე

აღარას ვეძებ, რაც უნდა მითხრა,
ავზედ და კარგზედ ყველაზედ წყრები.

მამა

როგორ არ გავწყრე: დღეს ნიგოზს მიჭრი,
ხვალ ამომიკაფ ძირში ვენახსა,
ფულს შენ არ ჰზოგავ, ბზესავითა ჰყრი,
აგერ, მენს დასცემ ამ ჩემს ოჯახსა.

ორასის წლის ხეს, ეზოს შვენებას,
აბა, ვინ მოსჭრის და ვინ დახერხავს,

აბა, მაგნაირ ოჯახის ვნებას
ვინ მოსწრებია და ვის უნახავს?

რუსეთუმი

ჩვენი ვალია, რომ დღეს გაჩვენოთ,
რაც არ გინახავთ უწინდელ კაცებს;
ახალმოდურად უნდ ავიშენოთ
ოჯახი.

მამა

მაგას ჩვენ ვინ გვიჩვენებს?

რუსეთუმი

თქვენ მიანდევით ეგ საქმე შვილებს,
აბა, ბატონო, სხვასაც კი ჰკითხე
ნასწავლსა კაცსა: ორასის წლის ხე
ორ-სამს წელიწადს თუ კიდევ გასძლებს?
რომ გცოდნებოდათ თქვენ ბოტანიკა,
თვით მიხვდებოდით, არ ჰკითხავდით სხვას.

მამა

აი, შეგირცხვეთ თქვენ „ბუტანიკა“
და დამჯერესაც ლაფი დაესხას!
რაებს ჩერჩებოთ! რას მეუბნები!
ორასის წლის ხე სამს ველარ გასძლებს?

მაგრე სტყუიან თქვენი წიგნები?
ვიჰ! ვიჰ! დაჰხედეთ სწავლულ ყმანვილებს.
შევრცხვე, თუ თქვენი სწავლა ვინატრო!
რაებსა როტვენ!.. ერთი დაჰხედეთ!

რუსეთუმი

რომ კარგი იყო თქვენი ძველი დრო,
რით დაამტკიცეთ? რა გააკეთეთ?

მამა

რა გავაკეთეთ? რა წავახდინეთ?
ძალიან კარგა ვირჯებოდით ღვთით!
მაგრამ შვილებმა კი შეგვარცხვინეთ...
თქვენ გამოზრდაში სწორედ მოვსტყუვდით.

ალარ გნამთ ლოცვა, წირვა და მარხვა,
ჟამივითა გძულთ მღვდლების დანახვა,
ჩვენს ცხოვრებასა ქალაქში აგებთ,
ჩვენს დროს აგინებთ და თქვენსას აქებთ.

ნეტავ ძველ კაცებს რითი გვჯობიან?
უწინ ჩვენ უღვაშს რომ ენდობოდენ,
იმდენს „ვექსილით“ არ ენდობიან
ახლანდელს კაცებს, ისე გაფუჭდენ.

რუსეთუმი

ეს არის ჩვენი ბინიერება?

მამა

დიალ, ეს გახლავს, ესეც იკმარეთ.

რუსეთუმი

აბა, მეც ვიტყვი, – ნუ გეწყინება, –
თქვენი ძველი დრო როგორ ატარეთ:

ძველი კაცები რომ ადგებოდით,
დილას ხელს და პირს რომ დაიბანდით,
იმ წამს საუზმეს მივარდებოდით,
გამოდებოდით, ისევ წვებოდით.
სადილობამდინ არ ადგებოდით,
მანამდი, აბა, რა გაგანძრევდათ?
სადილად ისევ გამოდებოდით,
რომ თითქმის გული აგერეოდათ;
გამოდებოდით რა უმონყალოდ,
ისევ ლოგინზე გაგორდებოდით,
უსადრაოდა, თითქმის უსულოდ,
სანამდი ვახშმად არ დასხდებოდით.
დაურწყება კი უფრო გიყვარდათ,
რადგანც იყავით სულის კაცები;
მთელი მარხვისას შესჭამდით ერთად
სარჩოს და მერე სულ...

აქ რუსეთუმი მეტად გახურდა
და აპირებდა კიდევ მეტსაცა,
მაგრამ მოხუცი წამოუვარდა
და ცალ ფოსტალსა მან ხელი სტაცა.
რომ დაინახა რუსეთუმემა,
ზე წამოვარდა დაფეთებული,
წინ ის გაიქცა და უკან მამა,
წითელპერანგა გამწარებული.
დაუზოგავად ლანძღვით მისდევდა,
ემატებოდა რისხვისა ალი,
მაგრამ გაქცეულს, რა ველარ მისწვდა,
კისერში მისცხო მარჯვედ ფოსტალი.
ასე, ამგვარად, ჩვენს მქადაგებელს
დაათხრევენეს სიმწრით თვალეზი.
გაგრძელებაზედ აქ ავიღებ ხელს,
თორემ, მკითხველო, დამელალები.

**ფარისაველი
(პოეზიიდან „რუსეთუმი“)**

შეხედეთ ფარისეველსა,
ლოცვითა ღამის მთეველსა,
ცხადად ბოროტის დამგმობსა,
ჩუმათ კი ცოდვის მდეველსა.

წამისწამ ახსენებს უფალს,
ამ თვალმაქცობით გიხვევსთ თვალს;
მე უღმერთო კაცსა მეძახის
და მიზეზს ადებს თერგის წყალს.

შეგტირისთ ჯვართა და ღვთით,
თქვენც გაჯერებსთ: ცუდ კაცად მხდით!
მაგრამ ჩვენშიდ სხვა რამ არის –
მიზეზს გეტყვით, თუ ვერ მიხვდით:

მე და ეგ ვსცნობთ ერთმანერთსა!
ეგ რომ მუჭებს იცემს მკერდსა,
არ იცით, რომ თქვენც გატყუებთ
და ეცრუებთ თვით ღმერთსა?

აბა, სინჯეთ, ერთხელ გარეთ
სადმე ჩუმათ მიეპარეთ,
მაშინ ნახავთ, რომ იმავ მუჭს
გლებს კაცს ურტყამს თავშიდ მწარედ.

გეფიცებით იმავ თვალეზს,
ცხადათ რომ ცას უკვრიალეზს,
ჩუმათ ბევრჯერ აშიკულად
უთამაშებს ღამაზ ქალებს.

საყდარში რომ დაგვიხელებს
და ხატს უპოტინებს ხელებს,

მერწმუნეთ, იმავე ხელებით
მომჩივრებს ჯიბეს უთხელებს.

მე ვერ შემაცდენს თქვენსავით
მარხვით, ლოცვით, მოხრილ თავით,
შევუტყვე ფარისევლობა,
ღირსია, ჩაიქოლოს ქვით!

ვცანი გაიძვერა მე,
მისთვის მიწყრება თურმე,
უღვთობას მიტომ მწამობს
და მეძახის: „რუსეთუმი!“

მეათე თავი

ბნელით მოსილი საჩხერეს არე
განისვენებდა ტკბილისა ძილით,
რომ მთის წვერიდგან გამოჩნდა მთვარე
და გადაჰხედა კორდსა სიცილით.

შეჰხედა ცასა მან ყურადღებით,
რა ვერ შენიშნა მაზედ ღრუბელი,
მოცურდა ნაზად, თავმონონებით
და გადაჰკარგა მთებს იქით ბნელი.

ცაზედ ვარსკვლავთა გახარებულთა
მნათობის წინა იწყეს ნავარდი;
ერთხმად შესძახეს ქვეყნით ბულბულთა,
არამატს სცემდენ ია და ვარდი.

სურნელებითა დაბრუებულნი
თითქმის ფოთოლნიც არ შრიალებდენ,
და ანგელოზნი, ცით მოვლენილნი,
საჩხერეს თავზედ დასტრიალებდენ.

მარცხნით ჯრუჭულა, ყვირილა მარჯვნივ,
ჩიხურა, კორდის შუა მდინარე,

ნანას იმღერდენ დაბალისა ხმით
და ბანს აძლედა მათ არემარე.

მერე სულ ერთად შეერთებულნი,
რა საჩხერესა მოშორდებოდენ,
მღვიმის ხეობას გაქანებულნი
მონავარდობდენ, კლდეთ ახლტებოდენ.

„მოდი-ნახე“ კი, ციხე ამაყი,
ახალ ციხესა გადაჰყურებდა,
თავს აღარ ეცვა ღრუბლის ბაშლაყი
ციხეთ-ციხესა და მღუმარებდა.

აგონდებოდენ მას ტკბილნი დრონი
თვისის პატივის და დიდებისა,
ოდეს გმირთ-გმირი მისი პატრონი,
სოლომონ, მჩენი იმერლებისა,

ჩხუბების შემდეგ გამარჯვებული
პირდაპირ ციხეს მოაშურებდა
და ღვთისმოყვარე, მირონცხებული
პარაკლისს პირველ ახდევინებდა.

შემდეგ მის ქვრეტიტ გახარებულთა
(ვინ გაბედავდა მასთან მოწყენას!)
ის უბრძანებდა წარჩინებულთა
მწვანე მოღზედა სუფრის გაფენას.

და თვით, ვითა ძმა ყმათ შუა უჯდა;
იყო ყანწ-თასთა ტრიალ-ტრიალი,
ვერცხლის დანებით სთლიდენ რა ბეჭთა,
სოვლად გაჰქონდათ ბზიალ-ბზიალი!

აიღებდა რა პირველად სასმოს,
მეფე ეტყოდა ყმათ: „ალავერდი!“
ძმანიც ეტყოდენ: „მეფევ, გაამოს,
განძლიერდი და ტკბილად დაბერდი!“

რუსეთუმე

სხვადასხვა რიგი ლხინი ამგვარად
მეფის ციხესა უნახავს ბევრჯერ
და უსმენია კიდევაც მარად
ხმა ნუგეშისა: „მრავალჟამიერ!“

დღეს კი ეს ყველა მას მოეშალა,
ან აღარ ესმის ტკბილი ხმა მეფის,
დროებამ თვისი უჩვენა ძალა,
აღასრულა რა წესი ბუნების...

საყდარი იგი, სად პარაკლისსა
მეფე იხდიდა მძლეველი მარად,
ესლა შექმნილა სახტომლად მგლისა
და მეფის სახლი – მწყემსის სადგურად!..

ამას ჰფიქრობდა ამაყი ციხე,
ტკბილი დროს, მგონი, იყო ტანჯვაში
და შეჭმუხვნილი ამაყი სახე
მას ჩაეხატა ყვირილას წყალში.

[1861,1862]

მელია ელთაღაში

ქუქუდა

(დაფიქრებული ზის ჩრდილში)

მზეცა და მთვარეც აქ ჩვენებურს ჰგავს!
ვარსკვლავებიც კი ჩვენებურია!
და სამშობლოში მათი დანახვა
რად მენატრება, რალად მწყურია?

ია და ვარდი აქაც იშლება,
აქაც უგალობს ხომ იადონი?
და რალად ვჰფიქრობ ჩვენ ქვეყანაზე
გულდანწყვეტილი მათი მომგონი?

ამ ორი ქვეყნის, შორიშორს მყოფის
თანასწორია თითქმის ბუნება
და მაშ, სურვილი მოუსვენარი
სულ სხვანაირად რად მეუბნება?

მაგრამ სუყოველ ადამიანში
რალაცა ძალი თანშობილია,
მიუნდომელი, მიუდგომელი,
ვით სიყვარული, ასე ტკბილია!

ვერრა პატივი, ვერრა დიდება
ვერ შესძლებს იმის სამაგიეროს!
სიშორე მისი გრძნობა-გონებას
მიაჰფენს მწუხრის ჩრდილსა და ჩეროს.

ვარიანტები
შენიშვნები
კომენტარები

ტექსტისათვის

აკაკი წერეთლის თხზულებათა აკადემიური ოცტომეულის სრული კრებულის მეხუთე ტომში იბეჭდება დრამატული პოემები და ორი ნაწყვეტი პოემებიდან „რუსეთუმე“ და „მედია ელლადაში“. ტომს ახლავს შენიშვნები და ვარიანტები, ტექსტოლოგიური და ისტორიული ლიტერატურული კომენტარები, აგრეთვე, პირთა და გეოგრაფიულ სახელთა საძიებლები.

ტომზე მუშაობისას ძირითადად დავეყრდენით აკაკი წერეთლის სიცოცხლისდროინდელ ყველა გამოცემას: მათ შორის, „აკაკის თვითი კრებულის“, „თხზულებანი აკაკი წერეთლისა“, 1983წ. I და II ტომებს, ა. წერეთლის „ჩემი ნაწერები“, I და II ნიგნებს, 1912-1913წწ და პოემების ცალკეულ გამოცემებს: „თამარ ცბიერი“ 1890წ., ნიკოლოზ დიასამიძის გამოცემა; „პატარა კახი“, 1890წ., თეატრის რედაქციის გამოცემა.

V ტომი ეფუძნება აგრეთვე, აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებულის შვიდტომეულის III ტომს (რედაქტორი იოსებ გრიშაშვილი, თბ., 1940), აკაკის თხზულებათა თხუთმეტ ტომეულის VI ტომს (რედაქტორი ი. გრიშაშვილი, თბ., 1956), ნ. გურგენიძისა და ი. გორგაძის „აკაკი წერეთლის ცხოვრებისა და შემოქმედების მათიანეს“ (თბ., 1989).

წინამდებარე ტომში შედის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის აკაკის ფონდში, საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივის საცენზურო კომიტეტის ფონდში, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის კირილე ლორთქიფანიძის ფონდში, იოსებ გრიშაშვილის სახლ-მუზეუმსა და შოთა რუსთაველის სახელმწიფო თეატრის ბიბლიოთეკა-მუზეუმის ფონდებში დაცული მასალები, ნიკო ნიკოლაძის პირადი არქივისა და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ხელუხლებელი ფონდის მასალები.

ახალი აკადემიური გამოცემა წინა გამოცემებისგან გამოირჩევა აკადემიური სისრულითა და არაერთი სიახლით. ტომს შეემატა რამდენიმე უცნობი ნაბეჭდი და ხელნაწერი წყარო, სახელდობრ, პირველად იქნება ფართო საზოგადოებისთვის წარმოდგენილი აკაკის „ჩემი ნაწერების“ ნიგნი II, (1913წ.) აკრძალული ეგზემპლარი, რომელშიც პირველად დაიბეჭდა პოემა „ვარანცოვი“ (ამ სათაურით – მ.ა.) და რომლის გამოც ცენზურამ გაანადგურა ნიგნის 2800 ეგზემპლარი, ამოჭრა იქიდან პოემის ტექსტი და მის ნაცვლად სხვა ნაწერები შეიტანა (აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებული, ტ. VI, 1956, გვ. 391). საბედნიეროდ, ი. გრიშაშვილმა მიაკვლია ამ გამოცემის ერთადერთ გადარჩენილ ეგზემპლარს, რომელიც პოემის ავტორიზებული ნაბეჭდი წყაროა.

ცხადია, ჩვენს გამოცემაში ეს ნაბეჭდი წყარო მივიჩნიეთ „ვარანცოვის“ ძირითად ტექსტად.

ასევე გამოცემაში წარმოდგენილია პოემა „ვარანცოვის“ დღემდე უცნობი ავტოგრაფი (№89), რომელიც დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. ი. გრიშაშვილი იმონებს მხოლოდ ერთ (№1475, ახალი №83) ავტოგრაფულ ხელნაწერს.

ტომს დაემატა ასევე „პატარა კახის“ ავტორიზებული ნაბეჭდი წყარო, რომელიც ინახება ნიკო ნიკოლაძის პირად არქივში. პოემის 1890 წ. გამოცემის ერთი ცალი აკაკის ნიკოსთვის უჩუქებია ასეთი წარწერით: „მის მტერ-მოყვარეს ნიკო ნიკოლაძეს“. წიგნში აკაკის ხელით შეტანილია მთელი რიგი სწორებანი, ამიტომაც ეს ეგზემპლარი ავტორიზებულია და უალრესად მნიშვნელოვანი წყაროა კანონიკური ტექსტის დადგენისთვის (იხ. ჯ. გაბოძე, „აკაკის თხზულებათ აგამოცემები“, თავი III, თბ., 2009, გვ. 94-106).

ბაგრატ მეფე – ბაგრატ IV (?-1681), იმერეთის მეფე (1660-61, 1663-68, 1669-78, 1679-81), ალექსანდრე III-ის ძე. ახალგაზრდობაში დააბრმავა დედოფალმა დარეჯანმა.

გურიელი – იხ. გიორგი გურიელი.

თამარი – თამარ მეფე (დაახლ. 1160-1215), საქართველოს მეფე 1184–1215 წლებში.

რუსთველი – შოთა რუსთაველი, XII საუკუნის ქართველი პოეტი, პოემა „ვეფხისტყაოსანის“ ავტორი.

პეტრე – მაცხოვრის მოციქული. სახარების მიხედვით, მან სამჯერ უარყო ქრისტე.

ერისთავი – რაჭის ერისთავი, ქართლის მეფის, ვახტანგ V შაჰნავაზის (?-1675) ძმისშვილის, თამარის მეუღლე.

გენათელი – გედეონ I (ერისკაცობაში ლორთქიფანიძე) (?-1682). გელათის ეპისკოპოსი მიტროპოლიტის წოდებით (1660-1682). 1669 წელს ბაგრატ IV -მ იგი ელჩად გაგზავნა რუსეთში.

დადიანი – იხ. ლევან დადიანი.

ბაგრატ, მეფე იმერეთის – იხ. ბაგრატ მეფე.

შოთა – იხ. რუსთველი.

ლასხიშვილი – XVII საუკუნის ფეოდალი, რომელმაც 1668 წელს მოკლა დარეჯან დედოფალი.

ადამი – თორასა და ყურანის მიხედვით, ღმერთის მიერ შექმნილი პირველი ადამიანი, ევას ქმარი, კაენის, აბელისა და შეთის (სიფის) მამა. ქრისტიანულ თეოლოგიაში ადამი ადამიანის სიმბოლოა ღმერთთან თავისი ურთიერთობით.

ევა – პირველი ქალი, ადამის მეუღლე, კაენის, აბელისა და შეთის (სიფის) დედა.

წმინდა გიორგი – პირველმოწამე, წმინდანი კაბადოკიდან, III-IV საუკუნე. ამჟამად რამდენიმე ქვეყნის, მათ შორის საქართველოს, მფარველი წმინდანი.

გიორგი – იხ. გიორგი გურიელი.

პილატე – პონტიუს, იუდეის რომაელი მმართველი (ახ. წ. 26-36). ახალი აღთქმის თანახმად, პილატემ ჯვარცმის განაჩენი გამოუტანა იესოს. განაჩენის გამოტანის დროს მან სახალხოდ დაიბანა ხელები, რითაც სიმბოლურად მიანიშნა, რომ სისხლის ღვრაში ბრალი არ მიუძღვოდა.

წულუკიძე – პაატა (?-1656), იმერეთის სამეფოს პოლიტიკური მოღვაწე, „წუნურაკად“ წოდებული.

მეფე ბაგრატ – იხ. ბაგრატ მეფე.

მაცხოვარი – იესო ქრისტე, ადამიანთა მხსნელი ღმერთკაცი, ძე ღმერთი.

დავით – მეფე დავით IV აღმაშენებელი (1073-1125), საქართველოს მეფე (1089-1125), გიორგი II-ის (გ. დაახლ. 1112) ძე.

გიორგი – მეფე გიორგი III (?-1184), საქართველოს მეფე 1156 წლიდან, დემეტრე I-ის (1125-1156) ძე, თამარ მეფის (დაახლ. 1160-1215) მამა.

მაგდალინელი – იხ. მაგდალინელი.

პატარა კახი (გვ. 111)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ასლები: „ირაკლი ბატონიშვილი“, G ფ. II; 421 (B), „ირაკლი ბატონიშვილი“ Z ფ. 480, №793 (საცენზურო ეგზემპლარი) (C); „გელა“ R №685 (საცენზურო ეგზემპლარი) (D); „გელა“ Z ფ. 480 I. №925 (E); „პატარა კახი“, G ფ. II. 420 (F).

ნ ა ბ ე ქ დ ი: „პატარა კახი“, გაზ. „თეატრი“, 1890, №1, 1 იანვარი, გვ. 1, №4, 21 იანვარი, გვ. 1 (G); „პატარა კახი“, თეატრის რედაქციის გამოცემა, 1890, (H); „პატარა კახი“, თეატრის რედაქციის გამოცემა, 1890, P (I), „პატარა კახი“, უ. „აკაკის თვიური კრებული“, 1897, №4, დეკემბერი, (II განყოფილება), გვ. 1-112 (A).

ს ა თ ა უ რ ი: ირაკლი ბატონიშვილი BC; გელა DE; პატარა კახი AFGHI.

თ ა რ ი ლ ი: 1886 C; 1887 DE.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი G.

პოემას პირობითად ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

აკაკი წერეთლის პოემა „პატარა კახი“ პირველად დაიბეჭდა 1890 წელს გაზეთ „თეატრში“, №1-ში (II მოქმედების I გამოცემა) და №4-ში (I მოქმედების II გამოცემა). ორივე წყარო, მიუხედავად იმისა, რომ პოემის სხვადასხვა მონაკვეთს მოიცავენ, ერთ მთლიანობას წარმოადგენს, ამიტომ ერთი ლიტერის (G) ქვეშ გავაერთიანეთ.

ნიკო ნიკოლაძის პირად არქივში დაცული ვარიანტი (I) 1890 წლის თეატრის რედაქციის გამოცემის ეგზემპლარია, რომელიც თვით აკაკის უჩუქებია ნ. ნიკოლაძისათვის (იხ. ჯ. გაბოძე, „აკაკის თხზულებათა

გამოცემები”, თავი III, თბ., 2009, გვ. 94-106). გამოცემის ტექსტში აკაკის თვითონ განუხორციელებია ჩასწორებები. ამ ფაქტზე დაყრდნობით ჯ. გაბოძე თავის ნაშრომში აღნიშნული გამოცემის ტექსტს ნაწარმოების ავტორიზებულ წყაროდ მიიჩნევს, რაშიც ჩვენც ვეთანხმებით. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აკაკის მიერ გაკეთებული ჩასწორებების უმრავლესობა „პატარა კახის“ 1890 წლის გამოცემაში ნიგნზე დართულ ე.წ. „შეცდომების გასწორებაშია“ შეტანილი. „შეცდომების გასწორება“ კი ნ. ნიკოლაძისთვის ნაჩუქარ ეგზემპლარს არ ერთვოდა.

„პატარა კახის“ II მოქმედების I გამოსვლაში პატარა კახის მიერ წარმოთქმული ტექსტი „გამიგონია, ვითომც ლერნამი ... ერთად შეთხზული, შეზავებული“ (126. 28–127. 14) აკაკი წერეთელმა ჯერ 1890 წელს გაზ. „თეატრში“ (№1) დაბეჭდა დამოუკიდებელ ლექსად სათაურით „გამიგონია, ვითომ ლერნამი“ (გვ. 1), ხოლო 1908 წელს „რჩეულ ლექსებში“ (საიუბილეო გამოცემა) ასევე ცალკე ლექსად გამოაქვეყნა სათაურით „სალამური“ (გვ. 61-62). (დანვრილებით იხ. აკაკი წერეთელი, თსკ ოც ტომად, ტომი II, 2011, გვ. 171, 489).

პოემის III მოქმედების I სცენაში მუშების მიერ ნამღერი სიმღერა „ყანაო, მუშის სამოთხე ... ზურმუხტად აგამწვანაო!“ (145. 28–146. 6), „ყანაო, გულხელგამოლილო ... გაგთოხნით ყოველგანაო“ (148. 5-10) და „ზედ უფლის თვალი ... სხვაჯ ბევრი შენისთანაო“ (149. 5-12) ა. წერეთელს ჯერ დამოუკიდებელ ლექსად ჰქონდა დაწერილი, რომელიც 1886-დან 1914 წლის ჩათვლით სხვადასხვა გამოცემაში იბეჭდებოდა (დანვრილებით იხ. აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. II, 2011, გვ. 143, 476).

111. 1 ხუთმოქმედებიანი ისტორიული ~ HI.

112. 2 კახეთის მეფე -HI; 3 მისი მეუღლე -HI; 4 მისი ძე, მემკვიდრე -HI; 5 თ-დი გივი] გივი FHI; გამზდელი] გამზრდელი F; 9 გლეხი, მოხუცი] მოხუცი FGHI; 13 თ-დი ბაადურ-კუტი] ბაადურ კუტი FHI.

113. 10 ნაღვლიანი] ნაღვლიანის F; 16 უწყალოთ] უწყალოდ FHI; 22 ჩემ] ჩემს F; 23 გულთამხილავო] გულთამხილაო HI; 25 მოვჰკარ] მოვკარ F.

114. 1 II-რე] მე-2-ე F, 2-რე HI; 2 ახალგაზდა] ახალგაზრდა FG; 8 დამადვე] დამდე G; 15 აჰ] აქ G; 17 გაგრძელდა] გაგძელდა G; 18 ერთიორათ] ერთიორად HI; 20 უსწორმასწორათ] უსწორმასწოროდ F; უსწორმასწორად GF; ამოქნარებს] ამომამოქნარებს FG.

115. 6 ჩვენს] ჩვენ FHI; 23 მუსრავენ] ჰმუსრვენ FG, მუსვრენ HI.

116. 13 ამბავი] ანბავი FGHI; 17 ამბობენ] ანბობენ FGHI; დიდ] რომ AFGH; 28 ძღვნათ] ძღვნად HI; საკურთხათ] საკურთხად FGHI.

117. 3 პირველათ] პირველად HI; 13 ამბობ] ანბობ FHI; 24 მოსაგონებლათ] მოსაგონებლად FHI; 31 ჯობს] სჯობს FHI; 32 ამაღამ] ამეღამ F.

118. 4 მოძებნი] დავებნი F; მოვჰკრებ] მოვჰკრეფ FHI; 6 ერთს] ერთ FHI; 14 ამბავია] ანბავია FHI; 17 ჩემ უნახავათ] ჩემს უნახავად FHI; 19 რომ] რო F; 21 ვუბედავ] უბედავ HI; 24 მეზმბა] მეზმევა FHI.

119. 1 III-მე] მე-3-მე F, 3-მე HI; 18 გადავცდი] გადავცდი FHI, F-ში იყო „გადავცდი“, „ს“ ჩამატებულია; 20 გადაცდი] გადასცდი HI.

121. 6 რჯულათ] რჯულად FHI; 8 გატეხს] გასტეხს HI; 15 ამბობ] ანბობ F; უიჭვოთ] უეჭვოდ F; 19,21 ჩემს] ჩემ FHI; 24 ჩემგან] ჩემგანც HI; სანინდრათ] სანინდრად HI; 26 ნაცრათ] ნაცრად HI; 33 უშენოთ ქვეყნათ] უშენოდ ქვეყნად HI; გაველებ] გავესძლებ FHI.

122. 2 დაგანაცვლებ] დაგინაცვლებ F; 15 მომშორდი] გამშორდი F; 22 ნულარ] ნულა F; 23 ხედავ] ჰხედავ HI; 25 აგერ] ეგერ F; 27 რათ] რა F; ერთ] ერთს FHI.

123. 4 ამბავია] ანბავია F; შემოგიტია] შემოგიტივა F; 14 უნებურათ] უნებურად FHI; 18 რამ] რო F, იყო „რომ ამბატირა, ცრემლათ დამწურა“, გადახაზულია და თავზე აწერია: „რომ ამაჟრჟოლა და გამახურა“; 26 ჩემს] ჩემ F; მომვლელათ] მომვლელად FHI.

124. 10 ამბობ] ანბობ F; 13 გვყავს] გვჰყავს F; 15 მოსაგერებლათ] მოსაგერებლად HI; 16 ლუკმა-ლუკმათ] ლუკმა-ლუკმად HI; 17 მსხვერპლათ] მსხვერპლად HI; 28 ტირის] სტირის FHI.

125. 16 ამბობ] ანბობ HI; 19 გადმოიხარა] გადაიხარა F.

126. 2 გამოსვლა 1-ლი] გამოსვლა II A;A 3 ტყიდან] ტყიდგან HI; 7 რათ] რად HI; 8 რალათ] რალად F; 9 ნებაზე] ნებაზედ HI; გავედგამ] გავსდგამ F; 10 მივდიო] მივსდიო FG; 11 მძიმე] მერმე G; დავდგა] დავსდგა F, დავსვა G; ჩემს] ჩემ F; 13 შორიდან] შორიდან GHI; ხმა მოისმის] მოისმის სალამურის ხმა G; 14 სწორეთ] სწორედ HI; 16 ცხოვრებს] სცხოვრებს HI; 19 ვიშ] ვაშ G; 21 ხიბლავს] ჰხიბლავს HI; 22 მაცდურ] მაცდურს HI; 32 ჩვენი] ჩვენის HI; 33 ამბავი] ანბავი FGHI.

127. 2 დასტაკებოდეს] დატაკებობდეს F; 5 მწყემს] მწყემსს FG; 8 ჩაპბეროს] ჩაბეროს G; 9 დასატკობელათ] დასატკობელად HI; 10 ააკვნესოსო] ააკვნესოს GHI; 11 მაცდური] ნელ-ტკბილი F; 12 პირველ] წარვალ F*; 13 ამბავი] ანბავი FHI; 15 ტყიდან] ტყიდგან HI; 20 დარბაისლური] დარბაისლურის HI; ზდილობით] ზრდილობით FHI; 23 II-რე] 2 რე HI; 24 იგივე] ისივე HI; 26 ბძანდებოდი] ბრძანდებოდი FHI.

128. 6 შევდექ] შევრჩი F, შევსდექ HI; 13 ბძანდებით] ბრძანდებით F; 14 გაბედავდა] გაპბედავდა F; 16 ხედავდა] ჰხედავდა FHI; 24 მიფრინავს] მიჰფრინავს FHI.

129. 2 შევენოდა] ჰშვენოდა FHI; 3 საომრათ] საომრად FHI; 5 სწორათ] სწორად FHI; 7 ვაჰკაცობისთვის] ვაჟკაცობისთვის FHI; 16 სოფლიდან] სოფლიდგან F; სოფლათ] სოფლად FHI; 20 ძმურათ] ძმურად FHI; 23 მათაც აშფოთებს] მათაცა შფოთდება] F; 25 ამბობს] ანბობს FHI; 28 საომრათ] საომრად FHI; 30 მიჰყვებიან] მოჰყვებიან F; ერთპირათ] ერპირად FHI.

130. 11,16 მხოლოთ] მხოლოდ FHI; 13 მარამ] მაგრამ FHI; 20 თქვენცა] თქვენც HI; 26 ერთი] ერთის FHI.

131. 6 პირველათ] პირველად FHI; 15 ტანადათ] ტანადათ FHI.

132. 3 ბატონიშვილო] ბატონისშვილო F; 8 გამზრდელი] გამზრდელი FHI; 11 სწყურია] სწყუროდა F; 13 გამზრდელი] გამზრდელი F; 14 ძვირათ] ძვირად FHI; 21 ახლავე] ეხლავე F; 30 ხვედრი] მხვედრი HI.

133. 2 ცდილობს] სცდილობს FHI; 4 თავხედობათ] თავხედობით F; რათ] რად F; 8 დასძლია] დაძლია F; 13 ითავსება] შეთვისდება F; 15 ერთპირათ] ერთპირად FHI; 22 III-მე] მე-3-მე F, 3-მე HI; 23 ისვე] იგივე F.

134. 3 მიბრძანებ] მიბძანებ F; 14 გასაქარვებლათ] გასაქარვებლად FHI; 17 თავისუფლათ] თავისუფლად FHI; 20 მარტოთ] მარტო F, მარტოდ HI.

135. 2 ჩანს] სჩანს FHI; 12 ხედვენ] ჰხედვენ HI; 19 ოხრათ] ოხრად FHI; 20 უპატრონოთ] უპატრონოდ FHI.

136. 2 კახის] კახი FHI; 7 მეტათ] მეტად FHI; 8 ამბობენ] ანბობენ FHI; 9 გაზდილი] გაზრდილი HI; 13 თქვას] სთქვას FHI.

137. 2 დავსდექ] დავდექ F; 5 გვიძღვოდეს] გვიძღოდეს FHI; 6 მისძახოდენ] მოსძახოდენ FHI.

138. 5 მონებას] მონობას F; 6 საქვემძრომოთ] საქვემძრომოდ FHI; 7 მონური] მონურის FHI; 8 მონობის] მონობას F; 10 სავაშკაცო] სავაჟკაცო FHI; 18 ჯობს] სჯობს FHI; 19 გვექადის] გვიქადის F; 21 4-ხე] მე-4-ე F; 22 ისვე] იგივე F; 26 თქვენს] თქვენ FHI; 28 სასიკვდილოთ] სასიკვდილოდ HI.

139. 5 ჰქონდესთ] ჰქონდეთ F; 10 ჩვენ] ჩვენს FHI; 15 ეკლათ] ეკლად FHI; ესობა] ედება F; 19 ტკბილათ] ტკბილად FHI; 22 შეკრთება] უცბად შეკრთება F; 23 ჰე] ჰა FHI; 24 ხედავს] ხედვენ FHI.

140. 10 ჩააგებს] ჩაიგებს FHI; 12 შემაბრალებ] შემაძულებ F; 18 ბედავთ] ჰბედავთ FHI; 20 მხედამთ] მხედავთ FHI; 22 წაგიდგამსთ] წაგიდგავთ F, წაგიდგავსთ HI; 27 გახლავან] არიან F.

141. 8 მოვჰკალ სწორეთ] მოვკალ სწორედ FHI; 12 ხლებოდა] ჰხლებოდა HI; 15 ჩანს] სჩან FHI; უსირცხვილოთ] უსირცხვილოდ FHI; 19 ყაჩაღათ] ყაჩაღად FHI; ვალათ] ვალად FHI; 21 სასახლეში] დღეობებში AH.

142. 18 მტრები] მტერნი FHI; 19 ბებურიშვილი] ბებურიშვილი HI; 22 ურცხვათ] ურცხვად FHI; 24 მხოლოთ] მხოლოდ FHI; იტყუებდა] ატყუებდა F.

143. 20 მახლობლათ] მახლობლად FHI; 22 მოსაგერებლათ] მოსაგერებლად FHI; 26 შეშვენის] შეშვენის FHI; 29 ხედავთ] ჰხედავთ FHI; მეტი] მეტის FHI; 30 დასალუპვათ] დასალუპვად FHI.

144. 1 ხედავთ] ჰხედავთ FHI; 4 სასიკვდილოთ] სასიკვდილოდ FHI; 5 გთხოვთ] გთხოვს F; 6 ძმურათ] ძმურად FHI; 8 მამაპაპურათ] მამაპაპურად FHI; 20 კარგათ] კარგად FHI; 2 ბევრჯერ] ბევრჯელ FHI; 28 ძმურათ] ძმურად FHI; 30 შესამუსრათ] შესარცხვენად FHI; 3 ვაშკაცობა] ვაჟკაცობა FHI; 32 ჩვენს] ჩვენ HI.

145. 1 საასპარეზოთ] საასპარეზოდ FHI; 3 რწამს] სწამს FHI; 14 უდროოთ] უდროოდ FHI; 18 ნაცვლათ] ნაცვლად FHI; ბუდიდან] ბუდიდგან FHI; 19 შევარდენი] შავარდენი HI; 20 ვთქვა] ვსთქვა HI; 21 შენი] შენი. ფარდა F; 22 მესამე] 3-მე HI; 24 მოჩანს] მოჩანს F; ეკლესიით] ეკლესიით FHI; 25 პირათ] პირად FHI; თოხნიან] სთოხნიან FHI.

146. 6 ზურმუხტათ] ზურმუხტად FHI; 15 1-ლ] 1 HI; 19 ჰო] ჰო FHI; 22 უქმს] უქმეს HI; ვტხებთ] ვსტხებთ HI; 24 ახალგაზდა] ახალგაზრდა F.

147. 5,21 ახალგაზდა] ახალგაზრდა F; 7 როტვა] ბოდვა F; 8 2-რე] მე-2-რე F; 9 თქვა] სთქვა FHI; 11 3-მე] მე-3-მე F, 3-რე HI; 12 ამბობ] ანბობ FHI; 14 ხედავ] ჰხედავ FHI; ამბავია] ანბავია F; 17 4-ხე] მე-4-ხე F, 4-ხე HI; 25 ცდებით] სცდებით FHI.

148. 1,11,16 ახალგაზდა] ახალგაზრდა F; 7 მოყვრულათ] მოყვრულად FHI; 8 მტრულათ] მტრულად FHI; 12 ამბავია] ანბავია FHI; 13 2-რე] მე-2-რე F, 2-რე HI; 18 3 მე] მე-3-მე F; 20 გააკვირვებენ] გააკვირვებენ FHI.

149. 3 წყობით] ჩქარა F; ახალგაზდა] ახალგაზრდას F; 10 ჩემო] კარგო F; 18 მარტოდ] მარტო FHI; 18 ახალგაზდა] ახალგაზრდა F; 20 ვუშველოთ] უშველოთ HI.

150. 1 II-რე] მე-2-რე F, 2-რე HI; 11 სამხრათ] სამხრად FHI; 15 ჯობს მოვუცადოთ] სჯობს მოვუცადოთ FHI; 19 ამბავია] ანბავია HI.

151. 5 ჰყავთ] ჰყავსთ F; 10 სჩვევია] შჩვევია HI; 17 ბძანდებოდა] ბრძანდებოდა FHI; 19 ამბობენ] ანბობენ HI; სული] ხელი AH; 20 შესჩერებოდა] შემჩერებოდა HI; 22 შესჩერებოდი] შემჩერებოდი HI.

152. 6 რო] რომ F; 7 აქამდი] აქამდის F; 14 პირველათ] პირველად FHI; 19 უეცრათ] უეცრად FHI; 21 მწყემსურათ რალათ] მწყემსით რალაზე F, მწყემსურად რალათ HI.

153. 9 ხელახლა] ხელახლად FHI; 12 ყმანვილურათ] ყმანვილურად FHI; 14 საზღვარი] საზღვრი AFHI; 18 ამბობს] ანბობს FHI; 22 ჯობს] სჯობს FHI.

154. 4 ჰქნას] ქნას FHI; 13 უეცრათ] უეცრად FHI; 17 ამბობს] ანბობს HI; 19 მამიმისის] მამამისის FHI; 20 კარგათ] კარგად FHI; 26 მივუსწარ] მივასწარ F, მივესწარ HI.

155. 2 მეტსახელათ] მეტსახელად FHI; 3 ვაშკაცობისთვის] ვაჟკაცობისთვის FHI; 4 III- მე] 3-მე F, მე-3-მე HI; 18 არ იქნა] არ ჰქნა F; 22 დამეთხოვეო] დამეთხოვეო FHI.

156. 4 უტყუვრათ] უტყუვრად FHI; 11 ისევე] ისე FHI; 12 მოვიტაცოთ] მოვიტაცო F; 18 შევხვდე] შევხვდეთ AFHI; 19 სასიკვდილოთ] სასიკვდილოდ FHI; 24 მიხვდებიან] მიჰხვდებიან FHI; 25 მარტოთმარტო] მარტოდმარტო F.

157. 7 უნებურათ] უნებურად FHI; 13 დრომდი] დრომდის FHI; 16 გაჰქრება] გაქრება FHI; 17,21 ამგვარათ] ამგვარად FHI; 23 IV-ხე] მე-4-ე F, 4-ხე HI.

158. 4 მხოლოთ] მხოლოდ FHI; 17 გადუვალა] გადუვალა HI; 18 ა, სად] არსად AFHI; 23 ველიდან] ველიდგან HI; 25 მიიყვანებენ] მიიყვანენ F.

159. 4 ბძანდებით] ბრძანდებით FHI; 6 სწორეთ] სწორედ FHI; 8 კარგათ] კარგად F; 11 მერჩის] მიჭრის F; ნახევრათ] ნახევრად FHI; 16 გაჰქრა] გაქრა FHI; 24 მედგრათ] მედგრად FHI; 26 მღვთისმშობლის] ღვთისმშობლის FHI; 27 მხოლოთ] მხოლოდ FHI; 29 შეანანოს] შეინანოს FHI; 30 მან] მას A; 31 მოიხდინან] იხდინან FHI.

160. 1 V-თე] 5 F, 5 თე HI; 2 სხვა მხებლები] სხვანი F, სხვა HI; 8 დიდათ] დიდად FHI; 14,19 ამბავი] ანბავი HI; 15 მალამოთ] მალამოდ FHI.

161. 3 შევაკავშიროთ] შევაკავშირო FHI; 4 საშვილიშვილოთ] საშვილიშვილოდ FHI; 5 გადავწყვიტეთ] გადავწყვიტეთ FHI; 6 ცოლათ] ცოლად FHI; 10 იყო + ნეტავ FHI; ამბავია] ანბავია HI; მიცვინდებიან] მისცვივდებიან FHI; 16 ქალი] კახი AFHI; 21 ადვილათ] ადვილად FHI.

162. 13 სწორეთ] სწორედ F; 14 მონატრულია] მონატრულია HI; 23 მივსცე] მივცე FHI.

163. 14 და ჰკოცნის –HI; 19 გვიბძანებთ] გვიბრძანებთ FHI; 24 ჩამორჩებიან] ჩამოსხდებიან HI.

164. 8 VI-სე] მე-6-ე F, 6-სე HI; 13 უეცრათ] უეცრად FHI; 15 ვამბობდი] ვანბობდი F; 23 გასაგონათ თქვა] გასაგონად სთქვა FHI.

165. 3 VII-დე] 7 F, 7-ე HI; 12 ჩანს] სჩანს FHI; 13 კარგათ] კარგად F; 14 თქვას] სთქვას FHI; 21 მხოლოთ] მხოლოდ FHI; 24 სასიძოთ] სასიძოდ FHI.

166. 2 თქვენ] თქვენს FHI; 5 კარგათ] კარგად FHI; 7 საბავშვო] საბავშვოდ FHI; 9 უნებურათ] უნებურად FHI; 17 რომ] რო FHI; ბძანა] ბრძანა HI; 22 საცოლოთ] საცოლოდ FHI; 23 საცოლ-ქმროთ] საცოლ-ქმროდ F.

167. 10 ოცნება] ოცნებავ FHI; 21 VIII-ვე] მე-8-ვე F, 8-რვე HI; 22 ისინივე] იგინივე F.

168. 4 ბძანდებოდა] ბრძანდებოდა F; 5 დიდი] დიდის FHI; 7 ნეტავი] ნეტავ FHI; 8 ჩემი] ჩემის HI; 9 ახალგაზდა] ახალგაზრდა FHI; 12 ბძანა] ბრძანა F; 15 ამბავს] ანბავს HI; აპირებენ] აპირობენ FHI; 16 ამბობენ] ანბობენ HI; 19 წითლათ] წითლად FHI; 20 1-ლი] პირველი F, 1-ლი HI; 22 2-რე] მეორე F, 2-რე HI.

169. 1,8 3-მე] მესამე F, 3-მე HI; 6 4-ხე] მეოთხე F; 16 ახალგაზდა] ახალგაზრდა F; 19 შენ] შენს FHI; 20 1-ლი] პირველი F.

170. 1 2-რე] მეორე F; 7 გემინიათ] გემინიანთ HI; 10 ამბავი] ანბავი HI; 11 1-ლი] პირველი F; 21 საუბედუროთ] საუბედუროდ FHI; 25 სანამდი] სანამდის FHI.

171. 1 გულადათ] გულადად FHI; 7 სავაშკაცო] სავაჟკაცო FHI; განძრახვა] განზრახვა F; 8 წასაქეზებლათ] წასაქეზებლად FHI; 10 მაგრათ დგას] მაგრად სდგას FHI; 14 უაზროთ] უაზროდ FHI; უადგილოთ] უადგილოდ FHI; 16 საშვილიშვილოთ] საშვილიშვილოდ] HI; 30 გარს ეხვეოდაო –F.

172. 4 ხეთვე] ხედვე F; 8 პირველი] 1-ლი HI; 9 წინ] წინა HI; 10 პირველი] 1-ლი F; 15 იქავ] იქა FHI; ბძანდება] ბრძანდება F; 22 ნაბძანები] ნაბრძანები FHI.

173. 3 ამბობ] ანბობ F; 6 II-რე] მე-2-ე F, 2-რე HI; 7 ისინივე] იგინივე F; შემოიჭრება] შემოიჭრებიან AFHI; 13 ამბავია] ანბავია F; 20 ავათაც] ავადაც F; 21 წაუნყდეს] წაუნმყდეს F; შემქნელ-მშობელი] შემქმნელ-მშობელი FHI.

174. 5 ჩუმათ] ჩუმად FHI; 18 კარგათ] კარგად FHI; 20 უმისოთ] უმისოდ F; 24 ვიპოვე] ვიპოვნე FHI.

175. 1 III-მე] მე-3-მე F, 3-მე HI; 5 მოულოდნელათ] მოულოდნელად FHI; 15 კარგათ] კარგად FHI; 17 მართებს] ჰმართებს HI; 26 მოსდგომია] მოდგომია F.

176. 3 მხოლოთ] მხოლოდ FHI; 8 რევაზს] რევაზსა FHI; 17,28 სწორეთ] სწორედ F; 18 გადუხადე] გადუხადე HI; 19 რალათ] რალად F; 21 მოვჰკლა] მოვჰკვდე AFH; 22 ვინიცობა] ვინიცობაა FHI; დამამარცხოს] დამამარცხებს F; 23 ნულარ] ნულა F; 25 ამბობ] ანბობ FHI; 26 გულგრილათ] გულგრილად FHI; 29 ფრთხილათ] ფრთხილად FHI.

177. 2 კარგათ] კარგად FHI; 5 ვინიცობა] ვინიცობაა FHI; 7 მაგიერათ] მაგიერად FHI; 10 ამბობ] ანბობ HI; 12 IV-ხე] 4-ხე FHI; 19 მიდიან + ფარდა F.

178. 8 თქვენი] თქვენის FHI; 9 შეურაცხყოფთ] შეურაცყოფთ FHI; 15 უანგარიშოთ] უანგარიშოდ FHI; უფიქრებლათ] უფიქრებლად FHI; 18 ახალგაზდების] ახალგაზრდების F; 25 გვიბძანებთ] გვიბრძანებთ FHI.

179. 6 აქამდი] აქამდის F; 8 უმისოთაც] უმისოდაც FHI; 11 ამოდენ] ამდენ F; 15,18 ჯობდეს] სჯობდეს FHI; 20 კარგათ] კარგად HI; ვუძლებდით] უძლებდით F; 26 დასამშვიდებლათ] დასამშვიდებლად FHI; 30 გაუძალდით] გაუძალდით HI; სრულათ] სრულად FHI.

180. 5 გავწყდეთ] გავსწყდეთ F; 8 საშვილიშვილოთ] საშვილიშვილოდ HI; ამოვვარდეთ] ამოვარდეთ FHI; 22 მოულოდნელათ] მოულოდნელად FHI.

181. 5 თქვი] სთქვი FHI; 9 ჩვენს] ჩვენ FHI; 13 შეუბლაღავათ] შეუბილწავად F, შეუბლაღავად HI; 14 არ-რა] არა FHI; 19 იმით] ამით F; 20 სრულათ] სრულად FHI; 21 საუკუნოთ] საუკუნოდ FHI; 22 მომხიბვლელ] მომხიბვლელ FHI; 23 ცოტ-ცოტათ] ცოტ-ცოტად FHI; 27 მკურნალათ] მკურნალად FHI.

182. 6 გუნდებათ] გუნდებად FHI; 9 მოულოდნელათ] მოულოდნელად FHI; 11 ჰბედავს] ბედავს F; 14 ხედავდა] ჰხედავდა FHI; 16 შეერთებულათ] შეერთებულად FHI; 18 საშვილიშვილოთ] საშვილიშვილოდ F; სრულათ] სრულად FHI; 21 ალისკანტიც] ალისკანტიც HI; 22 ძინავს] ჰძინავს FHI; 30 უთქმელათ] უთქმელად FHI.

183. 2 ძველათ] ძველად FHI; 5 ანმყოს, მომავალს] ანმყო-მომავალს F; 9 კარგათ] კარგად F; 18 ხედავდეს] ჰხედავდეს HI; 29 მტლად] მთლად F; 30 სულისდგმა] სულის გვემა F.

184. 2 უეცრათ] უეცრად FHI; 4 მტვრათა] გვემათა F; 6 წამოეთქვა] წარმოეთქვა F; 12 ნანდომი] ნანდობი FHI; 15 ბძანებთ] ბრძანებთ F; 21 ჩვენს] ჩვენ HI; 27 სამსხვერპლოდ] სამსხვერპლოთ A, სამსხვერპლად F, სამსხვერპლად H.

185. 4 აუმჯობესოს] გაუმჯობესდეს F; 6 დიდის] დადის F; 7 გეთანხმები] გეთანხმებით F; 10 შვილი + გივი მიდის F; 11 II-რე] 2-რე FHI; 15 გასჭრა + (ირაკლი თაყვანსა სცემს) F; 16 სნეულობამ] სნეულებამ F; 18 ჩვეულებრივათ] ჩვეულებრივად FHI; 21 წინდახედულათ] წინდახედულად FHI.

186. 2 ხვითი] ღვითი FHI; 5 გავუძლებ] გავუძლებთ FHI; ვაშკაცობას] ვაშკაცობას FHI; 10 ათასი] ათასის F; 16 თქვენი] თქვენის FHI; 23 გყავს] გყავს FHI.

187. 7 მხოლოთ] მხოლოდ FHI; 11 სარდლათ] სარდლად HI; 12 გყავს] გყავთ F; 16,18 მემარცხენეთ] მემარცხენედ FHI.

188. 13 სხვა] სხვას FHI; 24 ჰკოცნის] კოცნის F; 26 გინინამძღროს] გინინამძღროს F.

189. 2 ცრემლები ერევა] ცრემლი მოერევა F; 6 უკანასკნელათ] უკანასკნელად FHI; 7 საომრათ] საომრად FHI; 12 ბრძანა] ბძანა F; 23 სუყოველიფერ] და სუყოველთვის F; 28 შეგკადრო] შეგკადროთ F.

190. 1,7 მახლობლათ] მახლობლად FHI; 2 ვუყურო] უყურო F; 6 ხელმწიფე] ხელმწიფე F; 9 სანუგეშოთ] სანუგეშოდ FHI; გასამხნეველათ] გასამხნეველად FHI; 12 მხედრი] ხედრი FHI; 16 გვიბძანებ] გვიბძანებთ F; 18 ვთქვა] ვსთქვა FHI; აღლევებით] აყვედრებს F.

191. 2 სცენა პირველი] სცენა I-ლი F, 1-ლი HI; 3 მალღობი] სცენა: F; 4 I-ლი] 1-ლი HI; 9 პირათ] პირად FHI; 10 მხოლოთ] მხოლოდ FHI.

192. 3 გამოძებნიდა] გამოსძებნიდა F; 9 შენს] შენ FHI; 14 მინდვრათ] მინდვრად FHI.

193. 9 საფრიდან] საფრიდამ FHI; 10 ფშავმაც] თუშმაც AFHI; 13 საოცრათ] საოცრად FHI; 18 უთუოთ] უთუოდ FHI.

194. 6 იქნევს] აქნევს F; 13 ხედავთ] ჰხედავთ FHI; 20 შეიკავეს] დააკავეს F.

195. 13 ჩვენსკენ] ჩვენსკენ FHI.

196. 9 II-რე] 2-რე FHI; 10 შემოდის] შემორბის; 20 საოცრათ] საოცრად FHI; 22 სწორეთ] სწორედ F; 25 საპირდაპიროთ] საპირდაპიროდ F.

197. 3 ჩვენი] ჩვენის FHI; 16 მისცვივებთან] მისცვივიან FHI; 18 მხოლოთ] მხოლოდ FHI; 20 გეშინიათ] გეშინია F; 22 მოულოდნელათ] მოულოდნელად FHI.

198. 4 მისვლის] მოსულს FHI; 11 უგრძენია] უგრძენია HI; 13 ერთი] ერთის FHI; 14 მტერმაც] მტერმა F; 15 ყოველი] ყოველის FHI; 17 გაიქცენ] გაიქცნენ F.

199. 1 III-მე] 3-მე FHI; 3 2-რე] მეორე F; 6 ამბავია] ანბავია FHI; 7 2-რე] მეორე FHI; 7,11,18 2-რე] მეორე F; 15 1] 1-ლი F; 16 1-ლი] პირველი F, 1 HI.

200. 1 პირათ] პირად FHI; 12 შენს] შენ F; 15 F-ში „ბაადურ“ გადაშლილია და წერია „გივი“.

201. 5 ჩვენს] ჩვენ FHI; ქმრებთან] ქრმებთან HI; 7 პირნათლათ] პირნათლად FHI; წარვდგეთ] წარვსდგეთ HI; 8 შეურცხვენელათ] შეურცხვენელად FHI;

ჩვენს] ჩვენ FHI; 9 მოიხდიან] იხდიან F; 10 IV-ხე] 4-ხე FHI; 16 მახარობლათ] მახარობლად F, მახარობლად HI; 17 გავსწყვიტეთ] გავწყვიტეთ F; 18 მთხრობლათ] მთხრობლად FHI; 20 ამბობ] ანბობ FHI.

202. 9 მოულოდნელათ] მოულოდნელად FHI; შემოგვკრა] შემოგკრა HI; 13 მაგრამ] მაშინ F; 14 ჰკა მაგასა] ჰკარ მაგასო F; 15 უტბათ] უტბად FHI; 22 მხოლოთ] მხოლოდ FHI.

203. 4 გამოსხნილ] გამოსხნილ HI; 7 გეამბოროთ] გეამბოროთ HI; 10 სდევს] დევს F; 19 უკანასკნელათ] უკანასკნელად FHI; 22 თქვა] სთქვა FHI; 23 ნითლათ] ნითლად FHI.

204. 2 ღირსათ] ღირსად FHI; 3 სამაგალითო] სამაგალითოდ FHI; 5 ტანჯვა] ტანჯვაც F; 8 მეტათ] მეტად FHI; საეჭვოთ] საეჭვოდ F; 24 პირათ] პირად FHI.

205. 7 ჩვენს] ჩვენ HI; 8 შევნიერ] მშვენიერ FHI; 11 მივაგვანეთ] მივაგვანეთ F; 14 ახლავ] ეხლავ F.

206. 3. შენსვე] შენვე F; 7 იქაც] აქაც F; 11 ყველა] ყველანი F; 15 VI-სე] 6-სე FHI; 16 მედიდურათ] მედიდურად FHI.

207. 3 ამიერიდან] ამიერიდგან HI; საშვილიშვილოთ] საშვილიშვილოდ FHI; 7 დღემდინ] დღემდის F; 8 თავისუფლათ] თავისუფლად FHI; 10 სამარადისოთ] სამარადისოდ FHI; მსხვერპლათ] მსხვერპლად FHI; 14 უკანასკნელათ] უკანასკნელად FHI; 16 გყოლია] ყოფილა HI; 21 სამაგიეროთ] სამაგიეროდ FHI; 22 თავზედ] თავზე FHI; 23 მოეხვევა] გადაეხვევა HI; მოისმის] ისმის F; 27 კარისა ეს ღვთისმშობელი] ნიკოლოზ ალავერდელი F*; 28 ჩანს] სჩანს FHI.

208. 3 იჩოქებს –F; 5 განიბნინენ] განიბნინენ FHI.

ნაწარმოებში აღწერილია 1735 წელს ნეიშნის მინდორზე კახეთის სამეფოს ბრძოლა ლეკების წინააღმდეგ, რომელიც ქართველების გამარჯვებით დასრულდა. ერეკლე II-ისთვის ეს პირველი სერიოზული ბრძოლა იყო მტრის წინააღმდეგ.

ტექსტში გვხვდება შემდეგი სტრიქონები: „ბებურიშვილო! ვერვინ დაგძრახავს, / რომ გულს გიკლავდეს დამკლის უფლობა“ (144. 16-17). ი. გრიშაშვილის აზრით, „დამკლის უფლება“ ნიშნავს სისხლის აღებას, შურისძიებას (იხ. ა. წერეთელი, თსკ. ტ. VI, 1956, გვ. 389), ხოლო ნინო შარაშენიძეს მიაჩნია, რომ აღნიშნული სიტყვა დიდი მწუხარების, დარდისა და ძლიერი სულიერი ტკივილის გამომხატველი დიალექტური ფორმაა (იხ. ნ. შარაშენიძე, აკაკის კრებული, II, თბ. 2005, გვ. 445-449).

აკაკი წერეთელმა პოემა „პატარა კახის“ შექმნამდე 1886 წელს დაწერა იმავე შინაარსის ხუთმოქმედებიანი დრამა „ირაკლი ბატონიშვილი“,

რომელიც საცენზურო კომიტეტმა სცენაზე დასადგმელად დაინუნა: „По постановлению Цензурного Комитета 19 Марта 86г. определено постановка этой пьесы на сценах признать неудобной“ (C). საცენზურო კომიტეტის თვალის ახვევის მიზნით 1887 წელს აკაკიმ წარადგინა სიუჟეტურად სახეცვლილი ოთხმოქმედებიანი დრამა „გელა“, რომელიც ასევე იქნა დაწუნებული: „По журналу Цензурного Комитета 13. янв 1888 г. определено в виду того, что настоящая пьеса под иным названием („Ираклий Батонишвили“) по постановлению Цензурного Комитета 23 Марта 1886г. настоящему воспрещена в напечатании, то напечатание этой пьесы воспретить и удержать при делах Комитета“ (F). (დაწვრილებით იხ. მიაა არველაძე, აკაკი წერეთლის პოემა „პატარა კახი“ (ტექსტოლოგიური ანალიზი), თბ., 2005, გვ. 32-67).

დრამები „ირაკლი ბატონიშვილი“ და „გელა“ წარმოადგენს პოემა „პატარა კახის“ ორ დამოუკიდებელ პროზაულ რედაქციას. ამათგან „ირაკლი ბატონიშვილის“ ტექსტიდან „გელას“ ქალიშვილის სიმღერა“ პირველად 1935 წელს ი. გრიშაშვილმა დაბეჭდა ბათუმის გაზეთ „ლიტერატურულ აჭარისტანში“ (№1, გვ. 3), ხოლო დრამის სრული ტექსტი შეიტანა 1956 წელს აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებულის VI ტომში (გვ. 331-378). „გელას“ ტექსტი პირველად დაიბეჭდა 2005 წელს მ. არველაძის ზემოთ დასახელებულ ნიგნში (გვ. 105-154).

ი. გრიშაშვილი აღნიშნავს, რომ პროზაულ „ხელნაწერთა ეგზემპლარები ხუთია“ (ა. წერეთელი, თსკ, ტ. VI, 1956, შენიშვნები, გვ. 407). სინამდვილეში ქართულ ენაზე მხოლოდ ოთხი, B, C, D და E ხელნაწერი არსებობს. ი. გრიშაშვილის მიერ მითითებული Z ფ. 114 წარმოადგენს Z ფ. 480, №793-ის ძველ საარქივო აღწერას.

„ირაკლი ბატონიშვილის“ B ხელნაწერს ტექსტის ბოლოს ფანქრით კვადრატულ ფრჩხილებში ჩანერილია თარიღი „1886“. ეს მინანური მივიჩნიეთ ი. გრიშაშვილის ხელწერად, რის გამოც B-ს თარიღი პასპორტში არ მივუთითეთ.

პოემა „პატარა კახის“ ერთ-ერთ პროზაულ რედაქციას, „ირაკლი ბატონიშვილს“, გააჩნია ორი ხელნაწერი წყარო (BC). მიუხედავად იმისა, რომ ამ ორი ტექსტიდან C ვარიანტი საცენზურო ეგზემპლარია, ძირითად ტექსტად B ვარიანტი წარმოვადგინეთ, რადგანაც ის უფრო გამართულია. ქვემოთ ვბეჭდავთ რედაქციის B ვარიანტს:

ირაკლი ბატონიშვილი

ხუთმოქმედებიანი დრამა

მოქმედნი პირნი:

მეფე თეიმურაზ II

დედოფალი თამარ – მისი მეუღლე

ირაკლი ბატონიშვილი – მათი ძე

გივი ჩოლოყაშვილი – ირაკლის გამზდელი

გელა – ბრმა მოხუცი

ელისაბედ – მისი ქალი

ლევან ქვაბულიძე – მწყემსი

რევაზ ბებურიშვილი

ბაადურ – კუტი

ელენე – ლევანის და

მუშები, შიკრიკები, სასახლის კაცები და ქალები

მოქმედება 1-ლი

სცენა 1-ლი

დიდი ტყე, წინ ვაკით; შორით უზარმაზარი მთები მოსჩანან. ერთ პატარა კლდიან გორაზე მწყემსი ზის და სალამურს უკრავს.

გამოსვლა 1-ლი

მწყემსი – (ჩამოდის ვაკეზე და მარჯვნივ ტყისკენ იყურება) დაიგვიანეს. ჯერ არსად სჩანან, მაგრამ, თუ სალამურის ხმა ოდნაათაც არის ყურში ჩაენვეთა, მოხიბლულს აჩქარებით მოიზიდავს (დაფიქრდება. ნაღვლიანის ღიმილით) ჰმ!.. ქვაბულიძე და მწყემსი!.. იქ ბარში ჩემი ტოლები მტრის გუნდს ვეფხვევით ერევან და მე კი ფეხმოტეხილი თხასავით ცხვრებში ვიმალები!.. იქ იმათ მტრის ზიზლით ევსება გული და მე კი აქ შიგ სიყვარული შემეპარა... რა დროსია?.. (დაფიქრდება) ეს ყველა ჩემდა უნებურად მოხდა და გულთამხილაო! შენ ხედავ, რომ მე არა მაქვს ბრალი (იხედება მარჯვნივ) კიდევ არსად არიან!.. ეგებ, გაიარეს და მე ვერ შევნიშნე (მიბრუნდება მარცხნივ, სალამურს ამოიღებს, ხელის ხმით ადუღუნებს და მიდის).

გამოსვლა 2-რე

ბრმა მოხუცი და ახალგაზრდა ქალი

მოხუცი – ძალიან დავიღალე! ცოტა შევისვენოთ სადმე!

ქალი – თქვენი ნებაა, ვაკეც აქ არის და ჩრდილოც, უკეთეს ადგილს სადღა ვნახავთ (აქეთ-იქით იყურება). აი, მე აგერ დავჯდები ხის ძირში და შენი ნამონექ!.. მუხლზე თავი დამადევი და დაიძინე.

მოს. – არა, შვილო, გეტკინება.

ქალი – მაშ, ქვას მოგიტან, ან სხვა რამეს.

მოს. – რა საჭიროა? ნათქვამია: „შიმშილს სანები არ უნდა და ძილს სასთუმალი.“ (ამთქნარებს) მეტათ დავიღალე. იმდენათ გძელი გზა არ იყო, რამდენათაც უსწორ-მასწორი; აღმართ-დაღმართებმა გამიჭირეს საქმე: მუხლების კანკალი მომდის!.. ეჰ, მომერია სიბერე!.. ეს ერთი ხანია ყურებიც მიწივიან!.. თითქოს სადღაც სალამურს უკრავნო.

ქალი – (წითლდება) მაინც სალამურია ხოლმე.

მოს. – სალამური?! მერე და ვინ არის ის ღვთის მტერი, რომ ამისთანა დროში სალხინოთ გამოდის? იქ, ბარში, საქრისტიანო ეცემა, მტრისაგან ანიოკებული ქვრივ-ობლები მთებს შემოსტირიან და აქედამ კი მთიულები სალამურით უპასუხებენ?! ვაი, ჩვენს მოსწრებას!

ქალი – მწყემსები არიან. ცხვრები გამოჰყავთ საძოვარზე.

მოს. – ცხვრები?! ჰმ... იქ გამხეცებული მტერი ბარის ქართველობას მუსრს ადენს და აქ მთიულები კი ცხვრებზედა ჰფიქრობენ?! დროც არის!.. ოხ, თეიმურაზ! თეიმურაზ!.. უდროვოთ და უსამართლოთ გაგიტყდა გული, რომ მართლა ცხვრებივით მიგიტოვებია ბარის ქართველობა და აქ ფშაველებში იმალები. ცუდ მაგალითს აძლევ ქვეყანას, – მაგრამ მირონცხებული ხარ და ვინ რას მოგკითხავს!

ქალი – კარგია, მამავ, შენებურათ ნუ მოჰყვები!.. ნუ აშფოთდები, თორემ კიდევ გაგიტყდება ძილი.

მოს. – ძილი?! რალა დროს ძილია, შვილო? ბარემ დროიანათ ადგილზე მივიდეთ. იმ მგზავრმა რა გითხრა? სად არის „ქომისგორაო?“

ქალი – შორს აღარ არისო! მზის გადახრამდი მიახსნევთო. (სიჩუმეა) მამილო! რათ ეძახიან „ქომისგორას?“

მოს. – ძველი ამბავია, შვილო: თამარ მეფემ ერთხელ, თურმე ორმოცი დღე იმარხულა შუამთაში; მერე გაიძრო ქოშები, აავსო იქაურ ნაკურთხ მინით, თვითონ ფეხშიშველა წამობანდა და მინით სავსე ქოშებიც თან წამოიღო; მობანდა იმ ადგილზე, სადაც ერთხელ ოდესმე თავგანწირულ ქართველებს სისხლი დაუთხევიათ, და იმ დამინებულ, გავერანებულ სასაფლაოზე დააყარა შუამთის წმინდა მინა... (თითქოს რალაცას იგონებს).

ქალი – მერე, მერე, მამა?

მოხუცი – მხლებელ ქალებსაც მიუბაძავთ; თითო ქოში მინა ყველას მიუტანია და იქვე დაუყრია. თან ჰყრიდნენ თურმე და თან დედოფალი ტკეპნიდა.

ქალი – არ დაიღალა?

მოს. – მაღლიანი იყო. ბოლოს კარგი მოზდილი გორაკი გაკეთებულა და ზედ ეკლესია აუგიათ.

ქალი – მაშ, მიტომ ეძახიან ქომისგორას?

მოს. – სწორეთ. ხვალინდელ დღეს ყოველთვის დიდ დღესასწაულობას იხდიან ხოლმე, მაგრამ მისთანას კი მაინც ვერა, როგორც თამარის დროს ყოფილა.

ქალი – უკეთესი?

მოხუცი – საკვირველია!.. მაშინ მინდვრათ მოფენილი მლოცველი ხალხი მთელი ღამე იმ გორას გარს უვლიდა მუხლმოყრით. დილაადრიან დედოფალი ადგებოდა, შებრძანდებოდა იმ გორაზე და ფეხს დასდგამდა თუ არა, იალბუზი დრეკას იწყებდა, თავს იხრიდა... ხალხი დედოფალს შეჰყურებდა. მაგრამ ის კი, თურმე, ცას მიჩერებოდა, სანამ იქიდან ზარის რეკა არ მოესმოდა, და მაშინ კი ბრძანებდა, რომ ქვეყნათა ჩამოერეკათ ზარები და შესდგომოდნენ ცისკარს. (ამოოხვრით) აბა, დროც ის ყოფილა, შვილო, მაღლიანი დრო! ახლა... ეჰ, დიდია, დიდი ჩვენი ცოდვა ღმერთთან. (სიჩუმეა, ამთქნარებს) მეძინება.

ქალი – დაიძინე!.. ბევრი გზა აღარა დაგვრჩენია რა, მაინც მოვასწრობთ მისვლას... მეც წავალ და მაყვალს მოვკრებ.

მოს. – აგრე ჰქენი, ბევრს კი ნუ სჭამ! დასუნთქული არ შეგხვდეს.

ქალი – აქ სადმე ახლოს წყაროც იქნება და გავრეცხ.

მოს. – შორს ნუ წახვალ. ტყემ შეტყუება იცის. გზა არ დაგებნეს.

ქალი – აქვე ვიქნები. თვალს არ მოგაშორებ.

მოს. – კარგი, შვილო. (ამთქნარებს) ღმერთო, შენი ცოდვილი შენი დაიფარე ყოველი ქრისტიანი განსაცდელისაგან და ააშორე მავნეს... (მიეძინება).

ქალი – (იხედება აქეთ-იქით) ჯერ არსად სჩანს. რა დაემართა? განა გული მოასვენებს, რომ არ მოვიდეს? მოვა! მოვა, მაგრამ რა გამოვიდა? მე კი სწორე ხმაც ვერ გამიცია და... მინდა, რომ სულ ერთად ვიყოთ და ვერიდები კი. გულში ბევრი რამ მაქვს სათქმელი და პირად ვერა მომიხერხებია რა. (ათვლიერებს) არსად არი... წავიდე, ჯერ მართლა მაყვალი დავკრიბო. (მიადგება მაყვლოვანს და ჰკრებს. შორიდან სალამური მოისმის) ჩუ!.. ის არის! ღმერთო ჩემო! გული ამოვარდნას აპირებს... მუხლები ამიკანკალდენ... მაგრამ ვითომ არც კი ვხედავ... (ჰკრებს).

გამოსვლა 3-მე

ისინივე და მწყემსი (გამოდის მარცხნით)

მწყემსი – (მიუახლოვდება) საბედო!..

ქალი – უიმე!

მწყემსი – მე ვარ, გენაცვალე! რა დაგემართა? რათ შეშინდი? რა საშინლად აგიძგერდა გული...

ქალი – შეშინდა (გულზე ხელებს იდებს) უცბათ...

მწყემსი – განა არ მელოდი?

ქალი – რაღაც კი დაიგვიანე!.. აღარ...

მწყემ. – მე კი არა, თქვენ დაგიგვიანდათ. დიდი ხანია, გიცდით.

ქალი – შორი გზაა.

მწყემ. – როგორ? განა სხვიმანდელზე მოიმატა?

ქალი – (წყენით) მე შენი გადამკიდე მოხუცებულ მამას ვატყუებ და შენ კი დაცინვასაც მემართლები!..

მწყემ. – ატყუებ?

ქალი – დიახ! ხან აღმა მიმყავს და ხან დაღმა.

მწყემ. – ამ სწორ გზაზე?

ქალი – რასაკვირველია. ბრმა არის, მაგრამ გულისხმიერია: თუ ერთხელ კი გაუვლია. მეორეთ შეატყობს ისევ იმ გზას, და სულ ერთი და იმავე გზით სიარულმა, ვაი თუ ეჭვი ააღებინოს. და შენ თვითონ არ მირჩიე, – ჯერ დრომდინ ნურას ეტყვიო?

მწყემ. – შენ კი გენაცვალს ჩემი თავი, საბედო, რომ გონიერი ხარ და მოხერხებული!.. მაგვარ მოტყუებას ღმერთიც არ იწყენს!.. სიყვარულს ბევრი ეპატიება.

ქალი – სიყვარულს?

მწყემ. – ჰო. განა ერთმანეთი არ გვიყვარს?

ქალი – რა ვიცით?

მწყემ. – როგორ არ ვიცი, რომ მიყვარხარ?

ქალი – ეგ შენ... და რომ მე მიყვარხარ, რა იცი?

მწყემ. – შენ თვითონ ხომ იცი?

ქალი – მე?.. მე... მე... კი ვიცი!.. ეჰ, რა შენი საქმეა. (სიჩუმეა).

მწყემ. – მამაშენი სად არის?

ქალი – აი, აქ ახლო დაიძინა.

მწყემ. – კარგია!

ქალი – როგორა?!

მწყემ. – დრო გვექნება, რომ დავსხდეთ და ვილაპარაკოთ. (ჯდება).

ქალი – მალე უნდა გავალვიძო, თორემ შორი გზა გვაქვს.

მწყემ. – სად აპირებთ მისვლას?

ქალი – „ქოშისგორას“, ყოვლად წმიდაზე.

მწყემ. – ჰო, მართლა, იქ ხატობაა.

ქალი – თემი შეგროვდებაო და მამას ბუკიც აღარ დასჭირდება.

მწყემსი – მეც ამოვალ ლამის თვეაში.

ქალი – შენც? შენ რაღა გინდა?

მწყემსი – არ იცი განა?.. ჰმ!.. რატომ არას იტყვი?.. ენა ხომ არ ჩაგვარდნია?

ქალი – (აჩქარებით) ვიცი, მაგრამ არ მინდა, რომ ვიცოდე. (სასონარკვეთილებით) კაცო! ქრისტიანო! რას გადამკიდებინარ ჭირივით? რად ამდევნებინარ მავნესავით? რა გინდა ჩემგან?..

მწყემ. – შენი სიყვარული!

ქალი – სიყვარულიო. გინდა დამლუპო და ქვეყანას ჩემი თავი ყბათ ააღებინო?

მწყემ. – უწინამც დღე დამელიოს და შერცხვეს ჩემი გვარიშ... შ... ჩემი... ჩემი წვერ-ულვაში და ჩემი ბიჭობა!

ქალი – გიყვარვარ!.. მოხუცებულებისაგან რომ გამიგონია – კაცები სანდო არ არიანო?

მწყემ. – მართალია, მაგრამ მე ხომ აღთქმა დამიდევს და ფიცი მომიცია შენ ქრმოზაზე... (სიჩუმეა) მე დედ-მამა აღარ მყავს, შენ?

ქალი – დედა – აღარც მე.

მწყემსი – მამ, რომ ფიცი გავსტეხოთ, მათი ძვლები ხომ აქ საფლავში შეირყვიან და სული იქ, მაღლა, შეძრწუნდება?.. მაშინ ქვეყანა დაგწყველის და ზეცა შეგვაჩვენებს!.. მართალია, ჯერ ერთ დრომდე, ადრეც მითქვამს, ვერ გამოვაცხადებთ ჩვენ შეკავშირების სურვილს, მაგრამ გულით ხომ მაინც ერთმანეთისა ვიქნებით! და, აი, ნიშნად ჩვენის გაუყრელობისა, ეს წაიღე (ულვაშის ღერს იგლეჯს). შეინახე და თუ ოდესმე გილალატო, ფუ! უთხარ და დამგმე!

ქალი – (დიდხნის ფიქრის შემდეგ) არ ვიცი, ღმერთმანი! ეს უცნაური რა მემართება და ასე რამ შემკრა? დიდი ხანი არ არის, რაც გამიცენიხარ; ჯერ შენი ვინაობაც არ შემიტყვია გარკვევით და გული კი მთლად მოგენდო. მჯერა შენი სიტყვები და გემორჩილები. ვიცი, რომ შენ არ დაჰკარგავ დროს ჩვენის ბედნიერების დღისას და მანამდი... მანამდი ჩემგანაც მიიღე ნიშანი, მაგრამ რა უნდა მოგცე?.. რაც ჩემთვის უძვირფასესია? სიცოცხლე? მაგრამ, ის რომ შენ გაგატანო, შენ სასიყვარულოდ მე რაღა დამრჩება! (გამოიგლეჯს თმას) აჰა, წაიღე ეს, გამოსკვენ, შეჰკარი ისე მაგრად, როგორც ჩემი გულია შენი სიყვარულით შეკრული. შეინახე სიფთხილით და თუ ოდესმე გული ვიცვალო, ზიზლით ჩააგდე ცეცხლში, დასწვი, რომ ისე დაიწვას და დაიდაგოს ჩემი ყმანვილქალობაც.

მწყემსი – (აღტაცებით) ჩემო საბედო! ჩემო სულის ჩამდგმელო!.. (ხელს ჰკიდებს) ნება მომეცი, მოგეხვიო და გაკოცო...

ქალი – (გამოუსხლტება) უი, დამიდგეს თვალები! რა სთქვი ეგა? რა მითხარი?.. მერე... ცოდვა-მადლი!.. წადი, მომშორდი... მალე... მალე, – თუ გიყვარვარ...

მწყემსი – მამ, მშვიდობით, ჩემო ბედნიერებავ! შენი ნებაა. (გაჩერებულია).
ქალი – მშვიდობით... მშვიდ... ამაღამ იქ... იქ ამოდი. ახლა კი მშვიდობით!..

მწყემ. – (მიდის დაღონებული ნელ-ნელა) მშვიდობით.

ქალი – (გამოირკვევა) მიდის!.. მოიცა!.. მო... ნადი!.. ნადი!.. ოხ, ღმერთო ჩემო!.. (გაექანება გიჟივით და გულზედ მიეკვრის).

მწყემ. – ჩემო სიცოცხლე!.. ჩემო ბედნიერებავ!.. (თავს აუნწევს და ჩასტყერის თვალებში).

ქალი – (მოეჭიდება კისერისკენ და ჰკოცნის, მერე უცბათ ჰკრავს ორივე ხელებს) ნადი!.. მომშორდი... ნუ მიყურებ! (გამოიქცევა წინ და დიდხანს თვალებზე ხელმიფარებული ღელავს).

მწყემ. – (ცოტახანს ალტაცებით უყურებს) მშვიდობით! (აჩქარებით გარბის, მთას რომ შეუდგება, ერთს კიდე მოიხედავს და გადადის).

ქალი – (მოიხედავს) მიდის!.. მოიცა, ნავიდა... გადადის... აღარა სჩანს!.. ღმერთო ჩემო!.. (ჩაჯდება, ხელებს იფარებს პირზე და ცოტა ხანს შემდეგ ტირილი აუვარდება).

მოს. – (ნამოვარდება შემკრთალი) აჰ?.. ნუ გეშინია, ნუ გეშინია! აქა ვარ, შვილო, აქა!..

ქალი – (მიეჭრება შეშინებული) არაფერია, მამა, არა!..

მოს. – ვინ შეგაშინა! ძალღი ხომ არ გამოგიდგა? გველმა ხომ არ გიკბინა? რა იყო?

ქალი – არა, მამილო, არაფერი ყოფილა.

მოს. – არაფერი? მამ... მამ რა გატირებს, შვილო?

ქალი – არ ვიცი!.. მომეწყინა, ჯავრმა წამიღო, თავი ველარ შევიმაგრე და ტირილი ამივარდა.

მოსუცი – მოგეწყინა? ჰმ... არაფერია, შვილო!.. დამშვიდდი! გული მოიბრუნე, გენაცვალოს მამა... ჰმ, მოეწყინა, რასაკვირველია... სულ მარტოობა, სულ მოხუცის მეთვალყურება, რა მოსალხენია!

ქალი – არა, მამილო, მაგას რათ ამბობ?.. არა, ღმერთმანი, მე, ისე... განა შენთან...

მოსუცი – ვიცი, ვიცი, შვილო! ვერ მომატყუებ!.. მე სისხლგამშრალი ვარ და შენ სიცოცხლე გიღუღს, შენი ცხოვრების კოკორი ახლა იშლება, მე კი მარტოლა სიბერის ეკლები დამრჩენიან... შენ ის გენატრება – რაც მე დიდი ხანია მომძულვია... ერთ უღელში გაბმა უღმერთობაა!.. შენ შენი ტოლი გეჭირვება.

ქალი – რას ამბობ, მამა?

მოს. – რას ვამბობ! მართალს, შვილო! მართალს, მაგრამ ცოტა კიდე მოითმინე... დიდხანს აღარ შეგანუხებ... ჩემი დღეებიც დათვლილია.

ქალი – რას ამბობ, მამა?... კიდეც ეგ არის, რომ მატირებს ხოლმე... ვხედავ, რომ უპატრონოთ ვართ. შენ მოვლა გეჭირება და თვალყურის მგდებელი კი არსად არის!.. მე, აბა, რა პატრონობა და მოვლა შემიძლიან?... აი, იმ

დღესაც ის მადლიანი მწყემსი რომ არ გამოგვიჩნოდა, ვინ მოგვიგერებდა ძალღებს? ხომ ორივე დაგლეჯილი ვიქნებოდით?

მოს. – აგრე იქნება, შვილო! ღმერთი უმიზეზოთ კაცს არ გასწირავს: ხან მწყემსს გამოუგზავნის მფარველად და ხან დიდებულს.

ქალი – რა კარგი იქნებოდა, მამილო, რომ ერთი ვაჟკაცი შვილი გყოლოდა?

მოს. – ეჰ, განა არ მყავდა, მაგრამ უფალმა არ ინება.

ქალი – ან ახლა რომ ვინმე გეშვილებოდეს... შეგიყვარებდეს. მაშინ...

მოს. – რაო მაშინ?

ქალი – მაშინ... ის, რომ... ჩემზედ უკეთ მოგივილიდა.

მოს. – სთქვი... სულ მითხარი, რაც გულში გაქვს!.. მაშინ კიდეც...

ქალი – მაშინ... მეც ის შემეყვარებოდა, როგორც ძმა.

მოს. – როგორც ძმა... ჰმ... მივხვდი, შვილო!.. მართალია, მაგრამ შენ კი უკუღმა ამბობ... ჯერ შენ უნდა შეგიყვაროს ვინმემ, რომ მერე მეც ის შვილივით შემეყვარდეს.

ქალი – როგორ?!

მოსუცი – დავჯდეთ, შვილო! (ჯდება) შენ ახლა პატარა აღარა ხარ! ალავერდობას თხუთმეტისა გახდები. იცი, შვილო, რას გეტყვი?... შენ გელა ხომ გაგიგონია? იმაზე სამწყესურშიაც კი შაირობენ ხოლმე. ის გელა მე ვარ!.. ჩემი მეტი სახელია.

ქალი – როგორ არ ვიცი?

მოსუცი – მთაში გათქმული – ბარშიც სალაპარაკო ვიყავი, უჩემოთ ომი არსად გადაწყვეტილა. მე მიუძღოდი წინ გლეხკაცობას... მე ვიყავი მათი მეთაური, ბევრჯელ მიჯერებია მტერზე გული. ერთხელ ალაზნის პირათ უეცრათ დიდძალი მტერი დაგვესხა... ჩვენ ჩვენებურად დაუხვდით და გამარჯვება დავირჩინეთ... მაგრამ მე კი იმ დღიდან მომწყდა წელი: სამი შვილი, სამი ვაჟკაცი, ერთათ იმ დღეს მომიკლეს!.. უფრო სამართლიანი იქნებოდა, რომ მე მოვეკალით და ისინი კი დარჩენილიყვნენ, მაგრამ არ ინება უფალმა... არ დამანება ცოდვამ.

ქალი – ოხ, ის ურჯულოები!.. რომ არ გებრძოლათ, განა არ იქნებოდა?...

მოს. – მტრები თავს გვესხმოდნენ და ჩვენც ვიგერებდით. ისინი მოდიოდნენ ჩვენ ქვეყანაში, ჩვენ ხომ მათში არა!.. სამი ცხედარი ერთად წინ დაულაგეს დედაშენს... საბრალომ ჭრილობა გაუშინჯა... ნახა მათი გაპოზილი გულმკერდი, მოისმინა მათი ვაჟკაცობის ამბავი და, როგორც ქართველმა ქალმა, გამარჯვებისათვის ღმერთს მადლობა შესწირა, მაგრამ, როგორც დედამ... როგორც დედამ კი ველარ აიტანა უბედურება და თან გადაჰყვა... შენ მაშინ ძუძუმწოვარი დარჩი... (სიჩუმეა) ტირი!.. შენც ტირი, ჩემო შვილო? ეჰ, ღვთის ნებაა... ყოველივე ღვთის ნებაა!.. (თვალებს ინმენდს) იმ დღიდან უფრო გამხეცებული მტრის სისხლით ველარ ვძლებოდი... საფრთხეს თავს არ ვარიდებდი... მივსდევდი სიკვდილს და ის კი ჩემგან გარბოდა... ყოველთვის თვალწინ შვილები მელანდებოდა... ვტიროდი...

ვტიროდი ხოლმე საიდუმლოდ... და მომეტებულმა ცრემლმა თვალის ჩინი წამართვა... თუ შენც აღარა მყავდე, რა ვიქნებოდი, შვილო!.. მაგრამ, თურმე, სულ არ გასწირავს ღმერთი კაცს!.. ჩემთვისაც შენი თავი მოუცია მფარველ ანგელოზათ, რომ ტვირთი შემიმსუბუქოს (სიჩუმე).

ქალი – მამავ!.. წავიდეთ სადმე უდაბნოში! თავშესაფარს როგორ არსად მოგვცემენ!.. ვიყოთ იქ მოსვენებით და ერთათ ვილოცოთ ჩემი დედისა და ძმებისათვის!..

მოს. – ლოცვას დამშვიდებელი გული ეჭირვება, შვილო! აშფოთების დროს მარტო ლოცვას რა მაღლი აქვს?.. არა, შვილო! ლოცვით იქ, ცაში, ჩვენმა მკვდრებმა ილოცონ ჩვენი ქვეყნისათვის და ჩვენ კი აქ, ქვეყნად, გავისარჯოთ...

ქალი – გავისარჯოთ? მერე და რა შეგვიძლია?

მოს. – რატომ არა, შვილო? აი, ახლაც, მე და შენ დავდივართ საყდრიდან საყდარზე... ბუკს ვაყვირებ... ხალხს ვაგროვებ და ვექადაგები... ვცდილობ, რომ გამოვაფხიზლო: მათი წარსული მოვაგონო და მით მაინც მათ გულში მტრის სიძულვილი აღვძრა და თავის დახსნის სურვილი... მაშინ მეც, შვილო, იმედიანად ჩავიდოდი საფლავში.

ქალი – მერე მე, მამავ!.. მაგას რას ამბობ?..

მოს. – შენ, შვილო, ღმერთი მოგხედავს, დედოფლის ნათლული ხარ. უპატრონოდ არ დაგაგდებენ. რომ გაიგებენ, სასახლეში მიგიყვანენ... მაგრამ, შვილო, ნუ დაივინყებ, რომ ხმალაძიანთ საგვარეულოში მარტო შენლა დარჩენილხარ... ჩირქი რამ არ მოსცხო იმ სახელოვან გვარს... არ შეგაცდინონ. არ გადაგიყოლიოს ან სიმდიდრემ, ან დიდკაცობამ და ან სხვა რამე გარეგნობამ. ესენი, ყველა ფუჭად წარმავალია!.. კაცი ის არის, ვინც ქვეყნის ერთგულია და სხვებსაც არგია... სიყვარულიც იმას შეშვენის...

ქალი – ვინც უნდა იყოს?.. მწყემსიც რომ იყოს?..

მოს. – სულ ერთია!.. (გაჩუმდებიან) აბა, შვილო, შენ შენებურათ ერთი ის სიმღერა სთქვი, დედაშენი რომ იმღეროდა ხოლმე... მე რომ გასწავლე! ჯავრსაც გაგვიქარვებს და გზასაც შეგვიმოკლებს... წავიდეთ, დროა... ხომ არ გეზარება?

ქალი – არა, მამილო! შენი ნებაა. (სიმღერით მიდიან).

ქართველო ქალო, ქალთა მზევ!
სულით მაღალო დედაო!
შენი ბედისა ვარსკვლავი
სისხლისფრად გაიჭედაო:

შენ მარტო შენთვის არ გინდა,
ქვეყნის მსხვერპლად ზდი შვილსაო;
ნაღვლიან ცრემლით გაბანილს,
რომ აძლევ ძუძუს ტკბილსაო.

თანც ეუბნები ნანინას
საგმირო, სავაჟკაცოსო,
რომ მტერმა ჩვენი სამშობლო
ულვოთთ არ წაიტაცოსო.

ქართველო ქალო, ქალთა მზევ!
გვირგვინო დედობისაო!
მოვა დრო, შენი ვარსკვლავიც
სხვის მოჰყენს დიდებისაო.

დასასრული პირველი მოქმედებისა.

მოქმედება 2-რე

სცენა 1-ლი

იგივე, რომელიც პირველ მოქმედებაში იყო

გამოსვლა 1-ლი

(ტყიდან გამოდის ირაკლი ბატონიშვილი და აღტაცებით იხედება აქეთ-იქით)

ირაკლი – ძლივს მარტო დავრჩი!.. ოხ, რა კარგი ხარ თავისუფლებავ!.. რათ მინდა ბატონიშვილობა?.. და რაღათ უნდა მიღირდეს უფლისწულობა, თუ ჩემ ნებაზე ფეხსაც ვერ გადავდგამ?.. მონა ძალდატანებით ჰკარგავს თავისუფლებას და ჩვენ კი ჩვენისავე ნებით, მხოლოდ ქვეყნის უგუნურათ აყოლით იმავ ბადეში ვეხვევით. (სალამური მოისმის) ჩუ!.. აი, ბედნიერი არსება... მწყემსი... სდგას უპირბადათ უტყუარი ბუნების წინ და მოქმედობს მისდა გუნებისად. (დაჯდება და ყურს უგდებს სალამურს) რა კარგია ეს სალამური!.. რანაირათ იტაცებს მოხიბლულ გრძნობა-გონებას! იტაცებს ადამიანს და მიაფრენს იმ უფსკრულისაკენ, სადაც რაღაც უცნაური სიტკბოება იმგვარსავე სიმწარესთან თითქოს შეერთებულაო. (ყურს უგდებს) ამბობენ, ვითომც ლერწამი პირველად დედისერთას საფლავზედ ამოსულიყოსო. წასულიყოს პირდაპირ მაღლა, მაღლა, რომ დედამინის უსამართლობის ამბავი ცამდე მიეტანოს, ზეცისადმი შეეჩივლოს, მაგრამ სასტიკ გრიგალს აღარ დაენებებინოს, ამოეგდოს ძირიან. მაშინ მოსულიყოს მწყემსი, ენახოს ნაქცეული, გამოეჭრას სალამური, ჩაებეროს და იმ ლერწმიდანაც უცნაური ხმა რამ გამოსულიყოს!.. აი, ეს ის ხმა არის: მწარ-ტკბილი და საოცნებო.

ხმა ტყიდ. – ბატონიშვილო! უ-უ-უ!

ირაკლი – (თავისთვის) უჰ! ღვთის რისხვა!.. არიქა, არ დაიგვიანოთ, მოდიტ და დარბაისლურის ზდილობით მომინამლეთ ტკბილი ოცნება. (ხმამალა) უ-უ-უ! აქა ვარ, აქ!..

გამოსვლა 2-რე

იგივე და გივი

გივი – ბატონიშვილო, სადა ბრძანდებით? გეძებთ და ვერ მოგვიგინხართ. ტყეში მარტოობაა... მოგეხსენებათ.

ირაკლი – მგელი შემჭამდა?... ვისი ბრალია? რათ ჩამორჩით?

გივი – მოხუცმა შემიყოლია.

ირაკლი – მოხუცმა? მართლა ახირებულნი ვინმე ყოფილა, მეც შემხვდა ის ბერიკაცი; მოწყალეა მივეც და...

გივი – რომ ცოდნებოდა, თუ ვისი ხელით ეძლეოდა ის მოწყალეა, დღევანდელ დღეს დალოცავდა, მაგრამ ბრმა არის, ვერასა ხედავს.

ირაკლი – მოხუცი, ბრმა და ამპარტავანი?!

გივი – ის ერთ დროს სახელოვანი იყო, ბატონიშვილო! ქვეყნის სამსახური მიუძღვის და მისი ღვაწლი გლახაკთ მოწყალეებით არ აინონება.

ირაკლი – ვინ არის?

გივი – გიორგი ხმალაძე, რომელსაც მეტსახელად გელას ეძახდენ.

ირაკლი – ეგ არის გელა?

გივი – დიახ, ბატონიშვილო! ათი წელიწადია, რაც მაგისი აღარა გაგიგონია რა. ყველას მკვდარი გვეგონა, მაგრამ ახლა კი, ეს ერთი ხანია, ისევე გამოჩნდა, რომ ქვეყანას კიდევ სამსახური გაუნოს.

ირაკლი – ბრმამ?

გივი – დიახ. მაგ ბრმას უნდა, რომ ქვეყანას თვალი აუხილოს... დაღის საყდრებზე, აყვირებს ბუკს და თემი გამოჰყავს.

ირაკლი – რათ უნდა?

გივი – ესაყვედურება გულგრილობას და თანაც ურჩევს მთიულებს, რომ იმათ გაჭირვებულ ბარელებს ძმურათ ხელი მიანვდინონ.

ირაკლი – ხალხი რას ეუბნება?

გივი – თანდათან ვარდება გულსხმაში. აღელვებს ბევრი აღარა უკლია რა. მხოლოდ მეთაურია საჭირო.

ირაკლი – მეთაური? მერე? ბატონი მამაჩემი... დიდებული თემიურაზ რას ბრძანებს?

გივი – ის გულამოვარდნილი, დასნეულებული გლოვს საქართველოს აოხრებასა და ღმერთს ავედრებს.

ირაკლი – ღმერთს ავედრებს... ლოცვილობს... სულიერი მამები რაღას ჩადიან?

გივი – როგორც შემიტყვია, მზათ არიან, ბატონიშვილო, რომ აიჭურვონ და ბრძოლის ველზე გამოვიდნენ... და არა თუ სამღვდლოება... ზოგან და ზოგან ქალებიც კი მახვილს იღესენ.

ირაკლი – მერე?! მერე!.. მამაჩემი?..

გივი – კიდევ გივიმეორებ, ბატონიშვილო, რომ ჩვენის ქვეყნის ამოდენა უბედურებამ უდროოთ მოაუძღურა და გულგატეხილი ტირილ-გოდებას შესდგომია. მხოლოდ თქვენლა დარჩენიხართ ქვეყანას ნუგეშათ და ხალხის თვალი თქვენ შემოგყურებს.

ირაკლი – მე?

გივი – დიახ და საჭიროა, რომ თავს გაუფრთხილდე!.. განა წელანდელი თქვენი ქცევა მოსაწონი იყო? დაკოდილ დათვზე ხმალდახმალ მისვლა ვის გაუგონია?

ირაკლი – (ღიმილით) მინდოდა, ჩემი მკლავის ძალა გამომეცადა. თუმცა სასიკვდილოთ კი დავსჭერი, მაგრამ მაინც სუსტად მომივიდა მოქნევა... უნდა გამეხო.

გივი – (სიხარულით) მაგრე რომ მტერს შემოჰკრათ, ბატონიშვილო, გინდა ბუმბერაზიც იყოს, შუაზე განყდება.

ირაკლი – ღმერთმა ინებოს... მხოლოდ ის მანუხებს, რომ ჩემი ხმალი პირველად ნადირს მოხვდა და არა ჩვენის ქვეყნის მტერს.

გივი – მაგასაც მოვესწრებით, ბატონიშვილო.

ირაკლი – როდისლა, ჩემო მოჭირნახულე გივო? ყველას ჯერ კიდევ პატარათ მიგაჩნევართ; რა უყოთ, რომ ტანმორჩილი ვარ? დიდხანია, რაც მეთექვსმეტეში გადავდექი. აღარ შემიძლია, რომ ჩვენის ქვეყნის უბედურება გულგრილად ავიტანო!.. თქვენ სცდებით, რომ თვალს მიხვევთ... ტყუილათ სცდილობთ, რომ ნადირობითა და სხვადასხვა მეჯლისებით ჩემი გრძობა-გონება გაართოთ!.. მე ბავშვი აღარა ვარ!.. ჩემი სამშობლოს უბედურება საკუთარ უბედურებათ მიმანია (სიჩუმეა). ჩემო მოჭირნახულე, ჩემო გამზდელო გივო! მიმეგზავნე მოციქულათ მეფე დედოფალთან!.. სთხოვე ჩემ მშობლებს, რომ ნება მომცენ საასპარეზოდ გამოსვლისა.

გივი – (აღტაცებაში მოსული) გმადლობ ღმერთო, რომ ამ დღესაც მომასწარ!.. ჩემო გაზდილო! ჩემო სულზედ უტკბესო პატარა ბატონიშვილო ირაკლი! დიდი ხანია, მაგ სიტყვებს მოველოდი შენგან... მართალია, ჯერ წლოვანებით ბავშვი ხარ, მაგრამ გმირადა ხარ გაჩენილი! მომეცი ნება, რომ მუხლმოყრით ხელები დაგიკოცნო (მუხლს იყრის).

ირაკლი – (აყენებს) არა, არა, ჩემო მამის მაგიერო! შენი განვრთნილი და შენი გაზდილი პირველად შენვე უნდა მაკურთხო და საასპარეზოთაც დამლოცო!.. და ახლა კი მამაშვილურათ გადავეხვიოთ ერთმანეთს. (ეხვევიან) აბა, ჩემო გამზდელო, დრო ძვირად გვიღირს... ნუ დაგკარგავთ. რევაზ ჯერ კიდევ არსად სჩანს. ის, ვგონებ, ნადირს გადაჰყვა... წადი, მომინახე და მომგვარე... მანდ სადღაც მწყემსი უნდა იყოს, სალამურს უკრავდა და ისიც გამომიგზავნე!.. გადაძახე და არ უთხრა კი ჩვენი ვინაობა...

გივი – თქვენი ნება იყოს! გეახლები... რევაზიც ვგონებ შორს არსად ნავიდოდა... ის თქვენ დაჭრილ დათვს გამოუდგა (მიდის).

ირაკლი – ქალები იარაღს ლესვენ... სამღვდელთა ბრძოლის ველზე აპირებს გამოსვლას... ბრმა სცდილობს ქვეყანას თვალი აუხილოს?! არა, არა! ეს ჩემი სურვილი უდროვო არ არის... თავხედობით არ უნდა ჩამეთვალოს... სირცხვილს სიკვდილი სჯობია!.. ან გასწყდეს ბარემ ქვეყანა და ან ისევ ფეხზედ წამოდგეს!..

გამოსვლა 3-მე

იგივე და მწყემსი (ჩამოდის)

მწყემსი – (შეკრთება) ბატონიშვილი ერეკლე!

ირაკლი – (თავისთვის) თითქოს მეცნობა!.. (ხმამალლად) გამარჯვება შენი!

მწყემსი – ღმერთმა გამარჯვება ნუ მოგიშალოს, ჩემო ბატონო!

ირაკლი – მწყემსი ხარ?

მწყემსი – გახლავარ, შენი კვნესამე.

ირაკლი – ცხვრები რომ დაჰყარე, ხომ არ გაგებნევიან?

მწყემ. – არა, შენი ჭირიმი, აქვე გადაღმა დავაფარებ.

ირაკლი – ნადირმა რომ მოგტაცოს?

მწყემსი – ვერა, ბატონო! ძაღლები სათეოზედ დავსტოვე.

ირაკლი – მთიული ხარ? თუ ბარიდგან ამოგირეკია ფარა?

მწყემსი – მთიული. ბარელებს რაღა ცხვრები მოაგონდებათ, რომ თვითონ მათ ცხვრებსავით ერეკებიან ურჯულოები.

ირაკლი – მწყემსი არა ჰყავთ?

მწყემსი – ჰყავდათ და აღარა ჰყავთ!.. ღმერთმა დიდი დღე მისცეს ბატონ თეიმურაზს... მიატოვა, ისინი იქ დაჰყარა უპატრონოდ და თვითონ კი ამ სიმაგრეში მისცა თავი (სიჩუმეა).

ირაკლი – მთიულები რას ამბობენ?

მწყემსი – გულნატკენათ არიან.

ირაკლი – სულ ხომ არ გასტეხიათ...

მწყემ. – ჯერ კიდევ იმედი უბრუნებს.

ირაკლი – იმედი? ვისი? ან რისი?

მწყემსი – ბატონიშვილი ირაკლისა, ასე ამბობენ: გივის გაზდილი მტერს არ შეარჩენს და ერთხელაც იქნება, მათზე ჯავრს ამოგავყრევიან.

ირაკლი – შენ არსად გინახავს ირაკლი?

მწყემსი – აბა, სად შევხვდებოდი? ჯერ პატარაა, მაგრამ კარგს კი მოგახსენებენ.

ირაკლი – როგორაო?

მწყემსი – ცხრა ნაბადზე თურმე ხტება, უზანგში ფეხს არ უყრის და იარაღსაც უკეთ ვერვინ ხმარობსო! მისი გამზდელი გივი, თურმე, თავზე ვაშლს დაიდებს, ნიშანში ჩაუდგება და ისიც აუცდენლად იმ ვაშლს ტყვიით აპობსო.

ირაკლი – ეგ ძნელი არ უნდა იყოს (იცინის).

მწყემსი – მხოლოდ მისთვის, ვისიც მარჯვენა ნაკურთხია და უფლის თვალის ნყალობით დაჰყურებს.

ირაკლი – ეგებ ტყუილი ხმებია?

მწყემსი – რა ბძანებაა! მაგრამ, მართალიც რომ არ იყოს, ხალხს ხომ სჯერა და მით გული უმთელდება?

ირაკლი – მამ ირაკლიმ რომ დაიძახოს, გაჰყვებიან?

მწყემსი – ერთპირად.

ირაკლი – შენ?

მწყემსი – მე რაღა გამაჩერებს?

ირაკლი – შენი ცხვრები?

მწყემსი – დალოცვილო, სხვები ცოლ-შვილსა სწირვენ და მე პირუტყვი დამნანდება?!

ირაკლი – გაგიმარჯოს!.. გაგიმარჯოს!.. კარგა სთქვი... აგრე უნდა... ძმობილო! ერთი წყალი არსად იცი ამ ახლო-მახლოს... მომწყურდა...

მწყემსი – ტყეში გახლავს, ცოტა მოშორებით... ძალიან კარგი წყაროა: თუ ბრძანებთ, მოგართმევთ, მაგრამ ჭურჭელი რომ არსად არის?

ირაკლი – აი, ეს მათარა წაიღე, აავსე და მომიტანე! (მწყემსი მიდის) საკვირველია, ჭეშმარიტად: მწყემსსაც რომ კი შესტკივა გული ქვეყნისათვის. არა... ჯერ კიდევ სულ არ დაცემულა ხალხი... მხოლოდ მეთაური ეჭირვება!..

გამოსვლა 4-ზე

იგივე, გივი და რევაზ

ირაკლი – რევაზ! ამდენს ხანს რათ დაიგვიანე!

რევაზ – თქვენმა დაჭრილმა დათვმა გადამიყოლია. კვალდაკვალ მივსდიე და ბოლოს ისეთს ნაპრაღში გადამივარდა, რომ ჩაყოლა ველარ გავბედე.

ირაკლი – დეე, ყორნებმა ისადილონ.

რევაზ – რომ აღარსად სჩანან?.. დიდი ხანია, რაც ყორნები ბარში გააფრინდნენ და იქ ქრისტიანებზე ნადიმობენ.

ირაკლი – რევაზ, რათა გაქვს ეგ მწარე ენა? ისე სიტყვას ვერ იტყვი, რომ უიმისოთაც დანყლულებული გული არ მომხამო. (მწყემსი მოახლოვდება).

რევაზ – რა ვქნა, ბატონიშვილო!.. გულს ნაღველი ჩაუგუბებია და ტკბილად ველარ ასველებს ენას, რომ... (დაინახავს მწყემსს. ორივე შეკრთებთან) აჰ!.. ამას ვისა ვხედავ?.. ან კი ველარ დამემალები! გიცან, დედაბერო!.. (მიაშურებს ხმალამოლებული).

მწყემსი – რევაზ ბებურიშვილო! ეგებ ამ კომბლისა გეშინიან და, აჰა, გადამიგდია ესეც... მოდი, იარაღიანი უიარაღოზედ!.. შენ ისე თამამად ხმლიანი ჩემზე ვერ მოჰბედავ, როგორც გულადად მე უხმლოდ დაგიხვდები.

რევაზ – (შეჩერდება, ჩააგებს ხმალს) არა, მაგით შენ თავს ვერ შემაბრალებ... მაშ, თანასწორის იარაღით ვიბრძოლოთ! ამოიღე ხანჯალი! მეც მარტოკა ხანჯლით მოვედივარ (იღებენ ხანჯლებს და ერთმანეთზე იწვევენ).

ირაკლი – ეი!.. ვის წინ ჰბედავთ მაგ კადნიერებას?! (შეკრებიან ყველანი) შემომხედეთ! ისე ნულარ მიყურებთ, როგორც ყმანვილ უფლისწულს!.. თქვენ წინ დგას ბატონიშვილი ირაკლი, რომლის ხელშიაც იქნება დღეიდგან ქართლის ბედი და უბედობა... ვფიცავ დედიჩემის, თამარის მზეს, თუ ან ერთი ბიჭი წინ წაგიდგამს, ზიარებაც აღარ გელირსოსთ!.. გივო! მითხარ: ეს რა ამბავია?..

გივი – (თავისთვის) ღმერთო ძლიერო, ამას რასა ვბედავ? თვალსა და ხელშუა არ შემოგვეზარდა ეს ყმანვილი?!

ირაკლი – გივო! პასუხი!

გივი – ჩემო ხელმწიფეო! ეგენი ერთმანერთის მოსისხლენი არიან.

ირაკლი – მტრები? რევაზ ბებურიშვილი და მწყემსი?!

გივი – ეგ მწყემსი ქვაბულიძეა! ლევან ქვაბულიძე!

რევაზ – ჩემი ძმის მკვლელია, სისხლი ჰმართებს.

ირაკლი – მართალია?

მწყემსი – მართალია! დიას, მაგის ძმის მკვლელი ვარ, მაგრამ სისხლი კი არა მმართებს.

რევაზ – სასახლიდან დიაცურად გაჭრილი, მწყემსის ტანისამოსით უსირცხვილოდ იმალეობდა.

მწყემსი – უსირცხვილო ის არის, ვინც ამისთანა დროს დღე ნადირობას აყოლებს გულს და ღამლამეობით არშიყობას უნდება... მე კი ყოველდღე ბარში ჩავდივარ და მტრებზე ვნადირობ.

რევაზ – თუ უღვაში გესხა ჯერ მე უნდა გამსწორებოდი.

მწყემსი – უბრალოთ სისხლის დათხევა არა მსურდა და შენი კი არა მემართა რა!

რევაზ – როგორ! შენგან მოკლული ნოდარ ძმა არ იყო ჩემი? მე ძმა არა ვარ მისი? მოვალე ვარ სისხლი ავიღო!..

მწყემსი – მაშ შენც იცოდე, რომ საქართველო ჩემი სამშობლოა, მე მისი შვილი ვარ და ნოდარის სიკვდილით მეც ჩვენი ქვეყნის სისხლი უნდა ამელო.

ირაკლი – რაები მესმის?

მწყემსი – დიას, ჩემო ხელმწიფეო!.. გაჩნდა თუ არა მტერი ჩვენ ქვეყანაში, ნოდარ ბებურიშვილი მაშინვე იმით მიეკედლა, აედევნა, წინ დაუძღვებოდა და მხარს აძლევდა, მისი მიბაძვით ღამის ქიზიყი გაურჯულოვდეს...

რევაზ – სტყუი!.. ის გულით მტრისაკენ არ ყოფილა. მხოლოდ თვალს უხვევდა... მარჯვე დროს ეძებდა და ატყუებდა.

მწყემსი – ქვეყანა გარეგნობით იხიბლებს.

რევაზ – ეგრეც რომ ყოფილიყო, შენ ვინ მოგცა გასამართლების უფლება?

მწყემსი – ჩემმა გრძნობამ!.. ქვეყნის ორგული ყველასაგან გასასამართლებელია!..

გივი – ყმანვილებო, ნუ ცხარობთ! მომისმინეთ! არიან დრონი, როცა კაცი თავის თავს აღარ ეკუთვნის. მისი პირადი უფლება და გულისთქმა საზოგადო მსხვერპლად იქცევა. საუბედუროდ ამგვარი დრო გვიდგას დღეს ჩვენ!.. მაშინ, როდესაც ყოველი კუთხით შემოსეული მტერი ამ ჩვენ ქვეყანას მუსრს ადენს, რაღა მოსაგონებელია კერძობა? ვისა აქვს ნება, რომ საპირადო გულისთქმას გადაჰყვეს? ნუ დაივინყებთ, რომ თქვენ დღეს ორივე თანასწორად საჭირო ხართ ქვეყნისათვის და ერთმანეთის განწირვა ქვეყნის ღალატია!..

მწყემსი – თუ არ მაგ მიზეზს, მაშ რა გადრეკდა და არ გაიყვანდა საპირდაპიროდ ქვაბულიძეს?

ირაკლი – რევაზ ბებურიშვილო! მართალი არის, შენ დამკლის უფლება გიღელვებს სისხლს და გიხურვებს გულს, მაგრამ ყური დაუგდე გივის სიტყვებსაც! ჩვენ არავინ ჩვენ თავს დღეს აღარ ვეკუთვნი!.. ყველას ერთგვარად მიგვინოდებს საზოგადო ვალი!.. ჯერ გარეშე ომი და მერე შინაური ბრძოლა!.. ეს უნდა იყოს ყოველი ახლანდელი ქართველის აღსარება!.. დაივინყეთ დრომდი ეგ თქვენი მტრობა, ძმურად მიეცით ერთმანეთს მხარი მხარს და გამომყევით მე! ან სიცოცხლე და ან ერთათ სიკვდილი (მიდის, მიჰყვებიან).

გივი – (მარტო) ღმერთო ყოვლად მონყალეო! ამ დღეს ნატრობდა მრავალჭირნახული გივი!.. გმადლობ, უფალო! გმადლობ! რომ არ გამიცუდე საცადისი. გული გაუტყდა მეფე თეიმურაზს, მაგრამ ვერა გადრეკს რა ბატონიშვილ ირაკლის!.. ფრთები ჩამოჰყარა ძველმა არწივმა. მაგრამ დღეს გადმოფრინდა ბუდიდამ ახალი შავარდენი და დეე, დაინახოს ქვეყანამ მისი კამარა.

დასასრული მე-2-ე მოქმედებისა

მოქმედება 3-მე

სცენა პირველი

(მაღლობზე, შორით, ქოშისგორა მოსჩანს, ზედ ეკლესიით. თემობაა. დაბლა ვაკეზე გზისპირად მუშები სიმინდსა თოხნიან)

გამოსვლა 1-ლი

მუშები

მუშები – (იმღერებენ).

ყანაო, მუშის სამოთხე,

გლენის დიდებავ ყანაო!

ცისკრის სხივებმა შეგმოსეს

და ნამმა გადაგბანაო;
დაგქროლა დილის ნიავემა,
ალერსით გითხრა ნანაო,
ჟუჟუნა წვიმამ ზედ დაგკრა,
ზურმუხტით აგამწვანაო.

მეთაური – ჰა, ბიჭებო, ჰა!.. გაუსვით!.. გაუსვით! დაუარეთ, თქვენი მარჯვენის ქირიმეთ, ბევრი აღარა დაგვრჩა რა!..

ზოგიერთები – გასნი! გასნი, მეთაურო! ნუ გეშინიან, არ ჩამოგრჩებით! შენთან ვართ!..

მეთაური – ჰოო, მანგრე! თქვენი ქირიმე, მანგრე! ოჰ, ოჰ, ოჰ!

მუშები – (იმღერებენ).

ყანაო, გულხელგაშლილო,
ქვეყნის მოკეთეე ყანაო!
მოყვრულად შემოგსევივართ,
მტრულად გიმეტებთ განაო?
გავმარგლავთ ბალახ-ბულახსა.
გაგთოხნით ყოველგანაო.

მეთაური – ჰა, ბიჭებო, თქვენი ქირიმეთ!.. ცოტა კიდეე, ცოტა კიდეე! გათავდა ეს-ეს არის!

მუშები

ყანაო დაუზარებო,
უხვად მომცემო ყანაო!
ზედ უფლის თვალი დაგყურებს,
შენი ბარაქა ბრძანაო;
აგშორდეს გვალვა და სეტყვა,
მოსავლის გამოცანაო!
ყანაო ოქრო, ზურმუხტო!
ყანაო, კარგო ყანაო,
მალაღმა ღმერთმა აკურთხოს
სხვა ბევრი შენისთანაო!
(ბუკს უკრავენ. მუშები შეჩერდებიან).

ახალგაზდა – რა ამბავია?

მოხუცი – რა უნდა იყოს!.. ხატობა... თემი შეყრილა და ბუკს აძახებენ.

მეთაური – არა, ძმაე! ეგ სულ გელას საქმეა, გელასი... ეს ერთი ხანია, აღარ ასვენებს ბუკს...

ახალგაზდა – ნეტავი, რა ეხალისება?

მეთაური – არ იცი, რაც ეხალისება: სათქმელი აქვს სათემოთ და ამბობს.

ახალგაზდა – ველარ გაათავა? (ცას შეხედავს). უჰ, აი, სად წამოსულა მზე?... სამხრობას მოუტანებია.

მეთაური – მართლა და კაი ხანს გაუვლია. დროა, ცოტა პირი გა-ვისველოთ.

მოხუცი – (გაიხედავს მარჯვნივ) დედაკაცებს სამხარი კიდეც მოუტანიათ. აი, სად დაულაგებიან ჩრდილში. წავიდეთ, დროა.

მეთაური – აბა, ჰე, ნულა დაიგვიანებთ. ან სადაც არის, თემიც დაიშლება: ყოვლად წმინდიდან ხალხი ჩამოვივლის... ამ გზას ხომ ვერ ასცდებიან.

1-ლი – აბა, სად წავლენ?! ვენაცვალე იმ საყდარს და მის ძლიერებას, რომ გარჩევა არ იცის: ყველას თანასწორად უყურებს!.. აბა, ვისაც გულს ერჩის ცხენდაცხენ მიუბძანდეს იქ! გინდ დიდი კაცი იყოს და გინდ პატარა, უნდა ქვეითათ შეუდგეს ამ დიდ აღმართს.

2-რე – ეჰ, ჩვენ ვიკითხოთ თვარა, დიდკაცებს რა უჭირსთ?.. ცოტა კიდეე ჩაივლიან თუ არა, აქ უდგათ ცხენები, გადაჯდებიან კარგა ლაზათიანად და გასწევენ.

3-მე – ბრალი ჩვენი, რომ დალალულზე თოხები უნდა გავიდვით მხარზე და წავიდეთ...

მეთაური – ყველა თავის შესაფერად ირჯება!.. ყველა!.. წავიდეთ, დროა... (მიდიან).

გამოსვლა 2-რე

მოხუცი გელა და ყმანვილი ქალი

გელა – მერე, მერე?

ქალი – რა ვიცოდი, თუ მწყემსი იყო?

გელა – ჰმ... სადა ვართ?

ქალი – ვაკეზე ჩამოვედით.

გელა – აქ, სადღაც, მუშები იმღეროდნენ?!

ქალი – დიახ, ყანის პირს ვართ, მაგრამ აქ აღარავინ არის!.. წასულან, თოხები კი აქ დაუყრიათ...

გელა – აქვე, სადმე ახლოს იქნებიან.

ქალი – (გაიხედავს) აი, მართლა, სად ყოფილან!.. ეგერ იქ მისულან ჩრდილოში და სამხრობენ.

გელა – მაშ, მოვიცადოთ, სანამ მოვიდოდნენ.

ქალი – შენი ნებაა, დაჯექი... აი აქ, მწვანეზე (სხდებიან).

გელა – მაშ, არ იცოდი, რომ დიდი კაცის შვილი იყო?

ქალი – ვინ რას მეტყოდა!.. მწყემსი იყო. მწყემსურათ ჩაცმული, კომბლით ხელში.

გელა – სად გაიცანი და როგორ?

ქალი – არ გახსოვს, ძაღლები რომ მოგვიგერა?

გელა – ის იყო?!

ქალი – მაშ!.. მას უკან აგვედევნა და სადაც კი მივდიოდით იქ დაგვხვდებოდა ხოლმე.

გელა – იმ დღეს იმან ხომ არ შეგაშინა?

ქალი – იმასთან როდი მეშინიან, მამილო! ასე მგონია, თუ ჩემი ძმა არისთქო... შენ ხომ მიყვარხარ და მიყვარხარ!.. მამაშენიც ძალიან მიყვარსო. ეს რომ მითხრა, მას უკან კიდევ უფრო შემეყვარდა.

გელა – ხომ არ გატყუებს?

ქალი – ფიცი მომცა.

გელა – კი, მაგრამ, რატომ აქამდინ არ მითხარი?

ქალი – შემეხვევნა დრომდი ნურაფერს იტყვიო. მე თვითონ ვეტყვი მამაშენს, როცა დრო იქნებაო. ახლა მაგის დრო არ არისო, სხვა უფრო დიდი საქმე გვანევსო.

გელა – რა საქმეო?

ქალი – რა ვიცი? საქვეყნოაო!..

გელა – ნუხელ როგორღა გაიგე, რომ მწყემსი აღარ ყოფილა?

ქალი – ვნახე, რომ ერთ ვილაც დიდკაცურად მორთულ ბატონიშვილს მოჰყვა... შორიდან თვალი მოვკარ, მივამსგავსე იმ მწყემსს. მაგრამ რას ვიფიქრებდი, თუ ის იყო!..

გელა – ბატონიშვილ ირაკლის?

ქალი – ჰო, სხვებიც ბევრი ახლდნენ!.. შუალამე გადასული იყო, რომ გალავანს გარეთ გამოსულიყო ჩვენ საძებრად, მოგვანო და შემკრთალი რომ მნახა, დამამშვიდა, ყველაფერი მიაბზო და ფიციც გამიმეორა.

გელა – ღმერთმა ქნას, შვილო! დედიშენის ლოცვამ ნუ დაგიკარგოს სიმართლე!.. ობლობის გამჩენმა ღმერთმა მოგიმართოს ხელი... მაგრამ ჯერ მაინც გულს ნუ დააჯერებ... ნურც „ჰოს“ გადანყვეტ და ნურც „არას“.

ქალი – არა, მამავ! გული მეუბნება, რომ არ მატყუებს.

გელა – ეს კი არის, რომ ტყუილი მაგათ გვარს არ ჩვევია! ქობულიძეები განთქმული გვარისა არიან. ცხონებული მამა მაგისი, ზაალ, ჩემი დიდი მწყალობელი იყო. ბევრჯელ გვიომნია ერთათ... ერთხელ სიკვდილსაც გადავარჩინე. ტურა რამაზაშვილი რომ ლეკებს წამოუძღვა და კახეთს თავს დაესხა, იმ შეჩვენებულთან მაშინ დიდი შეტაკება მოგვიხდა... ტურამ კინალამ გაიმარჯვა: პაატა მანდატურთუხუცესი ცხენიდან ჩამოაგდო და წიხლით მოჰკლა. ზაალ ბატონიც ცუდად მიიმწყვდია, მაგრამ ჩემმა ხანჯალმა აუგო იმ მოლაღატეს წესი... მას უკან დამარქვეს მე მეტსახელად გელა.

ქალი – ეგ ყველა იმასაც შეუტყვია. ასე მითხრა, რომ შენი მამა სახელოვანი კაცი ყოფილაო და შენც დედოფლის ნათლულიო, – ვერც მამაშენის სახელს და ვერც სასახლის ნათელ-მირთობას წუნს ვერავინ დასდებს და საუკადრისოთ ვერავინ ჩამომართმევს, რომ შეგირთოო.

გელა – ვნახოთ! ჯერ კი მართლა დრო არ არის!..

ქალი – რა ვქნა, მიტომ ყველა მანგრე ამბობთ? დრო რატომ არ არის?

გელა – ჯერ ყველას საქვეყნო ვალი გვმართებს, შვილო!.. ჩუ!.. ფეხის ხმა მესმის.

ქალი – (მიიხედავს) ვილაც-ვილაცები მოდიან და ერთი კუტიც მოჰყავთ აყვანილი.

გელა – სსსუუ!.. აღარა თქვა რა.

გამოსვლა 3-მე

ისინივე, გივი და ბაადურ (მოჰყავთ აყვანილი)

ბაადურ – აი, ბეჩავ!.. ორმოცჯერ რომ ავირბენ-ჩავირბენდი ხოლმე ჯეირანივით ამ აღმართს!.. რა ძნელია სიბერე!..

გივი – სიბერე?.. მაგას მეც კი ვატყობ...

ბაადურ – შენ კი მაგდენათ არა ვატყვია რა!.. მე უფრო სწეულეებამ გამტეხა და წამართვა მუხლები.

გივი – უფრო ჭრილობის მიზეზია. ზნე აიტანა.

ბაადურ – ეგეც არის... ეს ცხრა წელიწადია, კაცი კი აღარა ვარ და, ველარც ჩემ თავს ვარგივარ და ველარც ქვეყანას.

გივი – ქვეყანა ვერას დაგაყვედრის. საკმაოდ მიგიძღვის მისი სამსახური, ჩემო ბაადურ!.. აი, გელაც აქ ყოფილა, ჩამოსულა!..

ბაად. – გელა!.. აბა სად არის? ერთი მიმიყვანეთ იმასთან. მინდა გამოველაპარაკო... დიდი ხანია, აღარ მინახავს!.. (მიიყვანებენ).

გივი – გამარჯობა, გელა, შენი!

გელა – ღმერთმა გამარჯვება ნუ მოგიშალოს, ბატონო გივო ჩოლაყაშვილო!..

ბაად. – ამას ვისა ვხედავ? გელას? გამარჯვება, ჩემო გელავ! რასა იქ? რამდენი ხანია აღარ გვინახავს ერთმანერთი...

გელა – ვაი ჩემს უბედურებას, რომ ველარ გხედავთ!.. ვინა ბრძანდებით, შენი ჭირიმე?

ბაად. – ველარა მხედავ? ეგ რა მოგსვლია?! ხმაზე მაინც ველარ მიცანი!..

გელა – დავბრმავდი და დავგლახავდი!..

ბაად. – ნუთუ, სიბერემ ხმაც შემიცვალა?! აღარ გაგონდება ბაადურ?..

გელა – (შეჰკივლებს) ბაადურ?.. ბაადურ მოურავი!.. ღმერთო, ჩემო! რას მოვესწარ კიდევ და რა მეღირსა! მიბოძეთ, მიბოძეთ, თქვენი ჭირიმე, ჩოხის კალთა, რომ გეამბოროთ!.. ვაი, ჩემს მოსწრებას, რომ ველარ გხედავ...

ბაადურ – მოდი, მოდი, მომიახლოვდი, ჩემო გელავ, თორემ მე მუხლებს აღარ მერჩის, რომ თითონ მოგვარდე და გადაგეხვიო!.. შენ დაბრმავებულხარ, მაგრამ, ეს ერთი ხანია, მეც დავსაპყარდი.

გელა – გავიგონე, შენი ჭირიმე... ჩვენამდინაც მოატანა მაგ სამწუხარო ხმამ... ეჰ, ყოველივე ღვთის ნებაა!.. (სიჩუმეა) რამ ჩამოგიყვანათ ჩვენკენ, ჩემო ბატონო?

ბაად. – იმან, რასაც შენ დაჰყავხარ სოფლით სოფლად და რამაც მებუკობა დაგანყებინა!.. მოაწია მთამდინაც საიმედო ხმამ. მინდოდა დავრწმუნებულიყავ და ჩამოველ. მადლობა უფალს, ვხედავ, რომ მართალი ყოფილა. ახლა კი წავალ და ვუმახარობლებ გულგატეხილ მოხვევებს, ვეცდები, რომ ზეზე წამოვაყენო დაცემულები.

გივი – (აღტაცებით) დიდება შენს განგებას, ღმერთო, რომ ამ დღეს

კიდევ მოასწარ მოხუცებული გივი!.. ბრმა სცდილობს, რომ ქვეყანას თვალი აუხილოს!.. საპყარი ფეხზე წამოყენებას უპირობს... და მაშ, თქვენ, თვალხილულნი და მუხლმაგარნი, გული რალას უნდა გეუბნებოდესთ?

გამოსვლა 4-ზე

ისინივე და (ჩამოდიან საჩქაროდ) ირაკლი ბატონიშვილი, ლევან ქვაბულაძე, რევაზ ბებურიშვილი და სხვანი

ირაკლი – (მხიარულად) რად ჩამოსულხართ? როგორ დამეკარგეთ! გივო! ბაადურ!.. სასიამოვნო ამბავი (წამოდგებიან).

გივი – რას გვიბრძანებ, ბატონიშვილო?

ირაკლი – სასიამოვნო ამბავი: ლევან და რევაზ შევარიგე. დღეიდგან ამათ შორის ყოველივე მტრობა უნდა მოისპოს... და ეს ორი დიდი ოჯახი შეერთდეს მოყვრულის კავშირით!.. ლევანმა უნდა შეერთოს რევაზის დაა...

ქალი – (იკივლებს) უი!.. (ხელებს იფარებს სახეზე).

ყველა – რა ამბავია?..

გელა – რა იყო, შვილო? (ხელს უპოტინებს) არაფერი. არაფერი, ბატონებო, ბუზმა შეაშინა...

გივი – ბუზმა... და შენ როგორღა დაინახე?

გელა – ბუზილი გავიგონე, ჩემო ბატონო, და მივხვდი: სწორეთ იმან შეაშინა. აბა, სხვა რა იქნებოდა?

ლევან – დიახ, მეც დავინახე... ფუტკარი იყო. ახლოს გაუარა, სახეზედაც მოხვდა, მაგრამ კბენით კი არ უკბენია... ეს კარგი ნიშანია. თაფლი იცის საბოლოოვით.

ირაკლი – ვინ არის ეგ ქალი?

გივი – ამ მოხუცის ქალი გახლავსთ.

ირაკლი – ეგენი გუშინაც შემხვდენ... გელა ეგ არის?

გივი – დიახ, ბატონიშვილო!

ლევან – ეს პატარა ქალიც დედოფლის ნათლულია.

ირაკლი – როგორ თუ დედოფლის? მაშ, ჩემი სულიერი და ყოფილა (მიდის ქალთან) მართლა?! რატომ არ ვიცოდი? რა გქვიან სახელად?

ქალი – ელისაბედ.

ირაკლი – ელისაბედ?! კარგი სახელია!.. (იცინის) გელას ქალი ყოფილხარ და დედოფლის ნათლული!.. ჩემო დობილო, ბუზს როგორ შეუშინდი?

ქალი – უეცრად შევკრთი, ჩემო ხელმწიფე!..

ირაკლი – მოხუცი, ხვალ სასახლეში ამოდი და ეგ ჩემი დაც ამოიყვანე!

გელა – ეს თუ მე ამომიყვანს, თვარემ მე სად შემიძლიან უსინათლოს, ჩემო დიდო ბატონიშვილო?!

ირაკლი – ეგ სულ ერთია!.. აბა, ყმანვილებო, წავიდეთ, ჩავიდეთ, დროა!.. რევაზ, შენ როგორღაც თვალს აღარ აშორებ ამ ჩემ დობილს!..

მაგრამ მე მაგას იაფათ არავის დაუთმობ!.. ჯერ თავი იჩინე! ისახელე, რომ მაგისი ღირსი გახდე და მერე... მერე ვნახავთ!.. აბა, წავიდეთ. (მიდიან).

გივი – მხიარულად ბრძანდება ბატონიშვილი.

ბაადურ – სჩანს, რომ გული სიხარულს უქადის რამეს! წინაგრძნობაა...

გივი – ღმერთმა ბძანოს. ან დროა, ჩვენც წავიდეთ.

ბაად – არ იქნება ურიგო!.. აბა, ბიჭებო, წამიყვანეთ! მშვიდობით, ჩემო გელაე!.. ხვალ კიდევ შევხვდებით ერთმანერთს სასახლეში.

გელა – ღმერთმა კეთილათ გატაროთ, ჩემო ბატონებო!..

გამოსვლა 5-თე

მოხუცი და ქალი

გელა – რა მოგივიდა, შვილო?

ქალი – მეტი რაღა უნდა მომსვლოდა?

გელა – შემარცხვინე, თავი ველარ შეიმაგრე!

ქალი – მოულოდნელი იყო!

გელა – აკი გეუბნებოდი, ნურას გადასწყვეტ-მეთქი!.. სად ჩვენ და სად ისინი? ტოლი ტოლს ეძებს... შორი შორს სამძღვარია; შუაში ბევრი რამ გაივლის...

ქალი – მე რომ არა მცოდნია რა, თვითონ მოინდომა...

გელა – მოინდომა? აი, თუ მოინდომა...

ქალი – ჯერ ვინ იცის... ვერ მიხვდი, რა სიტყვები გადმოგკრა?

გელა – ჰო, თაფლიო... სიტყვა!..

ქალი – მე მაინც, სანამ მისი პირით არ გავიგონებ... მაგრამ, აი, ისიც აგერ მოდის, მამილო, დაბრუნებულა!..

გელა – თავი რიგიანად დაიჭირე!.. არა შეამჩნევენო რა!

გამოსვლა 6-სე

ისინივე და ლევან (მობრუნებული)

ლევან – როგორა ხარ, საბედო!.. ისე როგორ შეშინდი?! სხვისი სიტყვა განა ბეჭედი?! ნუთუ კიდევ გული ვერ დაგიჯერებია... საბრალო მამაშენი!.. ბუზი რომ ეგონა!.. (იცინის).

ქალი – არა, ის კი მიხვდა რაც იყო, მაგრამ რაღა უნდა ექნა! მამამ იცის, რაც ამბავია.

ლევან – იცის! განა გითქვამს?.. მაშ, მე რაღათ დავმალო? მოხუციო!.. იცი შენ ჩვენი განზრახვა?

გელა – შევიტყვევი, მარამ ი მამიშენის სულის მზეს, ცუდათ ნურას აიჩემებ. რომ არა გამოვიდეს რა...

ლევან – რა უნდა გამოვიდეს... ერთმანეთისათვის პირობა მიგვიცია და ღმერთთან აგვიტყვამს!.. ხომ არ მიწუნებ?

გელა – აბა, ეგ რა სათქმელია, ჩემო ბატონო!.. მაგრამ, სად, ჩვენა და სად თქვენა...

ლევან – ეგ ვერას დააბრკოლებს.

გელა – ბატონიშვილმა რომ ბრძანა... გვარები უნდა შეკავშირდესო...

ლევან – ისიც ასრულდება.

გელა – რაო? ეგ აღარ მესმის!

ლევან – მეცა მყავს გაუთხოვარი და! ელენე დასაწუნი არავისაგან არ არის!.. ის რომ რევანზეა შეირთოს, განა ისევ დაკავშირება არ იქნება... დროზე ყველაფერს მოვახსენებ ბატონიშვილს და მანამდე არას ვიტყვი.

ქალი – მაშ, არ შეირთავ რევანის დას?

ლევან – არა, ჩემო საბუდო!.. ჩვენ სიკვდილის მეტი ვერა გაგვყრის რა!

გელა – გაკურთხოს ღმერთმა!.. მამაშენის შვილს სიტყვა დაუჯერება... მეტს არას ვიტყვი... ღმერთმა და შენ იცოდეთ!..

ლევან – ამინ!.. ახლა კი უნდა დავენიო ისევ ბატონიშვილს, მე მხოლოდ ცოტა ხნით გამოვიჭერ, შენ დასამშვიდებლად, ჩემო სიცოცხლე!.. ჩემო გელავ!.. თუ შეიძლებოდა, სათხოვარი ამისრულე და სასახლეში ნუ ამოხვალთ.

გელა – მერე ბატონიშვილის ბრძანება?!
ლევან – მე ვეტყვი, რომ ავით გახდა თქო!..

გელა – თქვენი ნებაა... როგორც იცოდეთ!..
ლევან – მშვიდობით, (გადის).

გამოსვლა 7-დე

ისინივე მარტო

ქალი – ხომ გითხარი, მამავ!.. ახლა რაღას იტყვი?

გელა – რა ვიცი, რა ვიცი, შვილო!.. მჯერა, მაგრამ ღმერთმა უკეთ იცის, ყოველივე მისი ნებაა (პირფარას იწერს).

ქალი – აი, აგერ მუშებიც მოდიან.

გელა – კეთილი, მოვიდენ, შვილო!.. მეც ის მინდა!..

გამოსვლა 8-ვე

ისინივე და მუშები (მოახლოვდებიან)

გელა – გამარჯვება თქვენი.

ყველა – ეჰ, გელას გაუმარჯოს!.. ღმერთმა გაგიმარჯოს (ეხვევიან გარს).

მეთაური – რა ამბავი იცი, გელავ? აბა, რას გვეტყვი?..

გელა – ცოტა რომ ადრე მოსულიყავით, ბევრს რამეს გაიგებდით თქვენის ყურით!.. აქ ბძანდებოდა ბატონიშვილი ირაკლი დარბაისლებით. ეს-ეს არის, ახლა ჩაიარეს...

მეთაური – რაო, რა თქვეს? რას აპირობენ?

გელა – რაღა რა თქვეს? მთელი დიდკაცობა ყველა ერთად ფეხზე დგას... მიდიან, უნდა მტერი გარეკონ ჩვენი ქვეყნიდან... ჩავალთ ბარად და ალაზანს წითლად შევვლებავთო! იქადიან. ისინი აღარა ხუმრობენ; მაგრამ ჩვენ, ჩვენ რაღას ვაპირობთ?

ახალგაზრდები – ჩვენ... ჩვენ კი როდის ჩამოვრჩენივართ დიდკაცობას?

1 გლეხი – როდის დაგვიხვევია უკან?

2 გლეხი – თუ ისინი წასულან, ჩვენც თან მივყოლივართ.

3 გლეხი – ახლაც ასე იქნება.

მოხ. გლეხი – რითი, შვილოსა, რომ იარაღი ჩვენ არა გვაქვს და ტყვია-წამალი!..

ახალგაზრდა – იარაღი?.. ხელკეტი განა რა ნაკლებია?

1. – ერთი გავლესო ჩემი ნამგალი! ისე დავატრიალებ, თითქოს პურსა მკისო!..

2. – ცულმა და წალდმა რაღა დააშავეს?..

ზოგიერთები – და ამას კი ველარ უყურებთ, ამ თოხს... ღვთისაგან ნაკურთხია, პირიც აქვს, ყუაც და ტარიც... საითაც გინდა, მოუქნიე!.. ამასთან ხანჯალიც ტყუილია, თორემ ხმალი ხომ მოვა და მოვა!

3. – დედაკაცებს სულ კალთებით მოვაზიდვინებთ მტრის თავგასატეხ ქვებს.

გელა – აი, თქვენი ჭირიმეთ, ბიჭებო, რომ ძველებური ხმა კიდევ მესმის!..

მეთაური – მოგიკვდეთ, გელა, თუ ძველებს ჩამოუვარდეთ, მარამ წინამძღოლი კი გვეჭირება!.. ვინღა მიგვიყვანს მტერზე!..

გელა – (მედიდურათ) დაგავინყდათ გიორგი ხმალაძე.. აღარ იგონებთ გელას?..

მეთაური – ვაი, რომ ველარას ხედავს...

გელა – ეგ არაფერი!.. ბიჭებმა მხარი დამიჭირეთ, წამიძლოლიე წინ და თქვენ გასწავლისთ გელა, როგორც უნდა მტერზე მისვლა; – გელას სახე და გელას სახელი კიდევ უცვლის ფერს ურჯულო მტერს.

ყველანი – აი, შენი გამჩენის ჭირიმე, შენი... შენსას რომ არ იშლი!.. ისევ შენ წავგიძეხ წინ და მიგვიყოლიე შენებურათ!.. შენთან სიკვდილი და შენთან სიცოცხლე!..

გელა – მაშ, კარგი... არ დაივინყოთ ეგ სიტყვები!.. ახლა კი კმარა მუშაობა... სხვა დრო მოგვდის. ნავიდეთ, ჩავიდეთ სოფლებში, შევატყობინოთ

გლებობას... უმახარობლო მოყვარებს, მოვამზადოთ ისინიც და ვახსენოთ ღმერთი!.. წავიდეთ, სულ სიმღერით გადავიაროთ მთა და ველი!..

მუშები – (იკინიან) აბა, ერთი შენ დაგვიწყე სათვალავი, გელავ, რომ ჩვენც ბანი გითხრათ და მოგყვეთ!..

გელა – ბატონი ხართ!.. (მუშები თოხებს გაიღებენ მხრებზე, გელა წინ წადგება და სათვალავს ამბობს. ქალი ართმევს. სხვები აძლევენ).

მუმლი მუხასა
გარს ეხვეოდა.
ხე იზდებოდა,
ხე მაგრდებოდა,
ფესვებს იდგამდა!
მუმლი ქრებოდა!..
მუმლი წყდებოდა,
შორს მიფრინავდა!
საქართველოა
მუხა ქებული,
მუმლი მტერია
შემოსეული!..
მტერი გაჰქრება!
მტერი გასწყდება...
გადიკარგება...
ჩვენი ქვეყანა.
ისევ დარჩება...
გამობრუნდება,
გაძლიერდება,
ფესვებს გაიდგამს,
ზე ამაღლდება...

(ნელ-ნელა მიდიან სიმღერით; ფარდაც ნელ-ნელა ეშვება)

დასასრული მესამე მოქმედებისა

მოქმედება მეოთხე

სცენა პირველი

სასახლე

გამოსვლა 1-ლი

მეფე თეიმურაზ, ბაადურ, გივი და დარბაისლები

ბაადურ – ჩემო ხელმწიფევ! საპყარი მოვსულვარ მოციქულად და ნუ შეურაცხყოფთ ჩემ შუამდგომლობას.

მეფე – ჩემო ბაადურ!.. თავგანუღულ ჭაბუკობას მოხუცებულობის ლაგამი ეჭირვება.

გივი – დიდებულო მეფევ! ახლა გვიანლა არის!

მეფე – გვიანლა არის?! თქვენი წყალობით!.. აი, აგერ დედოფალიც მობრძანდება...

გამოსვლა 2-რე

ისინივე და დედოფალი (ამალით)

მეფე – მობძანდით, დედოფალო! დაბრძანდით!.. საჭიროა, რომ თქვენც მონაწილეობა მიიღოთ ჩვენს რჩევაში.

დედოფ. – ჩემო ხელმწიფევ! მე მისთვის გეახელ, რომ მაგათ მოციქულობას ჩემი შუამდგომლობაც ზედ დაურთო, მაგრამ ჯერ კი მსურს მოვისმინო საერთო გულისპასუხი: რას ჰფიქრობენ დარბაისლები?

მეფე – ერთ პირზე დგანან: ბაადურ გულმხურვალეთ მოციქულობს და გივი კი უარსაც აღარ გვაბედვინებს: გვიანლააო!

დედოფ. – გივი გამოცდილია და წინდაუხედავათ არას იმოქმედებს.

მეფე – დღემდი მანგრე ყოფილა, მაგრამ დღეს კი უმტყუნა ჩვეულებას: იმდენათ ირაკლის არ ვამტყუნებ, რამდენათაც გივს... მე იმაზე, როგორც ირაკლის გამზდელზე, გულდადებულად ვიყავ, შვილისათვის მაგდენათ თვალყური აღარ მიდევნებია და აი, რა გვიყო მისმა თავსშუეკავებლობამ!.. გივის შეეძლო და მოვალეც იყო, ერჩია მისთვის.

გივი – დიდებულო მეფევ! ჩემი რჩევა მხოლოდ ხელს შეუშლიდა მის გამირულ მოქმედებას.

მეფე – სჩანს, რომ კიდევ მაგ მოწონებას წაუხალისებია; მაგრამ დღეს რაღას იტყვი!.. დღეს, როდესაც აუარებელი მტერი კარზე მოგვდგომია?! დღემდი, ავათ თუ კარგათ, კიდევ შესაძლო იყო მათი უფლების ატანა, მაგრამ დღეს კი ისეთ პირობას გვთხოვენ, რომელიც მძიმე ტვირთათ დაანება ჩვენ ქვეყანას...

ბადურ – ბატონო თეიმურაზ! ყოველგვარ პირობას ორგვარი პასუხი მოსდევს: „ჰო“ და „არა!“

მეფე – ამჟამად, მეორე ძნელი გასაბედავია!..

ბად. – გამბედაობა, მგონი, ზნედა გვეკონდეს გადაქცეული!

მეფე – მაშინ, როდესაც თავხედობაა, არა გამოდის რა!.. მტერი უზომოთ მომატებულია და ერთი ათხედ რომ მივიყვანოთ, რა გამოვა?

გივი – სახელოვანათ მაინც გავსწყდებით!..

მეფე – ჰო, ეგ ადვილია!.. მაგრამ ნუ დაივინყებთ შემდეგს: თვითუღს თქვენგანს შეუძლიან, ბრძოლის ველზე დალიოს სული და მით სახელოვნად მოიხადოს თვისი ვალი, მაგრამ მეფეს, მირონ-ცხეზულს, კი არ შეშვების ეგვე: ის ვალდებულია, უკანასკნელ წერტილამდე მიჰყვეს ხალხის ბედს და უბედობას. არა, მე ნება არა მაქვს, არ შემიძლია, რომ ქვეყანა ასე გამოვიმეტო. დრომდი მოთმინებას ვარჩევ. ვინ იცის, მომავალი რას მოგვიტანს. ეჰ, თუ ირაკლი არ აჩქარებულიყო...

დედოფ. – გივო ჩოლოყაშვილო! დღეს საშინელი ბრალი ედება ჩემ შვილს და შენ, როგორც მისი მოჭირნახული, რას იტყვი?

გივი – ბატონო დედოფალო: მაქვს სათქმელი და ნუ შემრისხამთ!.. მართალი არის, როგორც ბატონი მეფე ბრძანებს, დღეს დიდ განსაცდელში ვარდებით, საშინელი ჭირი კარზე მოგვადგა: მტერი უთვალავი, მაგრამ ამგვარად კარზე მომდგარი ჭირი თუმცა საშინელია, მაგრამ ხშირად გასაძლისი... შეიძლება, კაცი გადაურჩეს და თუ ვერა, დიდხანს მაინც აღარ იტანჯება, მალე გათავდება... მაგრამ ის სენი კი, რომელიც ნელ-ნელა, დღით-დღე გვამში უჯდება ადამიანს, უჩინრად ხრწნის და აწყალებს... ყველაზე უარესია... დიდი ხანია, რაც მტერი შეეპარა საქართველოს, გაუფადა სენათ, ხრწნიდა და ოცის წლის განმავლობაში ჩუმად მოიძნო და ნელ-ნელა წელში გასტეხა, მაშინ, როდესაც მთელი საუკუნოების განმავლობაში მოპირდაპირე მტრებმა კი ვერა უყვეს რა. სენმა ქვეყანას ხელი დარია, თითქმის მოინელა და ცოტაც რო კიდევ დასცლოდა, სულს ამოხდიდა... მაგრამ გაუჩნდა მკურნალად გმირი.

დედოფ. – და ის გმირი იყო პატარა ირაკლი?

გივი – დიახ, დედოფალო!.. თუ არ ზეცით აღნიშნული და ქვეყნად რჩეული, სხვა ვინ მოიფიქრებდა მაშინ, რომ იმ მცირე საქმეს ეს დიდი შედეგი მოჰყვებოდა?! ჯერ, პირველათ, მცირე რაზმით, თითქმის მეკობრესავით გამოსულმა ბატონიშვილმა ანდამატივით მიიზიდე ახალგაზრდობა, – როგორც მთის წვერიდგან დაგორებული პატარა თოვლის გუნდა თანდათან იზდება და ზვავდება, ისე იზდებოდა და იზდებოდა ირაკლის გუნდიც... შედგა დიდი ჯარი... მაშინ დაანაწილა, გაჰყო პატარა-პატარა გუნდებით ის ჯარი და ისინიც ჯერ კი ფარულად და მერე პირდაპირაც აქა-იქ სოფლად ჩამდგარ მტრებს თავს ესხმოდნენ... არ ასვენებდენ, რანამ იძულებულ არ ჰყვეს, რომ დაენებებინებიათ თავი სოფლებისათვის, გამოსულიყვენ და შეერთებულად დაებანაკათ, ალაზნის პირად, ისე, როგორც დღეს ვხედავთ.

მეფე – ე. ი. უფრო ძლიერად, უფრო მომზადებულად და უფრო განრისხებულად? რომ ქვეყანა ამოაგდონ, თუ არ დავეთანხმეთ.

გივი – მხოლოდ ჰფიქრობენ და ვინ იცის?

მეფე – ჰფიქრობენ და კიდევაც აასრულებენ!.. ირაკლის გამარჯვება მოკლე ხნისა იყო!..

გივი – რათა, ჩემო ხელმწიფო! იმ გამარჯვებამ ქვეყანა განჰკურნა; ხალხი დაცემული ფეხზედ წამოაყენა, წელი გაუმაგრა. დღეს ყველანი საპირდაპიროთ მზათ არიან, და თქვენც, დიდებულო მეფეც, ნუ შეურაცხყოფთ მათ გულისთქმას.

ბადურ – დიახ, ბატონო თეიმურაზ ხელმწიფე! ჩვენი დროის კაცები დღეს აღარსად არიან, დაბერდენ, დაიხოცნენ, ზოგი დაბრმავდა და ზოგი ასე, ჩემსავით გასაპყარდა. ჩვენი შემდეგი დგმა, დროთა ვითარებამ გააფუჭა, უნამყოფოდ ჩაიარა. ახლა სულ ახალმა დგმამ იჩინა თავი და ჩვენც სიხარულით უნდა მივეგებოთ – ჩვენ წამავალი ვართ, მომავალი მათია და მათვე დაიჭირონ ხელში.

მეფე – გესმით, ბატონო დედოფალო? თქვენ რაღას ბრძანებთ?

დედოფალი – გავიგონე, ჩემო ხელმწიფე!.. მე თავყანსა ვცემ თქვენ ბრძნულ წინდახედულობას, მაგრამ გავბედავ და მოგახსენებთ, რომ ბატონი მამაჩემი, დიდებული მეფე ვახტანგი სამაგალითოა ამ შემთხვევაში: ყოველი მისი მოქმედება ბრძნული იყო და ყოველი მისი ფეხის გადადგმა წინდახედული... დროთა ვითარებას ჟინიანობა კი ხელს უშლიდა, კეთილად ვერა მოიმკო რა... თქვენც მოგეხსენებათ, თუ რა დღე დააყენა ქვეყანას მისმა სიფრთხილემ და ან ის თვითონ რა ყოფაში ჩააგდო!.. მომაკვდავს გონებისაგან ბევრი რამ მიუხვდომელია!.. იქ, სადაც გონიერული წინდახედულება აღარა სჭრის, უნდა უგუნურ თავხედობას მიენდოს კაცი.

მეფე – თქვენც მაგასა ბრძანებთ, დედოფალო! გაგინირავსთ, ეგ არის რალა, ქვეყანა?.. მაგრამ ერთად მასთან ხომ ირაკლისაც იმეტებთ!.. გეკითხებით, როგორც დედას: გული რას გეუბნებათ?

დედოფ. – როგორც დედას, მე ამ დღისთვის გამომიზდია ჩემი შვილი.

მეფე – როგორც დედოფალი, რაღას ჰფიქრობ მემკვიდრეზე?

დედოფ. – თუ ქვეყანა აღარ იქნება, მემკვიდრე რალა სახსენებლია?

მეფე – მაშ, კარგი! თქვენი ნება იყოს. მივჰყოლივარ თქვენს გულისთქმას. გივო! შემომგვარეთ ირაკლი (მიდის). მე ამიერიდგან უბრალო ვარ, დამიბანია ხელი! ან თქვენ იცით!..

გამოსვლა 3-მე

ისინივე და ირაკლი (ამალით)

მეფე – შვილო ირაკლი! დარბაისლების მოციქულობამ და უფრო დედიშენის სურვილმა გასჭრა – ჩემი სურვილისა და განზრახვის წინააღმდეგ: თანახმა ვარ, რომ მტერს ვებრძოლოთ.

ირაკლი – (ხელზე ჰკოცნის) გმადლობ, ჩემო ხელმწიფე! ყოვლის შემძლებელი არ გაგვიმეტებს... რომ...

მეფე – მოიცა, შვილო!.. მე, შენც ხედავ, ამ უცნაურმა გულის ფრიალმა მომიდნო. აღარ შემიძლია, რომ ჩემებურათ რაზმი დავანყო და ომში ვიტრიალო!.. ეგ შენი დანყებული საქმე შენვე უნდა დააბოლოო. შენ უნდა გასცე პასუხი მტერსა და მოყვარესაც.

ირაკლი – (აღტაცებით) მზათ გახლავარ, ჩემო ხელმწიფე!..

მეფე – იმედიცა გაქვს?

ირაკლი – ღვთით!

მეფე – წინდახედულობა გმართებს... ხომ მარტო სურვილისაგან არა ხარ გატაცებული?

ირაკლი – დავათვალიერე მათი ბანაკი, გავშინჯე სიმაგრეები, შევიტყვე მათი რიცხვიც. თუმცა ერთი ხუთად მეტი არიან, მაგრამ თუ ღმერთიც მოწყალე გვეყოლა, არა გვიშავს რა.

მეფე – ნუ დაივინყებ, რომ ისინი ომში გამოცდილები არიან და შენ ჯარში კი უმეტესობა სულ ახალგაზდობაა.

ირაკლი – მართალი არის, მაგრამ რაც მამაპაპისაგან სამკვიდროთ მიუღიათ და რაც ძვალ-რბილში გაჯდომიათ, იმას არ უღალატებენ.

მეფე – მომწონს ეგ შენი თამამობა! ეგ კარგათა სთქვი, მაგრამ მე კი მაინც მათი რიცხვი მაშინებს.

გივი – ერთი ათათაც რომ მომეტებული იყვნენ, თათრებს არ შეუშინდებთ, ჩემო ხელმწიფე... მაგრამ მე უფრო ალისკანტ ბელადის შიში მაქვს... სამი ათასის კაცით ჩასაფრებულა მისავალთან და ზურგს უმაგრებს მტერს.

ბაადურ – აი, შეურცხვესთ მეზობლობა! რა იციან იმ უგუნურებმა, რომ ჩვენი განირვით თავის თავსაც იღუპავენ... თავისვე საკუთარი დანით იჭრიან ყელს! ჯერ ვერა ხედევენ! მოვა დრო, იგრძნობენ, მაგრამ გვიანლა იქნება.

გივი – მაგით ისინი მაინც თავისას არ დაიშლიან, ჩემო ბაადურ...

ბაადურ – ვიცი, ვიცი! სულ იმ ნუნკ ალისკანტის ბრალია და ვაი, რომ აღარ შემიძლიან მისი დავლურში გამონვევა...

ირაკლი – არაფერია, ჩემო ბაადურ! გამორჩნდება მისი მოპირდაპირეც!

მეფე – თუშები რამდენი გყავს?

ირაკლი – სამასი... ჩემთან არიან.

მეფე – ფშავ-ხევსური?

ირაკლი – ცხრაასი კაცია.

მეფე – ასი თუშიც მიუმატე და ისინი მიუშვი ლეკვებზე.

ბაადურ – ნოსრევან ჭავჭავაძე წაატანეთ... ის მიუძღვეს წინ... გამოცდილი ვაჟკაცია.

ირაკლი – ჩვენც მაგრე გადავწყვიტეთ.

მეფე – მემარჯვენე სარდალი ვინ გყავს?

ირაკლი – ლევან ქვაბულაძე.

მეფე – მემარცხენეთ?

ირაკლი – რევან ბებურიშვილი.

მეფე – კეთილი! მიმშველებელ ჯარს ვინ სარდლობს?

ირაკლი – ჯანდიერიშვილი.

მეფე – მონინავე ვინლა არის?

ირაკლი – მე, ჩემო ხელმწიფე!

მეფე – შვილო! მაგას კი ველარ მოგინონებ: მთავარ სარდალს მენინაობა არ შეჰფერის!.. ჯანდიერიშვილი მიგზავნე შენ მაგიერ და შენ მის ადგილს დარჩი. მხოლოდ ამ პირობით დაგრთავ ნებას.

ირაკლი – თქვენი ნება გახლდესთ!.. სიმდაბლით დაგემორჩილებით.

მეფე – ყმანვილობამ არ გაგიტაცოს და გულს არ გადაჰყვე! გივო! უკანასკნელად გაბარებ!.. თვალყური გეჭიროს. და ახლა კი მოდი, შვილო, დაგლოცო: ყოვლის შემძლებელმა ღმერთმა გინინამძღვროს! წმიდა გიორგი იყოს შენი დამხმარე... და ნუ მოგაკლოს მისი მფარველობა ამ სინმინდემ... ამ ძელმა ჭეშმარიტმა... (აიხსნის და ირაკლის გადაჰკიდებს) მშვიდობით, შვილო! (ირაკლი ხელზე ჰკოცნის).

დედოფალი – მშვიდობით, ჩემო საიმედო შვილო! დედაშვილობის გამჩენმა მოგიმართოს ხელი (ეთხოვებთან. ირაკლი გადის თავის ამალით. დიდი ხნის სიჩუმეა. მეფე აღელვებულია და ორი ხელი გულზე აქვს მიდებული. დედოფალი თვალებს იწმენდს და ქალები ჩუმად ქვითინებენ).

ბაადურ – როგორა ბრძანდებით? რა მოგდისთ, ბატონო მეფევე?

მეფე – არაფერი... გადმიარა... ისე საშინლათ აღარ მიძერს... ბატონო დედოფალო!.. მიიღებს თუ არა მტერი პასუხს, მაშინვე ასტეხს ბრძოლას. ჩვენი აქ ყოფნა საშიშია... ნავიდეთ მთაში, შევიდეთ სიმაგრეში და აქაურ ამბებს ზედიზედ შიკრიკები მოგვახსენებენ.

დედოფალი – ჩემო ხელმწიფე!.. როგორც ცოლი, ყოველთვის მორჩილი ვყოფილვარ თქვენი და, როგორც დედოფალი, მონა თქვენი მეფობისა... მაგრამ დღეს კი ნება მიბოძეთ მოგახსენოთ რამ და შემოგჩივლოთ... შემოგავედროთ ჩემი სურვილი: თქვენ წაბრძანდით და მე კი აქ დავრჩები. როგორც მეფე, თქვენ მოვალე ხართ, იცოცხლოთ ხალხისათვის და მე კი, როგორც დედოფალი, ბევრათ არას დავაკლდები ქვეყანას. თქვენ შეგიძლიანთ, ვინც გინდათ, ის გახადოთ დედოფლად.

მეფე – მაგას რას ბრძანებთ, დედოფალო?

დედოფალი – დიახ. როგორც დედას, მე მსურს, რომ ჩემი შვილის სიახლოვეს ვიყო, თვალით უყურო მის განსაცდელს და გულით ღმერთს ვავედრო. (ქალებს) თქვენ რალას იტყვით, ჩემო კეთილნო? გთხოვთ, თქვენც დამეხმაროთ და შემავედროთ მეფეს!..

ელენე – ბატონო დედოფალო! ჩვენ დიდი ხანია, ერთპირად კიდეც გადავსწყვიტეთ, აქვე დავრჩეთ მახლობლად, სადაც ჩვენები იქნებიან. დეე, ჩვენის სიახლოვეთ სიმხნე გაუორკეცდესთ ჩვენს ქმრებს, ძმებს და შვილებს, და ჩვენი შეხედვით გაიმსჭვალონ...

ბადურ – ნება მომეცით, მეც თქვენთან დავრჩე... და თუ ვინიცოხა, ბედი გაგვნირავს, ფეხალაგობ ერთხელ კიდეც მოიქნის მტრის მოსაგერებლად მოხუცმა ბადურმა თავის განუყრელი ხმალი.

დედოფალი – რას გვიბრძანებ, ბატონო თეიმურაზ?

მეფე – (დიდი ხნის სიჩუმის და მღელვარების შემდეგ) აგრე იყოს. თქვენი ნება! მაგრამ მეც თქვენთან უნდა დავრჩე, ჩემო ძვირფასო თამარ!..

ფარდა
დასასრული მეოთხე მოქმედებისა

მოქმედება მეხუთე

სცენა პირველი

მალღობი ადგილი

გამოსვლა 1-ლი

მეფე, დედოფალი, ბადურ, რამდენიმე კარისკაცი და ქალები

მეფე – (დურბინით გადაჰყურებს) საკვირველია! ამ სიშორიდან ყველაფერი ისე იხედება, როგორც სარკეში, თითქმის სახესაც კი გაარჩევს კაცი.

დედოფალი – ომი დაწყებულია?

მეფე – დიდი ხანია!.. მაგრამ ჩვენი ჯარი გულდაგულ ჯერ ლეკის საფარს აწვება, სხვაგან კი ყოველის კუთხით მხოლოდ კენწლაობაა... აი, კიდეც სხვა ჯარიც მიდის ზედ იერიშით, მაგრამ ეს რას ნიშნავს?.. უდიდესი ნაწილი მოსწყდა, სადღაც მიდის, ჩამოშორდა მთავარ რაზმს...

ბადურ – ეგ ნოშრევანის ხერხი იქნება... უთუოთ უნდა, რომ თავი მოუაროს და უკანიდან მოექცეს მტრის საფარს.

დედოფ. – ღმერთო, ღმერთო! შენ გადმოგვხედე წყალობის თვალთ.

ქალები – ღმერთო, ნუ მოგვაკლებ შენ მონყალებას შენ მოსავ ერს.

მეფე – შეცვივდნენ საფარში – რა თავგამეტებით მიდიან!.. ვაი, გამოჰყარეს, ისევ გამოიბიან. უკან ლეკები მოსდევენ... ა... ეს რას ნიშნავს? ლეკებიც საფარს აგდებენ, თვითონაც მინდვრათ გამოიბიან.

ბადურ – ეგ არის, ბატონო თეიმურაზ! მენიშნა, ნოშრევანის ხერხია... უთუოდ ჩვენმა ჯარმა უკანიდგან მოუარა და საფარი დაატოებინა... აბა, შეხედეთ კარგად... ორ ცეცხლშუა იქნება მტერი.

მეფე – დიახ, უკან ვეღარ იხედვენ, მინდვრად გამოსულან და ისე იბრძვიან; ჩარეული ომია... ხან ერთი მხარი იხევს უკან და ხან მეორე... ჯგუფ-ჯგუფად ომობენ... აი, ვილაცამ გამოახტუნა ცხენი ლეკების რაზმიდამ, თითქოს ვილაცას ინვესო.

ბადურ – დავლური იქნება. ერთ-ერთს გამოითხოვდა...

მეფე – აი, ჩვენი რაზმიდანაც გავიდა ვილაც... ოჰ, საცოდავი, მისვლის უმალ ჩამოვარდა ცხენიდან... მეორეც გავიდა... ოჰ, ოჰ, ვაი სირცხვილო! შეეშინდა. უკანვე გამობრუნდა, კიდეც სხვა გადის... მიუახლოვდა! ოჰ, ოჰ, ოჰ... ღმერთო, ხელი მოუმართე... ოჰ... ესეც ჩამოვარდა...

დედოფალი. – ღმერთო ჩემო! ნუთუ, ღმერთო მოპირდაპირე ვეღარ გამოუჩინეს?..

ბადურ – ვაი, თუ ის შეჩვენებული ბელადი ალისკანტი იყოს... ბევრს გააფუჭებს.

მეფე – ეგერ შორეულის რაზმიდამ ვილაც მოაქანებს ცხენს. მიდის გულდაგულ მტერზე... აი, კიდეც მიუახლოვდა, ეძგერნენ ერთმანერთს... შეიბნენ... ოჰ, რა საოცრათ იბრძვიან... ერთიმეორეს გარს ჯარასავით უტრიალებს... ოჰ! ოჰ! ოჰ!.. გადმოვარდა ერთი მათგანი... არ ვიცი კი, ვინა: ჩვენი თუ მტერი... ჩვენი ყოფილა... კიდეც სხვა აპირებს გასვლას ჩვენი მხრიდგან, მაგრამ არ უშვებენ – არ დაიშალა... გამოუსხლტა ხელიდგან და მიდის პირდაპირ მტერზე... ღმერთო ჩემო, ვგონებ ირაკლია...

დედოფ. – ირაკლი?

ბადურ – ღმერთი მონყალეა, დედოფალო!..

მეფე – შეაჩერა ცხენი!.. ახლა ზედ მიაგდო... ეს რა ამბავია, ასე უეცრად ჩამოვარდა?!

დედოფალი – ირაკლი?!

მეფე – მტერი, დედოფალო, მტერი!..

დედოფალი – დიდ ხარ შენ, უფალო! (გულს ეყრება. ქალები აბრუნებენ).

მეფე – გაიქცენ ლეკები... დაფრთხენ... საფრისკენაც ვეღარ ბრუნდებიან... მოეტოვა ჩვენი ჯარი, ალაზნისკენ მიერეკებიან.

ბადურ – ღმერთო, შენი სასწაული!..

მეფე – ახლა სხვაგანაც ყოველი კუთხით შეუტიეს ჩვენმა ჯარმა... ხელჩართული ომია... ნელ-ნელა უკან-უკან იწევენ მტრები. გატყდა მარჯვენა მხარე... მარცხენაც დაიძრა... ოჰ, ღმერთო შენს მადლს, მტერი გაქცევას აპირებს... გაიქცა. მოედვენ ქართველები. აი, ცხენოსანი ჯარიც გამოუდგა... ღმერთო, ნუ, ნუ მოგვაკლებ შენ სასწაულს.

დედოფ. – ღმერთო, გადმოგვხედე წყალობის თვალთ (სიჩუმე).

გამოსვლა 2-რე

ისინივე და შიკრიკი (შემოიბიან)

შიკრიკი – ღმერთმა გამარჯვება ნუ მოგიშალოსთ. მტერი მარცხდება... გატყდა მტერი და უკან-უკან იხევა... ალისკანტის სიკვდილი და მტრის გულის გატყვება ერთი იყო...

ბადურ – ალისკანტის?

შიკრიკი – თუ ლეკებს არა, გამარჯვება აქამდინაც დავგრჩებოდა;

მათ საფრიდგან გამორეკვას ბევრი ხანი მოუნდათ!.. ბევრი კარგი ვაჟკაცი გაგვიფუჭეს...

მეფე – ის ვინ იყო, დავლურში გამოსული?

შიკრიკი – ალისკანტი. ბევრი დაგვიხოცა... მაყაშვილი მოგვიკლა და ლევან ქვაბულაძე სასიკვდილოთ დასჭრა ლალატით.

ელენე – უი, ჩემ სიცოცხლეს!.. (გულს ეყრება).

დედოფალი – არა უშავს რა, მხოლოდ დაჭრილია!..

მეფე – ლალატით!

შიკრიკი – დიახ, ბატონო მეფე: უთხრა, ნულარ მომკლავ, დაგნებდებიო და, როდესაც ლევანმა ხელი შეაჩერა, მაშინ ისარგებლა იმ შერცხვენილმა, მაგრამ სისხლი ამოიგო ბატონიშვილმა ირაკლიმ...

დედოფალი – ირაკლიმ? საპირდაპიროთ გავიდა?..

შიკრიკი – ბევრი უშალეს... გივმა მკვახე სიტყვებიც ჰკადრა, მაგრამ თავგამომეტებული მივარდა ლევანის დასახმარებლად... და მისვლის უშალვე შუა გაჰყვეთა მოპირდაპირე.

მეფე – ალისკანტი? საარაკოა! ეგები, ბატონიშვილათ იცნო და არ გაიმეტა! ან ყმანვილობა რომ შენიშნა, არად ჩააგდო?

შიკრიკი – რა ბრძანებაა?.. ისიც კინალამ ლალატით დაამარცხა: ვაჟკაცურ წესს გადუდგა და მისვლაც აღარ აცალა ბატონიშვილს, რომ თოფი ახალა გულზე.

დედოფ. – დაიჭრა?

შიკრიკი – არა, დედოფალო!.. ტყვია ძელჭეშმარიტს მოხვდა, გულზე რომ ეკიდა და მხოლოდ ვერცხლი ჩასჭყლიტა.

მეფე – გმადლობ შენ, უფალო!..

ბაადურ – ღმერთო, ნუ მოგვაკლებ შენ სასწაულს!

დედოფ. – ახლა კი ვხედავ, რომ ღმერთს არ სდომებია ჩვენი გამეტება...

მეფე – კარგი მახარობელი ხარ და სამახარობლოც გერგება... მტერი სიმაგრებიდან გამორეკვს?

შიკრიკი – გამოდევნეს, გაიქციეს, დააყოლეს ალაზნის პირს და ჩვენი ჯარიც უკან მისდევს... მოსვენებას არ აძლევს.

გამოსვლა 3-მე

ისინივე და კიდევ შიკრიკი (შემოვარდება)

შიკრიკი – დავილუპეთ, ბატონო მეფევე, დავილუპეთ!

ყველა – (შეშინებული) რა ამბავია? როგორ თუ დავილუპეთ?..

შიკრიკი – დაგვამარცხეს... განსაცდელში ჩავარდა ჩვენი ჯარი...

ბაადურ – რას ამბობ? ჭკუაზე ხომ არ შეშლილხარ? მტერი აკი დაამარცხეს, გააქციეს ჩვენებმა.

შიკრიკი – მართალია, მაგრამ იქ, მოულოდნელად, ქალაქიდან მოსული

სერასქარი დაგვიხვდა აუარებლის ჯარით, უცბათ შემოჰკრა ჩვენი ჯარი, გარს გველემშაპივით შემოგვეხვია და ჩვენი გამარჯვება დამარცხებით შეგვიცვალა.

მეფე – ვაი, ჩემს მოსწრებას!..

შიკრიკი – უპირველესი მეომრები გაგვიწყვიტეს, გივი მოგვიკლეს და ბატონიშვილი მცირე რაზმით საფარში შევიდა, გამოსასვლელი გზა აღრსად არის... მე, როგორც იქნა, გამოვიპარე შეუნიშვნელად. ბატონიშვილმა მოგახსენათ: ჩვენ იაფად ვერ მივსცემთ ჩვენ თავსო... ვაგლახათ დავანებებთ და თქვენ გთხოვათ, რომ თავს უშველოთ, ნაბძანდეთ!..

მეფე – ეს რა მესმის? ვაი, ჩემს მოსწრებას!

დედოფ. – ვაი, უბედური თამარის გამწარებას!

ქალები – ვაი, ჩვენ სიცოცხლეს!

ბაადურ – დაგვამარცხეს, გივი მოგვიკლეს, ჩვენი ჯარი შემოჰკრეს. ბატონიშვილი განსაცდელშია და შენ აქ რალას უზიხარ, ბაადურ? წამილეთ... წამილეთ, მიმიტანეთ იქ... რომ უკანასკნელად კიდევ გავიქნო ჩემი ხმალი და მეც ჩვენების ბედი გავიზიარო!.. (მიაქვთ).

მეფე – შენ კი ვილასთვის უნდა დარჩე, მეფე თეიმურაზ, ჩემი ვალია, მეც იქ განსაცდელის ადგილს მივიდე.

დედოფალი – (სასონარკვეთილებით ლეჩაქს მოიგლეჯს) წავიდე, მეფევე.

ელენე – ნულა დავაცდით მტრის აქ მოსვლას! ჩვენ მივეგებოთ, თუ იარაღით ვერა, შეჩვენებით მაინც.

ქალები – (ლეჩაქს იგლეჯენ) წავიდე, წავიდე (ჩამოდიან მდაბლობზე).

გამოსვლა 4-ხე

ისინივე და ირაკლი (შემოიჭრება მხიარულად)

ყველანი – ამას რას ვხედავთ?

ირაკლი – რა ამბავია? რას შეუშინებხართ? მომილოცავს, ბატონო მეფე, გამარჯვება!

ყველანი – გამარჯვება?!

ირაკლი – დიახ, ღმერთმა მოგვანიჭა ძღვევა საარაკო და გასაოცარი, მამილოცავს!..

მეფე – რას ამბობ, შვილო?

ირაკლი – სრულიად დამარცხებულია მტერი, გაიფანტა, ულონო შეიქნა.

მეფე – მაშ, ეს შიკრიკი!..

ირაკლი – მე გამოვგზავნე, მაშინ სწორედ განსაცდელში ვიყავით და იმედიც აღარ გვქონდა. ვემზადებოდით ვაჟკაცურად სასიკვდილოთ. უეცრად რალაც გუგუნი მოგვესმა, გულმა იგრძნო. გავხედეთ და რა ვნახეთ, კალიასავით მოდებული მოგვეზღვა და მოგვეკრა გლეხკაცობა... ჩამოერიენ მტრის ჯარში ხელკეტებით, თოხებით, ნამგლებით, ცულებით და

სხვა. დედაკაცებს ლეჩაქები გამოებათ ჯოხებზე, გაეკეთებინათ დროშები და მიუძღოდნენ ქმრებს. კალთით ქვებიც კი თან მოჰქონდათ... ამ სანახაობამ შიშის ზარი დასცა სერასქირს. აბრუნა პირი; მაშინ ჩვენ გამხნევებულები მივცვივდით და სრულიად დავამარცხეთ. მოდიდებული ალაზანი მტრებით აივსო: გზარეულები თავისთავად შიგ ვარდებოდნენ!.. დამფრთხალ, გაქცეულებს ცხენოსნის ჯარით რევაზ გამოუყენე და მე კი აქ მოვეშურე მახარობლად. ღმერთმა ნუ მოგიშალოსთ გამარჯვება!..

მეფე – (გადაეხვევა) შვილო, ღმერთმა ნუ მოგიშალოსთ გამარჯვება და კიდევ უფრო ასახელოს შენი გმირობა (ჰკოცნის).

დედოფ. – მოდი, შვილო, ჩამეკარ შენ გამზდელს ძუძუებში. (ჰკოცნის) დღეს შენით ხელახლათ იბადება დედაშენი.

ბაადურ – განა მარტო დედა!.. მთელი ჩვენი საქრისტიანო! ღმერთმა ნუ მოგაკლოს ძლევა მოსილება და ამიერიდგან სულ მაგრე გამარჯვებით გატაროს, ჩემო ძლიერო ბატონიშვილო... (სიხარულია).

ყველანი – ამინ!..

ირაკლი – მხოლოდ ეს მანუხებს, რომ ჩემს სიხარულს ფრთები შეაკვეცა გივის დაკარგვამ... უკანასკნელ დრომდი იბრძოლა და ბოლოს ისე დალია სული, როგორც ეკადრებოდა გმირს. სასიკვდილოთ დაჭრილმა, შუა გახვრეტილმა, ცალ გვერდში ხელსახოცი დაიცვა, მეორეში ბალახი და სანამ ბრძოლა არ გათავდა, ხმალი ხელიდგან არ გაუგდია. ბოლოს კი, როცა მტერი დამარცხებული და გაქცეული დაინახა, გაიხსნა ჭრილობა და ორივე მხრიდგან დაგუბებულმა სისხლმა შადრევანივით გადმოასხა; დასუსტდა სასიკვდილოთ დაკოდილი და ღიმილით განუტევა სული. მისი უკანასკნელი სიტყვა ეს იყო: გმადლობ შენ, უფალო, რომ ამ დღეს კიდევ მომასწარიო!.. (ცრემლებს იწმენდს).

მეფე – ღმერთმა საუკუნო ნათელი დაუყენოს. მისი ერთგულება სამაგალითოა და მისი ღვაწლი უთვალავი.

ბაადურ – ნათელი მის სულს!.. მადლიანი იყო და მადლიანათ განუტევა ეს სოფელი... ნეტავი, მეც მღირსებოდა მისი ბედი და საპყარად კი არ დავარდნილიყავ... მაგრამ... ეჰ... ყოველივე ღვთის ნებაა, იმან უკეთ იცის!.. (ცრემლებს იწმენდს).

ირაკლი – ჩემი მარჯვენა მხარე, ახალგაზდა გმირი... ჩემი ლევან ქვაბულაძეც მიძიმეთ დამიჭრეს. მე ვუბძანე, რომ აქ მოიტანონ, რომ უკეთ უპატრონოთ... აი, ისიც აგერ მოჰყავთ (შემოაქვთ). ცოცხალია?

მომტან. – შუაგზაზე დალია სული! წაიღო თქვენი ჭირი!

ელენე – (იკივლებს) უი! უბედურ ელენეს მოსწრებას!.. ლევან, ლევან!..

ქალები – (შემოეხვევიან) სსუ... თავი შეიკავე... აქ ადგილი არ არის (ელენე ჩაიკეცება და ჩუმად ტირის).

მსახური – ბატონო! ის უცხო ყმანვილი მკვდრებში დაჭრილი ვნახეთ; გვთხოვა, რომ მეც ლევანთან წამიღეთო, ნუ მამაშორებთო და თუ გვიბძანებ შემოვიყვანთ... იხვენება.

მეფე – ვინ უცხოა?

ირაკლი – საკვირველია, მართლა! ერთი ვილაც უცხო, ყველას უცნობი ყმანვილი, თითქმის ჯერ კიდევ ბავშვი, გამოერია ჩვენ ჯარში და საარაკო საქმეები ჩაიდინა: ლევანს არ შორდებოდა, მხარში უდგა... და როდესაც ლევან ჩამოაგდეს ცხენიდან, იმან იარაღი ხელიდან გააგდო.

მეფე – საკვირველია!.. შემოიყვანეთ (შემოაქვს).

დაჭრილი – ლევან? ჩემი ლევან... მიჩვენეთ... სად არის, მიმიყვანეთ... ეს არის... ეს. ჩემო ლევან... შე უპირო... შენ მოლალატევე. აგრე უნდა?... მიმტყუნე განა?... შენ გაემგზავრე და მე კი აქ მარტოდ მაგდებდი... ეგ იყო შენი ალტქმა? შენი ფიცი? არა, არ გაგატეხიე ფიცი, არ ჩაგაგდე ცოდვაში... შენ რომ მოგკლა, მეც იმ იარაღმა დამჭრა სასიკვდილოთ... და აღარ მოგშორდები... აი, შენი ნიშანიც: ჩემი ავგაროზი წაიღე, წაიღე (გულს იხსნის, ავგაროზს იგულჯს და გულზე ადებს). მშვიდობით... არ გაგეყ... რები... (კვდება).

მსახური – საკვირველებავ!.. ქალი ყოფილა!..

ყველა – ქალი!.. ვინ უნდა იყოს?

გამოსვლა მე-5

ისინივე და გელა (შემოდის)

გელა – მე ვიცი ვინც არის!.. სად არის მეფე? მიმბარუნეთ, ბატონო მეფე, ღმერთმა გამარჯვება ნუ მოგიშალოს და ადიდოს შენი მეფობა!.. მიმბარუნეთ დედოფლისკენ!.. ბატონო დედოფალო! უფალმა გიკურთხოს ი ძუძუები, რომლებითაც ირაკლი გამოგიზღია და შენც, ჩემო ბატონიშვილო ირაკლი!.. სად არის?

ირაკლი – გელავ!..

გელა – ძლევა მოსილი გყოს ყოველთვის, ბატონიშვილო! შევასრულე თქვენი ბრძანება. აი, გაიხელ სასახლეში და ჩემი ქალიც... ის ჩემი ქალია... უკანასკნელი გმირი ხმალაძიანთ საგვარეულოში მომიყვანია... აბა, სად ხარ, შვილო! მიმიყვანეთ. (მიჰყავთ) მაჩვენე, აბა, ჭრილობა!.. ვაი, რომ ვერა ვხედავ. (ხელებს უფათურებს დაჩოქილი) შენი ლევანიც აქ არის? შენი მწყემსი? ერთად ხართ?... აღარ გახსოვს, რომ მაგის გულისთვის უსწორმასწოროთ მატარებდი... ახლა კი სწორი გზა აგირჩევიათ ორივეს... წადი, შვილო, მიდი იქ... უმახარობლე ჩვენებს... შეატყობინე შენ ძმებს, რომ ქართველებმა გაიმარჯვეს-თქო: უთხარ დედაშენს, ირაკლიმ ძლევა შეიმოსა-თქო, უმახარობლე და მეც მალე მოვალ, დავამონებ შენ მახარობლობას (ჩაეკონება. ყველანი ჩუმად ტირიან).

დედოფ. – დაილოცა, ღმერთო, შენი სამართალი და განგება, რომ უმსხვერპლოდ ძლევას არავის მიანიჭებ... საბრალო ქალი და უბედური მოხუცი.

ირაკლი – დრო არ არის, რომ უზომო მწუხარებას და გლოვას თავი მივცეთ... დიდებულო მეფე! მიიღეთ მოვალეობა, რომ მკვდრებს უპატრონო

და დაჭრილებს მოუარონ... თქვენც, ჩემო ძვირფასო დედოფალო და უტრფიალესო დედაც!.. გებრალეობდეს ქვრივ-ობლები... მეც ვალდებული ვარ ისევე ჯარს მიუბრუნდე, მივხედო და უკანასკნელი განკარგულებაც მოვახდინო და ჯერ კი ყველამ ერთად უნდა სამადლობლო პარაკლისი შევსწიროთ ძღვევის მომნიჭებელს.

მეფე – აგრე ვქნათ, შვილო!

დედოფალი – ყოველი საქმე ღვთით უნდა დაგვირგვინდეს, შვილო! აი, (ზარების რეკვა მოისმის გარედგან) ნიკოლოზ ალავერდელმა კიდეც ჩამორეკა ზარებს! (ყველანი ყურს უგდებენ, რეკვა ისმის.)

მეფე – (მუხლს იყრის) აღსდევინ ღმერთი და განიბნენ ყოველნი მტერნი მათნი! (იჩოქებს მაღლა ხელეზაპურობილი).

ყველანი – (იჩოქებენ. ფარდა ნელ-ნელა ეშვება).

დასასრული

B-ში I მოქმედების მე-3 გამოსვლაში (385. 12) ტექსტში არის სიტყვა „შემიყვარებდა“, რაც შინაარსობლივად შეცდომაა და ის ი. გრიშაშვილს ჩაუსწორებია – „შემიყვარებოდა“ (ა. წერეთლის თხზ. სრ. კრ., VI ტომი, 1956, გვ. 339). ჩვენ გავიზიარეთ ეს შესწორება.

BC-ში მე-3 მოქმედების მე-3 გამოსვლაში (397. 9) ბაადურის მიერ წარმოთქმულ ტექსტში არის გადამწერის მიერ დაშვებული მექანიკური შეცდომა: სიტყვა „ამის“ მაგივრად უნდა იყოს „არის“ („ეგეც არის ... ეს ცხრა წელიწადია, კაცი კი აღარა ვარ“) ჩვენ ეს ხარვეზი გავასწორეთ ორივე ვარიანტში.

BC-ში V მოქმედების მე-4 გამოსვლის შემდეგ მოდის მე-6 გამოსვლა (413. 16). შინაარსობლივად ბოლო გამოსვლა წინას ლოგიკური გაგრძელებაა. აღნიშნული ადგილი უნებლიე შეცდომად მივიჩნიეთ და ნუმერაციით მე-6 მე-5 გამოსვლად გადავაკეთეთ.

375. 14 1-ლი] პირველი C.

380. 3 მოხუცი] მოხ. C; 9,15,20,28,32 მოხ.] მოხუცი C; 4 ჩრდილოც] ჩრდილიც C; 6 დამადევი] დამადე C; 10 მეტათ] მეტად C; 11 რამდენათაც] რამდენადაც C; 30 მიახწევთო] მიაღწევთო C; 34 ფეხშველა] ფეხშიშველი C; 34 წამობძანდა] წამობრძანდა C; 35 მობძანდა] მობრძანდა C.

381. 3 მიუტანია] მიუტანიათ C; დაუყრია] დაუყრიათ C; 4 ტკეპნიდა] სტკეპნიდა C; 5,9,24,26,28 მოხ.] მოხუცი C; 9 დღესასწაულობას] დღესასწაულს C; 10 როგორც] როგორიც C; 14 დილაადრიან] დილაადრინათ C; 18 რეკა] რეკვა C; 20 ღმერთთან] ღმერთმანი, B-ში იყო „ღმერთმან“, გადასწორებულია; 25 ახლოს] ახლო C; 34 არი] არის C.

382. 1 3-მე] მე-3-მე C; 8 მელოდი] მოელოდი C; 10 დაგიგვიანდათ] დაიგვიანეთ C; 12 სხვიმანდელზე] სვა განდელზე C; 21 თვითონ] თითონ C; 34 წმიდაზე] წმიდაზედ C.

383. 11 ყბათ] ყბად C; 18 ქმრობაზე] ქმრობაზე C; 29,30 გული კი მთლათ] მოგენლო. მჯერა შენი სიტყვები – C; 35 სიფთხილით] სიფრთხილით C.

384. 8 ჩასცქერის] ჩასცქერია C; 9 კისერისკენ] კისერისაკენ C; 12 მწყემ.] მწყემს. C; 18 აქა] აქ C; 31 მოხუცი] მოხუც. C.

385. 3 მწყემსს] მწყემს C; 12 შემიყვარდებოდა] შემიყვარებდა CB*; 22 ბარშიც] ბარშიაც C; 28 მოვეკალით] მოვეკალი C; 32 ერთად] ერთათ C; 33 გაუწინჯა] გაუსინჯა C; 36 უბედურება] უბედურობა C.

386. 1 საიდუმლოდ] საიდუმლოთ C; 2 აღარა] აღარ C; 8 ეჭირვება] ეჭირება C; 14 საყდარზე] საყდრებზე C; 21 ხმალაძიანთ] ხმალაძიან C.

387. 14 ტყიდან] ტყიდგან C; 18 უგუნურათ] უგუნურად C; 23 მიაფრენს] მიაფრენ C; 29 ლერწმიდანაც] ლერწმიდამაც C.

388. 5 იგივე] ისვე C; 6 სადა] სად C; 16 აიწონება] აწერება C; 38 მზათ] მზად C.

389. 4 ქვეყანას] ქვეყნის C; ნუგეშათ] ნუგეშად C; 11 სუსტად] სუსტათ C; 22 გულგრილად] გულგრილათ C; ტყუილათ] ტყუილად C; 22 მეჯლისებით] მეჯლისობით C; 32 არა] ასე C; 38 გადაძახე] გადასძახე C.

390. 7 იგივე] ისვე C; 19 ურჯულოები] ურჯულონი C; 27 უბრუნებთ] უბრუნებთ C.

391. 5 ბძანება] ბრძანება C; 12 სწირვენ] სწირავენ C; 22 იგივე] ისვე C.

392. 8 გელირსოსთ] გელირსოთ C; 18 მართალია! დიახ ~ C.

393. 3 საუბედუროდ] საუბედუროთ C; დრო] დღე C; 4 დღეს] დღესა C; 25 მე-2-ე] მეორე C.

394. 20 მუშები + იმღერიან C.

395. 8 ქვეითათ] ქვეითი C; 24 შესაფერად] შესაფერათ C; 29 მწყემსი + აქ C; 33 პირს] პირას C.

396. 11 საქვეყნოაო] საქვეყნოავო C; 13 ერთ] ერთი C; მორთულ] მორთული C; 14 შორიდან] შორიდგან C; მწყემსს] მწყემს C; 22 გადანყვეტ] გადინყვეტ C; 23 მატყუებს] მომატყუებს C; 25 ქობულიძეები] ქვაბულიძეები C; 26 ერთათ] ერთად C; 27 რამასაშვილი] რამაზაშვილი C; 35 საუკადრისოთ] საუკადრისოდ C; შეგირთოო] შეგირთოვო C; 37 მანგრე] მაგრე C.

397. 6 მაგდენათ] მაგდენად C; 10 ქვეყანას] ქვეყნისთვის C; 27 გხედავ] ვხედავ C; 34 ბაად.] ბაადურ C.

398. 7 რად ჩამოსულხართ] სად წამოსულხართ C; 12 მოყვრულის] მოყვრლის B; დაა] და C; 15 არაფერი] არაფერია C; 19 აბა – C; 22 საბოლოოვთ] საბოლოოთ C.

399. 6 ბაად.] ბაადურ. C; 24 შეამჩნევიწო] შეაჩნევიწო C; 26 მობრუნებული –C; 34 მარამ] მაგრამ C; ცუდათ] ცუდად C.

400. 2 აგვიტქვამს] ალგვიტქვამს C; 16 სათხოვარი] სათხოვარ C; 30 მოვიდენ] მოვიდნენ C.

401. 6 ერთად] ერთათ C; 7 ბარად] ბარათ C; 10 ახალგაზდები] ახალგაზდ. C; 14 მოხ.] მოხუცი C; 20 ზოგიერთები] ზოგიერთ. C; უყურებთ] უყურებ C; 27 მარამ] მაგრამ C.

402. 29 მესამე] 3-მე C.

403. 15 დაბრძანდით] დაბძანდით C; 22 წინდაუხედავათ] წინდაუხედავად C; 24 რამდენათაც] რამდენადაც C.

404. 4 ბაად.] ბაადურ C; ზნედა] ზნეთა C; 5 თავხედობა] თავხედობა C; 7 გავსწყდებით] გავწყდებით C; 9 სახელოვნად] სახელოვნათ C; 10 თვისი] თავისი C; 25 მოიდნო] მიიდნოს C; 27 დარია] და რა C; 28 რო] რომ C; 33 პირველათ] პირველად C; თითქმის] თვითქმის C.

405. 6 ხელმწიფეო] ხელმწიფევე C; 9 საპირდაპიროთ] საპირდაპიროდ C; 10 დროის] დროს B; 16 რალას] რალასა C; 21 ყინიანობა] ყინიანობით C; 25 წინდახედულება] წინდახედულობა C; 28 ერთად მასთან ~ C; 31 დედოფ.] დედოფალი C.

406. 4 მომიდნო] მიმიდნო C; ჩემებურათ] ჩემებურად C; 12 შევიტყვე] შევიტყვე C; 13 ხუთად] ხუთათ C; 23 ჩასაფრებულა] ჩასაფრებულია C; 37 მიუმატე] მიუმატი C.

407. 18,35 დედოფალი] დედოფ. C; 27 თქვენი] თქვენის C; 30 წაბრძანდით] წაბძანდით C; 39 ერთპირად] ერთპირათ C; 40 გადავსწყვიტეთ] გადავწყვიტეთ C.

408. 3 ბაადურმა – C; 4,16 დედოფალი] დედოფ. C; 13 რამდენიმე] რამდენი C; 17 ლეკის] ლეკების C; 24 შენ] შენს C; 29 დაატოებინა] დაატოვებინა C; 34 თითქოს] თვითქოს C.

409. 16 დედოფ.] დედოფალი C; 36 გატეხვა] გატეხა C.

410. 7,12 დედოფალი] დედოფ. C; 12 საპირდაპიროთ] საპირდაპიროდ C; 28 სიმაგრებიდან] სიმაგრიდგან C; 29 გაიქციეს] გაიქცის C; 32 კიდევი შიკრიკი ~ C; 38 ქალაქიდან] ქალაქიდგან C.

411. 8 მივსცემთ] მივცემ C; ვაგლახათ] ვაგლახად C; 16 მიაქვთ] მიაქვსთ C; 19 მოიგლეჯს] მიაგდებს C; 22 მდაბლობზე] დაბლობზე C; 25 ვხედავთ] ვხედავ C; 30 მამილოცავს] მომილოცავს C; 34 სწორედ] სწორეთ C.

412. 3 სერასქირს] სერასქარს C; აბრუნა] იბრუნა C; 10 ხელახლათ] ხელახლად C; 26 დაუყენოს] დააყენოს C; 34 შემოაქვთ] შემოაქვსთ C.

413. 5 ხელიდან] ხელიდგან C; 6 შემოაქვსთ] შემოაქვთ C; 8 ეს] ეა C; 29 ერთად] ერთათ C; უსწორმასწოროთ] უსწორ-მასწორათ C; 33 მახარობლობას] მახარობლებას C; 34 ჩუმად] ჩუმათ C; 39 მოვალეება] მოვალეობა C.

414. 2 გებრალეობდეს] გებრალეობდესთ C; 4 ერთად] ერთათ C; 6 დედოფალი] დედოფ. C; 9 რეკვა] რეკა C.

პოემა „პატარა კახის“ მეორე პროზაული რედაქცია „გელა“, რომელსაც გააჩნია ორი ვარიანტი – D და E. ამ წყაროების შედარებისას ძირითად ტექსტად ავიღეთ D (საცენზურო ეგზემპლარი), რომელსაც, როგორც უფრო გამართულ ტექსტს, შევუდარეთ E ვარიანტი. ქვემოთ ვებეჭადვთ რედაქციის D ვარიანტს;

გელა

ისტორიული ოთხმოქმედებიანი დრამა აკაკისა

მოქმედება პირველი

მოქმედი პირები:

გელა – ბრმა მოხუცი

ელისაბედი – მისი ქალი

ირაკლი ბატონიშვილი

გივი ჩოლოყაშვილი – ირაკლის გამზდელი

ლევან ქვაბულიძე – მწყემსი

რევაზ ბებურიშვილი

ბაადურ, კუტი

მეფე თეიმურაზ II

დედოფალი თამარ – მისი მეუღლე

ელენე – ლევანის და

თედორე რამაზაშვილი

მუშები, შიკრიკები, სახლის კაცები და ქალები

მოქმედება 1-ლი

სცენა 1-ლი

დიდი ტყე, წინ ვაკით; შორით უზარმაზარი მთები მოჩანან. ერთ პატარა კლდიან გორაზე მწყემსი ზის და სალამურს უკრავს.

გამოსვლა 1-ლი

მწყემსი – (ჩამოდის ვაკეზე და მარჯვნივ ტყისაკენ იყურება) დაიგვიანეს. ჯერ არსად სჩანან, მაგრამ, თუ სალამურის ხმა ოდნაოც არის ყურში ჩაენვეთა, მოხიბლულს აჩქარებით მოიზიდავს (დაფიქრდება. ნალვლიანი ღიმილით) ჰმ!.. ქვაბულიძე და მწყემსი!.. იქ, ბარში ჩემი ტოლები მტრის გუნდს ვეფხვივით ერევან და მე კი აქ ფეხმოტეხილ თხასავით ცხვრებში ვიმალები!.. იქ იმათ

მტრის ზიზლით ევსებათ გული და მე კი აქ შიგ სიყვარული შემეპარა... რა დროსია! (დაფიქრდება). ეს ყველა ჩემდა უნებურად მოხდა და გულთამხილავო! შენ ხედავ, რომ მე არა მაქვს ბრალი! (იხრება მარჯვნივ), კიდევ არსად არიან! ეგებ გაიარეს და მე ვერ შევნიშნე? (მობრუნდება მარცხნივ, სალამურს ამოიღებს, ხელის ხმით აღულუნებს და მიდის).

გამოსვლა 2-რე

ბრმა მოხუცი და ახალგაზრდა ქალი

მოხუცი – ძალიან დავიღალე! ცოტა შევისვენოთ სადმე!

ქალი – თქვენი ნებაა. ვაკეც აქ არის და ჩრდილიც, უკეთესს ადგილს სადღა ვნახავთ (აქეთ-იქით იყურება). აი, მე აგერ დავჯდები ხის ძირში და შენ კი წამოწე! მუხლზე თავი დამადევი და დაიძინე.

მოხუცი – არა, შვილო, მუხლები გეტკინება.

ქალი – მაშ ქვას მოვიტან, ან სხვა რასმეს.

მოხუცი – რა საჭიროა. ნათქვამია: „შიმშილს სანები არ უნდა და ძილს სასათუმალიო“ (ამთქნარებს). მეტათ დავიღალე. იმდენათ გძელი გზა არ იყო, რამდენადაც უსწორო-მასწორო, აღმართ-დაღმართებმა გამიჭირეს საქმე. მუხლების კანკალი მომდის!.. ეჰ! მომერია სიბერე!.. ეს ერთი ხანია, ყურებიც მიწივიან!.. თითქოს სადღაც სალამურს უკრავენო.

ქალი – (წითლდება) მაინც სალამურია ხოლმე.

მოხუცი – სალამური?! მერე და ვინ არის ის ღვთის მტერი, რომ ამისთანა დროში სალხინოდ გამოდის? იქ, ბარში, საქრისტიანო ეცემა, მტრისაგან ანიოკებული ქვრივ-ობლები მთებს შემოსტირიან და აქედამ კი მთიულები სალამურით უპასუხებენ?.. ვაი, ჩვენს მოსწრებას.

ქალი – მწყემსები არიან. ცხვრები გამოჰყავთ საძოვარზე.

მოხუცი – ცხვრები?! ჰმ... იქ გამხეცებული მტერი ბარის ქართველობას მუსრს ადენს და აქ მთიულები კი ცხვრებზედა ჰფიქრობენ?! დროც არის! ოხ, თეიმურაზ! თეიმურაზ! უდროვით და უსამართლოდ გაგიტყდა გული, რომ მართლა ცხვრებივით მიგიტოვებია ბარის ქართველობა და აქ, ფშაველებში, იმალები. ცუდ მაგალითს აძლევ ქვეყანას! მაგრამ მირონცხებული ხარ და ვინ რას მოგკითხავს.

ქალი – კარგი, მამავ, შენებურად ნუ მოჰყვები. ნუ აშფოთდები, თორემ კიდევ გაგიტყდება ძილი.

მოხუცი – ძილი? რაღა დროს ძილია, შვილო? ბარემ დროიანათ ადგილზე მივიდეთ. იმ მგზავრმა რა გითხრა? სად არის „ქოშის გორას“?

ქალი – შორს აღარ არისო!.. მზის გადახრამდი მიანწევთო. (სიჩუმეა). მამილო! რათ ეძახიან „ქოშის გორას“?

მოხუცი – ძველი ამბავია, შვილო: თამარ მეფემ ერთხელ თურმე ორმოცი დღე იმარხულა შუა მთაში, მერე გაიძრო ქოშები, აავსო იქაურ ნაკურთხ

მინით, თითონ ფეხშიშველა წაბრძანდა და მინით სავსე ქოშებიც თან წამოიღო; მობრძანდა იმ ადგილზე, სადაც ერთხელ ოდესმე თავგანწირულ ქართველებს სისხლი დაუთხევიათ, და იმ დამინებულ-გავერანებულ სასაფლაოზე დაჰყარა შუამთის წმინდა მინა (თითქოს რაღაცას იგონებს).

ქალი – მერე? მერე, მამა?

მოხუცი – მახლობელ ქალებსაც მიუბაძავთ. თითო ქოში მინა ყველას მიუტანია და იქვე დაუყრია. თან ჰყრიდნენ თურმე და თან დედოფალი ტკეპნიდა.

ქალი – არ დაიღალა?

მოხუცი – მადლიანი იყო. ბოლოს კარგა მოზდილი გორაკი გაკეთებულა და ზედ ეკლესია აუგიათ.

ქალი – მაშ მიტომ ეძახიან „ქოშის გორას“?

მოხუცი – სწორეთ. ხვალინდელ დღეს ყოველთვის დიდ დღესასწაულობას იხდიან ხოლმე, მაგრამ მისთანას კი მაინც ვერა, როგორც თამარის დროს ყოფილა.

ქალი – უკეთესი?

მოხუცი – რასაკვირველია! მაშინ მინდვრათ მოფენილი მლოცველი ხალხი, მთელი ღამე იმ გორას უვლიდა მუხლმოყრით. დილაადრიანათ დედოფალი ადგებოდა, შებრძანდებოდა იმ გორაზე და ფეხს დაადგამდა თუ არა, იალბუზი დრეკას იწყებდა, თავს იხრიადა. ხალხი დედოფალს შეჰყურებდა, მაგრამ ის კი თურმე ცას მიჩერებოდა, სანამ იქიდან ზარის რეკა არ მოესმოდა; და მაშინ კი ბრძანებდა, რომ ქვეყნათაც ჩამოერეკათ ზარები, შესდგომოდნენ ცისკარს. (ამოიხვრიო) აბა დროც ის ყოფილა, შვილო! მადლიანი დრო! ახლა... დიდია, დიდია ჩვენი ცოდვა ღმერთთან (სიჩუმეა, ამთქნარებს). მეძინება.

ქალი – დაიძინე! ბევრი გზა აღარა დაგვრჩენია რა. მაინც მოვასწრებთ მისვლას... მეც წავალ და მაყვალს მოვკრებ.

მოხუცი – აგრე ჰქენი. ბევრს კი ნუ სჭამ, დასუნთქული არ შეგბვდეს.

ქალი – აქ, სადმე ახლოს, ნყაროც იქნება და გავრეცხ.

მოხუცი – შორს ნუ წახვალ. ტყემ შეტყუება იცის, გზა არ დაგებნეს.

ქალი – აქვე ვიქნები, თვალს არ მოგამორებ.

მოხუცი – კარგი, შვილო (ამთქნარებს), ღმერთო, შენი ცოდვილი ვარ. შენ დაიფარე ყოველი ქრისტიანი განსაცდელისაგან და ააშორე მავნეს (მეძინება).

ქალი – (იხედება აქეთ-იქით) ჯერ არსად სჩანს. რა დავმართა? განა გული მოასვენებს, რომ არ მოვიდეს? მოვა! მოვა! მაგრამ რა გამოვიდა! მე კი სწორა ხმაც ვერ გამიცია და... მინდა, რომ სულ ერთად ვიყოთ, ვერიდები კი. გულში ბევრი რამა მაქვს სათქმელი და პირად ვერ მომიხერხებია რა (ათვალიერებს). არსად არი. წავიდე, ჯერ მართლა მაყვალი დავკრიბო. (მიადგება მაყვლოვანს და ჰკრებს. შორიდან სალამური მოისმის). ჩუ! ის არის! ღმერთო ჩემო! გული ამოვარდნას აპირებს... მუხლები ამიკანკალდნენ, მაგრამ, ვითომ არც კი ვხედავ (ჰკრეფს).

გამოსვლა 3-ე

იგინივე და მწყემსი (გამოდის მარცხნით)

მწყემსი – (მოუახლოვდება) საბედო!

ქალი – უიმე!..

მწყემსი – მე ვარ, გენაცვალე! რა დაგემართა! რათ შეშინდი, რა საშინლად აგიძგერდა გული.

ქალი – შემეშინდა (გულზე ხელებს იღებს) უცბათ...

მწყემსი – განა არ მელოდი?

ქალი – რაღაი კი დაიგვიანე, აღარ!

მწყემსი – მე კი არა, თქვენ დაგაგვიანდათ, დიდი ხანია გიცდით.

ქალი – შორი გზაა.

მწყემსი – როგორ? განა სხვა მინდელზე მოიმატა?

ქალი – (წყენით) მე, შენი გადამკიდე, მოხუცებულ მამას ვატყუებ, შენ კი დაცინვასაც მემართლები.

მწყემსი – ატყუებ?

ქალი – დიახ! ხან აღმა მომყავს და ხან დაღმა.

მწყემსი – ამ სწორე გზაზე?

ქალი – რასაკვირველია. ბრმა არის, მაგრამ გულისხმიერია, თუ ერთხელ კი გაუვლია, მეორეთ შეატყობს ისევ იმ გზას, და სულ ერთისა და იმავე გზით სიარულმა, ვაი, თუ ეჭვი ააღებინოს და შენც თითონ არ მიიჩიე, ჯერ დრომდე ნურას ეტყვიო?

მწყემსი – შენ კი გენაცვალოს ჩემი თავი, საბედო, რომ გონიერი ხარ და მოხერხებული! მაგგვარ მოტყუებას ღმერთიც არ იწყენს! სიყვარულს ბევრი ეპატივება.

ქალი – სიყვარულს?

მწყემსი – ჰო! განა ერთმანეთი არ გვიყვარს?

ქალი – რა ვიცით?

მწყემსი – როგორ არ ვიცი, რომ მიყვარხარი.

ქალი – ეგ შენ, და, მე რომ მიყვარხარ, რა იცი?

მწყემსი – შენ თვითონ ხომ იცი?

ქალი – მე?.. მე... მე... კი ვიცი!.. ეჰ, რა შენი საქმეა (სიჩუმეა).

მწყემსი – მამაშენი სად არის?

ქალი – აი, იქ დაიძინა.

მწყემსი – მაშ, ცოტა დავსხდეთ და ვილაპარაკოთ (ჯდებათ).

ქალი – მალე უნდა გავაღვიძო, თორემ შორი გზა გვაქვს.

მწყემსი – სად აპირებთ მისვლას?

ქალი – „ქოშის გორას“, ყოვლად წმინდაზე.

მწყემსი – ხატობაზე?

ქალი – თემი შეგროვდებაო და მამას ბუკიც აღარ დასჭირდება.

მწყემსი – მეც ამოვალ ღამის სათევრად.

ქალი – შენ რაღა გინდა?

მწყემსი – არ იცი განა? ჰმ! რატომ არას ამბობ? ენა ხომ არ ჩაგვარდნია.

ქალი – (აჩქარებით) ვიცი, მაგრამ არ მინდა, რომ ვიცოდე! (სასონარკვეთილებით) კაცო! ქრისტიანო! რას გადამკიდებისხარ ჭირივით? რათ ამდევნებხარ მავნესავით? რა გინდა ჩემგან.

მწყემსი – შენი სიყვარული!

ქალი – სიყვარული. გინდა დამღუპო და ქვეყანას ჩემი თავი ყბად ააღებინო?

მწყემსი – უწინამც დღე დამელიოს და შერცხვეს ჩემი გვარი. ჰმ... ჩემი... ჩემი წვერ-ულვაში და ჩემი ბიჭობა!

ქალი – გიყვარვარ!.. ვითომ? მოხუცებულებისაგან რომ გამიგონია, რომ კაცები სანდო არ არიანო?

მწყემსი – მართალია, მაგრამ მე ხომ აღთქმა დამიდევს და ფიციც მომიცია შენ ქმრობაზე... (სიჩუმეა). მე დედ-მამა აღარა მყავს, შენ?

ქალი – დედა აღარც მე.

მწყემსი – მაშ, რომ ფიცი გავტეხოთ, მათი ძვლები ხომ აქ, საფლავეში, შეირყვიან და სული იქ, მალა, შეძრწუნდება? მაშინ ქვეყანა დაგვწყველის და ზეცა შეგვაჩვენებს! მართალია, ჯერ ერთ დრომდე, ადრეც მითქვამს, ვერ გამოვაცხადებთ ჩვენის შეკავშირების სურვილს, მაგრამ გულით ხომ მაინც ერთმანეთისა ვიქნებით და, აი, ნიშნად ჩვენის გაუყრელობისა, ეს წაიღე! (ულვაშის ღერს იგლეჯს). შეინახე და, თუ ოდესმე გილალატო, ფუ უთხარ და დაგმე!

ქალი – (დიდი ხნის ფიქრის შემდეგ) არ ვიცი, ღმერთმანი, ეს უცნაური რა მემართება და ასე რამ შემკრა! დიდი ხანი არ არის, რაც გამიცენიხარ, ჯერ შენი ვინაობაც არ შემიტყვია გარკვევით და გული კი მთლად მოგენდო. მჯერა შენი სიტყვები და გემორჩილები. ვიცი, რომ შენ არ დაკარგავ დროს ჩვენის ბედნიერის დღისას და მანამდე... მანამდე ჩემგანაც მიიღე ნიშანი. მაგრამ რა უნდა მოგცე? რაც ჩემთვის უძვირფასესია? სიცოცხლე? მაგრამ ის რომ შენ გაგატანო, შენ სასიყვარულოდ, მე რაღა დამრჩება! (გამოიგლეჯს თმას). აჰა, წაიღე ეს, გამოსკვენ! შეჰკარი ისე მაგრად, როგორც ჩემი გულია შენი სიყვარულით შეკრული. შეინახე სიფრთხილით და, თუ ოდესმე გული ვიცვალო, ზიზღით ჩააგდე ცეცხლში, დასწვი, რომ ისე დაინვეს და დაიდაგოს ჩემი ყმანვილქალობაც.

მწყემსი – (აღტაცებით) ჩემო საბედო! ჩემო სულის ჩამდგმელო! (ხელს ჰკიდებს).

ქალი – (გამოუსხლტება) უი, დამიდგეს თვალები, რას ჩადიხარ მაგას?

მწყემსი – მინდა გაკოცო.

ქალი – მერე ცოდევა-მადლი! (თვალებზე ხელებს იფარებს) არა! არა! არ შეიძლება!.. მომშორდი!

მწყემსი – მოგშორდე? ჰმ, ...შენი ნებაა (გაჩერებულია).

ქალი – მშვიდობით... მშვი... ამაღამ იქ... იქ ამოდი. ახლა კი...

მწყემსი – (მიდის დაღონებული ნელ-ნელა). მშვიდობით.

ქალი – (გამოიკვევს) მიდის!.. მოიცა!.. მო... წადი!.. ოხ, ღმერთო ჩემო! (გაექანება გიჟივით და გულზე მიეკვრის).

მწყემსი – ჩემო სიცოცხლე! ჩემო ბედნიერება!.. (თავს აწევს და ჩასცქერის თვალებში).

ქალი – (მოეჭიდება კისრისკენ და ჰკოცნის, მერე უცბათ ჰკრავს ორივე ხელეხს) წადი!.. მომშორდი!.. ნუ მიყურებ!.. (გამოიქცევა წინ და დიდხანს თვალებს ხელმიფარებული ჰვლავს).

მწყემსი – (ცოტა ხანს აღტაცებით უყურებს) მშვიდობით (აჩქარებით გარბის, მთას რომ შეუდგება, ერთს კიდე მოიხედავს და გადადის).

ქალი – (მიხედავს) მიდის!.. მოიცა!.. წავიდა... გადადის... აღარა სჩანს! ღმერთო ჩემო! (ჩაჯდება, ხელეხს იფარებს პირზე და ცოტა ხანს შემდეგ ტირილი აუტყდება).

მოსუცი – (ნამოვარდება შემკრთალი) აჰ?.. ნუ გეშინიან! ნუ გეშინია! აქა ვარ, შვილო! აქ!..

ქალი – (მოიჭრება შეშინებული) არაფერია, მამა, არა!..

მოსუცი – ვინ შეგაშინა? ძალღი ხომ არ გამოგიდგა? გველმა ხო არ გიკბინა? რა იყო?

ქალი – არა, მამილო, არაფერი ყოფილა.

მოსუცი – არაფერი? მამ რა გატირებს, შვილო?

ქალი – არ ვიცი!.. მომენყინა... ჯავრმა წამიღო, თავი ვეღარ შევიმაგრე და ტირილი ამივარდა.

მოსუცი – მოგენყინა? ჰმ... არაფერია, შვილო! დამშვიდდი! გული მოიბრუნე, გენაცვალოს მამა... ჰმ, მოენყინა, რასაკვირველია... სულ მარტოობა, სულ მოხუცის მეთვალყურეობა, რა მოსალხენია!..

ქალი – არა, მამილო, მაგას რათ ამბობ? არა, ღმერთმანი, მე ისე, განა შენთან...

მოსუცი – ვიცი... ვიცი, შვილო! ვერ მომატყუებ: მე სისხლგამშრალი ვარ და შენ სიცოცხლე გიღუღს, შენი ცხოვრების კოკორი ახლა იშლება, მე კი მარტოლა სიბერის ეკლები დამრჩენიან... შენ ის გენატრება, რაც მე დიდი ხანია მომძულვებია... ერთ უღელში გაბმა უღმერთობა იქნება! შენ შენი ტოლი გეჭირვება.

ქალი – რას ამბობ, მამა?

მოსუცი – მართალს, შვილო!.. მართალს, მაგრამ ცოტა კიდე მოითმინე... დიდხანს აღარ შეგანუხებ... ჩემი დღეებიც დათვლილია.

ქალი – რას ამბობ, მამა?.. კიდეც ეგ არის, რომ მატირებს ხოლმე... ვხედავ, რომ უპატრონოდა ვართ. შენ მოვლა გეჭირვება და თვალ-ყურის მგდებელი კი არსად არის! მე, აბა, რა პატრონობა და მოვლა შემიძლია? აი, იმ დღესაც ის მადლიანი მწყემსი რომ არ გამოგვჩენოდა, ვინ მოგვიგერებდა ძალღებს? ხომ ორივე დაგლეჯილი ვიქნებოდით?

მოსუცი – აგრე იქნება, შვილო! ღმერთი უმიზეზოთ კაცს არ გასწირავს: ხან მწყემს გამოუგზავნის მფარველად და ხან დიდებულს.

ქალი – რა კარგი იქნებოდა, მამილო, რომ ერთი ვაჟკაცი შვილი გყოლოდა?

მოსუცი – ეჰ, განა არ მყავდა, მაგრამ უფალმა არ ინება.

ქალი – ან ახლა რომ ვინმე გეშვილებოდეს... შეგიყვარებდეს... მამინ...

მოსუცი – რაო, მამინ?..

ქალი – მამინ... ის, რომ... ჩემზედ უკეთ მოგივილიდა.

მოსუცი – სთქვი... სულ მითხარი, რაც გულში გაქვს, მამინ კიდეც?

ქალი – მამინ... მეც ის შემეყვარებოდა, როგორც ძმა.

მოსუცი – როგორც ძმა... ჰმ... ჰმ... მგონია, უკულმა ამბობ... თუ ჯერ შენ უნდა შეგიყვაროს ვინმემ, რომ მერე მეც ის შვილივით შემეყვარდეს.

ქალი – როგორ?

მოსუცი – დავჯდეთ, შვილო! (ჯდება) შენ ახლა პატარა აღარ ხარ! ალავერდობას თხუთმეტისა გახდები. იცი, შვილო, რას გეტყვი... შენ გელა ხომ გაგიგონია? იმაზე სამწყესურშიაც კი იმღერიან ხოლმე. ის გელა მე ვარ, ჩემი მეტი სახელია.

ქალი – განა არ ვიცი?

მოსუცი – მთაში გათქმული ბარშიაც საარაკო ვიყავი. უჩემოდ ომი არსად გადაწყვეტილა. მე მიუძღოდი წინ გლესკაცობას... მე ვიყავი მათი მეთაური. ბევრჯელ მიჯვრებია მტერზე გული. ერთხელ ალაზნის პირათ უეცრად დიდალი მტერი დაგვესხა... ჩვენ ჩვენებურად დავუხვდით და გამარჯვება დავიჩინეთ... მაგრამ მე კი იმ დღიდან მომწყდა წელი: სამი შვილი, სამი ვაჟკაცი, ერთ იმ დღეს მომიკლეს... უფრო სამართლიანი იქნებოდა, რომ მე მოვეკალით და ისინი კი დარჩენილიყვნენ, მაგრამ არ ინება უფალმა... არ დამანება ცოდვამ.

ქალი – ოხ, ის ურჯულოები!.. რომ არ გებრძოლათ, განა არ იქნებოდა?

მოსუცი – მტრები თავს გვესხმოდნენ და ჩვენც ვიგერიებდით. ისინი მოდიოდნენ ჩვენს ქვეყანაში, ჩვენ ხომ მათსაში არა!.. სამი ცხედარი ერთად წინ დაულაგეს დედაშენს. საბრალომ ვეღარ აიატანა უბედურება და თან გადაჰყვა. შენ მამინ ძუძუმწოვარა დარჩი (სიჩუმეა). ეჰ, ღვთის ნება... ყოველივე ღვთის ნება!.. (თვალებს იმშენდს). იმ დღიდან, უფრო გამხეცებული, მტრის სისხლით ველარა ვძლებოდი... საფრთხეს თავს არ ვარიდებდი, მივსდევდი სიკვდილს და ის კი ჩემგან გარბოდა. ყოველთვის თვალწინ შვილები მეღანდებოდა... ვტიროდი... ვტიროდი ხოლმე საიდუმლოდ და მომეტებულმა ცრემლმა თვალის ჩინი წამართვა. თუ შენც აღარ მყავდე, რა ვიქნებოდი, შვილო!.. მაგრამ თურმე სულ არ გასწირავს ღმერთი კაცს. ჩემთვისაც შენი თავი მოუცია მფარველ ანგელოზად, რომ ტვირთი შემისუბუქოს (სიჩუმეა).

ქალი – მამავ!.. წავიდე სადმე უდაბნოში! თავშესაფარს როგორ არსად მოგვეცემენ? ვიყოთ იქ მოსვენებით და ერთად ვილოცოთ ჩემი დედისა და ძმებისათვის!..

მოსუცი – ლოცვას დამშვიდებელი გული ეჭირვება, შვილო! საზოგადო აშფოთების დროს მარტო ლოცვას რა მადლი აქვს. არა, შვილო, ლოცვით იქ, ცაში, ჩვენმა მკვდრებმა ილოცონ ჩვენი ქვეყნისათვის და ჩვენ კი აქ, ქვეყნად, გავისარჯოთ.

ქალი – გავისარჯოთ? მერე და რა შეგვიძლია?

მოსუცი – რატომ არა, შვილო? აი, ახლაც, მე და შენ დავდივართ საყდრიდან საყდრამდე... ბუკს ვაყვირებ. ხალხს ვაგროვებ და ვექადაგები. ვცდილობ, რომ გამოვაფრთხილო, მათი წარსული მოვაგონო და მათ მაინც გულში მტრის სიძულვილი აღედრა და თავის დახსნის სურვილი. მაშინ მეც, შვილო, იმედიანათ ჩავიდოდი საფლავში.

ქალი – მაგას რას ამბობ? მერე მე, მამავ?

მოსუცი – შენ, შვილო, ღმერთი მოგხედავს, დედოფლის ნათლული ხარ. უპატრონოდ არ დაგაგდებენ. რომ გაიგებენ, სასახლეში მიგიყვანენ... მაგრამ, შვილო, ნუ დაივიწყებ, რომ ხმალაძიანთ საგვარეულოში მარტო შენლა დარჩენილხარ... ჩირქი რამ არ მოსცხო იმ სახელოვან გვარს. არ შეგაცდინონ. სიმდიდრე, დიდ კაცობა, გარეგნობა კაცს გადაიყოლებს. ყველა ფუჭად წამავალია! კაცი ის არის, ვინც ქვეყნის ერთგულია და სხვასაც არგია... სიყვარულიც იმას შეშენის.

ქალი – ვინ უნდა იყოს? მწყემსიც რომ იყოს?

მოსუცი – სულ ერთია?.. აბა, შვილო, ერთი მზეს შეხედე, ხომ არ გვაგვიანდება.

ქალი – შუბის ტარზეა დასული.

მოსუცი – აბა, ნულა დავიგვიანებთ. დროა, გზას გაუდგეთ (მიდიან).

გამოსვლა 4-თხე

(ტყილამ გამოდის ბატონიშვილი და ალტაცებით იხედება აქეთ-იქით)

ირაკლი – ძლივს მარტო დავრჩი!.. ოხ, რა კარგი ხარ, თავისუფლებავ!.. რათ მინდა ბატონიშვილობა? და რაღათ უნდა მიღირდეს უფლისწულობა, თუ ჩემ ნებაზე ფეხსაც ვერ გადავდგამ! მონა ძალდატანებით ჰკარგავს თავისუფლებას და ჩვენ კი ჩვენისავე ნებით, მხოლოდ ქვეყნის უგუნურად აყოლით იმავე ბადეში ვეხვევით. (სალამური მოისმის) ჩუ!.. აი, ბედნიერი არსება... მწყემსი... სდგას უპირბადაოთ უტყუარ ბუნების წინ და მოქმედობს მისდა გუნებისად (დაჯდება და ყურს უგდებს სალამურს). რა კარგია ეს სალამური?! რა ნაირად იტაცებს მოხიბლული გრძნობა-გონებას?! იტაცებს ადამიანს და მიაფრენს იმ უფსკრულისაკენ, სადაც რაღაც უცნაური სიტკბოება იმ-გვარსავე სიმწარესთან თითქოს შეერთებულაო (ყურს უგდებს). ანბობენ, ვითომც ლერწამი პირველად დედის ერთას საფლავზედ ამოსულიყოსო... წასულიყოს პირდაპირ მალლა... მალლა, რომ დედამინის უსამართლობის ამბავი ცამდე მიეტანოს, ზეცისადმი შეეჩივლოს, მაგრამ სასტიკ გრიგალს

ალარ დაენებებინოს, ამოეგდოს ძირიანად. მაშინ მოსულიყოს მწყემსი, ენახოს ნაქცეული, გამოეჭრას სალამური, ჩაებეროს და იმ ლერწამიდანაც უცნაური ხმა რამ გამოსულიყოს!.. აი, ეს ის ხმა არის: მწარ-ტკბილი და საოცნებო.

ხმა ტყილამ – ბატონიშვილო! უ-უ-უ!

ირაკლი – (თავისთვის) უჰ! ღვთის რისხვა!.. არიქა, არ დაიგვიანოთ, მოდით და დარბაისლურის ზდილობით მომინამლეთ ტკბილი ოცნება. (ხმამალლა) უუუ! აქა ვარ, აქ!..

გამოსვლა 5-თე

ისევ და გივი

გივი – ბატონიშვილო, სადა ბრძანდებით? გეძებთ, ვერ მოგვინახვიხართ... ტყეში მარტოობა... მოგეხსენებათ...

ირაკლი – მგელი შემჭამდა? ვისი ბრალია, რათ ჩამომრჩით?

გივი – მოხუცმა შემიყოლია.

ირაკლი – მოხუცმა! მართლა, ახირებული ვინმე ყოფილა. მეც შემხვდა ის ბერიკაცი; მოწყალება მივეც და დამამწყრალა.

გივი – რომ ცოდნებოდა, თუ ვისი ხელით ეძლეოდა ის მოწყალება, დღევანდელ დღეს დალოცავდა, მაგრამ ბრმა არის... ვერასა ჰხედავს.

ირაკლი – მოხუცი, ბრმა და ამპარტავანი?!

გივი – ის ერთ დროს სახელოვანი იყო, ბატონიშვილო! ქვეყნის სამსახური მიუძღვის და მისი ღვაწლი გლახაკთ მოწყალებით არ აინონება.

ირაკლი – ვინ არის?

გივი – გიორგი ხმალაძე, რომელსაც მეტ სახელად გელას ეძახდნენ.

ირაკლი – ეგ არის გელა?

გივი – დიახ, ბატონიშვილო! ათი წელინადია, რაც მაგისი აღარა გაგვიგონია რა. ყველას მკვდარი გვეგონა, მაგრამ ახლა, ეს ერთი ხანია, ისევ გამოჩნდა, რომ ქვეყანას სამსახური გაუწიოს.

ირაკლი – ბრმამ?

გივი – დიახ. მაგ ბრმას უნდა, რომ ქვეყანას თვალი აუხილოს... დადის საყდრებზე, აყვირებს ბუკს და თემი გამოჰყავს.

ირაკლი – რათ უნდა?

გივი – ესაყვედურება გულგრილობას და თანაც ურჩევს მთიელებს, რომ იმათ გაჭირვებულ ბარელებს ძმურად ხელი მიანვდინონ.

ირაკლი – ხალხი რას ეუბნება?

გივი – თანდათან ვარდება გულის ხმაში. აღელვებას ბევრი აღარა უკლია რა. მხოლოდ მეთაურია საჭირო.

ირაკლი – მეთაური? მერე? ბატონი მამაჩემი... დიდებული თეიმურაზი რას ბრძანებს?

გივი – გულამოვარდნილი, დასწეულეული ჰგლოვობს, ქვეყნის აოხრებასა და ღმერთს ავედრებს.

ირაკლი – ღმერთს ავედრებს... ლოცულობს... სულიერი მამები რაღას ჩადიან?

გივი – როგორც შემიტყვია, მზათ არიან, ბატონიშვილო, რომ აიჭუნონ და ბრძოლის ველზე გამოვიდნენ... და არა თუ სამღვდელთა... ზოგან და ზოგან ქალებიც კი მახვილს იღებენ.

ირაკლი – მერე? მერე!.. მამაჩემი?

გივი – კიდევ გაგიმორებ, ბატონიშვილო, რომ ჩვენის ქვეყნის ამოდენა უბედურებამ უდროოთ მოაუძღურა და გულგატეხილი ტირილ-გოდებას შედგომია. მხოლოდ თქვენდა დარჩენიხართ ქვეყანას ნუგეშად და ხალხის თვალი თქვენ შემოგყურებს.

ირაკლი – მე?

გივი – დიახ, და საჭიროა, რომ თავს გაუფრთხილდე! განა წელანდელი თქვენი ქცევა მოსაწონი იყო? დაკოდილ დათვზე ხმალდახმალ მისვლა ვის გაუგონია!

ირაკლი – (ღიმილით) მინდოდა ჩემი მკლავის ძალა გამომეცადა. თუმცა, სასიკვდილოთ კი დავსჭერი, მაგრამ მაინც სუსტად მომივიდა მოქნევა. უნდა გამეპო.

გივი – (სიხარულით) მაგრე რომ მტერს შემოჰკრათ, ბატონიშვილო, გინდ ბუმბერაზიც იყოს შუა გასწყდება.

ირაკლი – ღმერთმა ინებოს... მხოლოდ ის მანუხებს, რომ ჩემი ხმალი პირველად ნადირს მოჰხვდა და არა ჩვენი ქვეყნის მტერს.

გივი – მაგასაც მოესწრებით, ბატონიშვილო.

ირაკლი – როდისღა, ჩემო მოჭირნახულე გივო? ყველას ჯერ კიდევ პატარათ მივაჩნივართ. რა ვუყოთ, რომ ტანმორჩილი ვარ? დიდი ხანია, რაც მეთექვსმეტეში გადავდექი. აღარ შემიძლია, რომ ჩვენი ქვეყნის უბედურება გულგრილად ავიტანო! თქვენ სცდებით, რომ თვალს მიხვევთ... ტყუილადა სცდილობთ, ჩემი გრძნობა-გონება გაართოთ!.. მე ბავშვი აღარა ვარ!.. ჩემი სამშობლოს უბედურება საკუთარ უბედურებათ მიმაჩნია. (სიჩუმეა) ჩემო მოჭირნახულე, ჩემო გამზრდელი გივო! მიმეგზავნე მოციქულად მეფე— დედოფალთან! სთხოვე ჩემ მშობლებს, რომ ნება მომეცენ საასპარეზედ გამოსვლისა.

გივი – (აღტაცებაში მოსული) გმადლობ, ღმერთო, რომ ამ დღესაც მომასწარა!.. ჩემო გაზრდილო! ჩემო სულზე უტკებესო პატარა ბატონისშვილო ირაკლი! დიდი ხანია, მაგ სიტყვებს მოველოდი შენგან... მართალია, ჯერ წლოვანობით ბავშვი ხარ, მაგრამ გმირად ხარ გაჩენილი! მომეცი ნება, რომ მუხლმოყრით ხელები დაგიკოცნო (მუხლს იყრის).

ირაკლი – (აყენებს) არა! არა, ჩემო მამის მაგიერო! შენი განვრთნილი და შენი გაზდილი პირველად შენვე უნდა მაკურთხო და საასპარეზოდაც

დამილოცო გზა... და ახლა კი მამაშვილურად გადავეხვიოთ ერთმანეთს (ეხვევიან). აბა, ჩემო გამზდელი, დრო ძვირად გვიღირს... ნუ დაგვარგავთ!... რევაზ ჯერ კიდევ არსად სჩანს, ის, ვგონებ, ნადირს გადაჰყავა... ნადი, მომინახე და მომგვარე... მანდ სადღაც მწყემსი უნდა იყოს, სალამურს უკრავდა, და ისიც გამომიგზავნე!.. გადაძახე და არ უთხრა კი ჩვენი ვინაობა...

გივი – თქვენი ნება იყოს! გიახლები... რევაზიც, ვგონებ, შორს არსად წავიდოდა... ის თქვენ დაჭრილ დათვს გამოუდგა (მიდის).

ირაკლი – ქალები იარაღს ლესენ... სამღვდელთა ბრძოლის ველზე აპირობს გამოსვლას... ბრმა სცდილობს ქვეყანას თვალები აუხილოს?! არა, არა!.. ეს ჩემი სურვილი უდროვო არ არის... თავხედობათ არ უნდა ჩამეთვალოს, „სირცხვილს სიკვდილი სჯობია!“ ან გასწყდეს ბარემ ქვეყანა და ან ისევე ფეხზედ წამოდგეს!..

გამოსვლა 6-სე

ისევ და მწყემსი (ჩამოდის)

მწყემსი – (შეკრება) ბატონიშვილი ირაკლი!

ირაკლი – (თავისთვის) თითქოს მეცნობა!.. (ხმაშემა) გამარჯობა შენი!

მწყემსი – ღმერთმა გამარჯვება ნუ მოგიშალოს, ჩემო ბატონო!

ირაკლი – მწყემსი ხარ?

მწყემსი – გახლავარ, შენი კვნესამე.

ირაკლი – ცხვრები რომ დაჰყარე, ხომ არ გაგებნევიან?

მწყემსი – არა, შენი ჭირიმე, აქვე გადაღმა დავაფარებ.

ირაკლი – ნადირმა რომ მოგტაცოს?

მწყემსი – ვერა, ბატონო! ძაღლები სათეოზედ დავტოვე.

ირაკლი – მთიული ხარ? თუ ბარიდამ ამოგირეკია ფარა?

მწყემსი – მთიული. ბარელებს რაღა ცხვრები მოაგონდებათ, რომ თვითონ მათ ცხვრებსავით ერეკებიან უსჯულოები.

ირაკლი – მწყემსი არა ჰყავთ?

მწყემსი – ჰყავდათ და აღარა ჰყავთ... ღმერთმა დიდი დღე მისცეს ბატონ თეიმურაზს... მიატოვა ისინი იქ, დასტოვა უპატრონოდ და თვითონ კი ამ სიმაგრეში მისცა თავი (სიჩუმეა).

ირაკლი – მთიულები რას ანობენ?

მწყემსი – გულნატკენად არიან. მაგრამ ჯერ კიდევ იმედი უბრუნებს გულს.

ირაკლი – იმედი? რისა? ვისი?

მწყემსი – ბატონიშვილო ირაკლისა. ასე ანობენ: გივის გაზრდილი მტერს არ შეარჩენს და ერთხელაც იქნება, მათზე ჯავრს ამოგვყრევენებსო.

ირაკლი – შენ არსად გინახავს ირაკლი?

მწყემსი – აბა, სად შევხვდებოდი? ჯერ პატარაა, მაგრამ კარგს კი მოგახსენებენ.

ირაკლი – როგორ?

მწყემსი – ცხრა ნაბადზე თურმე ხტება, უზანგში ფეხს არ უყრის და იარალსაც უკეთ ვერვინ ხმარობსო! მისი გამზღელი გივი, თურმე, თავზე ვაშლს დაიდებს, ნიშანში ჩაუდგება და ისიც აუცდენლათ იმ ვაშლს ტყვიით აპობსო.

ირაკლი – ეგ ძნელი არ უნდა იყოს (იცინის).

მწყემსი – მხოლოდ მისთვის, ვისიც მარჯვენა ნაკურთხია და უფლის თვალის წყალობით დაჰყურებს.

ირაკლი – ეგებ ტყუილი ხმებია?

მწყემსი – რა ბრძანებაა!.. მაგრამ, მართალიც რომ არ იყოს, ხალხს ხომ სჯერა და მით გული უმთელდება.

ირაკლი – მაშ ირაკლიმ რომ დაიძახოს გაჰყვებიან?

მწყემსი – ერთპირად.

ირაკლი – შენ?

მწყემსი – მე რაღა გამაჩერებს?

ირაკლი – შენი ცხვრები?

მწყემსი – დალოცვილო, მგლებთაც დაუჭამიათ, სხვები ცოლ-შვილსა სწირავენ და მე პირუტყვი დამნანდება?!

ირაკლი – ყოჩაღ, ბიჭო! კარგათა სთქვი (სიჩუმე). ძმობილო! ერთი წყალი არსად იცი ამ ახლო-მანლოს? პირი მიშრება...

მწყემსი – ტყეში გახლავს, ცოტა მოშორებით. ძალიან კარგი წყაროა; თუ მიბძანებთ, მოგართმევთ. მაგრამ ჭურჭელი რომ არსად არის?

ირაკლი – აი, ეს მათარა წაიღე, აავსე და მომიტანე! (მიდის). საკვირველია ჭემმარიტად. მწყემსსაც კი რომ შესტკივა გული ქვეყნისათვის. არა! ჯერ კიდევ სულ არ დაცემულა ხალხი... მხოლოდ მეთაური ეჭირვება!..

გამოსვლა 7-დე

ისვე, გივი და რევაზ

ირაკლი – რევაზ! ამდენს ხანს რათ დაიგვიანე?

რევაზ – თქვენმა დაჭრილმა დათვმა გადამიყოლია. კვალდაკვალ მივსდივე და ბოლოს ისეთს ნაპრალში გადამივარდა, რომ ჩაყოლა ველარ გავბედე.

ირაკლი – დეე, ყორნებმა ისადილონ.

რევაზ – რომ აღარსად სჩანან?.. დიდი ხანია, რაც ყორნები ბარში გადაფრინდენ და იქ ქრისტიანებზე ნადიმობენ.

ირაკლი – რევაზ, რათა გაქვს ეგ მწარე ენა? ისე სიტყვას ვერ იტყვი, რომ უიმისოდაც დაწყლულებული გული არ მოშხამო. (მწყემსი მოახლოვდება).

რევაზ – რა ვქნა, ბატონიშვილო!.. გულს ნაღველი ჩაუგუბებია და ტკბილად ველარ ასველებს ენას, რომ... (დაინახავს მწყემსს. ორივე შეკრთებთან) აჰ!.. ამას ვისა ვხედავ!.. ან კი ველარ დამემალეები!.. გიცან, დედაბერო!.. (მიაშურებს ხმალოვანული).

მწყემსი – რევაზ ბებურიშვილო! ეგებ ამ კომბლისა გეშინიან და აჰა, გადამიგდია ესეც. მოდი იარალიანი უიარალოზედ!.. შენ ისე თამამად ხმლიანი ჩემზე ვერ მოჰბედავ, როგორც გულადად მე უსალმოდ დაგიხვდები.

რევაზ – (შეჩერდება, ჩააგდებს ხმალს) არა. მაგით შენ თავს ვერ შემაბრალე... მაშ, თანასწორის იარალით ვიბრძოლოთ! ამოიღე ხანჯალი, მეც მარტოკა ხანჯლით მოვდივარ. (იღებენ ხანჯლებს და ერთმანეთზე იწევენ)

ირაკლი – ეი!.. ვის წინ ჰბედავ მაგ კადნიერებას?! (შეკრთებთან ყველანი) შემომხედეთ! ისე წულარ მიყურებთ, როგორც ყმანვილ უფლისწულს! თქვენ წინ დგას ბატონიშვილი ირაკლი, რომლის ხელშიაც იქნება დღეიდან ქართლის ბედი და უბედობა... ვფიცავ დედიჩემის, თამარის მზესა, თუ ან ერთი ბიჯი წინ დაგიდგამთ ზიარებაც აღარ გელირსოთ!.. გივო! მითხარ: ეს რა ამბავია?

გივი – (თავისთვის) ღმერთო ძლიერო! ამას რასა ვხედავ? თვალსა და ხელშუა არ შემოგვეზარდა ეს ყმანვილი!

ირაკლი – გივო! პასუხი!

გივი – ჩემო ხელმწიფეო! ეგენი ერთმანეთის მოსისხრები არიან.

ირაკლი – მტრები? რევაზ ბებურიშვილი და მწყემსი?!

გივი – ეგ მწყემსი ქვაბულიძეა... ლეონ ქვაბულიძე!

რევაზ – ჩემი ძმის მკვლელია, სისხლი ჰმართებს.

ირაკლი – მართლა?

მწყემსი – დიახ. მაგის ძმის მკვლელი ვარ, მაგრამ სისხლი კი არა მმართებს.

რევაზ – სასახლიდამ დიაცურად გაჭრილი, მწყემსის ტანისამოსით უსირცხოდ იმალებოდა.

მწყემსი – უსირცხვილო ის არის, ვინც ამისთანა დროს დღე ნადირობას აყოლებს გულს და ღამლამობით არშიყობას უნდება... მე კი ყოველ ღამე ბარში ჩავდივარ და მტრებზე ვნადირობ.

რევაზ – თუ ულვაში გესხა, ჯერ მე უნდა გამსწორებოდი.

მწყემსი – უბრალოთ სისხლის დათხევა არა მსურდა და შენი კი არა მემართა რა!

რევაზ – როგორ?! შენგან მოკლული ნოდარ ძმა არ იყო ჩემი? მე ძმა არა ვარ იმისი? მოვალე ვარ სისხლი ავიღო!

მწყემსი – მაშ, შენც იცოდე, რომ საქართველო ჩემი სამშობლოა, მე მისი შვილი ვარ და ნოდარის სიკვდილით მეც სისხლი უნდა ამეღო.

ირაკლი – რაები მესმის!..

მწყემსი – დიახ, ჩემო ხელმწიფეო!.. გაჩნდა თუ არა მტერი ჩვენს ქვეყანაში, ნოდარ ბებურიშვილი მაშინვე იმათ მიეკედლა, აედევნა, წინ დაუძღვებოდა და მხარს აძლევდა. მისი მიბაძვით ლამის ქისიყი გაურჯულოვდეს...

რევაზ – სტყუი!.. ის გულით მტრისაკენ არ ყოფილა. მხოლოდ თვალს უხვევდა, მარჯვე დროს ეძებდა და ატყუებდა.

მწყემსი – ქვეყანა გარეგნობით იხიბლება.

რევაზ – ეგრეც რომ ყოფილიყო, შენ ვინ მოგცა გასამართლების უფლება?

მწყემსი – ჩემმა გრძნობამ! ქვეყნის ორგული ყველასაგან გასასამართლებელია!..

გივი – ყმაწვილებო, ნუ ცხარობთ! მომისმინეთ! არიან დრონი, როცა კაცი თავის თავს აღარ ეკუთვნის. მისი პირადი უფლება და გულის თქმა საზოგადო მსხვერპლად იქცევა. საუბედუროდ, ამგვარი დრო გვადგას დღეს ჩვენ! მაშინ, როდესაც ყოველი კუთხით შემოსეული მტერი ამ ჩვენს ქვეყანას მუსრს ადენს, რალა მოსაგონებელია კერძობა? ვისა აქვს ნება, რომ საპირადო გულისთქმას გადაჰყვეს? ნუ დაივინყებთ, რომ თქვენ დღეს ორივე თანასწორად საჭირო ხართ ქვეყნისათვის და ერთმანეთის განირვა ქვეყნის ღალატია!..

მწყემსი – თუ არ მაგ მიზეზს, მაშ, რა გადარევედა და არ გაიყვანდა საპირდაპიროდ ქვაბულიძეს?

ირაკლი – რევაზ ბებურიშვილო! მართალი არის, შენ დამკლის უფლობა გიღელვებს სისხლს და გიხურვებს გულს, მაგრამ ყური დაუგდე გივის სიტყვებსაც! ჩვენ არავინ ჩვენ თავს დღეს აღარ ვეკუთვინით!.. ყველას ერთგვარად მიგვიწოდებს საზოგადო ვალი! „ჯერ გარეშე ომი და მერე შინაური ბრძოლა!“ ეს უნდა იყოს ყოველ ახლანდელ ქართველის აღსარება! დაივინყეთ დრომდი ეგ თქვენი მტრობა, ძმურად მიეცით ერთმანეთს მხარი მხარს და გამოიყვეით მე! ან სიცოცხლე და ან ერთად სიკვდილი (მიდის, მიჰყვებიან).

გივი – (მარტო) ღმერთო, ყოვლად მონყალეო! გმადლობ, გმადლობ!.. რომ არ გამიცუდე საცადისი. გული გაუტყდა მეფე თეიმურაზს, მაგრამ ვერა გადრეკს რა ბატონიშვილ ირაკლის!.. ფრთები ჩამოჰყარა ძველმა არწივმა, მაგრამ დღეს გადმოფრინდა ბუდიდამ ახალი შევარდენი და, დეე, დაინახოს ქვეყანამ მისი კამარა.

დასასრული 1-ლი მოქმედებისა

მოქმედება მეორე

სცენა პირველი

მალღობზე შორით, „ქოშის გორა“ მოსჩანს, ზედ ეკლესიით, თემობაა. დაბლა ვაკეზე, გზის პირად, მუშები სიმინდსა სთობნიან.

გამოსვლა 1-ლი

მუშები

მუშები – (იმლერიან)

„ყანაო, მუშის სამოთხე,
გლეხის დიდება, ყანაო!
ცისკრის სხივებმა შეგმოსეს
და ნამმა გადაგბანაო,
დაგქროლა დილის ნიაგმა,
აღერსით გითხრა ნანაო,
ჟუჟუნა წვიმამ ზედ დაგკრა,
ზურმუხტათ აგამწვანაო.“

მეთაური – ჰა, ბიჭებო, ჰა!.. გაუსვით!.. დაუარეთ, თქვენი მარჯვენის ჭირიმეთ, ბევრი აღარა დაგვრჩა რა!..

ზოგიერთები – გასნი! გასნი, მეთაურო! ნუ გეშინია, არ ჩამოგრჩებით! შენთან ვართ!..

მეთაური – ჰოო, მანგრე! თქვენი ჭირიმე, მანგრე!

ახალგაზდა – ეს ყველა კარგი, მაგრამ ამ უქმეს რომ ვსტეხთ, კარგია?..

მეთაური – რა ცუდია?

ახალგაზდა – მერე ცოდვა-მადლი?

მოსუცი – ვერ გავიგე, ხუცესმა რა თქვა?

ახალგაზდა – რამდენს ის ბუტბუტებს?..

მოსუცი – იმან რომ არ გვითხრას, მეც ვიცი, რომ ღმერთი სამართლიანია.

მეთაური – ვენაცვალე მის ძლიერებას, რომ მუშაზე გულს არ გაირისხებს... სხვა დრო რომ იყოს, ვინ იტყვის, რომ უქმის ტეხა ცოდვა არ არისო? მაგრამ ახლა კი...
ახალგაზდა – ახლა რაღაა?

მეთაური – განა მაგდენიც არ გესმის? ბარში მინის პირი არ გადაბრუნდება... მარცვალე თესლად არ გადავარდნილა და აქაც რომ ხელი შეუშვათ, ქვეყანა ვინლა გამოკვებოს... მღვდელმაც ასე არა სთქვა: „თუ თქვენ ეგ მოგეკითხოსო, ცოდვის მზიდველი მე ვიყოო.“

მუშები – ამიინ!.. აბა ჰე, დავუაროთ! დავუაროთ! (მლერიან).

„ყანაო, გულ-ხელ გაშლილო,
ქვეყნის მოკეთვე, ყანაო!

მოყვრულად შემოგსევივართ,
მტრულად გიმეტებთ განაო?
გავმარგლავთ ბალახ-ბულახსა.
გავთოხნით ყოველგანაო.“

მეთაური – ჰა, ბიჭებო, თქვენი ჭირიმეთ!.. ცოტა კიდეც, ცოტა კიდეც!
გათავდა ეს-ეს არის...

მუშები

„ყანაო, დაუზარებო,
უხვად მომცემო ყანაო!
ზედ უფლის თვალი დაგყურებს,
შენი ბარაქა ბრძანაო;
აგმორდეს გვალვა და სეტყვა,
მოსავლის გამოცანაო!
ყანაო, ოქრო, ზურმუხტო!
ყანაო, კარგო ყანაო,
მაღალმა ღმერთმა აკურთხოს
სხვაც ბევრი შენისთანაო!“

(ბუკს აყვირებენ. მუშები შეჩერდებიან).

ახალგაზდა – რა ამბავია?

მოსუცი – რა უნდა იყოს! ხატობაა... თემი შეყრილა და ბუკს აძახებენ...
მეთაური – არა, ძმაგ! ეგ სულ გელას საქმეა, გელასი. ეს ერთი ხანია

ალარ ასვენებს ბუკსა.

ახალგაზდა – ნეტავი, რა ეხალისება?

მეთაური – არ იცი, რაც ეხალისება? სათქმელი აქვს სათემოდ და ანბობს.

ახალგაზდა – ველარ გაათავა? (ცას შეხედავს). უჰ, აი სად წამოსულა მზე!.. სამხრობასაც მოუტანებია.

მეთაური – მართლა და კაი ხანს გაუფლია. დროა, ცოტა პირი გავისვლოთ.

მოსუცი – (გაიხედავს მარჯვნივ) დედაკაცებს სამხარი კიდეც მოუტანიათ. აი, სად დაულაგებიათ, ჩრდილში. წავიდეთ, დროა.

მეთაური – აბა, ჰე, ნულა დავიგვიანებთ. ან სადაც არის, თემიც დაიშლება. ყოვლად წმინდიდან ხალხი ჩამოივლის, ამ გზას ხო ვერ ასცდებიან.

პირველი – აბა, სად წავლენ; ვენაცვალე იმ საყდარს და მის ძლიერებას, რომ გარჩევა არ იცის, ყველას თანასწორედ უყურებს!.. აბა, ვისაც გულს ერჩის, ცხენ და ცხენ მიბრძანდეს იქ! გინდ დიდი კაცი იყოს და გინდ პატარა, უნდა ქვეითად შეუდგეს ამ დიდ აღმართს.

მეორე – ეჰ, ჩვენ ვიკითხოთ, თვარა დიდკაცებს რა უჭირთ, ცოტას ქვეითად ჩაივლიან და მერე, იქვე არ უდგანან ცხენები? გადაჯდებიან და კარგა ლამაზად გასწევენ. ბრალი ჩვენი, რომ დაღალულზე თოხები უნდა გავიდვით მხარზე და ისე წვევებთილოთ.

მეთაური – ყველა თავის შესაფერად ირჯება... ყველა!.. წავიდეთ, დროა... (მიდიან).

გამოსვლა 2-რე

რევაზ ბებურიშვილი და თედო რამაზიშვილი

რევაზ – ეს არის!.. კარგი ყოფილა!..

თედო – განა ტყუილს გაგიბედავდით?

რევაზ – არ იქნა და არა! ეგება თავპატიყს იდებს?

თედო – რა ბრძანებაა... ქისა თავში მახალა!

რევაზ – ნივთები?

თედო – ზედაც არ შეხედა.

რევაზ – მაშ, ყველაფერი ღონისძიება გაგვიცუდდა?

თედო – რაში არ ჰგავს!.. ლევან აბრიყვებს, ის უყვარს და მისთვის სდებს თავს...

რევაზ – მერე, ლევანზედ ნაკლები ვარ?

თედო – ეგა ჰკითხე და... რაც არ მოგახსენეთ, მის მეტი არა გაეწყობა რა.

რევაზ – კი, მაგრამ რო გამოაშკარავდეს...

თედო – განა ლევანს შეუშინდებით?

რევაზ – ლევან ვინა გდია? სასახლეში მერე აღარ დამედგომება.

თედო – ნურავის გავაგებინებთ... თათრობაა, იტყვიან, მოიტაცესო. თათრულათაც შევიმოსებით... მერე ჩემი დისას მივიყვანოთ, დაფარული ადგილია.

რევაზ – მერე და რა გამოვა?

თედო – ერთ ხანს იჯავრებს და მერე მიეჩვევა. პირიქითაც აღარ მოგასვენებთ – ქალია.

რევაზ – აბა, შენ იცი, ახლა კი ისევ უნდა გავბრუნდე. ან, სადაც არის, ხალხი დაიშლება და ბატონიშვილიც წამოძანდება (მიდის).

თედო (მარტო) – ჰმ... შენი სისხლი უნდა ამელო, გელავ. შენ მოჰკალი მამაჩემი? განა აქამდინაც ვერ გაგისწორდებოდი, მაგრამ, რომ მომეკალ, ის ცოტა იქნებოდა შენთვის... ახლა კი იცოცხლე, მაგრამ სიმწარითა და ოხვრით... ცოცხლად დაჰკარგავ შენს ერთადერთ ნუგეშს (მიდის).

გამოსვლა 3-მე

მოსუცი და ყმანვილი ქალი

მოსუცი – ჰმ, სადა ვართ?

ქალი – ვაკეზე ჩამოვედით.

მოსუცი – აქ სადღაც მუშები იმღეროდნენ.

ქალი – დიახ, ყანის პირათ ვართ, მაგრამ აქ აღარავინ არის. წასულან, თოხები კი აქ დაუყრიათ...

მოსუცი – აქვე, სადმე ახლოს იქნებიან.

ქალი – (გაიხედავს) აი, მართლა სად ყოფილან!.. აგერ იქ მისულან ჩრდილში და სამხრობენ.

მოსუცი – მაშ, მოვიცადოთ, სანამ მოვიდოდნენ.

ქალი – შენი ნებაა... დაჯექი, აი, აქ, მწვანეზე (სხდებიან).

მოსუცი – მაშ, არ იცოდი, რომ დიდი კაცის შვილი იყო?

ქალი – ვინ რას მეტყოდა!.. მწყემსი იყო. მწყემსად ჩაცმული, კომბლით ხელში.

მოსუცი – სად გაიცანი და როგორ?

ქალი – არ გახსოვს, ძაღლები რომ მოგვიგერა?

მოსუცი – ის იყო?

ქალი – მაშ!.. მას უკან აგვედევნა და სადაც კი მივდიოდით, იქ დაგვიხვდებოდა ხოლმე.

მოსუცი – იმ დღეს იმან ხომ არ შეგაშინა?

ქალი – იმასთან როდი მეშინიან, მამილო! ასე მგონია, თუ ჩემი ძმა არის... შენ ხომ მიყვარხარ და მიყვარხარ, მამაშენიც ძალიან მიყვარსო. ეს რომ მითხრა, მას უკან კიდევ უფრო შემეყვარდა.

მოსუცი – ხომ არ გატყუებს?

ქალი – ფიცი მომცა.

მოსუცი – კი, მაგრამ, რატომ აქამდინ არ მითხარი?

ქალი – შემეხვეწა, დრომდი ნურაფერს ეტყვიო. მე თვითონ ვეტყვი მამაშენს, როცა დრო იქნებაო. ახლა მაგის დრო არ არისო, სხვა უფრო დიდი საქმე გვანევსო.

მოსუცი – რა საქმეო?

ქალი – რა ვიცი? საქვეყნოვო!

მოსუცი – ნუხელ როგორღა გაიგე, რომ მწყემსი აღარ ყოფილა?

ქალი – ვნახე, რომ ერთ ვილაც დიდკაცურად მორთული ბატონიშვილს მოჰყვა... შორიდან თვალი მოვკარ, მივამსგავსე იმ მწყემსს, მაგრამ რას ვიფიქრებდი, თუ ის იყო!

მოსუცი – ბატონიშვილ ირაკლის?

ქალი – ჰო, სხვებიც ბევრნი ახლდნენ! შუალამე გადასული იყო, რომ გალავანს გარეთ გამოსულიყო ჩვენ საძებრად. მოგვაგნო და შემკრთალი რომ მნახა... დამამშვიდა. ყველაფერი მიაწო და ფიციც გამიმეორა.

მოსუცი – ღმერთმა ქნას, შვილო! დედიშენის ლოცვამ ნუ დაგიკარგოს სიმართლე! და ობლის გამჩენმა ღმერთმა მოგიმართოს ხელი... მაგრამ ჯერ მაინც გულის ნუ დააჯერებ... ნურც „ჰოს“ გადაიწყვეტ და ნურც „არას.“

ქალი – არა, მამავ! გული მეუბნება, რომ არ მატყუებს.

მოსუცი – ეს კია, რომ ტყუილი მაგათ გვარს არ სჩვევია. ქობულიძეები განთქმულნი გვარისა არიან. ცხოვრებული მამა მაგისი, ზაალ, ჩემი დიდი მწყალობელი იყო. ბევრჯელ გვიომნია ერთად... ერთხელ სიკვდილსაც გადავარჩინე. ტურა რამაზაშვილი რომ ლეკებს წამოუძღვა და კახეთს თავს დაესხა, მაშინ ზაალ ბატონი ცუდად მიიმწყვდია, მაგრამ ჩემმა ხანჯალმა

აუგო იმ მოლაღატეს წესი... მას უკან დამარქვეს მე მეტსახელად გელა.

ქალი – ეგ ყველა იმასაც შეუტყვია. ასე მითხრა, რომ შენი მამა სახელოვანი კაცი ყოფილაო და შენც დედოფლის ნათლულიო. ვერც მამაშენის სახელს და ვერც სასახლის ნათელ-მირონობას წუნს ვერავინ დასდებს და საუკადრისოდ ვერავინ ჩამომართმევს, რომ შეგიერთო.

მოსუცი – ვნახოთ!.. ჯერ კი, მართლა დრო არ არის!

ქალი – რა ვენა, რატომ ყველა მანგრე ამბობთ? დრო რატომ არ არის?

მოსუცი – ჯერ ყველას საქვეყნო ვალი გემართებს, შვილო!.. ჩუ... ფეხის ხმა მესმის...

გამოსვლა 4-ზე

ისინივე, გივი და ბაადურ, მოჰყავთ აყვანილი

ბაადურ – აი, ბეჩავ!.. ორმოცჯერ რომ ავირბენ-ჩამოვირბენდი ხოლმე ჯეირანივით ამ აღმართს!.. რა ძნელია სიბერე!

გივი – სიბერე?.. მაგას მეც კი ვატყობ...

ბაადურ – შენ კი მაგდენად არა ვატყვია რა!.. მე უფრო სნეულობამ გამტეხა და წამართვა მუხლები.

გივი – უფრო ჭრილობის მიზეზია. ზნე აიტანა.

ბაადურ – ეგეც არის... ეს ცხრა წელიწადია, კაცი კი აღარა ვარ და... ველარც ჩემს თავს ვარგივარ და ველარც ქვეყანას.

გივი – ქვეყანა ვერას დაგაყვედრის!.. საკმაოდ მიგიძღვის მისი სამსახური, ჩემო ბაადურ!.. აი, გელას რომ ეძებდი, აქ ყოფილა, ჩამოსულა!..

ბაადურ – გელა!.. აბა სად არის? ერთი მიმიყვანეთ, დიდი ხანია აღარ მინახავს (მიიყვანენ).

გივი – გამარჯობა, გელავ, შენი!

მოსუცი – ღმერთმა გამარჯვება ნუ მოგიშალოს, ბატონო გივო ჩოლაყაშვილო!..

ბაადურ – გამარჯობა, ჩემო გელავ! რასა იქ... რამდენი ხანია აღარ გვინახავს ერთმანეთი!

მოსუცი – ვაი, ჩემს უბედურებას, რომ ველარ გხედავთ, ვინა ბრძანდებით, შენი ჭირიმე?

ბაადურ – ველარა მხედავ? ეგ რა მოგსვლია?! ხმაზე მაინც ველარ მიცან?!

მოსუცი – დავბრმავდი და დავგლახავდი უდროვოდ!

ბაადურ – ნუთუ, სიბერემ ხმაც შემიცვალა?! აღარ გაგონდება ბაადურ?

მოსუცი – (შეჰკვივებს) ბაადურ! ბაადურ მოურავი! ღმერთო ჩემო, რას მოვესწარ და რა მეღირსა! მიბოძეთ, თქვენი ჭირიმეთ, ჩოხის კალთა, რომ გეამბოროთ!.. ვაი, ჩემს მოსწრებას, რომ ველარა გხედავ...

ბაადურ – მოდი, მოდი, მომიახლოვდი, ჩემო გელავ, თორემ მე მუხლებს აღარ მერჩის, რომ თითონ მოგვარდე და გადაგეხვიო!.. შენ დაბრმავებულხარ, მაგრამ ეს ერთი ხანია მეც დავსაპყარდი.

მოხუცი – გავიგონე, შენი ჭირიმე... ჩემამდინაც მოატანა მაგ სამწუხარო ხმამ... ეჰ, ყოველივე ღვთის ნებაა!.. (სიჩუმე). რამ ჩამოგიყვანათ ჩვენსკენ, ჩემო ბატონო?

ბაადურ – იმან, რასაც შენ დაჰყევხარ სოფლიდი სოფლად და რამაც მეტუკობა დაგანყებინა!.. მოაწივა მთამდინაც საიმედო ხმამ... მინდოდა დავრწმუნებულიყავ და ჩამოველ, მადლობა უფალს, ვხედავ, რომ მართალი ყოფილა. ახლა კი ნავალ და ვუმახარობლებ გულგატეხილ მოხევეებს, ვეცდები, რომ ზეზე წამოვაყენო დაცემულები.

გივი – (აღტაცებით) დიდება შენს განგებას, ღმერთო! ეს რა მესმის?! ბრმა სცდილობს, რომ ქვეყანას თვალი აუხილოს!.. საპყარი ფეხზე წამოყენებას უპირობს... და მამ, თქვენ, თვალხილულნო და მუხლმაგარნო, გული რაღას უნდა გეუბნებოდესთ?

გამოსვლა 5-თე

ისინივე და (საჩქაროდ ჩამოდიან) ირაკლი ბატონიშვილი, ლევან ქვაბულიძე, რევაზ ბებურიშვილი და სხვანი

ირაკლი – (მხიარულად) სად წამოსულხართ? როგორ დამეკარგენით? გივო! ბაადურ! სასიამოვნო ანბავი. (წამოდგებიან).

გივი – რას გვიბრძანებ, ბატონიშვილო?

ირაკლი – სასიამოვნო ანბავი: ლევან და რევაზ შევარგიე. დღეიდან ამათ შორის ყოველივე მტრობა უნდა მოისპოს... და ეს ორი დიდი ოჯახი შეერთდეს მოყვარულის კავშირით!.. ლევანმა უნდა შეირთოს რევაზის და...

ქალი – (იკივლებს) უი!.. (ხელებს იფარებს პირზე).

მოხუცი – რა იყო, შვილო? (ხელს უპოტინებს ჩუმად). გული მოიბრუნე, შე შეჩვენებულო. არაფერია, არაფერი, ბატონებო, ბუზმა შეაშინა.

გივი – ბუზმა... და შენ როგორღა დაინახე?

მოხუცი – ბზუილი გავიგონე... ჩემო ბატონო... და მივხვდი: სწორედ იმან შეაშინა. აბა, სხვა რა იქნებოდა?

ლევან – დიახ, მეც დავინახე... ფუტკარი იყო, ახლოს გაუარა, სახეზედაც მოხვდა, მაგრამ კბენით კი არ უკბენია... ეს კარგი ნიშანია... თაფლი იცის საბოლოოვით.

ირაკლი – ვინ არის ეგ ქალი?

გივი – ამ მოხუცის ქალი გახლავსთ.

ირაკლი – გუშინაც შემხვდნენ... გელა ეგ არის?

გივი – დიახ, ბატონიშვილო!

ლევან – და ეს პატარა ქალიც დედოფლის ნათლულია.

ირაკლი – როგორ თუ დედოფლის!.. მამ, ჩემი სულიერი და ყოფილა (მიდის ქალთან). რა გქვიაან სახელად?

ქალი – ელისაბედ.

ირაკლი – ელისაბედ?! კარგი სახელია!.. (იცინის). გელას ქალი ყოფილხარ და დედოფლის ნათლული!.. ჩემო დობილო, ბუზებს როგო შეუშინდი?

ქალი – უეცრად შევკრთი, ჩემო ხელმწიფე!

ირაკლი – სათუთად გაგიზდია, მოხუცო!

მოხუცი – მაგის მეტი აღარა დამრჩენია რა!.. ვაჟებმა თქვენი ჭირი წაიღეს... ომში ამოწყდნენ.

ირაკლი – მართლად დედოფლის ნათლულია?

მოხუცი – მისგან არის მირონცხებული. ღმერთმა ადიდოს მისი ხელმწიფობა...

ირაკლი – სასახლეში არ მოგყავს ხოლმე?

მოხუცი – რა ღირსი ვართ, ჩემო ხემწიფე!

ირაკლი – (ქისას ამოიღებს) შენ, მოხუცო, გუშინაც დამამწყრალე საჩუქარი და ახლა ამაზე მაინც ნულარ მეტყვი უარს, რომ ბატონ დედოფლის, დედაჩემის, მაგიერად ეს გადავსცე ჩემ დობილს! (აძლევს).

მოხუცი – ბატონიშვილო! ნუ შემრისხავთ უსინათლოს... მე შავდლიანმა, რა ვიცოდი, თუ თქვენ ბძანდებოდეთ, თორემ თქვენი წყალობა ტალახიანი ჯოხიცი საშვილიშვილოდ სასიქადულოა (მუხლზე უპოტინებს, რომ აკოცოს. ქალს). შვილო, თაყვანი ეცი, მოხევიე მუხლებზე ბატონიშვილს, ჩვენ რა ღირსი ვართ ამ წყალობისა.

ირაკლი – არა, ჩემო პატარა დობილო! შენ ნება გაქვს, დასავით მომეხვიო! (არ ნებდება) და შენც, გელავ, ამ დღეებში უთუოდ სასახლეში უნდა ამოჰგვარო დედოფალს შენი ქალი.

გელა – დიახ, ჩემო ხემწიფე, თქვენი ბრძანება და ღვთის ბრძანება ერთია ჩემთვის. ღმერთმა ნუ მოგიშალოს მისი მონყალება და დიდება.

ირაკლი – აბა, ყმანვილებო, წავიდეთ ახლა კი ჩვენსა, დროა... რევაზ, შენ როგორღაც თვალს აღარ ამორებ ამ ჩემ დობილს!.. მაგრამ მე მაგას არავის დაუთმობ... ჯერ თავი იჩინე! ისახელე, რომ მაგის ღირსი გახდე და მერე... მერე ვნახავთ!.. აბა, წავიდეთ (მიდიან).

გივი – მხიარულად ბძანდება ბატონიშვილი.

ბაადურ – სჩანს, რომ გული სასიქადულოს უქადის რასმეს! წინაგრძნობაა...

გივი – ღმერთმა ბრძანოს... ან დროა, ჩვენც წავიდეთ...

ბაადურ – არ იქნება ურიგო!.. აბა, ბიჭებო, წამიყვანეთ! მშვიდობით, ჩემო გელავ!.. ხვალ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს სასახლეში.

გელა – ღმერთმა კეთილათ გატაროსთ, ჩემო ბატონებო! (რევაზი და თედო წინ წამოდგებიან).

რევაზ – (წასწურწულებს) ხომ გაიგონე, რაცა ბრძანა ბატონი შვილმა, სახვალით დაიბარა მოხუცი მისი ქალით სასახლეში!

თედო – მერე?
რევაზ – ორი მარჯვე კაცი, ერთი ცხენი და მისი ჯანი... გესმის? (მიდის).
თედო – მესმის, ჩემო ბატონო!.. (მარტო) ჰმ!.. არა, კი ავიღებ მამიჩემის სისხლს.

გამოსვლა 6

მოსუცი და ქალი

მოსუცი – რა მოგივიდა, შვილო?
ქალი – მეტი რაღა უნდა მომსვლოდა?
მოსუცი – შემარცხვინე, თავი ველარ შეიმაგრე!
ქალი – მოულოდნელი იყო!
მოსუცი – აკი გეუბნებოდი, ნურას გადასწყვეტმეთქი!.. სად ჩვენ და სად ისინი? ტოლი ტოლს ეძებს... შორი შორს საზღვარია. შუაში ბევრი რამ გაივლის.
ქალი – მე რომ არა მცოდნია რა, თვითონ მოინდომა...
მოსუცი – მოინდომა? აი, თუ მოინდომა...
ქალი – ჯერ ვინ იცის... ვერ მიხვდი, რა სიტყვები გადმომკრა?
მოსუცი – ჰო, თაფლიო, ფუტკარიო და მახარობელი... სიტყვაა...
ქალი – მე მაინც სანამ პირდაპირ მისგან არ გავიგონებ... მაგრამ, აი, ისიც, აგერ მოდის, დაბრუნებულა!
მოსუცი – თავი რიგიანად დაიჭირე!.. არ შეამჩნევიან რა.

გამოსვლა 7

ისინივე და ლევან (დაბრუნებული)

ლევან – როგორ ხარ, საბედო!.. ისე, როგორ შეშინდი?! სხვისი სიტყვა განა ბეჭედი? ნუთუ, კიდევ გული ვერ დაგიჯერებია... საბრალო მამაშენი! ბუზი რომ ეგონა! (იცინის).
ქალი – არა, ის კი მიხვდა, რაც იყო, მაგრამ რაღა უნდა ექნა! მამამ იცის, რაც ამბავია.
ლევან – იცის! განა გითქვამს? მაშ მე რაღა დაუმალო! ჩემო გელავ, იცი შენ ჩვენი განზრახვა?
მოსუცი – შევითყვევი, მაგრამ ი მამიშენის მზეს, ცუდათ ნურას აიჩემებ, რომ არა გამოვიდეს რა.
ლევან – რა უნდა გამოვიდეს!.. ერთმანეთისათვის პირობა მიგვიცია და ღმერთთან აღვითქვამს!.. ხომ არ მწუნებ?
მოსუცი – აბა, ეგ რა სათქმელია, ჩემო ბატონო!.. მაგრამ, სად ჩვენა და სად თქვენ?

ლევან – ეგ ვერას დააბრკოლებს.
მოსუცი – ბატონიშვილმა რომ ბძანა... გვარები უნდა შეკავშირდესო.
ლევან – ისიც ასრულდება. მეცა მყავს გაუთხოვარი და! ელენე დასანუნი არავისგან არ არის!.. ის რომ რევაზმა შეირთოს, განა დაკავშირება არ იქნება... დროზე ყველაფერს მოვახსენებ ბატონიშვილსა და მანამდის კი რას ვიტყვი.
ქალი – მაშ, არ შეირთავ რევაზის დას?
ლევან – არა, ჩემო საბედო, ჩვენ სიკვდილისა მეტი ვერა გაგვყრის რა.
მოსუცი – გაკურთხოს ღმერთმა! მამიშენის შვილს სიტყვა დაეჯერება... ღმერთმა და შენ იცოდეთ!..
ლევან – ამინ!.. ეხლა კი უნდა დავენიო ისევე ბატონიშვილს, მე მხოლოდ ცოტა ხნით გამოვიჭერ, შენ დასამშვიდებლად, ჩემო სიცოცხლე!.. მშვიდობით გელავ (მიდის).

გამოსვლა 8

ისინივე (მარტო)

ქალი – ხომ გითხარი, მამავ!.. ახლა რაღას იტყვი?
მოსუცი – რა ვიცი, რა ვიცი, შვილო!.. მჯერა... მაგრამ ღმერთმა უკეთ იცის... ყოველივე მისი ნებაა (პირფარს ინერს).
ქალი – აი, აგერ, მუშებიც მოდიან. გაუთავებიათ სამხარი.
მოსუცი – კეთილი, მოვიდნენ, შვილო! მეც ეს მინდა!..

გამოსვლა 9

ისინივე და მუშები (მოახლოვდებიან)

გელა – გამარჯვება თქვენი.
ყველა – ოჰ, გელას გაუმარჯოს!.. ღმერთმა გაგიმარჯოს (ეხვევიან გარს).
მეთაური – რა ამბავი იცი, გელა, აბა რას გვეტყვი?
გელა – ცოტა რომ ადრე მოსულიყავით, ბევრს რასმე გაიგონებდით თქვენის ყურითა!.. აქ ბრძანდებოდა ბატონიშვილი ირაკლი დარბაისლებით. ესეს არის, ეხლა ჩაიარეს.
მეთაური – რაო, რა თქვეს, რას აპირებენ?
გელა – რაღა რა სთქვეს? მთელი დიდკაცობა ყველა ფეხზე დგა. გამოდიან... უნდა მტერი გარეკონ ჩვენი ქვეყნიდამ... ჩავალთ ბარათ და ალაზანს წითლად შევლევავთო! იქ ადიან! ისინი აღარ ხუმრობენ, მაგრამ ჩვენ... ჩვენ რაღას ვაპირებთ?
ახალგაზდა – ჩვენ... ჩვენ კი როდის ჩამოვრჩენილვართ დიდ კაცებს?
I-ლი გლეხი – როდის დაგვიხვეია უკან?

მეორე – თუ ისინი წასულან, ჩვენც თან მივყოლივართ.

მესამე – ახლაც ისე იქნება.

გელა – რითი, შვილოსა, რომ იარალი ჩვენ არა გვაქვს და ტყვია-წამალი?

ახალგაზდა – იარალი? ხელკეტი განა რა ნაკლებია!

პირველი – ერთი გავლესო ჩემი ნამგალი! ისე დავატრიალებ, თითქო პურსა მკისო!..

მეორე – ცულმა და წალდმა რალა დაამავეს?

ელისაბედი – და ამას კი ველარ უყურებთ, ამ თოხს, ღვთისაგან ნაკურთხია, პირიც აქვს, ყუაცა და ტარიც... საითაც გინდა, მოუქნივე!.. ამასთან ხანჯალიც ტყუილია, თვარა ხმალი ხომ ვერ მოვა და ვერა! დედაკაცებს სულ კალთებით მოვაზიდინებთ მტრის თავგასატეხათ ქვებს.

გელა – აი, თქვენი ჭირიმეთ, ბიჭებო! რომ ძველებური ხმა კიდეც მესმის...

მეთაური – მოგიკვდეთ, გელავ, თუ ძველებს ჩამოუარდეთ, მაგრამ წინამძღოლი კი გვეჭირვება! ვინლა მიგვიყვანოს მტერზე!..

გელა – (მედიდურათ) დაგავინყვით... გიორგი ხმალაძე!.. აღარ იგონებთ გელას?..

მეთაური – ვაი, რომ ველარას ხედავს...

გელა – ეგ არაფერი... ბიჭებმა მხარი დამიჭირეთ... წამიძლოლიეთ წინა და თქვენ გასწავლით გელა, როგორ უნდა მტერზე მისვლა... გელას სახე და გელას სახელი კიდეც უცვლის ფერს ურჯულო მტერს.

ყველანი – აი, შენი გამჩენის ჭირიმე, შენი... შენსას რომ არ იშლი! ისევ შენ წაგვიძხ წინ და მიგვიყოლიე შენებურად!.. შენთან სიკვდილი და შენთან სიცოცხლე!

გელა – კარგი, არ დაივიწყოთ ეგ სიტყვები!.. ახლა კი, ჰე მუშებო... სხვა დრო მოგვიდისო, წავიდეთ, ჩავიდეთ სასახლეში, შევატყობინოთ გლეხობას... ვუმახარობლოდ მოყვარეს, მოვამზადოთ ისინიც და ვასენოთ ღმერთი!.. წავიდეთ, სულ სიმღერით გადავიაროდ მთა და ველი!..

მუშები – (იცინიან) აბა, ერთი შენ დაგვიწყე რამ, გელავ, რომ ჩვენც ბანი გითხრათ და მოგყვით.

გელა – ბატონი ხართ!.. თქვენ კი მომყევით (მუშები თოხებს გაიდებენ მხრებზე. გელა წინ წადგება, სათვალავს ამბობს, ქალი იძახის, სხვები ბანს ეუბნევიან. ნელ-ნელა მიდიან სიმღერით. ფარდაც ნელ-ნელა ეშვება).

ფარდა

მოქმედება მესამე

სცენა პირველი

სასახლის წინა

გამოსვლა 1-ლი

რევაზ და სასახლის კაცი

რევაზ – მეფე გამობძანდა?

სას. კაცი – დარბაზში ბძანდება.

რევაზ – ამალით?

სას. კაცი – გივი ახლავს და ბაადურ ახლა შეიყვანეს.

რევაზ – შემოძლიან ვიახლო?

სას. კაცი – არა, ნაბრძანები მაქვს, ნურავის შემოუშვებო!

რევაზ – ბატონიშვილის მოციქული ვარ.

სას. კაცი – მაინც მოითმინეთ (მიდის).

რევაზ – ღმერთო, კეთილი ჰქმენ!.. ცუდათ აირია საქმე (თედორე შემოიჭრება).

გამოსვლა 2

რევაზ და თედორე

თედორე – თავკუდმოგლეჯილი დაგეძებთ! თქვენ სასახლეში გახლდით და ახლა აქეთკენ მოვაშურე.

რევაზ – რა ანბავია?

თედორე – ვერ გახლავარ, ჩემო ხემწიფევე, კარგი მახარობელი.

რევაზ – მოკვდა!

თედორე – თურმე ავადაც არ ყოფილა! იგონებდაო.

რევაზ – ამდენ ხანს...

თედორე – ღმერთმა თუ იცის დედაკაცის თავი და ტანი! ვინ მოიფიქრებდა. აღარ სვამდა და აღარ სჭამდა.

რევაზ – მერე? მერე რაო?

თედორე – გუმინ ვითომ მეტად შენუხებულა და მამიდაჩემიც გამოქცეულიყო მღვდელზედა, უზიარებელი არ მოკვდესო... რომ დაბრუნებულა, ქალი შინ აღარ დახვედროდათ... ამდგარიყო და გაპარულიყო.

რევაზ – ავადმყოფი შორს მაინც სად წავიდოდა.

თედორე – აკი, მოგახსენეთ, არ ყოფილა ავადა, იგონებდა.

რევაზ – მერე... ახლა?

თედორე – დავადევნე მდევარი და მე აქეთ გამოვიქვრ, რომ თქვენთვის მომეხსენებინა.

რევაზ – გასწი, დაიკარგე! თუ არ მოგინახავს, იცოდე, ჩემს თვალებს ნულა დაენახვები!..

თედორე – მე რა ვქნა, შენი ჭირიმიე!.. წყეულ-შეჩვენებულს...

რევაზ – გასწი, ნულარ ლაპარაკობ!.. დროს ნუ ჰკარგავ! (თედორე მიდის). „ხარმა ხარს უქნია და თივაზე მიაგლო“. ვერც არას მე გავხდი და ლევანსაც სახელი გაუდიდე. იმას ეგონა, თუ მართლა თათრებმა მოიტაცეს და გამოჯავრებული ჯავრს მათზე იყრიდა. გაბრაზებულს ღონე და გამბედაობა ემატებოდა, მით ვაჟკაცობა უორკეცდებოდა.

გამოსვლა 3

ისვე და ლევან

ლევან – ბატონიშვილი მოუთმენლად ელის პასუხს და შენ კი აქ ბოლთასა სცემ.

რევაზ – გამიცუდდა მოციქულობა.

ლევან – უარზე დგას...

რევაზ – არ ვიცი, ჯერ არ შევსულვარ! კარჩაკეტილები ბებრები შინაურულ არჩევანში არიან.

ლევან – რალა დროს არჩევანია... მტერი კარზე მოგვდგომია!

რევაზ – და კიდეც მაგან ჩააგლო საგონებელში თეიმურაზ.

ლევან – საკვირველია! ბატონიშვილი ფეხზე აღარ დგას სიხარულით და მეფემ კი მხრები ჩამოჰყარა...

რევაზ – არ უმართლებს? ხუმრობა ხომ არ არის, ვინ გაუძლოს უთვალ მტერს.

ლევან – მაგას შენ ანბობ, რევაზ? შენ, რომელმაც შიში არ იცი?

რევაზ – მე განა თავზედა ვფიქრობ?

ლევან – მიკვირს, რომ მაგას ანბობ! სოფლებიდან მათი გამორეკა უფრო ძნელი არ იყო?

რევაზ – კი, მაგრამ მაშინ ვთარეშობდით და ეხლა კი პირდაპირი ომი უნდა გადავიხადოთ!.. ცალ-ცალკე მტრის დამარცხება ადვილია, შეერთებულად კი...

ლევან – შეერთებულზედაც ღმერთი ჩვენსკენ იქნება...

რევაზ – ღმერთმა ინებოს... თათრები ერთი ასათაც რომ მეტი იყონ, არ მეშინია, მაგრამ ლეკების ფიქრი მაქვს... ალისკანტ ბელადი გამოცდილია.

ლევან – მისი კბილის მატლიც აქა გვყავს. ნოშრევან ჭავჭავაძეს მიუსევთ ლეკებს თუშებით... ასე გადასწყვიტა ბატონიშვილმა.

რევაზ – ალისკანტი მაინცადამაინც სარდლათ არაფერი შეილია. ქურდულ ბელადობაში არის განთქმული და დავლურში.

ლევან – ბევრი კარგი ვაჟკაცი გაუფუჭებია იმ ნუნკალს. ვაი, თუ ნოშრევანიც გაიტყუოს...

რევაზ – ნოშრევან საპირდაპიროდ არ შეეხება. არც იკადრებს მის აყოლას.

ლევან – დედა რომ შემოაგინოს!..

რევაზ – განა ყმანვილები ცოტანი არიან, რომ მოხუცის სამაგიეროდ გავიდნენ?

ლევან – ერთი სათხოვარი, მაქვს, რევაზ, და როგორც მეგობარმა უნდა ამისრულო.

რევაზ – რა არის?

ლევან – შეიძლება, რომ მე გავყვე ალისკანტს?

რევაზ – შენ?

ლევან – დიახ, და თუ ვინცობაა დამამარცხეს, შენ ნულარ გახვალ.

რევაზ – შენ დაგამარცხოს და მე გულგრილად ავიტანო!

ლევან – შენ ნება არა გაქვს. ერთი, რომ ცხენოსან ჯარს შენსავით ვერავინ ნაუძღვება და, მეორეც...

რევაზ – მეორეც?

ლევან – ის, რომ დედამისიშვილობაში შენი დანიშნული ელენეს მეტი აღარავინ რჩება და შენ ხელთ იქნება ყოველიფერი.

რევაზ – აბა, რას ამბობ მაგას... ღმერთმა მანამდე ნუ მიგიყვანოს.

ლევან – სიტყვაა!.. მეორეც კიდეც ეს... თუ ვინცობაა, ის ქალი ამოჩნდეს სადმე... გებარებოდეს როგორც და... და მის მომავალზედ შენ და ელენემ იზრუნეთ.

რევაზ – ვაი, სირცხვილო! (ხელებს მიიფარებს).

ლევან – რა დაგემართა? რევაზ, რა მოგდის?..

რევაზ – ვაი, სირცხვილო!

ლევან – როგორ თუ სირცხვილო?

რევაზ – რალა მეტქმის, რომ შენთან პირშავათა ვარ.

ლევან – შენ...

რევაზ – დიახ... ის ქალი თათრებს არ მოუტაცნიათ.

ლევან – რას ანბობ?

რევაზ – ჩემმა გაძრახებულმა კაცებმა მოიტაცეს და შუა მთაში აიყვანეს... იქ დამალეს.

ლევან – მიზეზი?

რევაზ – ახალგაზრდობის ჟინი. მაგრამ გეფიცები, რომ იმას შეურაცხყოფა არ მიზდგომოდეს...

ლევან – (გაკვირვებული). ეს რა მესმის... შენ და ეგ საქმე?

რევაზ – დიახ, ჯერ კი ჟინმა გამიტაცა, მაგრამ მერე კი, როდესაც ელენე დავნიშნე და დაგემოყვრე... წრფელი განზრახვით.

ლევან – როგორ თუ წრფელის განზრახვით?

რევაზ – არ მინდოდა, რომ ჩვენს გვარეულობაში მდაბალი გვარის მოყვრები გამორეულიყვნენ.

ლევან – მერე და, შენ ცუდო კაცო, სიცოცხლე ხომ ორად გამიჭერ!..
რევაზ – მეგონა, თუ შენც სიყმანვილის ქარმა აგიტაცა... და ველოდი იმ დროს, როცა გადაგავინყდებოდა.

ლევან – გადამავინყდებოდა?.. არასოდეს! განა ვხუმრობდი?

რევაზ – ეხლა მეც ვხედავ და გულწრფელად ვითხოვ მოტევებას.

ლევან – (სიხარულით აღტაცებული). მახარობელი მტერიც რომ იყოს, საჩუქრის ღირსია!.. როგორც მტერს, ჩემმა დამ ელენემ გადაგახდევინოს შემდეგში სამაგიერო და ახლა კი მე, როგორც მახარობელს და მოყვარეს, მეგობრულად მოგეხვევი (ეხვევიან ერთმანეთს).

გამოსვლა 4

ისინივე და შიკრიკი

შიკრიკი – ბატონიშვილი გიბრძანებთ.

ორივენი – ბატონიშვილი?

შიკრიკი – მოუთმენლად მოგელისთ. (მიდიან).

სცენა მეორე

სასახლე

გამოსვლა 1-ლი

მეფე თეიმურაზ, ბაადურ, გივი და დარბაისლები

ბაადურ – ჩემო ხელმწიფევე! საპყარი მოვსულვარ მოციქულად და ნუ შეურაცხპყოფთ ჩემ შუამდგომლობას.

მეფე – ჩემო ბაადურ!.. თავგანუღლ ქაბუკობას მოხუცებულობის ლაგამი ეჭირვება.

გივი – დიდებულო მეფევე! ახლა გვიანლა არის!..

მეფე – გვიანლა არის?! თქვენი ნყალობით! აი, აგერ, დედოფალიც მობრძანდება.

გამოსვლა 2

ისინივე და დედოფალი ამალით

მეფე – მობრძანდით, დედოფალო! დაბრძანდით! საჭიროა, რომ თქვენც მონანილეობა მიიღოთ ჩვენს რჩევაში.

დედოფალი – ჩემო ხელმწიფევე! მე მისთვის გეახელ, რომ მაგათ მოციქულობას ჩემი შუამდგომლობაც ზედ დაურთო, მაგრამ ჯერ კი მსურს მოვისმინო საერთო გულის პასუხი, რას ჰფიქრობენ დარბაისლები?

მეფე – ერთ პირზე დგანან: ბაადურ გულმზურვალედ მოციქულობს და გივი კი უარსაც აღარ გვაბედვინებს. გვიანლაო!

დედოფალი – გივი გამოცდილია და წინ დაუხედავათ არას იმოქმედებს.

მეფე – დღემდი ეგრე ყოფილა, მაგრამ დღეს კი უმტყუენა ჩვეულებას. იმდენათაც ირაკლის არ ვამტყუენებ, რამდენათაც გივს. მე ამაზე, როგორც ირაკლის გამზდელზე, გულდადებულად ვიყავ, შვილისათვის მაგდენად თვალყური აღარ მიდვენებია და აი, რა გვიყო მისმა თავის შეუკავებლობამ! გივს შეეძლო და მოვალეც იყო, რომ ერჩია მისთვისა.

გივი – დიდებულო მეფევე! ჩემი რჩევა მხოლოდ ხელს შეუშლიდა მის გმირულ მოქმედებას.

მეფე – სჩანს, რომ კიდევ მაგ მოწონებას ნაუხალისებია. მაგრამ დღეს რალას იტყვი! დღეს, როდესაც აუარებელი მტერი კარზე მოგვდგომია?! დღემდი ავათ თუ კარგათ, კიდევ შესაძლო იყო მათი უფლების ატანა, მაგრამ დღეს კი ისეთ პირობასა გვთხოვენ, რომელიც მძიმე ტვირთად დაანება ჩვენს ქვეყანას...

ბაადურ – ბატონო თეიმურაზ! ყოველგვარ პირობას მსგავსი პასუხი მოსდევს: „ჰო“ და „არა!“

მეფე – ამჟამად მეორე ძნელი გასაბედია!..

ბაადურ – გამბედაობა, მგონი, ზნეთა გვექონდეს გადაქეუული!

მეფე – მაშინ, როდესაც თავხედობა არა გამოდის რა!.. მტერი უზომოდ მომატებუღია და ერთი ათზედ რომ მივიყვანოთ, რა იქნება?

გივი – სახელოვნად მაინც გავსწყდებით!..

მეფე – ჰო, ეგ ადვიღია. თვითუღს თქვენგანს შეუძღიან, ბრძოღის ველზედ დაღიღს სული და მით სახელოვნად მოიხადღს მისი ვალი, მაგრამ მეფეს მირონცხებუღს კი არ შემვენის ეგევე: ის ვალდებუღია, უკანასკნელ წერტიღამდე მიჰყვეს ხალხის ბედსა და უბედურობას: არა, მე ნება არა მაქღს, არ შემიძღია, რომ ქვეყანა ასე გამოვიმეტო. დრომდი მოთმინებას ვარჩევე. ვინ იღის, მომავალი რას მოგვიტანს... ოჰ, თუ ირაკლი არ აჩქარებუღიყო!..

დედოფალი – გივო ჩოლოყაშვილო! დღეს საშინელი ბნელი ედება ჩემს შვიღს და შენ, როგორც მისი მოჭირნახუღე, რას იტყვი?

გივი – ბატონო დედოფალო! მაქღს სათქმელი და ნუ შემრისხავთ!.. მართალი არის, როგორც ბატონი მეფე ბრძანებს, დღეს დიდ განსაცდელში ვვარდებით. საშინელი ჭირი კარზე მოგვადგა. მტერი უთვალავია, მაგრამ ამგვარად კარზე მომდგარი ჭირი სახადია. შეიძღება კაცი გადურჩღს და, თუ ვერა, დიდხანს მაინც აღარ დასტანჯავს, მალე გათავდება... მაგრამ ის სენი კი, რომელიც ნელ-ნელა დღითი დღე გვამში უჯდება ადამიანს, უჩინრად ხრწნის და აწყლუღებს... ყველაზე უარესია. დიდი ხანია, რაც მტერი შეეპარა საქართვეღოს, გაუჯდა სენად, ხრწნიდა და ოღის წღის

განმავლობაში ჩუმად იდნობდა, მაშინ, როდესაც მთელი საუკუნოების განმავლობაში მოპირდაპირე მტრებმა კი ვერა უყვეს რა. სენმა ქვეყანას ხელი დარია, თითქმის მოინელა და ცოტაც რომ კიდევ დასცალდეს, სულს ამოგვხდის. მაგრამ გაუჩნდა მკურნალად გმირი.

დედოფალი – და ის გმირი არის პატარა ირაკლი?

გივი – დიახ დედოფალი!.. თუ არ ზეცით აღნიშნული და ქვეყნად რჩეული, სხვა ვინ მოიფიქრებდა მაშინ, რომ იმ მცირე საქმეს ეს დიდი შედეგი მოჰყვებოდა?! ჯერ პირველად მცირე რაზმით, თითქმის მეკობრეთ გამოსულმა ბატონიშვილმა ანდამატივით მიიზიდა ახალგაზდობა. როგორც მთის წვეროდამ დაგორებული პატარა თოვლის გუნდა თანდათან იზდება და ზვავდება, ისე იზდებოდა და იზდებოდა ირაკლის გუნდიც. შედგა დიდი ჯარი... დაანანილა, დაჰყო პატარ-პატარა გუნდებით და ისე, აქა-იქ, სოფლად ჩამდგარ მტრებს თავს ესხმოდნენ... არ ასვენებდნენ და, სანამ იძულებული არ გახადეს მტრები, რომ დაენებებიათ თავი სოფლებისათვისა... გამოსულიყვენ და შეერთებულად დაებანაკებიათ ალაზნის პირზე ისე, როგორც დღეს ვხედავთ.

მეფე – ესე იგი, უფრო მძლავრად, უფრო მომზადებულად და უფრო განრისხებულად, რომ ქვეყანა ამოაგდონ, თუ არ დავეთანხმედ?

გივი – მხოლოდ ჰფიქრობენ და ვინ იცის?

მეფე – ჰფიქრობენ და კიდევაც აასრულებენ.. ირაკლის გამარჯვება მოკლე ხნის იყო!..

გივი – რათა, ჩემო ხელმწიფე! იმ გამარჯვებამ ქვეყანა გაჰკურნა, ხალხი დაცემული ფეხზედ წამოაყენა, წელი გაუმაგრა. დღეს ყველანი საპირდაპიროდ მზად არიან და თქვენც, დიდებულო მეფე, ნუ შეურაცხჰყოფთ მათ გულისთქმას.

ბაადურ – დიახ, ბატონო, თეიმურაზ ხელმწიფე! ჩვენი დროის კაცები დღეს აღარსად არიან: დაბერდნენ, დაიხოცნენ, ზოგი დაბრმავდა და ისე ჩემსავით დასაპყარდა. ჩვენი შემდეგი დგმა დროთა ვითარებამ გააფუჭა... უნაყოფოდ ჩაიარა. ახლა სულ ახალმა დგმამ იჩინა თავი და ჩვენც სიხარულით უნდა მივეგებოთ. ჩვენ ნაგახალისოთ, მომავალი მათია, მათვე დაიჭირონ ხელში.

მეფე – გესმით, ბატონო დედოფალი? თქვენ რაღას ბრძანებთ?

დედოფალი – გავიგონე, ჩემო ხელმწიფე! მე თავყანსა ვცემ თქვენ ბრძნულ წინდახედულობას, მაგრამ გავბედავ და მოგახსენებთ, რომ ბატონი მამაჩემი, დიდებული მეფე ვახტანგი, სამაგალითოა ამ შემთხვევაში: ყოველი მისი მოქმედება ბრძნული იყო და ყოველი მისი ფეხის გადადგმა წინდახედული. დროთა ვითარებას ყინიანობა ხელს უშლიდა, კეთილად ვერა მოიმკო რა. თქვენც მოგახსენებთ, თუ რა დღე დააყენა ქვეყანას მისმა სიფრთხილემ და ან ის თვითონ რა დღეში ჩააგდო!.. მომაკვდავის გონებისაგან ბევრი რამ მიუწვდომელია!.. იქ, სადაც გონივრული წინდახედულება აღარა სჭრის, უნდა უგუხურ თავხედობას მიენდოს კაცი.

მეფე – თქვენც მაგასა ბრძანებთ, დედოფალი! გაგინირავსთ, ეგ არის რალა, ქვეყანა? მაგრამ ერთად მასთან ხომ ირაკლისაც იმეტებთ!.. და გეკითხებით, როგორც დედას: გული რას გეუბნებათ?

დედოფალი – როგორც დედას, მეც იმ დღისთვის გამომიზრდია შვილი.

მეფე – როგორც დედოფალი, რაღას ჰფიქრობ მემკვიდრეზე?

დედოფალი – თუ ქვეყანა აღარ იქნება, მემკვიდრე რალა სახსენებლია?

მეფე – მაშ, კარგი! თქვენი ნება იყოს. მივყოლივარ თქვენს გულისთქმას. გივო! შემომგვარეთ ირაკლი (გივი მიდის). მე ამიერიდან უბრალო ვარ, დამიბანია ხელი! ან თქვენ იცით!

გამოსვლა 3

ისინივე და ირაკლი ამალით

მეფე – შვილო ირაკლი! დარბაისლების მოციქულობამ და უფრო დედი-შენის სურვილმა გასჭრა!.. ჩემი სურვილისა და განზრახვის წინააღმდეგ თანახმა ვარ, რომ მტერს ვებრძოლოთ.

ირაკლი – (ხელზე ჰკოცნის) გმადლობ, ჩემო ხელმწიფე! ყოვლის შემძლებელი არ გაგვიმეტებს, რომ...

მეფე – მოიცა, შვილო! მე, შენც ხედავ, ამ უცნაურმა გულის ფრიალმა მომიდნო, აღარ შემიძლია, რომ ჩემებურად რაზმი დავანყო და ომში ვიტრიალო! ეგ შენი დანყობილი საქმე შენვე უნდა დააბოლოო. შენ უნდა გასცე პასუხი მტერსაც და მოყვარესაც.

ირაკლი – (აღტაცებით) მზად გახლავარ, ჩემო ხელმწიფე!

მეფე – იმედიცა გაქვს?

ირაკლი – ღვით!

მეფე – წინდახედულობა გმართებს. ხომ მარტო სურვილით არა ხარ გატაცებული?

ირაკლი – დავთვალე მათი ბანაკი, გავსინჯე სიმაგრეები, შევიტყე მათი რიცხვი. თუმცა ერთი ხუთად მეტი არიან, მაგრამ, თუ ღმერთიც მოწყალე გვეყოლება, არა გვიშავს რა.

მეფე – ნუ დაივიწყებ, რომ ისინი ომში გამოცდილები არიან და შენ ჯარში კი უმეტესობა სულ ახალგაზდობაა.

ირაკლი – მართალი არის, მაგრამ, რაც მამაპაპისაგან სამკვიდროდ მიუღიათ და რაც ძვალ-რბილში გაჯდომიათ, იმას არ უღალატებენ.

მეფე – მომწონს ეგ შენი თამამობა! მაგრამ მე კი მაინც მათი რიცხვი მაშინებს.

გივი – ერთი ათათაც რომ მომეტებულნი იყვნენ თათრები, არ შეუშინდებით, ჩემო ხელმწიფე! მაგრამ მე უფრო ალისკანტ ბელადის შიში მაქვს. სამი ათასის ლეკით ჩასაფრებულა მისავალთან და ზურგს უმაგრებს მტერს.

ბაადურ – აი, შეურცხვა მეზობლობა! რა იციან იმ უგუნურებმა, რომ ჩვენი განირვით თავის თავსაც ილუპავენ. თავისვე საკუთარი დანით იჭრიან ყელსა! ჯერ ვერა ხედვენ. მოვა დრო, იგრძნობენ, მაგრამ გვიანლა იქნება.

გივი – მაგით ისინი მაინც თავისას არ დაიშლიან, ჩემო ბაადურ.

ბაადურ – ვიცი, ვიცი. სულ იმ წუნკი ალისკანტის ბრალია და ვაი, რომ აღარა შემიძლიან მისი დავლურში გამოწვევა.

ირაკლი – არაფერია, ჩემო ბაადურ! გამოჩნდება მისი მოპირდაპირეც!

მეფე – თუშები რამდენი გყავს?

ირაკლი – სამასი... ჩემთან არიან.

მეფე – ფშავ-ხევსური?

ირაკლი – ცხრაასი კაცი.

მეფე – ასი თუშიც მიუმატე და ისინი მიუშვი ლეკებზე.

ბაადურ – ნოშრევან ჭავჭავაძე გაატანეთ... ის მიუძღვეს წინ, გამოცდილი გაუკაცია.

ირაკლი – ჩვენც ეგრე გადავსწყვიტეთ.

მეფე – მემარჯვენე სარდლათ ვინა გყავს?

ირაკლი – ლევან ქვაბულიძე.

მეფე – მემარცხენეთ?

ირაკლი – რევაზ ბებურიშვილი.

მეფე – კეთილი! მამ, მამშველებელ ჯარს ვინ სარდლობს?

ირაკლი – ჯანდიერიშვილი.

მეფე – კეთილი! მოწინავე ვინლა არის?

ირაკლი – მე, ჩემო ხელმწიფე!

მეფე – არა, შვილო! მაგას კი ველარ მოგიწონებ. მთავარ სარდალს მენინაობა არ შეშვენის... ჯანდიერიშვილი მიაგზავნე შენს მაგივრად და შენ მის ადგილას დარჩი. მხოლოდ ამ პირობით დაგრთავ ნებას.

ირაკლი – თქვენი ნება გახლდეს! სიმდაბლით დაგემორჩილებით.

მეფე – ყმანვილობამ არ გაგიტაცოს და გულს არ გადაჰყვე! გივო! უკანასკნელ გაბარებ: თვალყური გეჭიროს. ახლა კი მიწა, შვილო, დაგლოცო. ყოვლადშემძლებელმა ღმერთმა გინამძღვაროს. წმინდა გიორგი იყოს შენი დამხმარე... და ნუ მოგაკლოს მისი მფარველობა ამ სინმინდემ, ამ ძელმა ჭეშმარიტმა (აიხსნის და ირაკლის გადაჰკიდებს). მშვიდობით, შვილო! (ირაკლი ჰკოცნის).

დედოფალი – მშვიდობით, ჩემო შვილო! დედაშვილობის გამჩენმა მოგიმართოს ხელი (ეთხოვებიან, ირაკლი გადის თავის ამალით. დიდი ხნის სიჩუმეა. მეფე აღლევებულია და ორი ხელი გულზედა აქვს მიდებული. დედოფალი ცრემლებს იწმენდს და ქალები ჩუმად ქვითინებენ).

ბაადურ – როგორ ბრძანდებით? რა მოგდისთ, ბატონო მეფე?

მეფე – არაფერი... გადამიარა. ისე საშინლად აღარ მიძგერს... ბატონო დედოფალი!.. მიიღებს თუ არა მტერი პასუხს, მაშინვე ასტეხს ბრძოლას... ჩვენი აქ ყოფნა საშიშია... ნავიდეთ მთაში... შევიდეთ სიმაგრეში და აქაურ ამბებს ზედიზედ მიკრიკები მოგვახსენებენ.

დედოფალი – ჩემო ხელმწიფე! როგორც ცოლი, მორჩილი ვყოფილვარ თქვენი და, როგორც დედოფალი, მონა თქვენის მეფობისა!.. მაგრამ დღეს კი, ნება მიბოძეთ, მოგახსენოთ რამ და შემოგჩივლოთ... შემოგვედროთ ჩემი სურვილი. თქვენ ნაბრძანდით და მე კი აქ დავრჩები. როგორც მეფე, თქვენ მოვალე ხართ, იცოცხლოთ ხალხისათვის და მე კი, როგორც დედოფალი, ბევრად არას დავაკლდები ქვეყანას. თქვენ შეგიძლიანთ, ვინც გინდათ, ის გახადოთ დედოფალი.

მეფე – მაგას რას ბრძანებთ, დედოფალი?

დედოფალი – დიას! როგორც დედას, მე მსურს, რომ ჩემი შვილის სიახლოვეს ვიყო, თვალთ ვუყურო იმის განსაცდელს და გულით ღმერთს ვავედრო... (ქალებს) თქვენ რაღას იტყვით, ჩემო კეთილნო!.. გთხოვთ, თქვენც დამეხმაროთ და შემავედროთ მეფეს...

ელენე – ბატონო დედოფალი! ჩვენ ერთპირად კიდევ გადავწყვიტეთ, აქვე დავრჩეთ მახლობლად, სადაც ჩვენები იქნებიან. დეე, ჩვენის სიახლოვით სიმხნე გაუორკეცდეთ ჩვენს ქმრებ-ძმებს და შვილებს და ჩვენის შეხედვით საგმიროდ გაიმსჭვალონ.

ბაადურ – ნება მომეცით, რომ მეც თქვენთან დავრჩე... და თუ ვინიცოხა ბედი გამწირავს... ფეხალაგობ ერთხელ კიდევ მოიქნიოს მტრის მოსაგერებლად ბაადურმა თავის გაუყრელი ხმალი.

დედოფალი – რას გვიბრძანებ, ბატონო თეიმურაზ?

მეფე – (დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ და მღელვარებს). აგრე იყოს... თქვენი ნება! მაგრამ... მაგრამ მეც თქვენთან უნდა დავრჩე, ჩემო ძვირფასო თამარ!..

ფარდა დაეშვება

მოქმედება მეოთხე

სცენა 1-ლი

მალლობი ადგილი

გამოსვლა 1-ლი

მეფე, დედოფალი, ბაადურ, რამდენიმე კარის კაცები და ქალები

მეფე – (ღურბინდით გადაჰყურებს) საკვირველია! ამ სიმორიდამ ყველაფერი ისე იხედება, როგორც სარკეში. თითქმის სახესაც კი გაარჩევს კაცი.

დედოფალი – ომი დაწყებულია?

მეფე – დიდი ხანია! მაგრამ ჩვენი ჯარი გულდაგულ ჯერ მხოლოდ ლეკის საფარს აწვება, სხვაგან კი ყოველის კუთხით მხოლოდ კენწლაობაა. აი,

კიდევ სხვა ჯარიც მოდის ზედ იერიშით, მაგრამ ეს რას ნიშნავს? უდიდესი ნაწილი მოსწყდა, სადღაც მიდის, ჩამოშორდა რაზმს...

ბაადურ – ეგ ნოშრევანის ხერხი იქნება. უთუოდ უნდა, რომ თავი მოუაროს და უკანიდან მოექცეს მტრის საფარს.

დედოფალი – ღმერთო, ღმერთო! შენ გადმოგვხედე წყალობის თვალით.

ქალები – ღმერთო, ნუ მოგვაკლებ შენ მოწყალებას. შენ მმესავ ერს.

მეფე – შეცვივდნენ საფარში, რა თავგამეტებით მიდიან! ვაი, გამოჰყარეს, ისევე გარბიან, – უკან ლეკები მოსდევენ... ა... ეს რას ნიშნავს? ლეკებიც საფარს აგდებენ, თვითონაც მინდვრათ გარბიან.

ბაადურ – ეგ არის, ბატონო თეიმურაზ! მენიშნა, ეგ ნოშრევანის ხერხია. უთუვოდ ჩვენმა ჯარმა უკანიდამ მოუარა და საფარი დაატოვებია. აბა, შეხედეთ კარგათ: ორ ცეცხლშუა იქნება მტერი.

მეფე – დიახ. უკან ველარ იხედვენ – მინდვრად გამოსულან და ისე იბრძვიან, ჩართული ომია... ხან ერთი მხარი იხევეს უკან და ხან მეორე... ჯგუფ-ჯგუფად ომობენ. აი, ვილაცამ გამოახტუნა ცხენი ლეკების რაზმიდამ, თვითქოს ვილაცას ინვევსო.

ბაადურ – დავლური იქნება. ერთ-ერთს გამოითხოვდა.

მეფე – აი, ჩვენი რაზმიდანაც გავიდა ვილაც! ოჰ, საცოდავი მისვლის უმალ ჩამოვარდა ცხენიდან. მეორეც გავიდა. ოჰ, ოჰ, ვაი სირცხვილო! შეემინდა, უკანვე გამობრუნდა და კიდევ სხვა გადის. მიუახლოვდნენ. ოჰო, ოჰო, ოჰო! ღმერთო, ხელი მოუშართე. ოჰ... ესეც ჩამოვარდა.

დედოფალი – ღმერთო ჩემო! ნუთუ, ღირსი მოპირდაპირე ველარ გამოუჩნდნენ.

ბაადურ – ვაი, თუ ის შეჩვენებული ბელადი ალისკანტი იყოს, ბევრს გააფუჭებს.

მეფე – ეგერ, შორეულის რაზმიდან ვილაც მოაქანებს ცხენსა, მოდის გულდაგულ მტერზე... აი, კიდეც მოუახლოვდა. ეძგერნენ ერთმანეთს, შეებნენ... ოჰ, რა საოცრათ იბრძვიან. ერთი მეორეს გარს ჯარასავით უტრიალებენ... ოჰ! ოჰ! ოჰ! ჩამოვარდა ერთი მათგანი. – არ ვიცი კი ვინა, ჩვენი თუ მტერი... ჩვენი ყოფილა... კიდე სხვა აპირებს გასვლას ჩვენი მხრიდან, მაგრამ არ უშვებენ – არ დაიშალა... გამოუსხლტა ხელიდამ და მიდის პირდაპირ მტერზე... ღმერთო ჩემო, ვგონებ ირაკლია...

დედოფალი – ირაკლი!

ბაადურ – ღმერთი მოწყალება, დედოფალო!..

მეფე – შეაჩერა ცხენი! ახლა ზედ მიაგდო!.. ეს რა ამბავია! ასე უეცრად ჩამოვარდა.

დედოფალი – ირაკლი!

მეფე – მტერი, დედოფალო, მტერი!

დედოფალი – დიდ ხარ შენ, უფალო! (გულს ეყრება. ქალები აბრუნებენ).

მეფე – გაიქცენ ლეკები... დაფრთხენ... საფრისაკენაც ველარ ბრუნდებიან... მოეტოვა ჩვენი ჯარი, ალაზნისაკენ მიერეკებიან.

ბაადურ – ღმერთო, შენი სასწაული!

მეფე – ახლა, სხვაგანაც, ყოველი კუთხით შეუტყეს ჩვენმა ჯარმა. ხელჩართული ომია. ნელ-ნელა უკან-უკან იწევენ მტრები. გატყდა მარჯვენა მხარე... მარცხენაც დაიძრა... ოჰ, ღმერთო, შენს მადლს, მტერი გაქცევას აპირებს, გაიქცენ. მოედვენ ქართველები. აი, ცხენოსანი ჯარიც გამოუდგა... ღმერთო ნუ... ნუ მოგვაკლებ შენ სასწაულს.

დედოფალი – ღმერთო, გადმოგვხედე წყალობის თვალით.

გამოსვლა მე-2-რე

ისინივე და შიკრიკი (შემორბის)

შიკრიკი – ღმერთმა გამარჯობა ნუ მოგიშალოსთ. მტერი მარცხდება... გატყდა მტერი და უკან იხევა. ალისკანტის სიკვდილი და მტრის გულის გატეხა ერთი იყო.

ბაადურ – ალისკანტის!

შიკრიკი – თუ ლეკებს არა, გამარჯვება აქამდინაც დაგვრჩებოდა. მათ საფარიდამ გამორეკას ბევრი ხანი მოუნდით. ბევრი კარგი ვაჟკაცი გაგვიფუჭეს...

მეფე – ის ვინ იყო დავლურში გამოსული?

შიკრიკი – ალისკანტი. ბევრი დაგვიხოცა: მაყაშვილი მოგვიკლა და ლევან ქვაბულიძეც სასიკვდილოთ დასჭრა ლალატით.

ელენე – უი, ჩემ სიცოცხლეს (გულს ეყრება).

დედოფალი – არა უშავს რა, მხოლოდ დაჭრილა!

მეფე – ლალატით.

შიკრიკი – დიახ, ბატონო მეფე! უთხრა: ნულა მომკლავ, დაგნებდებიო და, როდესაც ლევანმა ხელი შეაჩერა, მაშინ ისარგებლა იმ შერცხენილმა, მაგრამ სისხლი კი ამოიღო ბატონიშვილმა ირაკლიმ.

დედოფალი – ირაკლიმ? საპირდაპიროდ გავიდა!

შიკრიკი – ბევრი უშალეს... გივმა მკვახე სიტყვებიც ჰკადრა, მაგრამ თავი გამეტებული მივარდა ლევანის დასახმარებლად... და მისვლისუმაღვე შუა გაჰკვეთა მოპირდაპირე.

მეფე – ალისკანტი? საარაკოა! ეგები ბატონიშვილად იცნა და არ გაიმეტა! ან ყმანვილობა რომ შენიშნა, არად ჩააგდო?

შიკრიკი – რა ბრძანებაა. ისიც კინაღამ ლალატით დაამარცხა. ვაჟკაცურ წესს გადაუდგა, მისვლაც აღარ აცალა ბატონიშვილს, რომ თოფი ახალა გულზე.

დედოფალი – დასჭრა?

შიკრიკი – არა, დედოფალო! ტყვია ძელ ჭეშმარიტს მოხვდა, გულზე რომ ეკიდა, და მხოლოდ ვერცხლი გასწყლიტა.

მეფე – გმადლობ შენ, უფალო!

ბაადურ – ღმერთო, ნუ მოგვაკლებ შენ სასწაულს!

დედოფალი – ახლა კი ვხედავ, რომ ღმერთს არ სდომებია ჩვენი გამეტება.

მეფე – კარგი მახარობელი ხარ და სამახარობლოც გერგება. მტერი სიმაგრედამ გამორეკეს?

შიკრიკი – გამოდევნეს, გააქციეს, დააყოლეს ალაზნის პირს და ჩვენი ჯარიც უკან მისდევს... მოსვენებას არ აძლევს.

ისინივე და კიდევ შიკრიკი (შემოვა)

შიკრიკი – დავილუპეთ, ბატონო მეფევ! დავილუპეთ!

ყველა – (შეშინებულნი) რა ანბავია? როგორ თუ დავილუპეთ?

შიკრიკი – დაგვამარცხეს... განსაცდელში ჩავარდა ჩვენი ჯარი.

ბაადურ – რას ანბობ? ჭკუაზე ხო არ შეშლილხარ? მტერი აკი დამარცხებული გაიქციეს ჩვენებმა?

შიკრიკი – მართალია, მაგრამ იქ მოულოდნელად, თფილისიდან მოსული სერასქირი დაგვხვდა აუარებელის ჯარით. უცბათ შემოკრა ჩვენი ჯარი, გარს გველაშაპივით შემოეხვია და ჩვენი გამარჯვება დამარცხებათ შეგვიცვალა.

მეფე – ვაი, ჩემს მოსწრებას!

შიკრიკი – უპირველესი მეომრები გაგვინყვიტეს, გივი მოგვიკლეს და ბატონიშვილი მცირე რაზმით საფარში შევიდა, გამოსასვლელი გზა აღრსად არის... მე როგორც იქნა, გამოვიპარე შეუნიშნავად... ბატონიშვილმა მოგახსენათ, ჩვენ თავად ვერ მივცემთ ჩვენს თავს... ვაგლახად ვერ დავნებდებითო და თქვენა გთხოვთ, რომ თავს უშველოთ, ნაბძანდეთ...

მეფე – ეს რა მესმის! ვაი, ჩემს მოსწრებას!

დედოფალი – ვაი, უბედურის თამარის გამწარებას!

ქალები – ვაი, ჩვენს სიცოცხლეს!

ბაადურ – დაგვამარცხეს... გივი მოგვიკლეს... ჩვენს ჯარი შემოჰკრეს. ბატონიშვილი განსაცდელშია და შენ აქ რაღას უზიხარ, ბაადურ! წამიღეთ... წამიღეთ, მიმიტანეთ იქ, რომ უკანასკნელად კიდევ მოვიქნო ჩემი ხმალი და მეც მათი ბედი გავიზიარო!.. (მიაქვთ).

მეფე – შენ კი ვილასთვის უნდა დარჩე, მეფე თეიმურაზ? ჩემი ვალია, იქ, განსაცდელს ადგილს მივიდე.

დედოფალი – (სასწრაფოებით, ლეჩაქს მოიგლეჯს) წავიდეთ, მეფევ!

ელენე – ნულა დავუტყდით მტრის აქ ამოსვლას. ჩვენ მივეგებოთ, თუ იარაღით ვერა, შეჩვენებით მაინც.

ქალები – (ლეჩაქს იგლეჯენ) წავიდეთ! წავიდეთ! (ჩამოდიან დაბლა).

გამოსვლა 4-ხე

ისინივე, ირაკლი შემოიჭრება მხიარულად

ყველანი – ამას რას ვხედავთ!

ირაკლი – რა ანბავია? რას შეუშინებხართ? მომილოცავს, ბატონო მეფევ, გამარჯვება!

ყველანი – გამარჯვება?

ირაკლი – დიახ. ღმერთმა მოგვანიჭა ძლევა... საარაკო და გასაოცარი, მომილოცავს!

მეფე – რას ამბობ, შვილო?

ირაკლი – სრულიად დამარცხებულია მტერი. გაიფანტა, ულონო შეიქნა.

მეფე – მაშ, ეს შიკრიკი!

ირაკლი – მე გამოგზავნე, მაშინ სწორეთ განსაცდელში ვიყავით და იმედიც აღარა გვქონდა. ვემზადებოდით ვაჟკაცურად სასიკვდილოთ. უეცრად რაღაც გუგუნი მოგვესმა. გულმა იგრძნო, გავიხედეთ და რა ვნახეთ: ყოველი კუთხით, კალიასავით მოდებული, მოგვეზღვა და მოგვეჭარა გლეხკაცობა... ჩამოერივნენ მტრის ჯარში სულ კეტებით, თოხებით, ნამგლებით, ცულეებით და სხვა... დედაკაცებს თავის ლეჩაქები გამოებათ ჯოხებზე, გაეკეთებინათ დროშები და მიუძლოდნენ ქმრებს. კალთით ქვებიც კი თან მოჰქონდათ. ამ სანახაობამ შიშის ზარი დასცა სერასკირს, იბრუნა პირი. მაშინ ჩვენ, გამხნეებულები, მივცვივდით და სრულიად დავამარცხეთ. მოდიდებული ალაზანი მტრებით აივსო... გზაარეულები თავისთავად შიგ ვარდებოდნენ. დამფრთხალ-გაქცეულებს ცხენოსანი ჯარი გამოვუყენე და მე აქ მოვეშურე მახარობლად. ღმერთმა ნუ მოგიშალოთ გამარჯვება.

მეფე – (გადახვევა) შვილო, ღმერთმა ნუ მოგიშალოს გამარჯვება და კიდევ უფრო ასახელოს შენი გმირობა. (ჰკოცნის).

დედოფალი – მოდი, შვილო, ჩამეკარ შენ გამზდელ ძუძუებში (ჰკოცნის). დღეს შენით ხელახლად იბადება დედაშენი.

ბაადურ – განა მარტო დედა!.. მთელი ჩვენი საქრისტიანო! ღმერთმა ნუ მოგაკლოს ძლევამოსილობა და ამიერიდან სულ მანგრე გამარჯვებით გატაროს, ჩემო ძლიერო ბატონიშვილო! (სიხარულია).

ყველანი – ამინ!..

ირაკლი – მხოლოდ ეს მანუხებს, რომ ჩემს სიხარულს ფრთები შეაკვეცა გივის დაკარგვამ. უკანასკნელ დრომდი იბრძოდა და ბოლოს ისე დალია სული, როგორც ეკადრებოდა გმირს. სასიკვდილოთ დაჭრილმა, შუაგახვრეტილმა ცალ გვერდში ხელსახოცი დაიცვა, მეორეში ბალახით და, სანამ ბრძოლა არ გათავდა, ხმალი ხელიდამ არ გაუგდია. ბოლოს კი, რაც მტერი დამარცხებული და გაქცეული დაინახა, გაიხსნა ჭრილობა და ორივე მხრიდან დაგუბებულმა სისხლმა შადრევანივით გამოასხა, დასუსტდა სასიკვდილოთ დაკოდილი და ღიმილით გაუტევა სული. მისი უკანასკნელი

სიტყვა ეს იყო: გამადლობ შენ, უფალო ღმერთო, რომ დღეს კიდევ მომასწრო (ცრემლებს ინმენდს).

მეფე – ღმერთმა საუკუნო ნათელი დააყენოს. მისი ერთგულება საშვილიშვილოა და მისი ღვანლი უთვალავი.

ბაადური – ნათელი მის სულს. მადლიანი იყო და მადლიანად განუტევა ეს სოფელი. ნეტავი, მეც მღირსებოდა მისი ბედი და საპყარად კი არ დავარდნილიყავ... მაგრამ... ეს ყოველივე ღვთის ნებაა, იმან უკეთ იცის (ცრემლებს ინმენდავს).

ირაკლი – ჩემი მარჯვენა მხარე, ახალგაზდა და გმირი... ჩემი ლევან ქვაბულიძეც მძიმეთ დამიჭრეს. მე ვუბრძანე აქ მოტანა, რომ უკეთ მოუაროთ. ვუპატრონოთ... აი, ისიც აგერ მოჰყავთ. ცოცხალია?

მომტანი – შუა გზაზევე დალივა სული! წაიღო თქვენი ჭირი!

ელენე – (იკივლებს) უი! უბედურ ელენეს მოსწრებას. ლევან! ლევან!

ქალები – (შემოუხვევიან) სსუ!.. თავი შეიკავე. აქ ადგილი არ არის (ელენე ჩაიკეცება და ჩუმად ტირის).

მსახური – ბატონო! ის უცხო ყმანვილი მკვდრებში დაჭრილი ვნახეთ. გვთხოვა, რომ მეც ლევანთან წამიღეთო, ნუ მომაშორებთო, და თუ გვიბრძანებთ... შემოვიყვანთ... იხვენება...

მეფე – ვინ უცხო?

ირაკლი – საკვირველია მართლა! ერთი ვილაც უცხო, ყველას უცნობი ყმანვილი, თითქმის ჯერ კიდევ ბავშვი, გამოურია ჩვენ ჯარში და საარაკო საქმეები ჩაიდინა: ლევანს არ შორდებოდა... მხარში უდგა... და როდესაც ლევან ჩამოაგდეს ცხენიდან, იმან იარაღი ხელიდან გააგდო!.. ჩემო ლევან, შენ დამკარგავს გამარჯვება აღარ ეთქმის... ვაი, ჩემს თავს...

მეფე – საკვირველია, შემოიყვანეთ (შემაქვთ).

დაჭრილი – ლევან!.. ჩემო ლევან! მაჩვენეთ, სად არის... მიმიყვანეთ. ეს არის! ეს!.. ოჰ, ჩემო ლევან, შე უპირო... შე მოლაღატევე!.. აგრე უნდა?... მიმტყუენე განა?... შენ გაემგზავრე და მე კი აქ მარტოს მაგდებდი... ეგ იყო შენი ალთქმა, შენი ფიცი? არა, არ გაგატეხინე ფიცი, არ ჩაგაგდე ცოდვაში. შენ რომ მოგკლა, მე იმ იარაღმა დამჭრა სასიკვდილოდ. ან აღარ მოგშორდები... აი, შენი ნიშანიც... ჩემი ავგაროზი... წაიღე... წაიღე... (გულს ისხნის და ავგაროზ იგლეჯს და გულზე ადებს) მშვიდობით... არა... (კვდება).

მსახური – საკვირველებავ, ქალი ყოფილა!

ყველა – ქალი! ვინ უნდა იყოს?

გამოსვლა მე-5

ისინივე და გელა (შემოდის)

გელა – მე ვიცი, ვინც არის!.. სად არის მეფე! მიმაბრუნეთ. ბატონო მეფე, ღმერთმა გამარჯვება ნუ მოგიშალოს და ადიდოს შენი მეფობა. მიმაბრუნეთ დედოფლისაკენ. ბატონო დედოფალო! ღმერთმა გიკურთხოს

ძუძუები, რომლითაც ირაკლი გამოგიზდია, და შენც, ჩემო ბატონიშვილო ირაკლი, სად არის?

ირაკლი – გელა!..

გელა – ძლევამოსილი გივლია ყოველთვის... ბატონიშვილო! შევასრულე თქვენი ბრძანება: აი, გიახელ სასახლეში და ჩემი ქალიც... ეს ჩემი ქალიც მომიყვანია... უკანასკნელი გმირი... უკანასკნელი მსხვერპლი ხმალიდან გვარისა. აბა, სადა ხარ, შვილო? მიმიყვანეთ... (მიჰყავთ). მაჩვენეთ აბა ჭრილობა!.. ვაი, რომ ვერა ვხედავ! (ხელებს უფათურებს დაჩოქილი). შენი ლევანიც აქ არის, შენი მწყემსი, ერთად ხართ... აღარ გახსოვს, მაგის გულისთვის რომ უსწორ-მასწოროდ მატარებდი? ახლა კი სწორი გზა აგიჩვენიათ ორივეს. წადი, შვილო, მიდი იქ, უმახარობლე ჩვენებს, შეატყობინე შენ ძმებს, რომ ქართველებმა გაიმარჯვეს, უთხარ დედაშენს, ირაკლიმ ძლევა შეიმოსათქო... უმახარობლე და მეც მალე მოვალ, დავამონებ შენ მახარობლობას (ჩაეკონება. ყველანი ჩუმად ტირიან).

დედოფალი – დაილოცა, ღმერთო, შენი სამართალი და განგება, რომ უმსხვერპლოდ ძლევას არავის მიანიჭებ. საბრალო ქალი და უბედური მოხუცი.

ირაკლი – დრო არ არის, რომ უზომო მწუხარებას და გლოვას თავი მივცეთ... დიდებულო მეფე! მიიღეთ მოვალეობა, რომ მკვდრებს უპატრონონ და დაჭრილებს მოუარონ... თქვენც, ჩემო ძვირფასო დედოფალო და უძვირფასესო დედავ!.. გებრალეობდეთ ქვრივ-ობლები... მეც ვალდებული ვარ, ისევე ჯარს მივუბრუნდე, მივხედო და უკანასკნელი განკარგულებაც მოვახდინო და ჯერ კი ყველამ ერთად უნდა სამადლობლო პარაკლისი შევსწიროთ ძლევის მომნიჭებელს.

მეფე – აგრე ვქნათ შვილო!

დედოფალი – ყოველი საქმე ღვთით უნდა დაგვირგვინდეს, შვილო. აი, (ზარის რეკა მოისმის შორიდან) ნიკოლოზ ალავერდელმა კიდევ ჩამოარეკინა ზარები (ყველანი ყურს უდებენ, რეკა ისმის).

მეფე – (მუხლს იყრის) „აღზდეგინ ღმერთი და განიბნენ ყოველნი მტერნი მათნი!“ (იჩოქებს მალა ხელაპყრობილი, ყველანი იჩოქებენ. ფარდა ნელ-ნელა ეშვება).

დასასრული

D წყაროს პროზაულ ხელნაწერს ბოლო, 82-ე, გვერდი აკლია (154. 3 „უბედური მოხუცი ...“), რის გამოც „გელას“ ტექსტის ეს ნაწილი შევავსეთ E წყაროდან.

ორივე, D და E, ხელნაწერში პირველი მოქმედების მე-7 გამოსვლაში გივის მიერ მოხსენიებულია „ლეონ ქვაბულიძე“ (121. 30), რაც გადამწერის უნებლიე შეცდომად მივიჩნიეთ და გავასწორეთ: „ლეონ ქვაბულიძე“, რადგან ტექსტში ყველგან წერია „ლეონ“.

D-ში (124. 14) ავტორის მიერ მოქმედ პირად გამოყვანილი „მოხუცი“ მოხუცი გელა არ არის.

D-ში (127. 1,2) მოქმედი პირი „თედო“ ორჯერ არის ნახსენები. ეს შეცდომა გავასწორეთ.

D-ში (138. 25) „რევაზ“ ერთ წინადადებაში ორჯერ არის გამოყენებული, რაც ჩავასწორეთ და დავტოვეთ ერთი სიტყვა.

E-ში (154. 4,9) სიტყვები „გლოს“ და „უკანასკნელი“ გადამწერის მიერ დაშვებულ შეცდომებზე მივიჩინეთ და გავასწორეთ სიტყვებით: „გლოვას“ („უზომო მწუხარებას და გლოვას თავი მივცეთ“) და „უკანასკნელი“ („ჯვარს მივუბრუნდე ... და უკანასკნელი განკარგულებაც მოვახსენო“).

ისევე, როგორც „ირაკლი ბატონიშვილის“ შემთხვევაში, „გელას“ ბოლო (IV) მოქმედების მე-4 გამოსვლასაც მოსდევს მე-6 გამოსვლა, რაც აქაც უნებლიე შეცდომად მივიჩინეთ და ნუმერაციით მე-6 მე-5 გამოსვლად გადავასწორეთ.

417. 13 გამზდელი] გამზრდელი E; 20 თედორე] თევდორე E; 22 1-ლი] პირველი E; 30 ქვაბულიძე] ქვაბულაძე E.

418. 6 მ-რე] მე-2-რე E; 15 გძელი] გრძელი E; 17 ეჰ] ჰე E; 27 უსამართლოდ] უსამართლოთ E; 35 გადახრამდი] გადახრამდე E.

419. 18 დილაადრიანათ] ადრიანათ E; 19 დაადგამდა] დასდგამდა E; 20 დრეკას] ძრეკას E; 24 ახლა] ეხლა E; ღმერთთან] ღმერთან E; 29 გავრეცხ] დავრეცხ E; 38 რამა] რომა E; 39 არი] არის E; 40 მაყვლოვანს] მაყვალოვანს E.

420. 9 რალაი] რალაით E; 12 განა] გან E; 13 ვატყუებ] ვატყუებ E; 19 ერთისა] ერთის E.

421. 16 დედა] დედაც E; 20 ჩენის] ჩენი E; 34 ყმანვილქალობაც] ყმანვილი ქალობა E.

422. 1 მშვი] მშვიდ... E; 10 რომ] რო E; 30 გიდულს] გიდუხს E.

423. 27 გებრძოლათ] გებრძოლოთ E;

424. 3 მკვდრებმა] მკვიდრებმა E; 7 საყდრიდან] საყდრიდამ E; 24 4-თხე] 4 ხე E; 30 იმავე] იმავე E; 35 იმგვარსავე] იმგვარივე E; 37 უსამართლობის] უსამართლების E.

425. 13 ჩამომრჩით] ჩამორჩით E; 30 თემი] თემში E; 32 მთიელებს] მთიულებს D.

426. 10 უბედურებამ] უბედურება D; 18 მოქნევა] მოჰქნევა E; 31 გამზრდელი] გამზდელი E; 32 საასპარეზედ] საასპარეზოთ E; 37 წლოვანობით] წლოვანებით E; 39 განვრთნილი] განვრთნილი E.

427. 2 გამზდელი] გაზდელი E; 9 სამღვდელობა] სამღვდელოება E; 13 წამოდგეს] წამოსდგეს E; 27 ცხვრებსავით] ცხვრებივით E; 32 ანობენ] ამობენ E; 36 გაზრდილი] გაზდელი E.

428. 5 ნაბადზე] ნაბადზედ E; 7 აუცდენლათ] აუცდენელათ E; 22 სიჩუმე] სიჩუმეა E; 27 შესტიკვა] შეტიკვა E; 28 ეჭირვება] ეჭირება E; 32 გადამიყოლია] გადმოიყოლია E.

429. 2 გადაფრინდენ] გადაფრინდენ E; 5 გულს] გულის E; 26 ქვაბულიძეა] ქვაბულაძეა E; ქვაბულიძე] ქვაბულაძე E; 27 მკვლელია] მკვლეელი E; 29 მმართველს] მართველს E; 35 მტრებზე] მტრებზედ E.

430. 2 ნოდარის] ნადირის E; 24 მართალი არის] მართალია E; 33 გამიცუდე] გამიცურე E.

431. 1 მოქმედება მეორე] მოქმედება მესამე E .

432. 1 მოყვრულად] მოყვრულათ E; 19 ამბავია] ანბავია E.

433. 1 2-ე] 3-მე E; 23 ახლა] ეხლა E; 24 წამობძანდება] წამობრძანდება E; 26 მომეკალ] მომკალ E; 28 3-მე] 2-ე E.

434. 37 ქობულიძეები] ქობულაძეები E; 39 ბევრჯველ] ბევრჯელ E.

435. 12 ავირბენ] ავირბინო E; 26 ჩოლაცაშვილო] ჩოლოცაშვილო E; 29 უბედურობას] უბედურებას E.

436. 9 დავრწმუნებულისავე] დავრწმუნებულისავე E; 12 აღტაცებით] აღტაცებული E; 24 შეერთდეს] შერიგდეს E; 35 გახლავსთ] გახლავთ E; 37 ბატონიშვილო] ბატონის შვილო E.

437. 5 როგო] როგორ E; 18 ბატონიშვილო] ბატონის შვილო E; 22 წყალობისა] წყალობის E; 29 მე მაგას + მე მაგას E; 31 ვნახავთ] ვნახოთ E; 40 რაცა] რაც E.

438. 2 ცხენი] ცხენიანი E.

439. 3 და სანუნი] და სანუნარი E; 5 ბატონიშვილსა] ბატონის შვილსა E; 11 ბატონიშვილს] ბატონისშვილს E; 31 გამოდიან] გამიდიან D.

440. 2 ახლაც] ეხლაც E; 11 თავგასატეხათ] თავგასატეხ E; 27 ვუმახარობლოდ] ვუმახარობლოთ E; 28 გადავიაროდ] გადავიაროთ E.

441. 1 მოქმედება მესამე] მოქმედება მეორე E; 20 ანბავია] ამბავია E; 21 ხემნიფევე] ხელმნიფევე E; 3 ქალი] ლევან D*.

442. 16 გამიცუდედა] გამიცუდა E; 26 ანობ] ამობ E; 28 სოფლებიდგან] სოფლიდგან E; 31 გადავიხადოთ] გადავიხადოთ E; 35 ალისკანტ] ალისკანეტ E.

443. 8 რევაზ, მაქვს, რევაზ] მაქვს, რევაზ E; 20 მიგიყვანოს] მიგიყვანოს E; 21 ვინიცობაა] ვინცობაა E; 31 რას] რა E; 32 გაძრახებულმა] გაძროხებულმა E.

444. 6 მახარობელი] მახარებელი E; 9 მოგეხვევი] მოგერევი E; 24 დედოფალიც] დედობილიც E.

445. 23 უზომოდ] უზომოთ E; 25 სახელოვნად] სახელოვანად E; 29 წერტილამდე მიჰყვებს] წერტილამდე მიჰყავს E; უბედურობას] უბედურებს E; 35 როგორც – E; 36 ვვარდებით] ვივარდებით E; უთვალავია] უთვალავი E.

446. 3 და – E; 8 რაზმათ] რაზმით E; 15 დაეხანაკებიათ] დაეხანაკებათ E; 25 შეურაცხყოფთ] შეურაცხყოფთ E; 40 რამ მიუწოდომელია] რა მიუწოდომელია E; წინდახედულება] წინდახედულობა E.

447. 18 მომიდნო] მომილო E; 32 იმას] ამას E; 37 ათასის] ათასი E; ჩასაფრებულა] ჩასაფრულა E.

448. 2 თავისვე] თავისივე E; 15 გადავსწყვიტეთ] გადავსწყვიტეთ E; 17 ქვაბულიძე] ქვაბულაძე E; 20 მამშველებელ] მშვენებელ E; 21 ჯანდიერიშვილი] ჯანდიერისშვილი E; 36 გულზედა] გულზედ E; 37 ჩუმად] ჩუმა E.

449. 31 გაარჩევს] გაარჩევ E; 34 კენწლაობაა] კენწლაობა E.

450. 5 მოუაროს] მოუყაროს E; 11 უთუგოდ] უთუოდ E; 18 ოპ] ჰოპ E; 24 იყოს – E. 35 მიაგდო] მოიგდო E.

451. 3 გატყდა მარჯვენა მხარე ... მარცხენაც დაიძრა –E; 5 მოედვენ] მოედვენ E; 15 მოუნდით] მოუნდათ E; 31 ყმანვილობა] ყმანვილებმა E.

452. 6 დაგვხვდა] დაგვიხვდა E; 25 დედოფალი – ვაი უბედურის თამარის გამწარებას! –E; 26 ჩვენს სიცოცხლეს] ჩვენი სიცოცხლე E.

453. 15 და –E; 29 ძლევამოსილობა] ძლევამოსილება E; 30 ბატონიშვილო] ბატონისშვილო E; 45 ხელსახოცით] ხელსახოცი E.

454. 9 ახალგაზდა] ახალგაზრდა E; 20 საკვირელია] საკვირველია E; 23 ხელიდან] ხელიდან E; 26 მიმიყვანეთ] მომიყვანეთ E; 30 სასიკვდილოდ] სასიკვდილოთ E.

455. 11 ჩვენებს] ჩვენს E; 12 შენ –E.

პატარა კახი – პატარა კახი, ერეკლე (ირაკლი) II (1720-1798), ქართლ-კახეთის მეფე (1762-1798), მეფე თეიმურაზ II-ის (1700-1762) ძე, ბაგრატიონი.

თეიმურაზ II – (1700-1762), კახეთის მეფე (1709-1715), ქართლის მეფე (1744-1762). მან შეძლო ქართლ-კახეთის შემომტკიცება, ერეკლე II-ის (1720-1798) მამა.

დედოფალი თამარ – (?-1746), მეფე თეიმურაზ II-ის (1700-1762) მეუღლე.

გივი ჩოლაყაშვილი – ჩოლოყაშვილი, თეიმურაზ II-ის (1700-1762) სახლთუხუცესი.

გელა – გელანა (გიორგი) ნათელაშვილი, იგივე გიორგი გელანაშვილი, იგივე გიორგი მეფისაშვილი, იგივე გიორგი ბაზალეთელი, იგივე ვერძეული, ფოლკლორული გმირი.

თამარ მეფე – იხ. თამარი, გვ. 368.

გიორგი ხმალაძე – იხ. გელა.

ღვთისმშობელი – მარიამი (ბიბლ.), იესო ქრისტეს დედა.

ირაკლი – იხ. პატარა კახი.

ქრისტე – იხ. მაცხოვარი, გვ. 369.

ტურა რამაზაშვილი – ზეპირსიტყვიერების მიხედვით, ტურა, ქაიხოსრო ვაჩნაძე, მხნე ვაჟკაცი და სახელოვანი მებრძოლი ერეკლე II-ის დროს. ხალხური ლეგენდის მიხედვით, ტურა ცუდი სახელით დარჩა ხალხის გონებაში მოლაღატებრივი საქციელის გამო (იხ. ქართ. ხალხ. საისტორიო ზეპირსიტყვიერება, ტ. II, 1964, №152, გვ. 133).

ნათუსალი – მათუსალა, მათუშალახი. ბიბლიური პერსონაჟი, ადამის შთამომავალი და ნოეს წინაპარი. იცოცხლა 969 წელი. ამიტომაც ხალხში მეტად მსცოვან ადამიანს მათუსალას ეძახიან.

ალისკანტი – XVIII საუკუნეში ლეკთა ბელადი.

მეფე ვახტანგი – ვახტანგ VI (1675-1737), ქართლის გამგებელი (1703-1714), მეფე (1716-1724). გიორგი XI-ის (?-1709) ძმის, ლევანის ძე.

ჯანდიერი – დავით, კახელი დიდებული, თავადი. შაჰ-აბასის (1571-1629) წინააღმდეგ 1615 წელს წამოწყებული ბრძოლის ერთ-ერთი მეთაური. დაიღუპა მარაბდის ბრძოლაში.

ხმალაძე – იხ. გელა.

ჯანდიერიშვილი – იხ. ჯანდიერი.

სერასქარი – (სერასქირი, სერასკირი, სარასქარი) თურქეთის არმიის მთავარსარდალი.

ნიკოლოზ ალავერდელი – XVIII საუკუნის სასულიერო მოღვაწე, თეიმურაზ II-ის (1700-1762) კართან დაახლოებული პირი.

მედია (გვ. 209)

ნ ა ბ ე ქ დ ი: ჟ. „კვალი“, 1895, №23, 28 მაისი, გვ. 1-4, №25, 11 ივნისი, გვ. 1-3 (B); ჟ. „აკაკის თვითური კრებული“, 1897, №11, სექტემბერი, (განყოფილება I), გვ. 15-103 (A).

თ ა რ ი ლ ი: [1893, 1895-1897]; 1895 B.

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი B.

პირველად ნაწყვეტები პოემიდან 1895 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „კვალში“ (№№23,25). 23-ე ნომერში დაიბეჭდა ნაწყვეტი II მოქმედებიდან, ხოლო №25-ეში ნაწყვეტი I მოქმედებიდან. რადგანაც ორივე წყარო პოემის სხვადასხვა მონაკვეთს მოიცავს და ერთ მთლიანობას ქმნის, ისინი ერთი ლიტერის (B) ქვეშ გავაერთიანეთ.

როგორც ცნობილია, აკაკის განზრახული ჰქონდა, დაენერა ტრილოგია: „მედია კოლხიდაში“, „მედია ელლადაში“ და „მედია, სამშობლოში დაბრუნებული“. ამ ჩანაფიქრის განხორციელება მგოსანმა ვერ განახორციელა. მან დაენერა ერთი პოემა „მედია“, რომლის შექმნაზე ფიქრი

აკაკის 1893 წელს დაუწყო. მამია დუდუჩავასა და იოსებ გრიშაშვილის მოსაზრებების გათვალისწინებით და საკუთარ ვრცელ გამოკვლევაზე დაყრდნობით ჯ. გაბოძე პომას აძლევს წყვეტილ თარიღს [1893, 1895-1897] (იხ. ჯ. გაბოძე, „აკაკის თხზულებათა გამოცემები“, თბ., 2009, გვ. 146-150), რასაც ჩვენც ვიზიარებთ.

A ტექსტში (242. 18) სტრიქონის შემდეგ ძუძუდას მონოლოგში ჩართულია მოქმედი პირი „ძუძუდა“, რაც სტამბურ შეცდომად მივიჩნით და გავასწორეთ.

A-ში (272. 8) სიტყვა „გეტყვი“ სტამბური შეცდომაა. ჩვენ ის ჩავასწორეთ ტექსტის შინაარსის მიხედვით: „გვეტყვი“ („სახლთუხუცესო! ახალს რას გვეტყვი?“).

210. 18 სქესისა| სქესის B.

211. 3 და სარკმლიანი —B; 4 1-ლი| B; 9 თვითქოს| თითქოს B; 10-15 ზესკნელ-ქვესკნელს ... ნათელი ბნელმა| და განთიადის მახარობელმა B; 16 დაიყვლა| დაიძახა B; 18-21 ამირან-გმირო ... შენზე მწყრალია!| სანამ მეორეთ არ დაიძახა, ბოროტი კეთილს ემუქრებოდა, გულში იმედიც აღარ გესახა (დაფიქრდება) B; 22 და, თუ ახლაც კი| თუ ამელამათს B; მოგიტხრია| მოუტხრია B; 23 ის უცნაური| ამირანს მისი B; 24 ამიერიდან| ამიერიდან B; 26 იხედება| გაიხედება B.

212. 8 შენს| შენ B; 9 სადიდებლად| სადიდებლათ B; მოჰფინოს| მოფინოს B; 12 მით| მათ B; 21Bდილა, დილაღ ~ B; 23 მეორე| II B; 24 თირთა| თირთაია B; შემკრთალი —B; 25-30 თირთა... შობილა! ძიძა! —B.

213. 1-27 ლოცვად ვიდექი ... ნახვიდე ქალიშვილებთან| გათენებამდე არა დარჩა რა ... თუ ქალიშვილებს კიდევე ეძინოსთ B.

214. 3 გადის| მიდის B; დაფიქრების შემდეგ —B; 11 გაგწირავდა| გაგწირამდა B; 15 მღერა| ჟღერა B; 19 იძვროდა| იძროდა B; 20-23 მიკვირს... ხმა უჩვეულო? —B; 25 დასამშვიდებლად| დასამშვიდებლათ B; 26 გასადიდებლად| გასადიდებლათ B; 27 III-მე| III B; 28 თირთა| ისევ B; 31 აქეთ| აქვსთ B.

215. 4 გძინებიათ| სძინებიათ B; გკითხოთ: + (მიუბრუნდება ქალიშვილებს) B; 5 ნაშუალამევს| ახალგაზდისთვის B; 6 თქვენ კი ფხიზლათ ხართ| ნაშუალამევს B; 8 მამიდა| მამიდავ B; 9-26 თირთა ნამზგავსი, გასაოცარი| ვნახე სიზმარი გასაოცარი B.

216. 1 იძვროდა| იძროდა B; ერთად| ერთათ B; 2 მთლად| მთლათ B; სულ| კლდე B; 3 მტვრად| მტვრათ B; 5 უეცრად| უეცრათ B; 9 მახლობლად| მახლობლათ B; 25 უძრავად| უძრავათ B; 31-34. მაგრამ მღვიძარსაც ... გაშტერებული —B; 36 რომ| აგისდება B; ასახდენია| შვილო B; 37 უბრალოდ| უბრალოთ B.

217. 1 საჭიდაოდ| საჭიდაოთ B; 10 შევნიერი| მშვენიერი B; 11 მხოლოდ| მხოლოთ B; 12 თირთა + (გულში იხუტებს) B; 13-21 უი, გეთაყვა ... არ იქნა, გული! | გეტყობა, შვილო, რომ შენ იმ სიზმრით ჯერ ისევე ხარ გატაცებული. გაივლის ხანი, გამოერკვევი ... დაგიშვიდდება მღელვარე გული B.

218. 8 მეტის| მეტი B; ჭარბი| ჭარბის B; 10 ყურებში სხვის| ყურში სხვისი B; 23 მარგალიტებად ზედათხეული| მარგალიტებათ ზედ დათხეული B; 24 სრულიად| სრულიათ B; 25 მაგა ჭურჭლებში| მაგ ჭინჭილებში B; 34 შვილდ-ისარი| მშვილდ-ისარი B.

219. 1 ხელმარჯვეთ| ხელმარჯვედ B; 4 ირიჟრაჟოს| ირიჟრაჟებს B; 5 მოსაკრეფად| მოსაკრეფათ B; 6 ამოსვლამდი| ამოსვლამდე B; 9 და + იმ B; ღმერთსა| ღმერთს B; 11 მოელვარე „ვერძს“| ზეციურ „ვერძსა“ B; 12 კოლხეთის| კოლხიდის B; 14 ის არ აგალებსთ| ნუ აგალებენ B; (მიდიან) —B; 15 (ძიძა მიდის)| (მიდიან ქალიშვილები) (ძიძა მიჰყვება) B; 17 მოუკრავთ| მოუკრამთ B; 18 ჰგავდა| გავდა B; 20 მაკვირებს| მაკვირვებს B; 25 დაფიქრდება| დიდხანს ჰფიქრობს B; 32 (გაალებს კარებს და შეჩერდება. ხმაურობაა)| (გადის გარეთ. ფარდა ეშვება) B.

221. 1 მოქმედება მეორე| დრამიდან „მედი“ B; 3 კოლხეთის| კოლხიდის B; 8 პირად| პირათ B; 11 წამომიტყუა| წამომიტყუა B; 14 სრულად გამმჭვალა მით| სრულათ გამმსჭვალა რა B; 15 ჩვენი| დიდი B; 17 სჯობია| ამეტებს B.

222. 2 გაზდილა| გაზრდილა B; 7 ორბი წამოვა მალლიდან| მალლიდან წამოვა ორბი B; 8 მკერდში ორი ისარი ურჭვია ერთად| კერდში ერთათ ორი ისარი ურჭვია B; დასჩერებია| დაჩერებია B; 9 სწორედ| სწორეთ B; 10 ურჩად| ურჩათ B; ჰფრენდა| ფრენდა B; 13 მეორე| 2რე B; 14 იაზონ —B; გამოიჭრებთან| გამოდიან B; 16 გაქვავებულებივით| გაქვავებულები B; ხელს მოავლებს ~ B; 17 გაიტაცებს| გაატრიალებს B; 18 გონს| გონზე B; 20 სანადიროდ| სანადიროთ B; 21 ელლინად| ელლინათ B; 23 ჰგავდა| გავდა B; 25 და მონადირედ| მონადირეთაც B; 26 ვის უნდა| აქ ვის რა B; 27 უცბად| უცბათ B.

223. 17 ვცხოვრობთ| ვცხოვრებთ B.

224. 12 ყოვლად| ყოვლათ B; 13 შევნიერებით| მშვენიერებით B; 18 მისი| მისის B; ქვეყნად| ქვეყნათ B; 22 ესეც მითხარი| ახლა ეს მითხარ B.

225. 3 მოვკარი| მოვკარი B; 7-10 აქ დადის ... ხელსაც არ ახებს! —B; 12 შევნიერებად| მშვენიერებათ B; 14 საქმროდ| საქმროთ B; 18 საჭიდაოთ| საჭიდაოდ B; 20 (დაფიქრდება)| (სიჩუმის შემდეგ) B; 21 მაგრამ სხვა ბედის კი უნდა იყო| სხვა ბედის რომ ხარ, ამას მეც ვხედავ B.

226. 5 მეტად| მეტათ B; 6 ამირანზე| ამირანის B; 10 ჯინჭვლებს| ჭინჭვლებს B; 13 იძიეს| უძიეს B; 15 მხოლოდ| მხოლოთ B; 16-17 და მიაჭედესასასრულებლათ| და ბრუტ-საბძელას ზემიაჭედეს, ვერვინ გაბედა მიკარებოდა B; 21-24 იმ დღიდან ... არ ემონება —B; 28 სწინის|

ნიწკნის B; 29 მაგრად შებმული მაგრათ მიბმული B; 30 მოსაგერებლად მოსაგერებლათ B.

227. 4 ერთად ერთათ B; 6 ვურტყამთ ურტყამთ B; 12 ბერი და ტყუილს და რომც ვიცოდე B; 13 ვიტყვი გეტყვი B; 14-228. 1 ეს ვიცი ... ერთად ჩამლესი -B; 30 შეზდილი შეზრდილი B.

228. 2 ამაზე მეტი თუ გასურს, შეიტყო თუ მართლა გინდა, შეიტყო რამე C; 3 აგერ ეგერ B; 5 ყოლიფერს ყოლიფერს B; 8 გასტეხ გატეხ B; 10-15 იაზონ ... მიძიე მარჯვენა -B; 15 მჭედელს ხელს უშვებს ხელს უშვებს მჭედელს B; ჰკბენს კბენს B; 16 დამფრთხალი დამფთხალი B; 20-229. 1 ძიდა ... იაზონ -B.

229. 3 ან მედია ანუ მედია B; 5 ტყვილა გამცდარხარ ტყვილა გარჯილხარ B; 9 ამ მაღალ (თითს აშვერს) ამ მაღალ B; 11 თანასწორ თან სწორათ B; 23 მხოლოდ მარტო ის კი მხოლოთ ახლა, მე ის B; 24 გაქვთ გაქვთ B.

230. 1 გიამბობს გიანბობს B; 2 მახლობლად მახლობლათ B; 3 ჭალეშში ჭალაში B; 4-5 ჯერ თუ არ ... მალე განდება წაიყვანს ხოლმე ტოლ-ამხანაგებს, მის შიშით ერთიც ვერ დააკლდება B; 10 ერთი მხრიდან ხმა ხმა ერთი მხრით B; 12 მეორე მხრით ხმა ხმა მეორე მხრით B; 17 საბურთალოზე საბურთალოზე B; 18 მარტო + ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ B; 23 თავისთვის + ფარდა დაეშვება B.

231. 3 ტკბილზედ ტკბილზე B.

პოემაში ბერძნული მითოლოგიის მიხედვითაა აღწერილი კოლხიდაში არგონავტების ლაშქრობის ეპიზოდი.

ამ ნაწარმოების A ტექსტს ერთვის აკაკის კომენტარები, რომელთა სქოლიოს აღმნიშვნელი რიცხვები „მედიას“ ტექსტში უცვლელად დავტოვეთ. ქვემოთ მოგვაქვს ეს კომენტარები:

„1) ისტორიის წინასწართქმულობისა და მითების სამშობლოდ საზოგადოდ საბერძნეთია ცნობილი! უმეტესობა დღემდისაც დაჯერებულია, რომ ისინი შექმნა ელინების ალტკინებულმა ფანტაზიამ და მერე გადმოსცა მთელ კაცობრიობას. მაგრამ ჩვენ კი დარწმუნებული ვართ, რომ, პირიქით, ბერძნებმა გაიტანეს სხვა ქვეყნებიდან სულ სხვა ხალხების ამბები, შეისისლხორცეს, თავისებურად გადააკეთეს და ფერცვლილი უკანვე დააბრუნეს. ამას ნამდვილად გვიმტკიცებენ, სხვათა შორის, ძველისძველი მითები „პრომეთეოსზე“ და „იაზონ-მედიაზე“ და, ერთი და მეორეც ჩვენი ქვეყნის შვილია: აქ შობილან, აქ გაზრდილან და კოლხეთით ასე გადასულან ზღაპრულად ელლადაში. ავიდოთ პირველი: ბერძნების სიტყვით „მთავარღმერთისაგან“ ურჩობისათვის გარისხული პრომეთეოსი კავკასიის ქედზე იყო მიბმულ-მიჯაჭვული, მიჩენილი ჰყავდა მტანჯველად

ქორი, ანუ ორბი, რომელიც გულ-ღვიძლს უწინკნიდა. მაგრამ გმირი არ კვდებოდა, წყლული უმთელდებოდა, რომ ხელახლად ეგლიჯა მის ჯვალათს – უზარმაზარ ქორს და საბრალო ტყვის სატანჯველს დასასრული არ ჰქონდა. ეს ამბავი საქართველოში, მთელ კავკასიაში სხვადასხვა ვარიანტებად მოდებულია. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ აქ პრომეთეოსს ამირანი ეწოდება. ბერძნულად სიტყვა „პრომეთეოსი“ ნიშნავს „შორმჭვრეტელს“. აქაც ამირანს „შორმჭვრეტელობას“ აწერენ: „ცაში არა გამოეპარებოდა რა და ქვესკნელში ჭიანჭველებს ხედავდაო“, – გვარწმუნებს ზეპირგადმოცემა. ბერძნები აღარ ამბობენ, თუ რა მანქანებით უმთელდებოდა წყლული პრომეთეოსს. ჩვენში კი უფრო სრულად არის გადმონაცემი: ერთი ვარიანტი ამტკიცებს, რომ პატარა ფინია ძალი ულოკავდა წყლულს და ურჩებოდაო. მეორე ამბობს, რომ ქორის შემდეგ ყოველთვის ფასკუნჯი მიდიოდა, ფრთას უსვამდა და ჰკურნავდაო. ბერძნების გმირი დაუბმელი დარჩებოდა, რომ ხერხიან კოჭლ გეფესტს – ერთ ღმერთთაგანს – არ შეეყარა მისთვის ბორკილი. ჩვენს გმირსაც ვერავინ მიაკრავდა ქედზე, რომ არ გამოჩენილიყო ერთი გრძნეული კოჭლი მჭედელი. ამიტომაც საზოგადოდ მჭედლებზე გარისხებული ამირანი დღესაც ცდილობს, რომ თავი აიშვას, აიწყვიტოს და, რაც ქვეყანაზე მჭედლებია, ერთად ყველას მუსრი გაავლოს... ეს ისე სწამთ, რომ დღესაც კიდევ მჭედლები ჩვენში დიდხუთმაბათს დილას სამჭედურში უზმოდ და უბრად სამჯერ ზედიზედ ურტყამენ უროს გრდემლზე, რომ ამირანის საჯაჭვო პალო ყოველწლივით გაამაგრონ ხოლმე და თავი არ ააშვებინონ. ბერძნის მწერლები ამტკიცებენ, რომ პრომეთეოსი ამარანტის მთაზე იყო კავკასიაში მიკრულიო. მესამე საუკუნეში ქრისტეს წინ აპოლონ როდოსელი ამტკიცებს, რომ მდინარე ფაზისი ამარანტის მთიდან გადმოდისო, სადაც პრომეთეოსი იყო მიბმული. რა მთა არის ეს ამარანტა, ბერძნებისაგან მოხსენებული რამ, დღეს აღარ ვიცით? ეს ის მთა არის, რომელსაც ჩვენი ზეპირსიტყვაობა „ამირანმთას“ ეძახის და სადაც ამირანი იყო მიბმული. აღარ გამოუდგებოდა წერილმან რამეებს. ჩვენი აზრის დასამტკიცებლად რაც ითქვა, საკმაოა. მეორე ამბავი „იაზონ-მედიაზე“ კიდევ უფრო ამტკიცებს ჩვენს აზრს თავისის უეჭველობით. ელინების გმირმა, თესალიის ბატონიშვილმა იაზონმა შეჰყარა გმირი ამხანაგები, დაკავთებინა ნავი „არგო“ და წამოვიდნენ კოლხიდისაკენ, ვითომცდა მათი ქვეყნიდან დაკარგულ ოქროსმატყლოვან ვერძის საძებრად. შემოცურეს ფაზისის მდინარეში შავი ზღვით. იმ მდინარის პირად იყო საუცხოვო ქალაქი გაშენებული, რომელსაც „ეა“ ეწოდებოდა. იქ იჯდა მეფედ „აიტი“, ჰყავდა ერთი ქალი „მედი“, გრძნეული მამიდის გაზრდილი. იმ მამიდას ერქვა სახელად „თირთეია“, ანუ „ცირცეია“. ამან ასწავლა თავის გაზრდილს ძმისწულს გრძნეულობა და სხვადასხვა სამკურნალო თუ სანამლაგ ბალახების ხარშვა. აქვე, აეტის სამთავროშივე, იმწყლოდა ის ოქროს მატყლოვანი ვერძი, რომლის საძებნელადაც იყო იაზონი წამოსული. იაზონმა მედიას დახმარებით მოიტაცა ის ვერძი და მედიაც თან წაიყვანა

